

სტატისტიკური განზომილებიანი ზმნები და მათი სწავლების
თავისებურებები ქართულის, როგორც მეორე ენის სფეროში

თინათინ კილურაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების
ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ეკატერინე შავერდაშვილი,
თანახელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ნინო დობორჯგინიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ კილურაძე

23.07.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ინტერდისციპლინურია და შედგება ორი ნაწილისგან, რომელთაგან დიდაქტიკური კვლევა არის ძირითადი მიმართულება, ხოლო ლინგვისტური კვლევა - მისი აუცილებელი წინაპირობა.

ნაშრომში წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ქართულ ენაში ცალკეული ზმნების სემანტიკურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემატიზაცია ახალი სემანტიკური ჯგუფის - სტატიკური განზომილებიანი ზმნების - გამოვლენის საშუალებით და, მეორე მხრივ, ამ სისტემატიზაციაზე დაფუძნებული ახალი მიდგომები ქართულის, როგორც მეორე და უცხო ენის სფეროში ამ ზმნების სწავლების მიმართულებით.

სემანტიკური ნიშნით ზმნების ამგვარი დაჯგუფება და ქვეჯგუფების გამოვლენა იძლევა საშუალებას, ენაში გამოიკვეთოს შედარებით უფრო ჰომოგენური ქვეჯგუფები და დადგინდეს მათთვის საერთო მორფოსინტაქსური თავისებურებები, რაც ნათელს ჰფენს ზოგ საორჭოფო საკითხს თუ “გამონაკლისს” მორფოლოგიური ნიშნით (უღლების ტიპების მიხედვით) არსებულ ტრადიციულ სისტემატიზებაში, როდესაც ერთ ჯგუფში რამდენიმე სხვადასხვა სემანტიკისა და მორფოსინტაქსური სტრუქტურის მქონე ზმნა არის გაერთიანებული.

სემანტიკური ნიშნით ჰომოგენური ქვეჯგუფების გამოყოფა საშუალებას იძლევა, ენის დიდაქტიკის სფეროში შემუშავდეს ახალი მიდგომები ამ ჰომოგენური გრამატიკული ფენომენის სწავლებისადმი, კერძოდ, შემსწავლელს მიეწოდოს ლოგიკურად ახსნადი შინაარსობრივი და ფორმით იდენტური სტრუქტურები, რომელთა საშუალებითაც მას შეეძლება თავადვე აწარმოოს ქვეჯგუფის ფარგლებში სხვადასხვა ზმნები.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ემპირიული კვლევის ფარგლებში შემუშავებული სასწავლო მასალა, რომლის გამოყენება შეუძლიათ ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის მასწავლებლებს. ეს მასალა ამავდროულად წარმოადგენს გრამატიკის ინდუქციური მეთოდით

შინაარსობრივ-კონტექსტური სწავლების ნიმუშს, რომლის მაგალითზეც მასწავლებლებს შეუძლიათ შეიმუშაონ ამავე მეთოდით მასალები სხვა გრამატიკული ფენომენების შესასწავლად.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: სტატიკური განზომილებიანი ზმნები, სემანტიკა, ზმნა ქართულ ენაში, გრამატიკის სწავლება, ქართულის, როგორც უცხო ან მეორე ენის დიდაქტიკა

Abstract

Stative Dimensional Verbs and Specific Teaching Methods for Them in Georgian as a Second Language

This dissertation represents a semantic classification of verbs in Georgian on behalf of a new semantic group - stative dimensional verbs in Georgian.

Such (sub)classification of Georgian verbs from semantic point of view enables formation of homogeneous groups with identical semantic and morphosyntactic properties. Such classification clarifies some inconvenience or exceptions in traditional morphological classification of Georgian verbs in types / classes of conjugation, which include many verbs with different semantic and morphosyntactic properties in one group.

The differentiation of semantically homogeneous verb groups in linguistics enables development of new approaches in teaching grammar phenomena in Georgian as a second/foreign language didactics: The students are given an opportunity to receive logical explanatory rules on semantically and morphologically similar verbs within a small verb group in order to generate appropriate verb forms, which is an essential aspect

of grammar teaching according to modern learner and task oriented language teaching approaches.

The practical value of this work is teaching material developed within the framework of empirical study, which can be used by teachers of Georgian as a second or foreign language in their lessons as additional material. This teaching material is also an example of content and context based grammar teaching with inductive method and can be used as guideline for teachers of Georgian language to develop own materials for teaching grammatical phenomena.

Key words: stative dimensional verbs, semantics, verb in Georgian, teaching grammar, didactics of Georgian as a foreign or second language.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფ. ეკატერინე შავერდაშვილს ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, განსაკუთრებით, დიდაქტიკურ ნაწილზე მუშაობისას და ემპირიული კვლევის მომზადება-ჩატარებისას მოცემული რჩევებისთვის.

მადლობა მინდა გადავუხადო თანახელმძღვანელს, პროფ. ნინო დობორჯგინიძეს ნაშრომის ლინგვისტურ ნაწილში გაწეული დახმარებისთვის, კონსულტაციებისა და საინტერესო რჩევებისთვის.

ასევე, ძალიან საინტერესო იყო კონსულტაციები ემერიტუს პროფესორ შუქია აფრიდონიძესთან, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.

მადლობას ვუხდით პროფ. სებასტიან ლიობნერს, რომლის რჩევითა და ხელმძღვანელობით დავიწყე მუშაობა ამ თემაზე დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის უნივერსიტეტში საერთო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში. მადლობას ვუხდით დიუსელდორფის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელს, დოქტ. თომას გამერშლაგს თავისი მიგნებების გაზიარებისთვის, კონსულტაციებისა და თანამშრომლობისთვის.

მადლობა მინდა გადავუხადო პროფ. ელიზაბეტ ფენორს, რომლის დოქტორანტთა კოლოკვიუმსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებზე მიღებულმა რჩევებმა დახმარება გამიწია ნაშრომის ცალკეულ თავებზე მუშაობისას.

ცალკეულ საკითხებზე დისკუსიების, მხარდაჭერისა და გამხნეებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს კოლეგას, ეკატერინე ქუთათელაძეს.

სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზის პროცესში დახმარებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის" მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლებს ლალი დალაქიშვილს და თემურ შალამბერიძეს.

მადლობას ვუხდით ემპირიული კვლევის საორგანიზაციო მხარეში დახმარებისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელს, ნათია ულრელიძეს და ამავე უნივერსიტეტში კვლევის მეორე ეტაპზე ჩართულ ლექტორებსა და სტაჟიორებს მასალის სამიზნე ჯგუფებში გამოცდისა და უკუკავშირისთვის: თეა ქიტოშვილს, ივლიტა ლობჯანიძეს, ანა ჭკუასელს, თამთა ასანიძეს, ანა როსტომაშვილსა და ანა ჯიმუხაძეს. ასევე, მადლობას ვუხდით კვლევის ორსავე ეტაპზე ჩართულ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის” პროგრამის იმ სტუდენტებს, რომლებმაც ნებაყოფლობით მიიღეს მონაწილეობა გაზაფხულის სემესტრის ბოლოს წინასაგამოცდო პერიოდში ამ დამატებითი მასალის პილოტირებაში - მათმა შეცდომებმა და შეკითხვებმა მასალის დახვეწის და საინტერესო მიგნებების აღმოჩენის საშუალება მომცა.

მადლობას ვუხდით ჩემი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს, მუშაობის პროცესში გაწეული თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

სარჩევი

განაცხადი.....	ii
აბსტრაქტი.....	iii
მადლობა	vi
სარჩევი	viii
სტატიკური განზომილებიანი ზმნები და მათი სწავლების თავისებურებები ქართულის, როგორც მეორე ენის სფეროში	
შესავალი.....	1
ნაწილი I - სტატიკური განზომილებიანი ზმნები (ლინგვისტური ნაწილი).....	7
თავი 1 - სტატიკური განზომილებიანი ზმნების დახასიათება.....	7
1.1 ობიექტის განზომილების გამოხატვის ფორმები.....	7
პირველადია სგზ, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს თავისი პირველადი სემანტიკიდან გამომდინარე სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უმრავლეს შემთხვევაში. მეორეულია სგზ, რომელიც ამ თავისებურებებს იძენს ცალკეულ კონტექსტში.	9
1.2 სგზ და ფუნქციური ცნებები	9
1.3 სგზ და განზომილების გამომხატველი ზედსართაული / ზმნიზედური ვარიანტები	12
1.4 განზომილების გამოხატვის სახეობები და თავისებურებები.....	13
1.4.1 სკალარული და არასკალარული განზომილება	13
1.4.2 განზომილების შიდა და გარე სპეციფიკაცია.....	14
1.4.3 აბსოლუტური გამოყენება	14
1.4.4 ერთ-, ორ- და სამგანზომილებიანი სგზ	15
თავი 2: პირველადი სტატიკური განზომილებიანი ზმნები.....	16
2.1.1 ლოკაციის სგზ-ის სემანტიკური ჯგუფები განზომილებების მიხედვით....	16
2.1.2 - <i>ა</i> დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ	18
2.1.2.1 - <i>ა</i> დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის მორფოლოგია.....	18
2.1.2.2 - <i>ა</i> დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის სინტაქსური კორელაციები: ვალენტობა	26
2.1.2.3 - <i>ა</i> დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის კორელაცია ფუნქციურ ცნებებთან.....	30

2.1.2.4 -ია დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის კორელაცია ზედსართავ სახელებსა და ზმნიზედებთან	32
2.1.3 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ	35
2.1.3.1 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ-ის მორფოლოგიური თავისებურებები	35
2.1.3.2 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ-ის სინტაქსური კორელაციები: ვალენტობა	38
2.1.3.3 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ-ის მიმართება ფუნქციურ ცნებებთან	39
2.1.3.4 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ-ის მიმართება ზედსართავ სახელსა და ზმნიზედსთან	40
2.2 გრძობა-აქმის სტატიკური განზომილებიანი ზმნები	41
2.3 შესაბამისობის სგზ	44
თავი 3: მეორეული სგზ	48
ნაწილი II - სტატიკური განზომილებიანი ზმნების თვისება-შესაძლებლობის გამომხატველი ქვეჯგუფის სწავლების სტრატეგიები.....	51
შესავალი.....	51
თავი 4: გრამატიკის სწავლების სპეციფიკა სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების ფარგლებში	52
4.1 გრამატიკის სწავლება გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით.....	53
4.2 პირდაპირი მეთოდი	54
4.3 აუდიოლინგვური, აუდიოვიზუალური და სხვა მეთოდები	55
4.4 გრამატიკის სწავლების პრინციპები კომუნიკაციური მიდგომით	56
თავი 5: სახელმძღვანელოების ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით.....	61
5.1 სახელმძღვანელოებში გრამატიკის სწავლების ანალიზის კრიტერიუმები	61
5.2 სახელმძღვანელო “თავთავის” ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით	65
5.3 სახელმძღვანელო “ქართული ენის” ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით	67
5.4 სახელმძღვანელო “ბილიკის” (დონე I და II) ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით	76

5.5 “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის” - სახელმძღვანელოს ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით	80
თავი 6: ემპირიული კვლევა და შემუშავებული სასწავლო მასალა.....	81
6.1 ემპირიული კვლევის საკითხის და სამიზნე ჯგუფის აღწერილობა	81
6.2 დიდაქტიკური პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა შემუშავებული სასწავლო მასალა.....	83
6.3 შემუშავებული მასალის აღწერა და ანალიზი.....	85
6.3.1 მასალის პირველი ვარიანტის აღწერა და პილოტირების შედეგების ანალიზი.....	85
6.3.2 მასალის მოდიფიცირებული ვარიანტის პილოტირების შედეგების ანალიზი.....	98
6.3.3 საბოლოო გამოცდის ტესტის პირველი ვერსიის აღწერა (2015 წლის გაზაფხულის სემესტრი) და პილოტირების შედეგების ანალიზი	101
6.3.4 მასალის გამოცდის მეორე ეტაპის ანალიზი (2016 წლის გაზაფხულის სემესტრში).....	104
6.3.5 საბოლოო გამოცდის ტესტის მეორე ვარიანტის აღწერა და პილოტირების შედეგების ანალიზი (2016 წლის გაზაფხულის სემესტრი)	111
6.4 მასალის შემდგომი დახვეწის პერსპექტივები.....	113
6.4.1 ზმნისწინი ინიან სგზ-ში.....	114
6.4.2 სუბიექტის/ობიექტის ბრუნვა ინიან სგზ-ში.....	115
6.4.3 -გვა დაბოლოების მქონე ინიანი სგზ-ის ჯგუფი.....	116
დასკვნა	119
ბიბლიოგრაფია.....	124
დანართები	129
დანართი 1: პირველადი და მეორეული სგზ-ის კორპუსი (277 ზმნა).....	129
დანართი 2: შესაბამისობის სგზ	165
დანართი 3: ენიანი ვნებითის ფორმის მქონე ზმნების სემანტიკური ქვეჯგუფები	168
დანართი 4: მ.მელიქიძე, ნ.გორდელაძე, “ქართული ენა”, 2012, დონე 5, მოსწავლის წიგნი, “გრამატიკული გზამკვლევი”, გვ. 64.....	169
დანართი 5: მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე, “ქართული ენა”, დონე 5, მოსწავლის წიგნი, “გრამატიკული გზამკვლევი”, გვ. 65.....	170

დანართი 6: მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე, “ქართული ენა”, დონე 8, მოსწავლის წიგნი, აქტიური და პასიური წინადადება, გვ. 20.....	171
დანართი 7: ნ. შავთვალაძე, ბილიკი II, 2008, თბილისი: გამომცემლობა “ლეგა”, კარი 6, გვ. 61-63, 65, 67.....	172
დანართი 8: ნ. შარაშენიძე, 2010, “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის”, გვ. 192-195.....	177
დანართი 9: მასალის საპილოტე ვერსია მე-4 ჯგუფისთვის.....	181
დანართი 10: მასალის მოდიფიცირებული ვერსია (პილოტირების შედეგად).....	186
დანართი 11: ტესტური დავალება საბოლოო ტესტში 2015 წელს (ვარიანტები I და II).....	191
დანართი 12: ტესტური დავალება საბოლოო ტესტში 2016 წელს.....	197

სტატიკური განზომილებიანი ზმნები და მათი სწავლების თავისებურებები
ქართულის, როგორც მეორე ენის სფეროში

შესავალი

საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალობა ლინგვისტიკასა და ენის
დიდაქტიკაში

ქართულ ენაში ზმნების სემანტიკურ ჯგუფებად სისტემატიზაცია პრობლემურია როგორც ლინგვისტიკის, ასევე ენის დიდაქტიკის თვალსაზრისით. ზმნების ტრადიციული სისტემა უღლების ტიპების მიხედვით¹ გვამლევს კარგ სურათს ზმნების მორფოლოგიური ფორმების კლასიფიკაციის შესახებ, თუმცა სემანტიკური მხარე აქ უგულვებელყოფილია: ხშირ შემთხვევაში ერთ ჯგუფში გაერთიანებული ზმნები მორფოლოგიური წარმოების მხრივ მხოლოდ ნაწილობრივ მსგავსებას ამჟღავნებს, ხოლო სემანტიკური მახასიათებლებით აბსოლუტურად განსხვავებულია. ამის კარგი მაგალითია ზმნების ჯგუფი, რომელიც, პირველ რიგში, სემანტიკური კრიტერიუმის მიხედვით გაერთიანებული ზმნების ჯგუფია და რომელშიც სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმის ზმნებია წარმოდგენილი. მასში გამოიკვეთება ჰომოგენური ქვეჯგუფები, რომელთა სემანტიკური და მორფოლოგიური მხარე სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. კერძოდ, საქმე ეხება სტატიკურ განზომილებიან ზმნებს, რომლებსაც ცალკე მდგომი ჯგუფის სახით წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენ. ზმნების ასეთი ჯგუფის გამოკვეთა უპრეცედენტოა ქართული ზმნის სისტემატიზაციის სფეროში, რადგან ამ შემთხვევაში ზმნების დაჯგუფების უმთავრესი კრიტერიუმი სემანტიკური ხასიათისაა და არა მორფოლოგიური.

ქართულში ზმნების სემანტიკური ნიშნით სისტემატიზაციის ცდა მოცემულია დამანა მელიქიშვილის ნაშრომში², თუმცა აქაც ამოსავალი მაინც ფორმის მიხედვით დაჯგუფებაა, რადგან შედარებით მსხვილი სემანტიკური ჯგუფები დაყოფილია ე.წ. კლასებად ისევ და ისევ უღლების ტიპის, ანუ ფორმის

¹ ა. შანიძე, *თხზულებანი*, ტ. 3: *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980).

² დ. მელიქიშვილი, *ქართული ზმნის უღლების სისტემა* (თბილისი: ლოგოსპრესი, 2001)

მიხედვით. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომი ღირებულია იმ მხრივ, რომ ზმნათა შედარებით მსხვილი სემანტიკური ჯგუფებისა და მათი შემადგენელი მორფემების სემანტიკური ნიშნით ანალიზის ცდას წარმოადგენს.

თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სემანტიკური და მორფოლოგიური კრიტერიუმებით გაერთიანებული ქვეჯგუფების გამიჯვნა, წარმოვადგენ სტატიკური განზომილებიანი ზმნების მაგალითზე: ამ ზმნების ქვეჯგუფებიდან ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია ე.წ. ვნებითი გვარის ზმნების ერთ ჯგუფად მოაზრება, როგორც ეს შანიძისეულ ზმნის უღლების ტიპებში არის მოცემული, რადგან აქ გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა სემანტიკის მქონე ქვეჯგუფი, როგორებიცაა დეპონენსები, გრძნობა-აღქმის სტატიკური და დინამიკური ზმნები, დინამიკური ვნებითისა და სტატიკური ვნებითის მნიშვნელობის ზმნები. ამ ზმნებს განსხვავებული სემანტიკის გარდა, მეტ-ნაკლებად განსხვავებული სინტაქსური და მორფოლოგიური ნიშნები მოეპოვება, რაც უმართებულოს ხდის მათს ერთ ჯგუფში გაერთიანებას, თუნდაც მიზანი მხოლოდ უღლების ტიპის დადგენა იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემურია ასეთი დაჯგუფება როგორც თეორიულ დონეზე, ასევე ენის დიდაქტიკის სფეროში, კერძოდ, უცხოელი შემსწავლელისთვის ამ ჯგუფის ზმნების სწავლება ფორმის მიხედვით საკმაოდ დიდ გაუგებრობას ქმნის, რადგან მას არანაირი წინარე ცოდნა ზმნების ფორმების შესახებ არა აქვს და, როცა ერთი ფორმის ქვეშ 4-5 სხვადასხვა სემანტიკისა და ზოგ შემთხვევაში ასევე განსხვავებული მორფოსინტაქსის მქონე ზმნა ერთიანდება, შემსწავლელს არანაირი საშუალება არა აქვს, ლოგიკურად მიხედეს, რომელი ტიპის ზმნა რა ფორმით იწარმოება. შესაბამისად, შემსწავლელი იძულებულია, უბრალოდ დაიხეპიროს მოცემული ფორმები, რაც ძალიან ანელებს და არაეფექტურს ხდის ენის შესწავლის პროცესს. შემსწავლელმა უნდა იხელმძღვანელოს ცალკეული ყალიბებით და მოახდინოს მათი გენერალიზაცია მსგავს ენობრივ ინვენტარზე. ლოგიკური ყალიბების ჯაჭვის გარეშე ენის შესწავლა შეუძლებელია. შეუძლებელია, თუნდაც მშობლიურ ენაში ათასობით და ათიათასობით სიტყვის ფორმა

აითვისოს ადამიანმა ცალ-ცალკე. ამგვარი ყალიბების ნაკლებობისა და დიდაქტიკური გრამატიკის არარსებობის გამო უცხოელ შემსწავლელებში გავრცელებულია შეხედულება, რომ ქართული ენა ძალიან რთულად შესასწავლი ენაა.

სტატიკური განზომილებიანი ზმნების გამოკვეთა ქართულ ენაში გვამღევს საშუალებას, სემანტიკური თვალსაზრისით ვიკვლიოთ ცალკეული ზმნების ტიპები; ტრადიციული, მორფოსინტაქსური დაყოფის პარალელურად ვიკვლიოთ ზმნები სემანტიკური დაჯგუფებიდან გამომდინარე. სემანტიკური ნიშნით გაერთიანებულ ზმნებსაც აქვს ისეთი თავისებურებები მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, როგორცაა მაგალითად, მეორეული სგზ-ის წარმოების მექანიზმები პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნების სახით, ან შეზღუდვები ზედსართაული პარაფრაზირების ან/და ზმნიზედებთან თავსებადობის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, გვამღევს საშუალებას, სემანტიკური ნიშნით ავხსნათ ზოგიერთი ტიპის ზმნათა ჯგუფში არსებული ასიმეტრია: მაგ. პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნების ჯგუფში არსებული ასიმეტრია, როგორც შინაარსობრივი, ასევე სინტაქსური თავისებურებების თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი

წინამდებარე ნაშრომის პრაგმატულ მიზანს წარმოადგენს სტატიკური განზომილებიანი ზმნების მაგალითზე შედარებით უფრო ჰომოგენური ქვეჯგუფების გამოკვეთა, რომელთა დაჯგუფების უმთავრეს კრიტერიუმს სემანტიკური ნიშნით მსგავსება წარმოადგენს. ასეთ ჰომოგენურ ქვეჯგუფებში უფრო მარტივია ზმნის შინაარსსა და ფორმას შორის კავშირის გამოკვეთა, სისტემატიზაცია და მორფოლოგიური ფორმებისთვის ლოგიკური, შინაარსობრივად ახსნადი ფუნქციის მინიჭება. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება უცხოელი შემსწავლელისა თუ ლინგვისტისთვის ზმნური ფორმების წარმოების ლოგიკური სისტემის მიწოდება და შესასწავლი მასალის თანამედროვე პრინციპებზე, გრამატიკის “აღმოჩენით” სწავლების მეთოდით

აგება ისე, რომ შემსწავლელმა საკუთარ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით თავად აღმოაჩინოს ცალკეული წესები. ამ ნაშრომში ვიკვლევ სტატიკური განზომილებიანი ზმნების ერთ-ერთი გავრცელებული ქვეჯგუფის, თვისება-შესაძლებლობის სემანტიკის მქონე მეორეული ინიანი ვნებითის ფორმის ზმნების სწავლების სპეციფიკას და თანამედროვე მეთოდებით ამ გრამატიკული ფენომენის სწავლების შესაძლებლობას.

შესაბამისად, ნაშრომის მიზანია:

- გამოიყოს სპეციფიკური სემანტიკური ჯგუფი და ქვეჯგუფები ქართულ ენაში, რომლებსაც საერთო სემანტიკური მახასიათებლები აქვს და გამოიკვეთოს ცალკეული ჰომოგენური სემანტიკური ქვეჯგუფების თავისებურება მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებზე;
- შემუშავდეს მეთოდური რეკომენდაციები ქართულის, როგორც მეორე ან/და უცხოური ენის სწავლებაში ამ სპეციფიკური სემანტიკური ჯგუფის ერთ-ერთი ქვეჯგუფის, კერძოდ, თვისება-შესაძლებლობის გამომხატველი ინიანი ვნებითი გვარის მეორეული სტატიკური განზომილებიანი ზმნების სწავლებისთვის.

ჰიპოთეზა და საკვლევი საკითხები (ნაშრომის სტრუქტურა)

სემანტიკური ნიშნით ზმნების გაერთიანება და განსხვავებულ ქვეჯგუფებად დაყოფა გვაძლევს საშუალებას, გამოიკვეთოს ჰომოგენური ქვეჯგუფები, გამოვყოს თითოეული ქვეჯგუფის მორფოსინტაქსური მახასიათებლები.

ასეთი დაჯგუფების დროს მორფოლოგიური კრიტერიუმში მეორეხარისხოვანი ხდება, თუმცა სემანტიკური ნიშნით ზმნების დაჯგუფება ზოგ შემთხვევაში მორფოლოგიური ნიშნით ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი კონკრეტული მნიშვნელობის გამოკვეთის საშუალებას იძლევა.

მეორე მხრივ, ლინგვისტური მიგნებები იძლევა საშუალებას, შედარებით უფრო სისტემური გზა შევიმუშაოთ ამ ზმნების სწავლებისთვის ქართულის,

როგორც მეორე და/ან უცხო ენის სწავლების სფეროში, რაც უფრო ეფექტურს გახდის შემსწავლელის მიერ ამ ზმნების ათვისების პროცესს.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან: ნაწილი I - ლინგვისტური ნაწილი, ნაწილი II - დიდაქტიკური ნაწილი და ემპირიული კვლევა.

პირველი ნაწილი შედგება სამი თავისგან:

თავი 1 - სტატიკური განზომილებიანი ზმნების ზოგადი დახასიათება;

თავი 2 - პირველადი სტატიკური განზომილებიანი ზმნები;

თავი 3 - მეორეული სტატიკური განზომილებიანი ზმნები.

თავი 1 წარმოადგენს სტატიკური განზომილებიანი ზმნების დახასიათებას განზომილებათა სახეობებისა და ამ განზომილებათა გადმოცემის საშუალებების მხრივ. აქვე განხილულია ამ ზმნების მიმართება ფუნქციურ ცნებებთან და ზმნიზედურ-ზედსართაულ ვარიანტებთან.

მეორე თავში განხილულია პირველადი სგზ-ის ქვეჯგუფები სემანტიკური და მორფოსინტაქსური თავისებურებების მიხედვით. კერძოდ, აქ განხილულია ლოკაციის, იდენტურობა-შედარების, ზომა-წონის და გრძნობა-აქმის სგზ.

ამ ნაწილის მესამე თავი წარმოადგენს მეორეული გაგების სგზ-ის ანალიზს სემანტიკური და მორფოსინტაქსური თვალსაზრისით.

ნაშრომის მეორე ნაწილი შედგება ასევე სამი თავისგან:

თავი 4 - გრამატიკის სწავლების სპეციფიკა სხვადასხვა მეთოდებითა და მიდგომებით;

თავი 5 - სახელმძღვანელოების ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების მხრივ;

თავი 6 - ემპირიული კვლევა და შემუშავებული სასწავლო მასალა.

ან ნაწილის პირველ თავში (თავი 4) მოცემულია ენების სწავლებაში ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდები და მათ ფაგლებშიში გრამატიკის სწავლების მეთოდების მიმოხილვა; დიდაქტიკური ნაწილის მეორე თავში (თავი 5) მოცემულია სახელმძღვანელოების შერჩევისა და მათი ანალიზის პრინციპები გრამატიკული კუთხით; მესამე თავში (თავი 6) წარმოდგენილია საკუთარი

სასწავლო მასალის შემუშავების დიდაქტიკური პრინციპები, სამიზნე ჯგუფი და მოცემულია ემპირიული კვლევის შედეგები და ანალიზი.

ნაწილი I - სტატიკური განზომილებიანი ზმნები (ლინგვისტური ნაწილი)

თავი 1 - სტატიკური განზომილებიანი ზმნების დახასიათება

1.1 ობიექტის განზომილების გამოხატვის ფორმები

სტატიკური განზომილებიანი ზმნების ცნება შემუშავებულია დიუსელდორფის კვლევითი ჯგუფის მიერ, რომელიც იკვლევს ფუნქციური ცნებებისა და ფრეიმების ურთიერთმიმართებას. სტატიკური განზომილებიანი ზმნები (შემდგომში სგზ), თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, ობიექტის განზომილების გამოხატვის მხრივ პირდაპირ მიმართებაშია ფუნქციურ ცნებებთან³.

ობიექტის განზომილება შეიძლება გამოიხატოს სამი სხვადასხვა საშუალებით:

(1.ა.) სახელადი ვარიანტი:

ვაშლის ფასი სამი ევროა.

შდრ.

The price of the apples is three euros.

Der Preis der Äpfel ist 3 Euro.

(1.ბ.) ზედსართაული ვარიანტი:

*ვაშლი სამი ევრო ძვირია⁴.

შდრ.

**The apples are three euros expensive.*

Die Äpfel sind drei Euro teuer.

(1.გ.) ზმნური ვარიანტი:

ვაშლი ღირს სამი ევრო.

შდრ.

The apples cost three euros.

Die Äpfel kosten drei Euro.

³ S.Löbner. *Intensionale Verben und Funktionalbegriffe*. (Tübingen: Narr, 1979), გვ. 34

⁴ აღნიშვნა “*” მიუთითებს მოცემული ფრაზის/ფორმის უმართებულობაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სტატისტიკური განზომილებიანი ზმნების სემანტიკური და გრამატიკული მახასიათებლების კვლევა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ტერმინი "სტატისტიკური" სემანტიკური დატვირთვით გამოიყენება და არ შემოიფარგლება მხოლოდ მორფოლოგიურად მარკირებული -ი-ა დაბოლოების მქონე სტატისტიკური ზმნების ტიპით. ამ გაგებით, ინვერსიული ზმნების ნაწილი, გრძნობა-აღქმის ზმნები (*ისმის, ჟღერს, ჩანს*) და სხვა ზმნები სტატისტიკურ ზმნებად მოიაზრება მათი შინაარსობრივი მხარიდან გამომდინარე.

დამანა მელიქიშვილის განმარტებით⁵ „სტატისტიკური ზმნა გამოხატავს საგნის მდგომარეობას ან მოქმედების მდგომარეობას (*აქვს, დგას, ზის, წევს, სძინავს, კანკალებს, წუხს, ყვირის, ცხოვრობს, ხატია, წერია*)“.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში⁶ მოცემული, სტატისტიკურად მარკირებული ზმნები და ასევე, გიორგი გოგოლაშვილის ზმნური ფუძეების ლექსიკონში მოცემული ზმნის ფორმები⁷. ცალკეული მაგალითები გაანალიზებულია ონლაინ-რესურსებიდან: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსიიდან⁸ და ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან⁹. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა 277 პირველადი და მეორეული სზგ (იხ. დანართი 1: სგზ სია).

მეორეული სგზ რიცხვი პოტენციურად მეტია, რადგან სხვადასხვა კონტექსტი იძლევა დინამიკური ზმნის სტატისტიკურად წაკითხვის საშუალებას, ხოლო ლექსიკონში შეუძლებელია მოცემული იყოს ყველა ასეთი მეორეული გაგების კონტექსტი.

სგზ-ის ძირითადი მახასიათებლები შემდეგში მდგომარეობს:

⁵ დ. მელიქიშვილი. *ქართული ზმნის უღლების სისტემა*. (თბილისი: ლოგოსპრესი, 2001), გვ. 13

⁶ *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (რედ. არნ. ჩიქობავა). (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953-58 წწ.)

⁷ გიორგი გოგოლაშვილი, ციცილო კვანტალიანი, დალი შენგელია; *ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი* (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის). (თბილისი: მეცნიერება, 1989).

⁸ www.ena.ge

⁹ <http://gnc.gov.ge/>, ქვეკორპუსი: "ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი"

ქართულ ენაში სტატიკურ განზომილებიან ზმნებს სისტემური შესატყვისები აქვს ფუნქციური ცნებების სახით როგორც სემანტიკურ, ასევე (გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით) მორფოლოგიურ დონეზე:

სტატიკური განზომილებიანი ზმნები:

(2.ა) ვაშლი ორ კილოს იწონის და სამი ლარი ღირს.

ფუნქციური ცნებები:

(2.ბ) ვაშლის წონა არის ორი კილო, ხოლო ფასი - სამი ლარი.

თუმცა სახელად და ზმნურ ვარიანტებს შორის ზუსტი შესატყვისობა მორფოლოგიურ დონეზე ზოგ შემთხვევაში არ მოგვეპოვება არც ქართულ და არც სხვა ენებში:

	ქართული	გერმანული	ინგლისური	ფრანგული
(3)ზმნური ვარიანტი	(3.ა) ჰქვია	(3.ბ) heißen	(3.გ) ∅	(3.დ) s'appeler
(4)სახელადი ვარიანტი	(4.ა) სახელი	(4.ბ) Name	(4.გ) name	(4.დ) nom

(5)ზმნური ვარიანტი	(5.ა) ღირს	(5.ბ) kosten	(5.გ) to cost	(5.დ) coûter
(6)სახელადი ვარიანტი	(6.ა) ფასი	(6.ბ) Preis	(6.გ) price	(6.დ) prix

მაგალითს (3.ა) საერთოდ არ გააჩნია მორფოლოგიურად შესატყვისი სახელადი, შესაბამისად, არც მაგალითს (4.ა) გააჩნია შესატყვისი ზმნური ვარიანტი (*ხელობს).

(5.ა) და (6.ა)-ს აქვს ასეთი მორფოლოგიურად იდენტური სახელადი და ზმნური ვარიანტები, მაგრამ მორფოლოგიურად შესატყვისი ზმნურ-სახელადი წყვილები სემანტიკურად არ შეესაბამება ერთმანეთს განზომილების გამობატვის მხრივ:

(7.ა) ღირს → ღირებულება

ადგილი აქვს სიტყვის მნიშვნელობაში ცვლილებას კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ, როგორცაა მნიშვნელობის შეცვლა კონკრეტული, მატერიალური „ფასიდან“ („ღირსლარი, ევრო...“) აბსტრაქტული, არამატერიალური „ღირებულებისკენ“. თუმცა ამგვარი განზოგადება თვით ზმნაშიც შეინიშნება, როცა ის გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება:

(7.ბ) კონცერტზე წასვლა ღირს.

მაგალითი (7.ბ) განზოგადების პროცესის შუალედური მაჩვენებელია, რომელშიც აღარც კონკრეტული ფასის მნიშვნელობა აღარაა, მაგრამ განზოგადების პროცესი ჯერ არ არის მისული სახელადი ვარიანტის „ღირებულების“ მსგავსს დონემდე.

ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი შემდეგ შემთხვევაშიც:

(8.ა) ფასი → ფასობს

მატერიალური ცნება „ფასი“ განზოგადებას პოულობს არამატერიალური ღირებულების მსგავსად:

(8.ბ) მაგ.: მისი სიტყვა ფასობს.

ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ განზოგადების ტრაექტორიას ზმნის გამოყენების არეალის მიხედვით:

(8.გ) კიტრი წელს ძვირად ფასობს.

(7.ბ)-ის მსგავსად, აქაც გვაქვს შუალედური ვარიანტი (8.გ), რომელიც აღარც კონკრეტული ფასის ცნებას უტოლდება, მაგრამ არც აბსტრაქტულ ცნებას „ფასობს“ (8.ბ) შეედრება.

განსხვავებული სახის ცდომილება გვაქვს სხვა შემთხვევებში, როცა ცალკეულ მორფოლოგიურად და, ერთი შეხედვით, სემანტიკურად იდენტური ზმნურ-სახელადი წყვილები (მაგ. *ფლობა* და *მფლობელი*) განზომილების გამოხატვის მხრივ არ შეესატყვისება ერთმანეთს: მაგალითად, *მფლობელი* ფუნქციური ცნებაა, მაგრამ ზმნა *ვფლობ* არ წარმოადგენს სტატიკურ განზომილებიან ზმნას, რადგან ის, რასაც სემანტიკური სუბიექტი ფლობს, რაიმე გარკვეულ განზომილებაში ვერ მოიაზრება:

(9) ნანუკა ფლობს ოთხ ენას / ერთ მანქანას / ერთ ბინას

სამაგიეროდ, "ეკუთვნის" ზმნა გამოხატავს განზომილებას, კერძოდ, მფლობელს ფუნქციური ცნების სახით:

(10) მანქანა ეკუთვნის ირინას / სერგოს / ლიას / ფირმას / კომპანიას ...

სუბიექტს ამ შემთხვევაში წარმოადგენს გარკვეული საგანი, რომელიც ვილაცას ან რაიმე ორგანიზაციას ეკუთვნის. შესაბამისად, სუბიექტის (ამ შემთხვევაში, მანქანის) ერთ-ერთი მახასიათებელია ვილაცისადმი კუთვნილება, ხოლო ამ ზმნის სემანტიკური სახელადი შესატყვისია - ფუნქციური ცნება - *მფლობელი*. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ზმნური-სახელად წყვილს წარმოადგენს: *ეკუთვნის* - *მფლობელი* და არა *ფლობს* - *მფლობელი*.

1.3 სგზ და განზომილების გამომხატველი ზედსართაული / ზმნიზედური ვარიანტები

როგორც ვნახეთ, ქართულში კარგად არის გამოკვეთილი ურთიერთმიმართება სგზ-სა და ფუნქციურ ცნებებს შორის. სამაგიეროდ, აბსოლუტური ასიმეტრია გვაქვს ზედსართავისა და ზმნიზედის მიერ განზომილების გამოხატვის მხრივ. ქართულში ზმნიზედებს საერთოდ არა აქვთ განზომილების კონკრეტული სპეციფიკაციის გამოხატვის ფუნქცია:

(11) ზედსართაული ვარიანტი:

*ვაშლი სამი ევრო ძვირი არის.

შდრ.

**The apples are three euros expensive.*

Die Äpfel sind drei Euro teuer.

ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში ქართულ ენაში გამოიყენება ზედსართავი სახელისგან ნაწარმოები და ნათესაობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელები:

(12.ა) ხე ორი მეტრის სიმაღლისაა.

შდრ.

(12.ბ) *ხე ორი მეტრი მაღალი არის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, ასეთი (12.ა) ვარიანტი იშვიათად გხვდება.

სხვა ენებისგან განსხვავებით, ქართულ სტატიკურ განზომილებიან ზმნებს არ გააჩნია შესატყვისი ზმნიზედის სახით კონკრეტული ღირებულების *სპეციფიკაციის* გამოხატვის ვარიანტები:

(13.ა) ზმნიზედური ვარიანტი:

*მას უცნაურად ჰქვია¹².

Er heißt komisch.

ამგვარი შინაარსის გამოსახატავად ქართული ენა განზომილების გამომხატველ სახელად ვარიანტებს (ანუ ფუნქციურ ცნებებს) მიმართავს:

(13.ბ) მას უცნაური სახელი ჰქვია.

1.4 განზომილების გამოხატვის სახეობები და თავისებურებები

1.4.1 სკალარული და არასკალარული განზომილება

ზოგიერთი განზომილება შეიძლება მოიცავდეს სკალარული რიგით განსაზღვრებად სპეციფიკატორებს. სკალარული განზომილების ნიმუში გვაქვს 14.ა-ში: ფასი სკალარული განზომილებაა. მის ცვლადთა არეალი ვრცელდება 1 ერთეულიდან უსასრულობამდე: მაგ. ერთი თეთრი, ერთი ლარი, ათასი ლარი

¹² ფრაზა “უცნაურად ჰქვია” დასაშვებია მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში და მხოლოდ არასულიერ სუბიექტთან: მაგ.: ერთ-ერთ თავს წიგნში ასე უცნაურად ჰქვია ...

და ა.შ. იგივე ეხება ხანგრძლივობის განზომილების ცვლადთა არეალს: ერთი წუთი, 1 საათი, 3 საათი და ა.შ. ყველა დანარჩენი მაგალითი არასკალარული განზომილების გამომხატველია: სახელი, მფლობელი, მდებარეობა, მნიშვნელობა.

1.4.2 განზომილების შიდა და გარე სპეციფიკაცია

ზოგიერთ ზმნაში შეიძლება იყოს გამოკვეთილი განზომილების რომელიმე ცალკეული ასპექტი. მაგ.:

(15) ნაგავი ყარს.

ყარს ზმნის განზომილებას წარმოადგენს „სუნის ქონა“, თუმცა ზმნაშივე არის დაფიქსირებული სპეციფიკაცია, თუ როგორი სუნის ქონას ეხება საქმე: კერძოდ, ცუდი სუნი, რაც თვით ზმნაში არის შიდა სპეციფიკაციის სახით გადმოცემული.

სხვა, პროტოტიპულ სგზ-ში განზომილების ცალკეული ცვლადი თვით ზმნაში არ არის ხოლმე გადმოცემული და გარე სპეციფიკაციის სახით გვაქვს წარმოდგენილი.

(16) ვაშლი ორი ლარი ღირს.

აქ სგზ „ღირს“ ფუნქციური ცნების სრული შესატყვისია, რომელშიც ნებისმიერი ცვლადი შეიძლება ჩაჯდეს 1 თეთრიდან X ლარის ჩათვლით. ამ ზმნებისგან განსხვავებით, შიდა სპეციფიკაციის მქონე სგზ-ს არ ესაჭიროება გარე სპეციფიკატორი, თუმცა უფრო კონკრეტული სპეციფიკაცია გამორიცხული არ არის:

(17) სადგურის კედლები თევზის სუნად ყარს.

1.4.3 აბსოლუტური გამოყენება

სგზ-ის აბსოლუტური გამოყენება გულისხმობს ამ ზმნების წინადადებაში გამოყენებას ღირებულების სპეციფიკაციის ექსპლიციტური დაზუსტების გარეშე.

ქართულ ენაში სგზ-ის აბსოლუტური გამოყენების მაგალითები საერთოდ არ გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ სგზ-ის არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს:

(18) ამ კონცერტზე წასვლა ღირს.

თუმცა ამ შემთხვევაში ზმნა ღირს არ გამოიყენება მისი პროტოტიპული განზომილების გამომხატველი მნიშვნელობით (2 ლარი, 3 ევრო ღირს...). ქართული ენა, როგორც ჩანს, არ უშვებს აბსოლუტურ გამოყენებას, სხვა ენებისგან განსხვავებით. მაგალითად, გერმანულში მოიპოვება აბსოლუტური გამოყენების შემდეგი მაგალითები¹³:

(19) Der Koffer wiegt (wiegt viel / ist schwer).

*ჩემოდანი იწონის (იგულისხმება - ბევრს იწონის, მძიმეა).

ქართულში აბსოლუტური გამოყენების ნიმუშები მხოლოდ სახელად პარაფრაზებთან შეინიშნება, რომლებსაც შესაბამისი ზმნური ვარიანტი საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ შინაარსობრივად შეესაბამება სგზ-ის აბსოლუტური გამოყენების მაგალითებს. მაგალითად, *გემოს ქონის* და *სუნის ქონის* გამომხატველი ზმნური ვარიანტები ქართულში არ გვაქვს, სამაგიეროდ ეს პარაფრაზული ვარიანტები არსებობს და აბსოლუტურ გამოყენებას პოვებს:

(20.ა) ფეხსაცმელს სუნი აქვს (ცუდი).

(20.ბ) საჭმელს გემო აქვს (კარგი).

1.4.4 ერთ-, ორ- და სამგანზომილებიანი სგზ

სგზ-ის მიერ გამოხატული თვისება შეიძლება იყოს რამდენიმე განზომილების მომცველი.

ერთგანზომილებიანია განხილულ ზმნათა უმრავლესობა. ორგანზომილებიანი ზმნები კი ძირითადად ადგილმდებარეობის გამომხატველი ლოკაციის

¹³ T. Gamerschlag, Stative Dimensional Verbs in German. *Studies in Language*. Volume 38, Issue 2, (Amsterdam: John Benjamins), გვ. 275.

ზმნებისგან შედგება, რომელთა მეორე განზომილება წარმოადგენს ლოკაციის რაგვარობას:

(21.ა) სურათი კედელზე (3)კიდა¹⁴.

(21.ბ) წიგნები თაროზე ალაგია.

აქ, ერთი მხრივ, გვაქვს ლოკაციის გამოხატულება, ხოლო მეორე მხრივ, - რაგვარობისა. შესაბამისად, ორგანზომილებიან ზმნაში აისახება, თუ რა სახით მდებარეობს ობიექტი ამა თუ იმ ადგილზე: *აფენია, ალაგია, აწყვია, დგას, წევს, ზის ...*

სამგანზომილებიანი ზმნების შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ლოკაციის ზმნებთან, რომლებშიც მდებარეობის რაგვარობის გარდა, ასახულია საზედაო ან სასხვისო ქცევა.

თავი 2: პირველადი სტატიკური განზომილებიანი ზმნები

პირველადი სტატიკური ზმნების ყველაზე მრავალრიცხოვან სემანტიკურ ჯგუფს წარმოადგენს ლოკაციის ზმნები. მათი შესატყვისი ფუნქციური ცნება შეიძლება მოაზრებულ იქნეს ზოგადად ადგილმდებარეობის სახით, რომელიც წარმოადგენს ყველა ლოკაციური ზმნის შესაბამისი ფუნქციური ცნების ზეკატეგორიას, ხოლო ცალკეული ზმნების შესაბამისი სპეციფიკური ფუნქციური ცნებები შეიძლება აკონკრეტებდეს ადგილმდებარეობას ცალკეული ასპექტების მიხედვით.

2.1.1 ლოკაციის სგზ-ის სემანტიკური ჯგუფები განზომილებების მიხედვით

ლოკაციის ზმნებში გამოიყოფა ოთხი, შედარებით მსხვილი სემანტიკური ქვეჯგუფი მათ მიერ გამოხატული განზომილების სპეციფიკაციის მიხედვით. კერძოდ, ლოკაციის განზომილება შეიძლება იყოს მარტივი სხვა დანარჩენი სახის სგზ-ის მსგავსად, ანუ იყოს ერთგანზომილებიანი, თუმცა ლოკაციის ზმნების ანალიზის შედეგად მხოლოდ ერთი ზმნა აღმოჩნდა ასეთი

¹⁴ ქვევ-ში იძებნება 341 კონტექსტი კიდა ფორმით და 1167 კონტექსტი ჰკიდა ფორმით.

(მდებარეობს). ლოკაციის ზმნათა უმრავლესობა არის ორ- ან სამგანზომილებიანი.

ასეთი ლოკაციის ზმნების მეორე განზომილებას წარმოადგენს ლოკაციის რაგვარობა:

(22.ა) სურათი კედელზე ჰკიდია.

(22.ბ) წიგნები თაროზე ალაგია.

აქ, ერთი მხრივ, გვაქვს ლოკაციის გამოხატულება (კედელზე, თაროზე), ხოლო მეორე მხრივ, ლოკაციის რაგვარობა - თუ რა სახით მდებარეობს ობიექტი ამა თუ იმ ადგილზე: ჰკიდია, ალაგია, აფენია, აწყვია, დგას, წევს, ზის ...

სამგანზომილებიანი ლოკაციის ზმნების შემთხვევაში საქმე გვაქვს, მდებარეობის რაგვარობის გარდა, პოზიციონირების დაკონკრეტებასთან: ა. “ზედდების” გამოხატულება რაიმე ზედაპირთან მიმართებაში - აწერია, აყრია; ბ. ბენეფიციართან სიახლოვის ან მისთვის კუთვნილებისა თუ დანიშნულების გამოხატვა - მას უკეთია, უკიდია.

აღსანიშნავია, რომ მესამე განზომილების ეს ორი სახეობა, ერთი მხრივ, ზედდების გამოხატვა (აყრია) და, მეორე მხრივ, სუბიექტის მიმართ ახლოს მდებარეობა ან კუთვნილების გამოხატვა (უყრია), ერთდროულად არასოდეს გვხვდება ზმნაში. აქედან გამომდინარე, განზომილებების ასახვის რაოდენობის მიხედვით, გამოიყოფა 3 ჯგუფი, ხოლო მესამე ჯგუფში - 2 ქვეჯგუფი, როგორც მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 1: ლოკაციის ზმნების სემანტიკური ქვეჯგუფები

1.ერთგანზომილებიანი ზმნები: მხოლოდ ლოკაცია
2.ორგანზომილებიანი ზმნები: ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა
3. სამგანზომილებიანი ზმნები: ა. ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა + ზედდების გამოხატვა (საზედაო ქცევა);

ბ. ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა + კუთვნილება ბენეფიციარის / სუბიექტის მიმართ ან მის ახლოს მდებარეობა (სასხვისო ქცევა)

2.1.2 -ია დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ

2.1.2.1 -ია დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის მორფოლოგია

პირველადი სგზ-ის ლოკაციის ზმნების ჯგუფის დაახლოებით 80 პროცენტს (106-დან 82) შეადგენს მორფოლოგიურად ჰომოგენური სტატიკური ვნებითი გვარის ზმნები (*აფენია, აწყვია, ულაგია, ყრია*), რომელთაც მესამე პირში აქვს დაბოლოება *-ია*, ხოლო პირველსა და მეორე პირში - მეშველზმნიანი ფორმები (*-ვარ, ხარ*). სგზ ლოკაციის ზმნების დანარჩენი 20 პროცენტი წარმოდგენილია საშუალო გვარის ზმნებით, რომლებიც სემანტიკურად ასევე სტატიკურობას და ამავდროულად სუბიექტის რეფერენტის ადგილმდებარეობას გამოხატავს და წარმოადგენს მედიოპასივებს (საშუალო-ვნებითი გვარის ზმნები): *დევს, წევს, ზის ...*

აღსანიშნავია, რომ სტატიკური ვნებითი გვარის ზმნების მსგავსად, ეს ზმნებიც მეშველზმნიანია პირველსა და მეორე პირში.

ლოკაციის სგზ-ის ჯგუფში მარგინალური ქვეჯგუფის სახით გვაქვს ასევე ე.წ. ენიანი დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები (*ემიჯნება, ესაზღვრება*), რომლებიც წარმოშობით დინამიკურია, მაგრამ თავიანთი სემანტიკის გამო ამჟამად უპირატესად სტატიკური მნიშვნელობით გამოიყენება. ამ მიზეზის გამო მივიჩნევთ ეს ზმნები პირველად სტატიკურ განზომილებიან ზმნებად და არა მეორეულად, როგორც ეს ენიანი ვნებითი გვარის ზმნების უმრავლეს შემთხვევაშია, კერძოდ, როცა ზმნა პირველადი მნიშვნელობით დინამიკურია, მაგრამ ცალკეულ კონტექსტში უდროობისა და, შესაბამისად, სტატიკურობის შინაარსს იძენს. ეს, როგორც წესი, მისი მეორეული თვისებაა და არა პირველადი (იხ. თავი 3). იგივე ეხება რამდენიმე მედიოაქტივს (საშუალო-ვნებითი გვარის ზმნას) -*ობ* თემის ნიშნით (*ბანაკობს, ბუდობს*): -*ობ* თემისნიშნის ზმნების ნაწილი სუბიექტის ქმედებას გამოხატავს, რომელიც

შეიძლება იყოს განგრძობითი ასპექტისაც, ტელიკურიც და ასევე, ზოგი მათგანი შეიძლება გამოხატავდეს სტატიკას, მოიცავდეს დროის ხანგრძლივ პერიოდს და ცალკეულ შემთხვევებში არ გამოირიცხავს მუდმივობას ან სულაც უდროობას. -ობ თემისნიშნისანი ზმნების საერთო გამაერთიანებელი ნიშანი, როგორც ჩანს, მათი წარმოების ტიპია. კერძოდ, მათი უმრავლესობა სხვა სახელისგან არის ნაწარმოები, შესაბამისად, თემის ნიშანი სხვა სახელისგან ნაწარმოებობაზე მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა და არა რაიმე სხვა სემანტიკურ თვისებაზე. აღსანიშნავია, რომ ქეგლ-შიც მათი სტატიკურად მოაზრებისას გადამწყვეტი ამ ზმნების სემანტიკა ჩანს და არა - მორფოლოგიური შედგენილობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს -ობ თემისნიშნისანი ზმნები მოიცავს ადგილმდებარეობის განზომილებას და ამ მოსაზრებით გაერთიანდა სგზ ლოკაციის ზმნების ჯგუფში.

ლოკაციის ზმნების პირველი ქვეჯგუფის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია მხოლოდ ლოკაციის გამოხატვის ზმნა - *მდებარეობს*. ის წარმოადგენს - *დება* / - *მდებარე* ფუძისგან ნაწარმოებ ზმნას და დართული თემის ნიშანი -ობ.

სქემატურად ლოკაციის ზმნების სემანტიკური ჯგუფები და თითოეული მათგანის მორფოლოგიური ქვეჯგუფები შემდეგ ცხრილშია თავმოყრილი:

ცხრილი 2: ლოკაციის ზმნები

სემანტიკური ქვეჯგუფი განზომილების რაგვარობის მიხედვით	მორფოლოგიური ქვეჯგუფები და მაგალითები:
1.ერთგანზომილებიანი ზმნები: მხოლოდ ლოკაცია	საშუალ-ვნებითი - <i>ობ</i> თემის ნიშნით: <ul style="list-style-type: none"> ● მდებარეობს (ერთადერთი ნიმუში)
2.ორგანზომილებიანი ზმნები: ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა	<ul style="list-style-type: none"> ● -ია სტატიკურები (სტატიკური ვნებითი): ფენია, ყრია ● საშუალ-ვნებითი გვარი: დგას, წევს,
3.ა.სამგანზომილებიანი ზმნები:	<ul style="list-style-type: none"> ● -ია სტატიკურები (სტატიკური

ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა + ზედღების გამოხატვა (საზედაო ქცევა)	<p>ვნებითი) საარვისო (აქ საზედაო) ქცევით:</p> <p>აბია, აწერია ...</p> <ul style="list-style-type: none"> • საშუალ-ვნებითი გვარი საარვისო (აქ საზედაო) ქცევით: ადევს, აწევს, აზის...
<p>3.ბ. სამგანზომილებიანი ზმნები:</p> <p>ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა + კუთვნილება ბენეფიციარის / სუბიექტის მიმართ ან მის ახლოს მდებარეობა (სასხვისო ქცევა)</p>	<ul style="list-style-type: none"> • -ია სტატიკურები (სტატიკური ვნებითი) სასხვისო ქცევით: უბია.. • საშუალ-ვნებითი გვარი სასხვისო ქცევით: უდევს, უწევს, უზის.

როგორც აღვნიშნე, -ია მორფოლოგიური ნიშნით გამოკვეთილი სტატიკური ადგილმდებარეობის ზმნების 1-ლი და მე-2 პირის ფორმები მეშველზმნიანია და ამ ძირის მქონე ზმნათა უმრავლეს ნაწილს შეიძლება გააჩნდეს სასხვისო და საარვისო (საზედაო) ქცევა:

Ø/ა/უ- ძირი- ი- ვარ/ხარ

მე-3 პირის ფორმა:

Ø/ა/უ-ძირი-ი-ა

ცხრილი 3: -ია დაბოლოებებიანი სტატიკური ზმნების პარალელური ფორმები

ნეიტრალური ვერსია, (საარვისო ქცევა)	საზედაო ვერსია/ქცევა	სასხვისო ვერსია /ქცევა
	1. აბია	1. უბია
	2. აბნევია	
	3. აბჯენია	2. უბჯენია
გდია	4. აგდია	3. უგდია

	5. აგია	4. უგია
(ღვას)	6. აღგია	5. უღგია
(ღევს)		6. უღგია
	8. ავლია	7. უვლია
2. თესია	9. *ათესია ?	8. უთესია
		9. უკეთია
	10. აკერია	
3. ჰკიდია		10. უკიდია
	11. აკეცია	
	12. აკვრია	
	13. ალაგია	11. ულაგია
4. მარხია		12. უმარხია
	14. ამწყვდევია (ა-ს ზედდების ფუნქცია არა აქვს).	13. უმწყვდევია
		14. უმწყვრივია
		15. ურევია
	15. არტყია	
	16. არჭვია	16. ურჭვია
	17. ასაფლავია	

	18. ასახლია	17. უსახლია?
	19. ასვენია	18. უსვენია
	20. ასვია	19. უსვია 1 = აზის
		20. უსვია 2 - წასმული აქვს
	21. ასევია	
	22. ასკუპია	
	23. ასხია (სითხე)	21. უსხია 1 - წყალი
	24. ასხია (ხეს ნაყოფი)	22. უსხია 2 - აზია მისას
	25. ატანია (შიგ და არა ზედ)	
	26. აფარია	უფარია
5. ფენია	27. აფენია	23. უფენია
	28. აფრქვევია	
	29. აყენია	24. უყენია
6. ყრია	30. აყრია	25. უყრია 1 - ყრია მისი
		26. უყრია 2 - გაყრილი აქვს
7. ჰყუდია	31. აყუდია (სხვანაირი ზედდება)	27. უყუდია
	32. აცვია (მდებარეობა -	

	ტანზე)	
	33. აცვია (მაყალზე, ძაფზე მძივები)	28. უცვია (ჩამოცმულია ზედ მათთვის)
8. სცხია	34. აცხია	
9. წერია	35. აწერია	29. უწერია
	36. აწყვია	30. უწყვია
	37. აჭედია (სხვანაირი ზედდება, თუ კედელზეა)	უჭედია
	38. აჭდევია	31. უჭდევია
10. ხატია	38. ახატია	32. უხატია
	39. ახვევია (ზედ, ირგვლივ)	
11. ხურია, ჰხურავს	40. ახურია	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეს ზმნები მრავალფეროვანია როგორც ქცევის ნიშნითან მიმართებაში, ასევე განზომილებების სპეციფიკაციის გადმოცემის მხრივაც.

პრეფიქსი ა- ამ შემთხვევაში ადგილმდებარეობის დამატებით განმსაზღვრავ ელემენტს წარმოადგენს: პრეფიქსი ა- აქ გამოიყენება საზედაო ფუნქციით, ანუ "ზედდების" მნიშვნელობის შემცველია (ცხრილი 2, 3.ბ), შესაბამისად, უპირატესობას ვანიჭებ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ ტერმინს "საზედაო" ქცევა (superficial version).

მეორე პრეფიქსი (აქ: მესამე პირისთვის უ) (ცხრილი 2, 3.გ) რომელიმე პირთან ანუ ბენეფიციართან ახლოს მდებარეობას ან მისადმი კუთვნილებას გამოხატავს (*მიფენია, გიფენია, უფენია*).

შესაბამისად, ამ ქცევის ნიშნებს ლოკაციის პირველად სტატიკურ ზმნებთან მესამე განზომილება შემოაქვს. მაგალითად, ზმნური ძირისგან *ყარ* (შეკუმშული ვარიანტი *ყრ*) შესაძლებელია როგორც ორ- ასევე, სამგანზომილებიანი სტატიკური ლოკაციის ზმნების წარმოება:

ორგანზომილებიანია ზმნის ფორმა *ყრია*. მასში გამოიხატება ზოგადად ადგილმდებარეობა (*იატაკზე, კედელზე ...*) და მდებარეობის რაგვარობა (როგორ არის განლაგებული საგანი - *ყრია vs. აფენია, კიდია*);

სამგანზომილებიანია ზმნის ფორმა *აყრია*, რომელშიც მესამე, დამატებით განზომილებას წარმოადგენს მდებარეობის მიმართება ადგილმდებარეობის ობიექტთან, ანუ მდებარეობის რაგვარობა რისამე ზედაპირთან მიმართებაში (მდებარეობის დაკონკრეტება საზედაო ფუნქციით);

სამგანზომილებიანია ასევე ზმნის ფორმა *უყრია*, რომელშიც გამოიხატება დამატებითი განზომილება - მდებარეობის მიმართება ბენეფიციართან ან მფლობელთან (მის სიახლოვეს ან მისთვის).

47 ზმნური ძირიდან, უმეტესობას (40 ზმნას) ახლავს საზედაო ქცევის ფორმა, ანუ ე.წ. საარვისო ქცევის ნიშანი ა-, ხოლო 32-ს - სასხვისო ქცევის ნიშანი (აქ: მესამე პირის ფორმებთან - უ). მხოლოდ 11 ფორმა არის ამგვარი დამაზუსტებელი განზომილების გარეშე და, შესაბამისად, - ნეიტრალური. ხოლო ორი ძველი ფორმა (*დგია* და *დგია*) თანამედროვე ქართულში ჩანაცვლებულია საშუალ-მოქმედებითი ზმნების ფორმებით (*დევს, დგას*).

უნდა აღინიშნოს, რომ ლოკაციის სგზ-ი ჯგუფში არის -ია დაბოლოების მქონე ფორმები, რომლებსაც არ გააჩნია შესაბამისი პარალელური ფორმები ა- და უ- პრეფიქსების დართვით. ასეთებია:

1. კუნტია
2. ყუნთია, ყუნტია

3. ყუნცია
4. სჩრია
5. სჩხირია
6. ხირია

აქედან პირველი სამი და ბოლო სუბიექტის ადგილმდებარეობის რაგვარობას გამოხატავს და ერთპირიანია. საზედაო და სასხვისო ქცევა, ამ ზმნების სემანტიკიდან გამომდინარე, არ არის თავსებადი მათ მნიშვნელობებთან.

მე-4 და მე-5 ზმნები ირიბი ობიექტის -ს სუფიქსით ირიბობიექტურ ბენეფიციარს გულისხმობს. ამ ორ ზმნას ვერ ექნება ა- და უ- პრეფიქსიანი პარალელური ფორმები მათი შინაარსიდან გამომდინარე: საზედაო მოქმედება გამორიცხულია (*აჩრია/*აჩხირია), რადგან ეს ზმნები ასეთ მნიშვნელობას ვერ ითავსებს; ასევე, გამორიცხულია ბენეფიციარისადმი კუთვნილების გამოხატვა ამ ზმნებში (*უჩრია/*უჩხირია), რადგან ამ ზმნებით გამოხატული მოქმედების ბენეფიციარი მხოლოდ სუბიექტი შეიძლება იყოს.

საინტერესოა მორფოლოგიურად მარკირებული სტატიკური ზმნების ამ ჯგუფის ზმნების დიაქრონიის საკითხიც. დიაქრონული თვალსაზრისით, ზმნისწინის დამატებით ხდება სტატიკური ლოკაციის ზმნების გადინამიკურება¹⁵, შესაბამისად, გარდამავალი ზმნის წარმოქმნა:

(23.ა) უწერია vs. და-უწერია

(23.ბ) უფენია vs. და-უფენია

განვითარების ეს გზა რადიკალურად განსხვავდება გერმანული თუ ფრანგული სგზ-ის განვითარების გზისგან, სადაც გარდამავალმა ზმნებმა შეიძინა სტატიკურობის შინაარსი, ხოლო სტატიკური განზომილებიანი

¹⁵ დ. ფხაკაძე. *პირველი თურმეობითის ფუნქციები ქართულში*. (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.), გვ. 53

ზმნები შედარებით გვიანი განვითარების ეტაპზე წარმოიქმნება ენაში და ფუნქციური ცნებების განვითარების წინარე საფეხურს უკავშირდება.

ორგანზომილებიანი შეიძლება იყოს ასევე ენიანი ვნებითი გვარის ზმნები, რომლებიც მეორეულ სგზ-ს წარმოადგენენ და მათ ქვემოთ გავნიხილავთ.

2.1.2.2 -ია დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის სინტაქსური კორელაციები: ვალენტობა

ყველაზე ვრცელ მორფოლოგიურ ქვეჯგუფს ლოკაციის სგზ-ში წარმოადგენს ე.წ. სტატიკური ვნებითები -ია დაბოლოებით. როგორც წინა თავში იყო განხილული, ასეთი ლოკაციის ზმნები სამ ქვეჯგუფად იყოფა: ერთ-, ორ- და სამგანზომილებიანებად. პირველ ქვეჯგუფში -ია დაბოლოების მქონე ზმნები არ არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე, ორგანზომილებიანი ზმნების ქვეჯგუფის ზმნებს აქვს ნეიტრალური ვერსია და ისინი ერთპირიანია: *ის გდია, წერია...*; მესამე ქვეჯგუფის ზმნები სასხვისო ქცევის უპრეფიქსით სემანტიკურად ბენეფიციარს გულისხმობს, რისი ნიშანიც არის პრეფიქსი *უ* და, შესაბამისად, ორპირიანია: *მას უბია ის, მას უწერია ის...*

რაც შეეხება საზედაო ვერსიის/ქცევის მქონე მესამე (ა) ქვეჯგუფს, აქ შედარებით ჭრელი სურათი გვაქვს: ამ ჯგუფში 36 ზმნიდან 26 ორპირიანია, ხოლო 10 - ერთპირიანი. ორპირიანობაც ბენეფიციარის არსებობით არის განპირობებული, თუმცა იგივე ზმნები ერთპირიან ზმნებადაც გამოიყენება.

ცხრილი 4: -ია სუფიქსიანი ლოკაციის სგზ-ის ვალენტობა

საზედაო ვერსია/ქცევა	ვალენტობა	ბენეფიციარი (სულიერი ან უსულო) ¹⁶
1. აბია	2	+
2. აბნეცია	2	+

¹⁶ ცალკეული დამადასტურებელი მაგალითებისთვის იხ. დანართი “სტატიკური განზომილებიანი ზმნების სია”

3.	აბჯენია	2	ის ძელს - ზედაპირია
4.	აგდია	1	
5.	აგია	1	
6.	ავლია	2	შეზღუდული კონტექსტი - სახლს გალავანი
7.	აკერია	2	+ (გადატ. სახეზე)
8.	აკეცია	2	+ (ცხენს ნაბადი)
9.	აკვრია	2	+
10.	ალაგია	1	
12.	არტყია	2	+
13.	არჭვია	2	+
14.	ასაფლავია	1	
15.	ასახლია	1	
16.	ასვენია	1	
17.	ასვია	2	+
18.	ასევია	2	+
19.	ასკუპია	2	+
20.	ასხია (სითხე)	1	
21.	ასხია (ხეს ნაყოფი)	2	+ ხეს (უსულო ბენეფიციარი ზედდების მნიშვნელობის გარეშე), გადატანითი მნიშვნელობით სულიერი ბენეფიციარიც.
22.	ატანია	2	+ უსულო ბენეფიციარი

23. აფარია	2	+
24. აფენია	2	+გადატ. მნიშვნ.
25. აფრქვევია	2	+ უსულო
26. აყენია	2	უსულო -ზედ აყენია
27. აყრია	2	+
28. აყუდია (სხვანაირი ზედდება, ვერტიკალური ზედაპირის სახით).	1	
29. აცვია (მდებარეობა - ტანზე)	2	+
30. აცხია	2	+
31. აწერია	2	+
32. აწყვია	1	
33. აჭედია (სხვანაირი ზედდება, თუ კედელზეა)	2	+ (უსულო)
34. ახატია	2	+
35. ახვევია (ზედ, ირგვლივ)	2	+

36. ახურია	2	+
------------	---	---

საზედაო ვერსიის სემანტიკიდან გამომდინარე, უფრო ბუნებრივია, რომ ასეთი ზმნების უმეტესობა ორპირიანია: აწერია ის მას (მაგ., *ადამიანს სახეზე ან კედელს*), სადაც ზედაპირი გარკვეულწილად “ბენეფიციარად” გაიაზრება.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგ შემთხვევაში ბენეფიციარი არ არის სულიერი, რადგან ამას არ უშვებს მოცემული ზმნის სემანტიკა. თუმცა ასეთ “ბენეფიციარსაც” იგივე სინტაქსური ფუნქცია აქვს, რაც სულიერ ბენეფიციარს: მაგ., *ასხია ხეს (ნაყოფი); აჭედია კედელს ნალი*.

იმ 10 ზმნაში, რომელთაც ბენეფიციარი არ გააჩნიათ და ერთპირიანია, ცხრაში ზედდების სემანტიკა გაფერმკრთალებულია, აღარ არის აქტუალური, რითაც აიხსნება ბენეფიციარის არქონა:

1. აგდია
2. აგია
3. ალაგია
4. ამწყვდევია
5. ასაფლავია
6. ასახლია
7. ასვენია
8. ასხია
9. აყუდია
10. აწყვია

ამ ჩამონათვალიდან ერთ ზმნაში (*აყუდია*) შეიძლება ბენეფიციარის აღდგენა (აქ: *კედელს*) და ასეთ შემთხვევაში ის ავტომატურად ორპირიანად გაიაზრება:

(24) წალდი კარებს უკან აყუდია (კედელს).

რაც შეეხება ორპირიან ვარიანტებს, მათ უმრავლესობაში ზედაპირზე (ზედ) მდებარეობის ფუნქცია კარგად არის გამოკვეთილი, გარდა ერთი ზმნისა - *ატანია*: ამ ზმნაში ა- პრეფიქსს აღარ აქვს ზედაპირზე მდებარეობის ფუნქცია და

შიგ მოთავსებას გულისხმობს, ისევე როგორც ერთპირიანი ზმნა - ამწყვედევია. თუმცა ეს გამოწვეულია აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობის მოდიფიცირებით და მნიშვნელობის შეცვლით ენის განვითარების მანძილზე. პროტოტიპული (ჰორიზონტალურ ზედაპირზე ზედდება) მნიშვნელობიდან გადახრა შეინიშნება სხვა ზმნებშიც. ზოგიერთ ზმნაში აღინიშნება ჰორიზონტალურის მაგივრად ვერტიკალური ზედდების მნიშვნელობით შენაცვლება:

მაგალითად,

აყუდია (გრძელი საგანი კედელზე ვერტიკალურად);

არტყია (ირგვლივ, ვერტიკალურ ზედაპირთან მიმართებით).

პროტოტიპული, ჰორიზონტალური მიმართების ვერტიკალურ მიმართებაზე განვრცობა არ არის უცხო შესაბამისი მნიშვნელობის თანდებულებისთვის, -ზე / ზედ, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ეს თანდებული (-ზე) და შესაბამისი ზმნიზედა (ზედ), რომლისგანაც არის ნაწარმოები ეს თანდებული, თავსებადია თითქმის ყველა ამ ზმნასთან. მათ შორის ისეთებთანაც, რომელთა ზოგიერთი კონტექსტი არ უშვებს ამას: “სახლს გარს არტყია”, მაგრამ “წელზე ქამარი არტყია”; “შიგ ატანია”, მაგრამ “სამხრეთის კედელს / კედელზე ფანჯარა ატანია”.

2.1.2.3 -ია დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის კორელაცია ფუნქციურ ცნებებთან

ყველა ლოკაციის ზმნის მთავარ განზომილებას წარმოადგენს ადგილმდებარეობა, შესაბამისად, აბსოლუტურად ყველა ლოკაციის ზმნას შეესაბამება ფუნქციური ცნება - ადგილი, ადგილმდებარეობა, ლოკაცია. ეს განზომილება არასკალარულ ფუნქციურ ცნებას წარმოადგენს. ყველა დანარჩენი დამაზუსტებელი ქვეგანზომილება ექვემდებარება ამ განზომილებას და წარმოადგენს მის დაკონკრეტებას. მაგალითად, ასეთია ლოკაციის რაგვარობის გამომხატველი დამატებითი განზომილება, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორ არის განლაგებული/მოთავსებული ესა თუ ის საგანი:

აფენია, ახურავს, ალაგია და სხვა. ეს განზომილება უკვე წარმოადგენს მდებარეობის რაგვარობას.

გარდა რაგვარობისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამგანზომილებიან ზმნებში შეიძლება აისახოს მდებარეობა საზედაო ფუნქციით - “ზედ მდებარეობა”, რაც -*ია* სუფიქსიან ლოკაციის ზმნებში გამოიხატება პრეფიქსით -*ა*: *აფენია, აწერია*. ასეთი ზმნები, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, ან ერთპირიანია, ან ორპირიანი. მეორე პირი, როგორც წესი, საზედაო ქცევის *ა*- პრეფიქსით ჩნდება და პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ბენეფიციარად (როგორც სულიერ, ასევე უმეტესწილად უსულოდ), რომელზედაც (ზედაპირზე ან გადატანითი მნიშვნელობით, ზედაპირზე) ხდება მოქმედება. იმ ზმნებში, რომლებიც ერთპირიანია, *ა*- პრეფიქსს საზედაო ქმედების შინაარსი არ აქვს ან არ არის მკვეთრად გამოხატული და რელევანტური: *აგია, ასხია* (წყალი ჭიქაში). ასეთ ზმნებს არც ბენეფიციარი გააჩნია ფუნქციური ცნების სახით. ადგილმდებარეობის დაზუსტება კი თანდებულიანი ადგილის გარემოების საშუალებით ხდება: *წყალი იატაკზე / ჭიქაში ასხია*. ხოლო იქ, სადაც *ა*- პრეფიქსს საზედაო ფუნქცია აქვს, აუცილებლად არის ბენეფიციარი მიცემით ბრუნვაში: *ხეს ხილი ასხია*.

მდებარეობის მესამე განზომილების გამოხატვა, ზედაპირის დაზუსტების გარდა, შესაძლებელია ბენეფიციარისადმი კუთვნილების ან ახლოს ყოფნის ფუნქციით - “მისთვის/მასთან ახლოს მდებარეობა”, რაც გადმოიცემა უ- პრეფიქსით: *უფენია, უწერია*. ამ მესამე განზომილების გამომხატველი არის ბენეფიციარი ობიექტი, რომელიც ამ შემთხვევაში ფუნქციური ცნების ნაწილად მოიაზრება და ირიბ ობიექტს წარმოადგენს. შესაბამისად, ის ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას.

2.1.2.4 -*ა* დაბოლოების მქონე ლოკაციის სგზ-ის კორელაცია ზედსართავ სახელებსა და ზმნიზედებთან

-*ა* დაბოლოების მქონე სტატიკური ზმნების ნაწილი მოითხოვს ადგილმდებარეობის ექსპლიციტურ დაზუსტებას ადგილის გარემოების სახით, ხოლო ნაწილი - არა.

ორგანზომილებიანი ზმნების უმეტესობა მოითხოვს ასეთ დაზუსტებას ადგილის გარემოების სახით. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ზმნა, რომლებიც სულიერი სუბიექტის მდგომარეობის რაგვარობას ასახავს და რომელთათვისაც ადგილის მითითება არარელევანტური, შესაბამისად, არასავალდებულოა, რადგან ასეთ ზმნებში უფრო მეტად არის გამოკვეთილი მდგომარეობის რაგვარობა, ვიდრე მდებარეობის რაგვარობა (*კუნტია*, *ყუნთია*, *მისტ*). აქედან გამომდინარე, ადგილმდებარეობის ექსპლიციტური მითითება ზმნიზედის ან სხვა ადგილის გარემოების სახით ამ ზმნებთან შესაძლებელია, მაგრამ სავალდებულო არ არის, ამ ჯგუფის სხვა ზმნებისგან განსხვავებით. ორგანზომილებიან ზმნებში, გამონაკლისის სახით, კიდევ ორ ზმნასთან არ არის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ესენია: *სცხია* და *ხურია*. ეს ზმნები ირიბ ობიექტს გაიაზრებს როგორც ბენეფიციარს და ასეთი ბენეფიციარი ასრულებს ადგილმდებარეობის მითითების როლს: *ვის სცხია* (იმანენტურად იგულისხმება სადმე სხეულზე) და *ვის ხურია* (ასევე სხეულზე).

სამგანზომილებიან *ა*- პრეფიქსიან საზედაო ქცევის ზმნებში ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ზმნა *აგვია*, რომელთანაც ადგილმდებარეობის მითითება არ არის სავალდებულო, რადგან იგი ზმნის მნიშვნელობაშია მოცემული იმანენტურად - რაიმეს ჩაცმა თავისთავად მხოლოდ სხეულზე არის შესაძლებელი და ექსპლიციტურად ამის გამოხატვის აუცილებლობა არ არსებობს. ამ ზმნაში საკმარისია ბენეფიციარის მითითება (*მას აგვია*), რაც უკვე მოიცავს ადგილმდებარეობას.

საინტერესოა უ- პრეფიქსიანი სასხვისო ქცევის ზმნები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არ მოითხოვს ადგილის ექსპლიციტურ დაზუსტებას. ასეთ ზმნებში ბენეფიციარი აღიქმება ერთგვარ

ადგილმდებარეობად, ანუ ლოკაციის განსაზღვრაში გადამწყვეტია ბენეფიციართან სიახლოვის ფაქტორი. აქაც ზუსტად იგივე სურათია, რაც *ყუნთია/კუნტია* და *აცვია* ტიპის ზმნებში: ბენეფიციარი ასრულებს ადგილმდებარეობის ფუნქციას.

ცხრილი 5: ადგილმდებარეობის მითითების ვალდებულება და ადგილის ზმნიზედების თავსებადობა -ია დაბოლოების ზმნებთან

ორგანზომილე- ბიანი ზმნები	ადგილმდებარეობის მითითების ვალდებულება	სამგანზომილე- ბიანი ზმნები ა- პრეფიქსით	ადგილმდებარეობის მითითების ვალდებულება	სამგანზომი- ლებიანი ზმნები უ- პრეფიქსით	ადგილმდებარეობის მითითების ვალდებულებ ა
გდია	+	აბია	+	უბია	-
თესია	+	აბნევია	+	უბჯენია	-
ჰკიდია	+	აბჯენია	+	უგდია	-
მარხია	+	აგდია	+	უგია	-
ფენია	+	ადგია	+	უდგია	-
ყრია	+	აგია	+	უდვია	-
ჰყუდია	+	ავლია	+	უვლია	-
სცხია	-	აკერია	+	უთესია	-
წერია	+	აკვრია	+	უკეთია	-
ხატია	+	აკეცია	+	უკიდია	-
ხურია	-	ალაგია	+	ულაგია	-
<i>კუნტია</i> ^{*17}	-	ამწყვდევია	+	უმარხია	-
<i>ყუნთია</i> *	-	არტყია	+	უმწყვდევია	-
<i>ყუნტია</i> *	-	არჭვია	+	უმწყვრივია	-
<i>ყუნცია</i> *	-	ასაფლავია	+	ურევია	-
<i>სჩრია</i> *	+	ასახლია	+	ურჭვია	-

¹⁷ * ზმნები, რომლებსაც არ მოეპოვება პარალელები საზედაო და სასხვისო ქცევის ფორმების სახით.

სწხირია*	+	ასეგია	+	უსვენია	-
ხირია*	,+	ასკუპია	+	უსვია1 - აზის	-
		ასხია	+	უსვია2	-
		(სითხე)	+	წასმული აქვს	-
		ასხია (ხეს		უსხია1	-
		ნაყოფი	-	წყალი	-
		ზედ ასხია	+	უსხია2 - აზია	-
		ასვენია	+	მისას -	-
		ასვია	+	უფენია	-
		ატანია	+	უყენია	-
		აფარია	+	უყრია 1	-
		აფენია	+	(ყრია მისი)	-
		აფრქვევია	+	უყრია 2	-
		აყრია	+	(გაყრილი	-
		აყუდია	-	აქვს)	-
		აცვია	+	უყუდია	-
		აწერია	+	უცვია	-
		აწყვია	+	უძევს	-
		აჭედია	+	უწევს	-
		ახატია	+	უწერია	-
		ახვევია	+	უწყვია	-
		ახურია		უჭდევია	-

2.1.2.5 -ია დაბოლოებიანი ლოკაციის სგზ-ის თავსებადობა ვითარების ზმნიზედებთან

ვინაიდან ორ- და სამსტატიკური განზომილებიანი ლოკაციის ზმნები ადგილმდებარეობის რაგვარობის სემანტიკას შეიცავს, ლოგიკურად მოსალოდნელია, რომ ისინი შეითავსებენ ვითარების ზმნიზედებსაც ან

ვითარების გარემოებას, გამოხატულს სხვა მეტყველების ნაწილებით: მაგალითად, *კობტად ჰკიდია, ლამაზად აფენია* და მისთ.

შეზღუდვა ამ მხრივ არ არის, გარდა იმ ზმნებისა, რომელთა შინაარსშიც იმანენტურად დევს ნეგატიური კონოტაცია: *გდია, ყრია, კუნტია*. ასეთ ზმნებთან დადებითი შინაარსის მქონე ზმნიზედების გამოყენება შეუძლებელია ან ირონიულ შინაარსს ატარებს.

მაგ.: *ლამაზად გდია, ამყად კუნტია...*

რაც შეეხება ერთგანზომილებიან ზმნას *მდებარეობს*, ის არ გამოხატავს მოქმედების რაგვარობას და ლოგიკურად არ ითავსებს ვითარების ზმნიზედას:

*კარგად / *ცუდად მდებარეობს.

სამაგიეროდ, მისი შესაბამისი ფუნქციური ცნება (*მდებარეობა*) ითავსებს ანალოგიურ ზედსართავ სახელს:

კარგი/ცუდი მდებარეობა.

2.1.3 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ

2.1.3.1 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ-ის მორფოლოგიური თავისებურებები

სტატიკური განზომილებიანი ზმნების ლოკაციის ჯგუფში, *-ია* დაბოლოებიანი ზმნების გარდა, ერთიანდება სემანტიკურად იდენტური, მაგრამ ფორმით განსხვავებული საშუალო გვარის ზმნები.

ცხრილი 6: პირველადი სტატიკური განზომილებიანი ლოკაციის საშუალო გვარის ზმნები

სემანტიკური განზომილების მიხედვით	ქვეჯგუფი რაგვარობის	მორფოლოგიური ქვეჯგუფები და მაგალითები
1.ერთგანზომილებიანი ზმნები: მხოლოდ ლოკაცია		საშუალ-ვნებითი - <i>ოზ</i> თემის ნიშნით: <ul style="list-style-type: none"> • მდებარეობს (ერთადერთი ნიმუში)

<p>2.ორგანზომილებიანი ზმნები: ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა</p>	<p>საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დგას • დევს • ზის - სხედან • ძევს • წევს • ხურავს (იგივეა, რაც ახურავს) <p>საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები - ობ თემის ნიშნით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბანაკობს • ბუდობს
<p>3.ა.სამგანზომილებიანი ზმნები: ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა + ზედღების გამოხატვა (საზედაო ქცევა)</p>	<p>საშუალ-ვნებითი გვარი საარვისო, ანუ საზედაო ქცევით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგას • ადევს • აზის / ასხედან • აკრავს • ამევს • აწევს • ახურავს
<p>1.3.ბ ლოკაციის რაგვარობა + კუთვნილება ბენეფიციარის / სუბიექტის მიმართ ან მის ახლოს მდებარეობა</p>	<p>საშუალ-ვნებითი გვარი სასხვისო ქცევით:</p> <ul style="list-style-type: none"> • უდგას • უდევს • უზის / უსხედან • უძევს • უწევს

ისევე, როგორც -ია დაბოლოების მქონე სტატკური ვნებითი გვარის ზნებში, ამ ზმნებშიც მოიპოვება ერთ-, ორ- და სამგანზომილებიანი ზმნები, რადგან სემანტიკურად ისინი არაფრით განსხვავდება -ია დაბოლოების მქონე ზმნებისგან. რაც შეეხება მორფოლოგიურ განსხვავებას, ისევე, როგორც ყველა საშუალი გვარის ზმნას, ამ ზმნებსაც აწმყოს პირველი სუბიექტური პირის მხოლოებით რიცხვში აქვს პირის ნიშანი -ს სუფიქსის სახით. სამგანზომილებიან ზმნებში თანხვედრაა -ია დაბოლოების მქონე ზმნებთან პრეფიქსებში: აქაც გვაქვს საზედაო ფუნქციით პრეფიქსი ა-, ხოლო სასხვისო ქცევის, ანუ ბენეფიციარის ფუნქციით - პრეფიქსი უ-.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ზმნასთან ა- პრეფიქსს შენარჩუნებული აქვს საზედაო ქცევის გამოხატვის ფუნქცია, -ია დაბოლოებიანი ზმნებისგან განსხვავებით. ბენეფიციარი აქ პროტოტიპულია, ანუ ის სულიერია. ამ მხრივაც განსხვავებაა -ია დაბოლოებიანი ზმნებისგან, სადაც ბენეფიციარი შეიძლება დაშორებული იყოს მისი პროტოტიპისგან და უსულო საგანიც პირობითად ბენეფიციარად მოიაზრებოდეს.

მოცემულ ზმნათა ჯგუფში, გამონაკლისის სახით, სამი -ობ თემისნიშნიანი ზმნა ერთიანდება, რომელთაგან ერთი - *მდებარეობს* - ერთადერთია ერთგანზომილებიანი ლოკაციის ზმნების ქვეჯგუფში, ხოლო დანარჩენი ორი - *ბუდობს*, *ბანაკობს* - ორგანზომილებიანი ზმნების ქვეჯგუფში ერთიანდება. სხვა -ობ თემისნიშნიანი ზმნებისგან განსხვავებით, ამ ორი ზმნის სემანტიკა მოიცავს ადგილმდებარეობის განზომილებას და ამავდროულად სტატკურია, თუმცა ქეგლ-ის მიხედვით, *ბუდობს* სტატკური ზმნაა, ხოლო *ბანაკობს* - არა, რაც ლოგიკურად აუხსნელია. სემანტიკური თვალსაზრისით, ორივე ზმნა სტატკური ლოკაციის და ამავდროულად ლოკაციის განზომილების გამომხატველ ზმნებს წარმოადგენს.

2.1.3.2 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ-ის სინტაქსური კორელაციები: ვალენტობა

საშუალო გვარის ზმნებიდან ერთგანზომილებიანი არის მხოლოდ ერთი ზმნა - *მდებარეობს*, რომელიც ფორმის მხრივ არც ერთ სხვა ქვეჯგუფს არ უკავშირდება და გამონაკლისს წარმოადგენს. მისი შესატყვისი ფუნქციური ცნება მორფოლოგიურად აბსოლუტურ თანხვედრაშია ზმნის ფორმასთან - *მდებარეობს / მდებარეობა*. ეს ზმნა ერთპირიანია.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ქვეჯგუფს, მათში მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები. სემანტიკურად ორგანზომილებიანი ზმნების ქვეჯგუფში სინტაქსურად ერთპირიანი ზმნები იყრის თავს - ისინი ლოკაციის ადგილს და მის რაგვარობას გამოხატავენ. სამგანზომილებიანი ზმნების ორივე ქვეჯგუფში წარმოდგენილია ა- და უ-პრეფიქსიანი ორპირიანი ზმნები -ია ფორმის ზმნების მსგავსად, რომლებშიც პრეფიქსი ქმნის ბენეფიციარს, როგორც დამატებით პირს: უ-პრეფიქსის შემთხვევაში ეს არის პროტოტიპული სულიერი ბენეფიციარი, ხოლო ა-პრეფიქსის შემთხვევაში - ცალკეულ კონტექსტებში, სულიერთან ერთად, შესაძლებელია უსულო ბენეფიციარის არსებობაც და ეს ყველგან დაკავშირებულია საზედაო ვერსიასთან.

ცხრილი 7: საშუალო გვარის ზმნების სემანტიკური ჯგუფები განზომილების რაოდენობის მიხედვით

სემანტიკური განზომილების მიხედვით	ქვეჯგუფი რაგვარობის	მორფოლოგიური ქვეჯგუფები და მაგალითები:
1.ერთგანზომილებიანი ზმნები: მხოლოდ ლოკაცია		საშუალ-ვნებითი - ობ თემის ნიშნით: <ul style="list-style-type: none"> • მდებარეობს (ერთადერთი ნიმუში)
2.ორგანზომილებიანი ზმნები:		საშუალ-ვნებითი გვარი:

ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა	<ul style="list-style-type: none"> ● დგას ● დევს ● ზის - სხედან ● ძევს ● წევს ● ხურავს 2 = ახურავს
3.ა.სამგანზომილებიანი ზმნები: ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა + ზედდების გამოხატვა (საზედაო ქცევა)	საშუალ-ვნებითი გვარი საარვისო (აქ საზედაო) ქცევით: <ul style="list-style-type: none"> ● ადგას ● ადევს ● აზის / ასხედან ● აკრავს ● აძევს ● აწევს ● ახურავს
3.ბ. სამგანზომილებიანი ზმნები: ლოკაცია + ლოკაციის რაგვარობა + კუთვნილება ბენეფიციარის / სუბიექტის მიმართ ან მის ახლოს მდებარეობა (სასხვისო ქცევა)	საშუალ-ვნებითი გვარი სასხვისო ქცევით: <ul style="list-style-type: none"> ● უდგას ● უდევს ● უზის / უსხედან ● უძევს ● უწევს

2.1.3.3 საშუალი გვარის ლოკაციის სგზ-ის მიმართება ფუნქციურ ცნებებთან

-*თა* დაბოლოების მქონე სტატიკური ვნებითი გვარის ზმნების მსგავსად, საშუალი გვარის ლოკაციის სგზ-ების განზომილებას წარმოადგენს ლოკაცია. შესაბამისად, ფუნქციური ცნება, რომელიც მიესადაგება ყველა მათგანს, არის *ადგილმდებარეობა* ან სინონიმური ცნება - *მდებარეობა*. ერთგანზომილებიან

ზმნას *მდებარეობს* მორფოლოგიურადაც მოეპოვება მისი მსგავსი ფუნქციური ცნება - *მდებარეობა*. ორ და სამგანზომილებიან ზმნებს ამ ერთი საერთო და ზოგადი ფუნქციური ცნების გარდა, შეიძლება ჰქონდეს შედარებით უფრო კონკრეტული განზომილების გამომხატველი, სხვა პარალელური ფუნქციური ცნებაც. მაგალითად:

დგას - *დგომის ადგილი*,

წევს - *წოლის ადგილი*.

სამგანზომილებიან ა- პრეფიქსის მქონე საშუალო გვარის ზმნებთან ამ ქვეჯგუფის ეს პრეფიქსი უკლებლივ ყველა ზმნაში ცალსახად საზედაო ფუნქციას ასრულებს, რითიც განსხვავდება ეს ქვეჯგუფი ანალოგიური სტატიკური -*ია* დაბოლოების მქონე ზმნების ქვეჯგუფისგან. შესაბამისი დამაკონკრეტებელი ფუნქციური ცნება, რომელიც საერთოა ქვეჯგუფის ზმნებისთვის და ლოკაციის რაგვარობაზე მიუთითებს, შეიძლება განისაზღვროს, როგორც “ზედდება”: *ადგას, ადევს, აზის...*

რაც შეეხება უ- პრეფიქსიან ზმნებს, -*ია* დაბოლოების მქონე ზმნების მსგავსად, აქაც ფუნქციური ცნება მოიცავს ბენეფიციარს და განისაზღვრება როგორც “მისთვის ან “მასთან ახლოს მდებარეობად”. ბენეფიციარი აქაც ადგილმდებარეობის დამაკონკრეტებელ ფუნქციას ასრულებს.

2.1.3.4 საშუალო გვარის ლოკაციის სგზ-ის მიმართება ზედსართავ სახელსა და ზმნიზედასთან

-*ია* დაბოლოების მქონე ზმნების მსგავსად, საშუალო გვარის ზმნებშიც არსებობს ზმნები, რომლებთანაც ადგილის გარემოება არ არის სავალდებულო და, კონტექსტიდან გამომდინარე, ზმნას ის შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს. ასეთია, ძირითადად ორგანზომილებიანი ქვეჯგუფის ის ზმნები, რომელთა სუბიექტი, მათი სემანტიკიდან გამომდინარე, სავალდებულო წესით უნდა იყოს სულიერი, მაგალითად: *დგას, წევს, ზის...* ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, სუბიექტის მდგომარეობის რაგვარობის სემანტიკა უფრო წინა პლანზეა წამოწეული, ვიდრე ადგილმდებარეობის რაგვარობა. განსხვავებულია *დევს*

ზმნა, რომელთანაც აუცილებელია ადგილმდებარეობის მითითება ადგილის გარემოების სახით. იგივე ეხება ერთგანზომილებიან ზმნას - *მდებარეობს*, რომლის გამოყენება ადგილის გარემოების გარეშე შეუძლებელია.

სამგანზომილებიან ა- პრეფიქსიან ზმნებთან ლოკაციის რაგვარობის დაზუსტების აუცილებლობა თვით ზმნის სემანტიკიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, აქ არარელევანტურია, სუბიექტი სულიერია თუ - არა. ძირითადი სემანტიკური ასპექტი კვლავ ადგილმდებარეობა ხდება, შესაბამისად, ადგილის გარემოება სავალდებულოა: *აზის - სად?*

ამ სიიდან (იხ. ცხრილი 7) გამონაკლისს წარმოადგენს ზმნა *ხურავს/ახურავს*, რომლის სუბიექტიც თვითონ არის ბენეფიციარი და ითავსებს ადგილმდებარეობის მითითების ფუნქციას.

იგივე ეხება უ- პრეფიქსიან ზმნებს, რომლებსაც, -ია დაბოლოების მქონე უ- პრეფიქსიანი ზმნების მსგავსად, არ სჭირდება ექსპლიციტური ადგილის გარემოება, რადგან ამ უკანასკნელის ფუნქციას ბენეფიციარი ასრულებს.

2.2 გრძნობა-აღქმის სტატიკური განზომილებიანი ზმნები

გრძნობა-აღქმის სტატიკურ განზომილებიან ზმნებს, ვიბერგის სისტემატიზაციის მიხედვით¹⁸, ინგლისურ ენაში შეესაბამება შემდეგი ზმნები: look, smell, taste, sound, feel შესაბამის კონტექსტში:

(25.ა.) This car looks nice - ეს მანქანა ლამაზად გამოიყურება;

(25.ბ.) The soup smells good - წვნიანს კარგი სუნი აქვს;

(25.გ.) The soup tastes delicious - წვნიანი გემრიელია / კარგი გემო აქვს;

(25.დ.) This melody sounds good - ეს მელოდია კარგად ჟღერს;

(25.ე.) This fabric feels nice - სასიამოვნო ქსოვილია.

წინადადებების თარგმანიდან ჩანს, რომ ქართულში ინგლისური ზმნების შესატყვისი ზმნები ყოველთვის არ მოიპოვება. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში

¹⁸ Å. Viberg. The verbs of perception: a typological study. In: B. Butterworth (ed.): *Explanations for language universals*. 123-162. (Berlin: Mouton, 1984).

ქართულშიც შეიძლება ჰქონდეს ზოგიერთ გრძნობა-აღქმის ზმნას სტატიკური განზომილებიანი ზმნის სემანტიკა:

(26) ეს გოგონა ლამაზად გამოიყურება.

თუმცა ეს ზმნა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება: მისი გამოყენების არეალი ძირითადად ადამიანების გარეგნობით შემოიფარგლება და დასაშვები ზმნიზედების არეალიც საკმაოდ შეზღუდულია.

(27) ეს გოგონა ლამაზად/მშვენივრად/კარგად/ცუდად გამოიყურება.

(28) ეს მანქანა კარგად / ლამაზად / მშვენივრად გამოიყურება.

მაგრამ

(29) ეს მანქანა *ცუდად / *ძვირად გამოიყურება.

იშვიათი გამონაკლისი გვაქვს შემდეგი მაგალითის სახით:

(30) რა მადისაღმძვრელად გამოიყურება ეს ხაჭაპური!

თვით ეს ზმნაც საინტერესოა თავისი ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების მხრივ, რადგან ფორმის მხრივ ის არის „პრეფიქსული ვნებითი გვარის“ ზმნა, თუმცა სემანტიკურად არ შედის ამ ზმნების ჯგუფში და წარმოადგენს დეპონენსურ ზმნას, რომლის ფორმა და შინაარსიც არ შეესაბამება ერთმანეთს.

(25.ბ) და (25.გ) შესაბამისი ზმნები საერთოდ არ არსებობს ქართულში, თუმცა პარაფრაზირება შესაძლებელია იგრძნობა ზმნის მეშვეობით:

(31) ნივრის გემო / სუნი იგრძნობა.

პარადოქსია, რომ აღნიშნული ზმნა არ გამოიყენება შეგრძნების აღქმის მნიშვნელობით, რაც, წესით, ამ ზმნისთვის ცენტრალური მნიშვნელობა უნდა იყოს (შდრ. 31.ე):

(32) *ნაჭერი სასიამოვნოდ იგრძნობა.

ამ ზმნის გამოყენების არეალი შემოიფარგლება გემოს, სუნის და ტემპერატურის აღმნიშვნელი სახელებით, ხოლო ყველაზე ხშირი გამოყენების კონტექსტია გადატანითი მნიშვნელობით, მაგალითად:

(33) კადრებს მიღმა ემოციური რაკურსი იგრძნობა, პროგრესი იგრძნობა.

რაც შეეხება სმენის ორგანოს შესაბამის სგზ-ს, ქართულში ზმნა *ისმინება*, სხვა ენებისგან განსხვავებით, შემოიზღუდება მუსიკით ან მოსასმენი ტექსტით:

(34) შტოკჰაუზენის მუსიკა ძნელად ისმინება.

გრძნობა-აღქმის ზმნებში ამ დანაკლისს ნაწილობრივ ავსებს ზმნა *ჩანს*, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს თითქმის ყველა ჩამოთვლილ მაგალითში (31), თუმცა შეზღუდვა აქაც გვაქვს, კერძოდ, სუნის განზომილებასთან ეს ზმნა არ გამოიყენება:

(35.ა) ხედვა / გარეგნობა:

i. გოგონა ლამაზი ჩანს.

ii. გამოყენების გავრცობილი არეალი (გარეგნობა → შინაარსი):

ეს ტექსტი რთული ჩანს. / რთული ტექსტი ჩანს.

(35.ბ) გემო: წვნიანი გემრიელი ჩანს. / გემრიელი წვნიანი ჩანს.

(35.გ) ჟღერადობა: მელოდია კარგი ჩანს. / კარგი მელოდია ჩანს.

(35.დ) შეგრძნება: ნაჭერი რბილი ჩანს. / რბილი ნაჭერი ჩანს.

არსებული ნიშა "ჩანს" ზმნით მხოლოდ ნაწილობრივ ივსება, რადგან აქ მაინც დომინირებს "ხედვის" მომენტი და გადმოცემული შინაარსი ორგვარად შეიძლება იყოს გაგებული:

1. როგორც უშუალოდ გრძნობის ორგანოს აღქმის შედეგი, თუმცა აღქმის საწყისი სტადია მოიაზრება და შესაბამისად, დაურწმუნებლობა იგრძნობა;
2. არა ცალკეული გრძნობის ორგანოს მიერ აღქმული, არამედ ჯერ მხოლოდ "ნახულის" და ნახვის შედეგად გამოთქმული ჰიპოთეზის სახით.

გარდა ამისა, შეზღუდვა მოქმედებს ზმნიზედის გამოყენებასთან დაკავშირებითაც: თუ *ჩანს* ზმნასთან ზმნიზედას ვიყენებთ, მაშინ უკვე სუბიექტის თვისების რეალიზაციის მაგივრად ზოგადად ხილვადობის ხარისხის დაკონკრეტებას ვახდენთ. შდრ.:

(36.ა) მინდორი კარგად ჩანს.

(36.ბ) მინდორი კარგი ჩანს - კარგი მინდორი ჩანს.

2.3 შესაბამისობის სგზ

ლოკაციის ზმნების შემდეგ პირველადი სგზ-ის ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეჯგუფს წარმოადგენს შესაბამისობის გრადაციის სემანტიკის მქონე ზმნები. ყველა ამ ზმნას შინაარსობრივად აერთიანებს ის, რომ ისინი გარკვეული ან იდენტურობამდე მისული აბსოლუტური მსგავსების მნიშვნელობას შეიცავს. მაგალითად: *ედრება, ეფარდება, შეესაბამება, შეესატყვისება, ეწოდება, ჰქვია*.

მათ შეიძლება ერთმანეთისგან ცოტათი განსხვავებული ქვეგანზომილებების აღნიშვნა ჰქონდეთ, მაგრამ ისივე, როგორც ლოკაციის ზმნებში, მცირედი განსხვავებების მქონე ამ ზმნების გაერთიანება შეიძლება ერთი საერთო, ძირითადი ნიშნით. ეს ძირითადი ნიშანი არის შედარებით მსხვილი განზომილება - მსგავსება. მსგავსებას აქ ვიყენებ ფართო მნიშვნელობით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გრადაცია ნულოვანი მსგავსებიდან დაწყებული (მაგ., *განსხვავდება*) დამთავრებული აბსოლუტური “მსგავსებით” ანუ სრული ეკვივალენტით (მაგ., *ჰქვია*).

ეს ჯგუფი შედგება სულ 27 ზმნისაგან, რომელთაგან 14 მორფოლოგიურად ე.წ. პრეფიქსული, ენიანი დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს განეკუთვნება *ე-...-ება* სუფიქსებით. დანარჩენი ზმნებიდან გვაქვს მცირე რაოდენობით *ე-პრეფიქსიანი* საშუალო გვარის ზმნები, რამდენიმე *ლონიანი* და *უნიშნო* ვნებითი გვარის ზმნა, *-ობ* თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნები, *ა-* პრეფიქსიანი კაუზატივის და *-ია* სუფიქსიანი სტატიკური ვნებითი. გარდა ამისა, აქ ჯგუფში არის *-გავ-* საერთო ძირისგან ნაწარმოები რამდენიმე საშუალო გვარის ზმნა: *ჰგავს, უგავს, მოჰგავს* და მისთ (იხ. დანართი 2), რაც აბსოლუტურად ლოგიკურია, მოცემული ჯგუფის საერთო განზომილების შინაარსიდან გამომდინარე. გარკვეულ ნიუანსებს შორის განსხვავება ამ ჯგუფის ზმნებში არის, მაგრამ ყველას გაერთიანება შეიძლება ერთი მსხვილი განზომილების ქვეშ.

ვინაიდან ამ ჯგუფში ჭარბობს ე.წ. *ენიანი* ვნებითი გვარის ზმნების ფორმები, განვიხილავ სწორედ ამ ზმნების მორფოსინტაქსურ და სემანტიკურ თავისებურებებს.

პროტოტიპულად *ენიანი* ვნებითი გვარის ზმნები განიხილება, როგორც დინამიკური ვნებითი, რომელიც ორპირიანია, *ენიანი* ვნებითისგან განსხვავებით. მეორე პირს წარმოადგენს ბენეფიციარი, რომლისთვისაც სრულდება მოქმედება.: მაგ. *იწერება - იწერება; ინგრევა - ენგრევა*.

თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ ფორმის ზმნები სულ სხვადასხვა შინაარსს ატარებს (იხ. დანართი 3). ასეთი ზმნა შეიძლება იყოს ფორმით *ენიანი* ვნებითი, მაგრამ შინაარსით აქტიური, ანუ დეპონენსი, რომელთანაც ბენეფიციარის არსი შეიძლება გაფერმკრთალებულიც იყოს: *ეაღერსება, ეფერება, ემალება*, მაგრამ *ესწრება (ის კრებას)*.

ამ მორფოლოგიურ ჯგუფში ბევრია გრძნობა-აღქმის გამომხატველი სხვადასხვა ტიპის ზმნაც, მაგალითად, დინამიკური ერთპირიანი - *ელვიძება, ეცინება*; იმავე შინაარსის, მაგრამ ორპირიანი - *ესიზმრება, ექავება*.

ამ ჯგუფში შედის ასევე გრძნობის ან შეგრძნების გამომხატველი სტატიკური ზმნები (*ემწარება, ეტკბილება*), ემოციის გამომხატველი ზმნები (*ებრალება, ეცოდება, ენატრება*), სურვილის დონეზე ქმედების იმპულსის შემცველი ზმნები (*ემღერება, ეცეკვება, ეზარება*); გვხვდება ვარაუდის გამომხატველი ზმნებიც (*ეგულება, ეიმედება*). ზოგიერთი *ენიანი* ზმნა უბრალოდ პასივის შინაარსს გადმოსცემს ბენეფიციარის გაგების გარეშე: (*საქმე არ*) *ესწრება*. ამ ფორმის არის ასევე მსგავსება-შედარების ზმნები, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხის მსგავსებას ან განსხვავებას გამოხატავს.

საინტერესოა, რომ ყველა ამ ჩამოთვლილ სემანტიკურ ქვეჯგუფს განსხვავებული სინტაქსური თავისებურებები და ვალენტობა ახასიათებს. მაგალითად, გრძნობა-აღქმის ორპირიან ზმნებში ბენეფიციარი არის, თუმცა ის პროტოტიპული ბენეფიციარი არ არის და ემთხვევა რეალურ სუბიექტს, ანუ მოქმედების აღმქმელ პირს: *ვისაც ელანდება, ვისაც ეჩვენევა, ვისაც ესიზმრება*. საბოლოო ჯამში ასეთი ტიპის ზმნები გრძნობა-აღქმის სემანტიკურ ჯგუფს

მიეკუთვნება და არა მაინცდამაინც პასიურ ზმნებს. გადმოცემული მოქმედების შინაარსით ისინი საშუალო გვარის უფროა, ვიდრე - ვნებითისა.

განსხვავებული სემანტიკიდან გამომდინარე, ამ ზმნების სინტაქსური მახასიათებლებიც განსხვავებულია.

უნივერსალური პასივის შინაარსის მქონე ქვეჯგუფის ზმნები ორპირიანია: მათი ბენეფიციარი ირიბი დამატების სახით მიცემით ბრუნვაში დგას, ხოლო ე.წ. სუბიექტი (ანუ რეალური ობიექტი) სახელობით ბრუნვაშია. ასეთ ზმნებს მოეპოვება სისტემურად პარალელური ერთპირიანი ფორმები ბენეფიციარის გარეშე: *იწერება - იწერება, იბადება - ებადება*.

დეპონენსების შემთხვევაში ზმნა ორპირიანია, მაგრამ მოქმედება არ არის პასიური შინაარსისა და არც წინადადებას აქვს პასიური კონსტრუქცია. მოქმედი პირი რეალური აქტიური სუბიექტია და, როგორც გარდამავალი, მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტი აწმყოში სახელობით ბრუნვაში დგას (ის იღვიძებს), წყვეტილში - მოთხრობითში (მან გაიღვიძა), ხოლო თურმეობითში - მიცემითში (მას გაუღვიძია).

ყველა ორპირი ზმნის სემანტიკურ-სინტაქსურ მახასიათებლებზე აღარ შევჩერდები, რადგან წინამდებარე კვლევის მიზანი სტატიკური განზომილებიანი ზმნების კვლევაა. ამიტომ ამ თავში მხოლოდ ამ ტიპის ზმნებით, კერძოდ, ორპირი შესაბამისობის აღმნიშვნელი ზმნების დახასიათებით შემოვიფარგლები.

შესაბამისობის შინაარსის მქონე ზმნებზე ფორმით ე.წ. ორპირი ვნებითია, მაგრამ მათი შინაარსი არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ზმნის შინაარსს არ ემთხვევა: ეს ზმნები არც ბენეფიციარის აღმნიშვნელი პასიური ზმნებია, არც დეპონენსები, არც გრძნობა-აქტის ზმნებია, არც ვარაუდის გამომხატველი. ბენეფიციარის გაგებაც ამ ზმნებში ხშირ შემთხვევაში ძალზე გაფერმკრთალებულია. შესაბამისობის ზმნების შემთხვევაში პირობითი ბენეფიციარი ის პირია, რომელთანაც მსგავსებას ავლენს ამა თუ იმ ფორმით სუბიექტი. სინტაქსურად ეს სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას აწმყოს

მწკრივში, ხოლო ბენეფიციარი - ირიბ დამატებას წარმოადგენს და მიცემით ბურნვაში დგას.

სინტაქსური თვალსაზრისით ორბანი ფორმის მქონე შესაბამისობის გრადაციის გადმომცემ ზმნებში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა. აქტიური სუბიექტის მქონე ზმნები, რომელთა სუბიექტიც სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო ირიბი ობიექტი - მიცემითში და ბ. ინვერსიული წყობის ზმნები, რომლებთანაც რეალური სუბიექტი აღმქმელის როლშია და მიცემით ბრუნვაში დგას, მაგალითად: *ამ ბრუნვას ეწოდება ერგატივი, მას არ შეეფერება ეს კაბა.*

ვინაიდან ენიანი შესაბამისობის სემანტიკური ჯგუფის 14-ვე ორბანი ზმნა შეიცავს ირიბ ობიექტს, ე- პრეფიქსის ფუნქციას ამ ზმნებში წარმოადგენს მიმართება შესადარებელ პირთან, რომელიც არაპროტოტიპულად, მაგრამ მაინც ბენეფიციარად შეიძლება გავიაზროთ. ვინაიდან, ლოკაციის ზმნებისაგან განსხვავებით, აქ არ გვაქვს არც საზედაო ფუნქცია ბენეფიციარისა, რომელიც ა- პრეფიქსით გამოიხატება და არც კუთვნილების ფუნქცია, რომელიც უ- პრეფიქსით გამოიხატება ლოკაციის ზმნებთან, გამოდის, რომ პირობით ბენეფიციართან მსგავსების მხრივ შედარების შემცველი მიმართების გამოხატვის ფუნქცია შესაბამისობის ზმნებში აქვს ე- პრეფიქსს.

ამ დაკვირვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სტატიკურ განზომილებიან ზმნებში ა- პრეფიქსი გამოხატავს საზედაო შინაარსს ბენეფიციართან მიმართებით, უ- პრეფიქსი გამოხატავს კუთვნილებას ბენეფიციართან მიმართებით, ხოლო ე- პრეფიქსი გამოხატავს პარიტეტული მსგავსების შინაარსს პირობით “ბენეფიციართან” მიმართებით.

ფუნქციურ ცნებასთან მიმართებაში მოცემული ზმნები არაერთგვაროვანია, რადგან ის განზომილება, რომელსაც ისინი გადმოსცემენ, მართალია, შესაბამისობის ხარისხზე მიუთითებს, მაგრამ ის არ არის სკალარული განზომილება.

სრული მსგავსების, ანუ ზუსტი ტოლობის აღმნიშვნელი ზმნები ამ ქვეჯგუფში ცოტაა: ასეთებია სინონიმური მნიშვნელობის მქონე *ეწოდება* და *ჰქვია*. *ჰქვია*

ზმნის შესაფერისი ფუნქციური ცნება არის *სახელი*, რომელსაც არანაირი მორფოლოგიური მსგავსება არა აქვს ამ ზმნასთან, ხოლო *წოდება* ზმნის ეკვივალენტი მორფოლოგიურ დონეზე არის ფუნქციური ცნება - *წოდება*, მაგრამ ამ ცნებას ზმნისგან განსხვავებული სემანტიკა აქვს და შემოიფარგლება გარკვეული ჩინის მნიშვნელობით, და არა ზოგადად სახელწოდებით. ეს უკანასკნელი კი, კერძოდ, ფუნქციური ცნება *სახელწოდება* საზიაროა ორივე ზმნისთვის.

თავი 3: მეორეული სგზ

გარდა პროტოტიპული სგზ-ისა, ზმნების ცალკეული ნაწილი იძენს სტატიკურ განზომილებიანი ზმნის შინაარსს გარკვეულ კონტექსტში ან რაიმე მექანიზმის საშუალებით. ასეთი მეორეული სტატიკური განზომილებიანი ზმნების წარმოების მექანიზმები სხვა ენებში არის (ა) ჰაბიტუალური წაკითხვა და (ბ) უპირო კონსტრუქციები ან რეფლექსივები.

ჰაბიტუალური წაკითხვა, ანუ შესაბამისი კონტექსტი, განმსაზღვრელია ისეთ სტატიკურ ზმნებთან, როგორცაა *დგას*, *წევს*, *ზის*. ეს ზმნები მორფოსინტაქსურად საშუალო ზმნების რიცხვს მიეკუთვნება, ხოლო შინაარსით სტატიკურია, თუმცა პირველადი მნიშვნელობით არ წარმოადგენს სტატიკურ განზომილებიან ზმნებს, რადგან პროტოტიპულად მათი ფუნქცია არ არის სუბიექტის თვისების გამოხატვა. თუმცა გარკვეულ კონტექსტში ისინი ამ ფუნქციას იძენენ:

(37) ძეგლი დგას რუსთაველის გამზირზე.

(38) ქურდი ციხეში ზის.

(39) მდინარე მიიკლაკნება ხევში.

ჰაბიტუალურ კონტექსტში ასეთი ზმნები ტემპორალურობას, დროის გაგებას კარგავს და იქცევა ატემპორალურ, სუბიექტის თვისების გამომხატველ სგზ-ად.

ჰაბიტუალურ კონტექსტში თვით გარდამავალმა ზმნებმაც შეიძლება შეიძინოს სტატიკური მნიშვნელობა¹⁹.

რაც შეეხება მეორეული სგზ-ის წარმოქმნის მეორე მექანიზმს, უპირო კონსტრუქციებს თუ რეფლექსივებს, ქართულ ენაში ასეთ შემთხვევებში გამოიყენება მორფოლოგიურად კარგად გამოკვეთილი ყალიბი ე.წ. "დინამიკური ვნებითი გვარის" ზმნებისა. ამ ზმნებს ისედაც ახასიათებს „ზოგადობის, განყენებულობის სემანტიკა“²⁰: ი-ყიდ-ებ-ა, ი-კითხ-ებ-ა, ი-წერ-ებ-ა, ი-მღერ-ებ-ა და ა.შ. შემთხვევითი არაა, რომ მეორეული სგზ-ის წარმოქმნის მექანიზმი რეფლექსივიზაციას უახლოვდება: ასეთი მექანიზმი ზმნით აღნიშნული მოქმედების გადატანას ახდენს სუბიექტზე, რის შედეგადაც სუბიექტი ხდება ამ მოქმედების ობიექტი, ანუ, აკაკი შანიძის განმარტების თანახმად, "განიცდის მოქმედებას" და ეს მოქმედება მისი თვისების აღმნიშვნელი ხდება. მოცემული ზმნები თავიანთი პირველადი მნიშვნელობით არასტატიკური, ე.წ. დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებია:

(40.ა) აქ ვაშლი/მხალი/წიგნები იყიდება.

თუმცა გარკვეულ კონტექსტში, ჰაბიტუალური წაკითხვის შემთხვევაში ეს ზმნები იძენს სტატიკური განზომილებიანი ზმნის სემანტიკას:

(40.ბ) ეს წიგნი კარგად იყიდება.

(40.გ) ხელნაწერი არ / ძნელად იკითხება.

მოცემულ მაგალითში ზმნა აღარ გამოხატავს პროცესს, არამედ წარმოადგენს ობიექტის (წიგნის) თვისებას, კერძოდ მისი "გაყიდვადობის" თვისებას.

ინიანი ვნებითების მსგავსი ფუნქცია გააჩნია ასევე ენიანი ვნებითი გვარის ზმნებს, რომლებიც გამოირჩევა ორგანზომილებიანობით: კერძოდ, აქ სუბიექტის რეფერენტის თვისებების გარდა, კუთვნილების განზომილებაც შემოდის:

(41) მაღაზიას ეს წიგნი კარგად ეყიდება.

განზომილება: 1. გაყიდვადობა. 2. კუთვნილება.

¹⁹ მ. სუხიშვილი. *სტატიკური ზმნები ქართულში*. (თბილისი: მეცნიერება, 1976), გვ. 96

²⁰ თ. ღვინაძე. *ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა*. (თბილისი: მეცნიერება, 1989), გვ. 86

თუმცა ეს თვისება ყველა ობიექტის ზომას და ყველა კონტექსტში არ გააჩნია. ზოგი მათგანი ერთგანზომილებიანად რჩება:

(42) ავეჯი ერთ მანქანაში ეტევა.

(43.ა) კარადაში ყველაფერი არ ეტევა.

(43.ბ.) მას კარადაში ყველაფერი არ ეტევა.

კონტექსტის მიხედვით დინამიკურიდან სგზ-ად სახეცვლილების თვისება გააჩნია არა მხოლოდ პრეფიქსიან, არამედ ყველა ე.წ. დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს (სუფიქსიანს და უნიშნოს):

სუფიქსიანი 'ვნებითი გვარის' ზმნები:

(44) წყალი ას გრადუსზე დუღდება.

ამ კონტექსტში ზმნა უდროა და კონკრეტული პროცესის მაგივრად, წყლის თვისებას გადმოსცემს.

(45) ოპერა სამ საათს გრძელდება.

მოცემულ კონტექსტში ზმნა *გრძელდება* იკითხება არა როგორც პროცესის აღმნიშვნელი ზმნა, არამედ ოპერის მახასიათებლის (სამი საათის ხანგრძლივობის) გადმომცემი ზმნა და ამ გაგებით ატემპორალური, ანუ დროის გაგებას მოკლებული ზმნების რიცხვში შედის.

ზუსტად იმავე მოვლენას აქვს ადგილი უნიშნო 'ვნებითი გვარის' ზმნებთანაც:

(46) ყინული 4 გრადუსზე დნება.

მეორეულ სგზ-ში უფრო ნათლად გამოიკვეთება სუბიექტის თვისების ასახვის ასპექტი, რადგან მათ პირდაპირი მორფოსემანტიკური შესატყვისი მოეპოვებათ ფუნქციური ცნებების სახით: დნობადობა, კითხვადობა, ხანგრძლივობა.

თანაც, პირველადი სგზ-ისგან განხვავებით, მეორადი სგზ ქართულშიც უშვებს კომბინაციებს ზმნიზედური ვარიანტებით:

(47.ა) წიგნი ადვილად / კარგად / სწრაფად იკითხება.

(47.ბ) ეს კერძი გემრიელად / სწრაფად / ცივად იჭმება.

გარდა ამისა, ვნებითი გვარის ე- პრეფიქსიან მეორეულ ზმნებს, ცალკეულ შემთხვევებში, სამგანზომილებიანი ადგილმდებარეობის ზმნების მსგავსად,

დამატებითი განზომილების, კერძოდ, ადგილმდებარეობის (პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით) გამოხატვის უნარიც შესწევს:

(48) ეს წიგნი მას კარგად *ეყიდება*.

განზომილება ა.: გაყიდვალობა;

განზომილება ბ.: გაყიდვის წყარო: ადგილმდებარეობა / წყარო

ნაწილი II - სტატიკური განზომილებიანი ზმნების თვისება-შესაძლებლობის გამომხატველი ქვეჯგუფის სწავლების სტრატეგიები (დიდაქტიკური ნაწილი)

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის ემპირიული კვლევის საგანი ე.წ. ვნებითი გვარის ზმნების ერთი სემანტიკური ქვეჯგუფია, კერძოდ, მეორეული სტატიკური განზომილებიანი შესაძლებლობა-თვისების გამომხატველი ზმნები, რომლებსაც ე.წ. ონიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმა აქვს.

პრობლემა როგორც ლინგვისტური, ასევე დიდაქტიკური კუთხით მდგომარეობს იმაში, რომ ტრადიციულად ეს ზმნები, რომლებსაც მე ცალკე მდგომ სემანტიკურ ქვეჯგუფად განვიხილავ, ორივე სფეროში მოქცეულია ე.წ. ონიანი ზმნების ჯგუფში, ანუ ამოსავალი ასეთი დაჯგუფებისთვის არის ამ ზმნების ფორმა. თუმცა ამ ერთი ფორმის ქვეშ რამდენიმე სხვადასხვა სემანტიკის მქონე ქვეჯგუფი ერთიანდება: ე.წ. დეპონენსები, უკუქცევითი მოქმედების გამომხატველი ზმნები, პასიური ზმნები, თვისება-შესაძლებლობის გამომხატველი მეორეული სგზ. შესაბამისად, როგორც

ლინგვისტიკისთვის, ისევე ენის შემსწავლელისთვის დამაბნეველია ამ სხვადასხვა შინაარსისა და ფუნქციის მქონე ზმნების ერთ ჯგუფში მოქცევა, რადგან ფორმა (აქ: აფიქსები *ი-...-ება*) რეალურად ვერ გამოხატავს ამ ქულქვეშ მოქცეული ყველა ზმნის ფუნქციას. უფრო მეტიც, მსგავსი ფუნქციები შესაძლებელია სხვა ფორმებით გადმოიცეს: მაგალითად, პასიური წინადადების კონსტრუქციაში შეიძლება შეგვხვდეს ღონიანი და უნიშნო ვნებითიც, უკუქცევითობა შეიძლება გამოიხატოს გარდამავალი ზმნის ფორმაშიც, დეპონენსი შეიძლება იყოს *ენიანი* ვნებითი, თვისება-შესაძლებლობა შეიძლება გამოიხატოს *ენიანი* ვნებითი ზმნების ფორმითაც. ეს ყველაფერი ძალიან ჭრელ სურათს გვაძლევს, რაც საკმაოდ დამაბნეველია ენის უცხო შემსწავლელისთვის, რომელსაც არსებული ფორმების რაიმე სისტემაში მოქცევა კი არ სჭირდება, არამედ ფუნქციიდან გამომდინარე, სჭირდება ცოდნა იმის შესახებ, რა შემთხვევაში რა ფორმის ზმნა აწარმოოს.

შესაბამისად, ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილი შინაარსობრივი კლასიფიკაცია მიმაჩნია უცხოელი შემსწავლელისთვის უფრო ნათელ და შედეგიან გზად.

აქედან გამომდინარე, ნაშრომის ემპირიული კვლევის საკითხად წარმომოვადგენ სგზ-ის ერთი ქვეჯგუფის, მეორეული სგზ-ის სემანტიკური კუთხით განხილვისა და პრაგმატული კუთხით სწავლების სტრატეგიას.

ხოლო ამ საკითხზე შემსწავლელთა წინარე ცოდნის წარმოსაჩენად მოკლედ მიმოვიხილავ გრამატიკის სწავლების სპეციფიკას სხვადასხვა მეთოდებისა და სახელმძღვანელოების ფარგლებში.

თავი 4: გრამატიკის სწავლების სპეციფიკა სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების ფარგლებში

თავდაპირველად მოკლედ მიმოვიხილავ ენების სწავლებაში ყველაზე გავრცელებული მეთოდებს და გრამატიკის როლს თითოეულ მათგანში, რათა ნაშრომში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ანალიზისას უფრო ნათელი იყოს, თუ რა პრინციპებს მისდევს ეს სახელმძღვანელოები.

4.1 გრამატიკის სწავლება გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი განვითარდა ევროპული ქვეყნების გიმნაზიებში ლათინური და ძველი ბერძნული ენების სწავლების ტრადიციაზე დაყრდნობით. ძველი ენების სწავლების მიზანი კი ენის სტრუქტურისა და გრამატიკის ათვისება იყო სალიტერატურო ტექსტებზე დაყრდნობით. საგაკვეთილო პროცესი წარიმართებოდა შემდეგი სქემით:

შესავალი ფაზა - გრამატიკული წესის წარმოდგენა;

ვარჯიშის ფაზა - წინადადებების აგება მოცემული ფენომენების ირგვლივ;

გამოყენების ფაზა - კითხვა, წერა და თარგმნა.²¹

მუშაობისას და შესაბამისად, ამ მეთოდით შედგენილ სახელმძღვანელოებში სწავლა-სწავლების მიზანი მდგომარეობს ენის გრამატიკული წესების გადმოცემასა და მათ, ხშირ შემთხვევაში, თარგმანის მეშვეობით გამოყენებაში და ყველა სავარჯიშო, ტესტი თუ ცხრილი ემსახურება ამ მიზანს²². გრამატიკა წარმოადგენს სასწავლო პროცესის ღერძს და ყველა აქტივობა ამ ღერძის გარშემო ტრიალებს²³. გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს ენის ფორმალური წესების ცოდნა და გადმოცემა და არა ენის გამოყენება საკომუნიკაციო მიზნით, იქნება ეს ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაცია²⁴. ასეთ სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტები არაავთენტიკურია და, როგორც წესი, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ იქმნება იმ გრამატიკული ფენომენის ირგვლივ, რომელსაც ეხება სახელმძღვანელოს მოცემული თავი. მაგალითები, რომლებიც შეიცავს შესასწავლ გრამატიკულ ფენომენს, მოცემულია ტექსტისგან იზოლირებულად; წესები ფორმულირებულია ხშირად ვერბალურად. თავის ბოლოში კი ხშირ შემთხვევაში მოცემულია დავალება, რომელიც წესის გამოყენებას ემსახურება თარგმანის საშუალებით: შემსწავლელმა უნდა თარგმნოს წინადადებები ერთი ენიდან მეორე ენაზე.

²¹ Neuner, G, Hunfeld, H. *Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts*. (Berlin: Langenscheidt, 1993), გვ. 21

²² H. Funk, M. Koenig. *Grammatik lehren und lernen*. (Berlin: Langenscheidt, 1991), გვ.34

²³ ე. შავერდაშვილი და სხვ. *უცხოური ენების სწავლების საფუძვლები*. (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014), გვ. 72

²⁴ H. Funk, M. Koenig. *Grammatik lehren und lernen*, გვ.34

აქედან მომდინარეობს ამ მეთოდის სახელწოდებაც “გრამატიკულ-მთარგმნელობითი” მეთოდი.

აღნიშნული მეთოდით შექმნილ სახელმძღვანელოებში დავალებების შემდეგი ტიპები გვხვდება:

- წესის მიხედვით სწორი წინადადებების შედგენა (წესის გამოყენება);
- სწორი ფორმების ჩასმა (ტექსტი გამოტოვებული ადგილებით);
- წინადადებების გარდაქმნა ფორმალური გრამატიკული კატეგორიების მიხედვით (აქტივიდან პასივში);
- თარგმანი: მშობლიური ენიდან სამიზნე ენაზე ან სამიზნე ენიდან მშობლიურ ენაზე²⁵ (თარგმნ. - თ.კ.²⁶)

ხშირად გვხვდება დავალებების ასეთი პირობები:

გადაიყვანეთ წინადადება აქტივიდან პასივში!

ჩასვით წინადადებაში ზმნა პერფექტის ფორმით!

შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების საშუალებით! და სხვ.

გრამატიკაზე ორიენტირებული ამ ტიპის სწავლების შედეგად, შემსწავლელი იძენს ცოდნას ენის შესახებ²⁷ და არა ამ გრამატიკული ფენომენების ადეკვატურად გამოყენების უნარს ზეპირ თუ წერით საკომუნიკაციო სიტუაციაში.

გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდს ბევრი ნაკლი ჰქონდა, რადგან ძველი ენების სწავლებისთვის იყო შესაფერისი და არ შეესაბამებოდა თანამედროვე ენების სწავლების მიზანს: ძველი ენებისგან განსხვავებით, თანამედროვე ენები ისწავლება მათი საშუალებით კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

4.2 პირდაპირი მეთოდი

ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადასვლას წარმოადგენდა ე.წ. პირდაპირი მეთოდი, რომელიც საერთოდ უარყოფდა გრამატიკის

²⁵ G. Neuner, M. Krüger, U. Grewer. *Übungstypologie zum kommunikativen Deutschunterricht*. (Berlin: Langenscheidt, 1996), გვ. 11

²⁶ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ ყველა თარგმანზე ვიღებ პასუხისმგებლობას, როგორც ნაშრომის ავტორი.

²⁷ R. Ellis. 2003. *Becoming Grammatical*. <http://www.impactseries.com/grammar/becoming.html> (23.07.2016)

სწავლებას და სამიზნე ენის პირდაპირ, მშობლიური ანუ საშუამავლო ენის გარეშე სწავლებას მიიჩნევდა ენის შესწავლის საუკეთესო საშუალებად.²⁸ პირდაპირი მეთოდით სწავლებისას უპირატესობა ენიჭებოდა სასაუბრო ენას, განსხვავებით გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისგან, რომლის ფარგლებში უცხო ენაზე წერას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება და მეტყველება ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო. პირდაპირი მეთოდით ენა ისწავლებოდა არაგაცნობიერებულად, მასწავლებლის მიზანძვით, ანუ მოსმენა-გამეორების საშუალებით და მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფონეტიკას²⁹.

4.3 აუდიოლინგვური, აუდიოვიზუალური და სხვა მეთოდები

ენების დიდაქტიკაში პირდაპირი მეთოდის შემდეგ განვითარდა აუდიოლინგვური და აუდიოვიზუალური მეთოდები. ორივე ამ მეთოდს ერთი საფუძველი აქვს, თუმცა მცირედი განსხვავებებიც შეინიშნება. ორივე მეთოდისთვის საერთოა, რომ სასწავლო მასალა ყოველდღიურ სასაუბრო სიტუაციასთან არის დაკავშირებული, თუმცა მოცემული ტექსტები არაავთენტური და გრამატიკული ფენომენის ათვისებისთვის არის შექმნილი, რაც გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის გავლენას წარმოადგენს. აუდიოლინგვურ მეთოდში დიდი ადგილის უჭირავს შესასწავლი ფენომენის გავარჯიშება-ავტომატიზების დავალებებს, რომლებიც ხშირი გამეორების ნიადაგზე მასალის ავტომატიზმამდე ათვისებას ემსახურება. ამ მეთოდშიც სასაუბრო ენა არის წინ წამოწეული, ხოლო გრამატიკული ფენომენები მოცემულია შესაბამისი ტექსტების მეშვეობით³⁰. აუდიოვიზუალურ მეთოდში მეტი ყურადღება ენიჭება ენის სწავლებაში ვიზუალური საშუალებების გამოყენებას, კერძოდ, შესასწავლი ახალი მასალა იწყება სურათის ან კოლაჟის ჩვენებით თანდართული აუდიომასალითურთ,

²⁸ ე. შავერდაშვილი და სხვ. *უცხოური ენების სწავლების საფუძველები*. გვ. 37

²⁹ Neuner, G, Hunfeld, H. *Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts*, გვ. 33-44

³⁰ Neuner, G, Hunfeld, H. *Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts*, გვ 45-61

აუდიოლინგვური მეთოდისგან განსხვავებით, ან ვიზუალური და აკუსტიკური მასალა ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება³¹.

საბჭოთა კავშირში გავრცელებული იყო შეგნებულ-შეპირისპირებითი და შეგნებულ-პრაქტიკული მეთოდები, რომლებშიც ცალკეული ინოვაციების მიუხედავად, წინ წამოწეული იყო გრამატიკის სწავლება.³²

4.4 გრამატიკის სწავლების პრინციპები კომუნიკაციური მიდგომით

ლინგვისტიკაში პრაგმატულმა “შემოტრიალებამ”, ანუ პრაგმატიკის, როგორც ლინგვისტიკის ახალი დარგის, გაჩენამ გამოიწვია ძვრები დიდაქტიკაშიც, რაც ენის სწავლებაში კომუნიკაციური მიდგომების დანერგვაში გამოიხატა. პრაგმატიკა ენას განიხილავს არა როგორც ფორმების ერთიან სისტემას, არამედ, როგორც ენობრივი ქმედების ერთ-ერთ ასპექტს და მისი ცენტრალური შესწავლის ობიექტია ენობრივი აქტი³³. ენების სწავლებაში ეს აისახა იმ მხრივ, რომ ენის სწავლების მიზანი გახდა ენის გამოყენება საკომუნიკაციო სიტუაციაში, ხოლო გრამატიკამ დაიკავა ამ მიზანს დაქვემდებარებული საშუალების ადგილი. ამგვარად გრამატიკა გახდა ინსტრუმენტი, რომლითაც შეიძლება განხორციელდეს ენობრივი ქმედება.³⁴ გრამატიკული კომპეტენცია ენების სწავლების თანამედროვე მიდგომით განისაზღვრება, როგორც შემსწავლელის კომპეტენცია, ამოიცნოს ტექსტში გრამატიკული სტრუქტურები, გააცნობიეროს და გამოიყენოს საკუთარი აზრის შესასწავლ ენაზე ჩამოყალიბებისას.³⁵

ასევე მნიშვნელოვანია გრამატიკული სტრუქტურების ცალკეულ ერთეულებად დაყოფა³⁶, რადგან შემსწავლელისთვის ნაკლებად ეფექტურია ისეთი მთლიანი სტრუქტურების სწავლა, როგორცაა მაგალითად სერიებისა

³¹ ე. შავერდაშვილი და სხვ. *უცხოური ენების სწავლების საფუძვლები*, გვ. 42-43

³² იქვე, გვ. 214-231

³³ Neuner, G, Hunfeld, H. *Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts*, გვ.76

³⁴ H. Funk, M. Koenig. *Grammatik lehren und lernen*, გვ.52

³⁵ ე. შავერდაშვილი და სხვ. *უცხოური ენების სწავლების საფუძვლები*, გვ.75

³⁶ იქვე, გვ.76

და მწკრივების სისტემა, ან ბრუნვების პარადიგმები. შემსწავლელს უკეთეს შემთხვევაში შეუძლია დაისწავლოს ეს სტრუქტურები ზეპირად, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი ერთიანი დასწავლის შედეგად შეძლოს მათი ავტონომიურად და ადეკვატურად გამოყენება საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისას. იმ შემთხვევაში, როცა ეს სტრუქტურები ფრაგმენტულად მიეწოდება შემსწავლელს, გრამატიკული პროგრესის დაცვის პრინციპით³⁷ (მარტივიდან რთულისკენ) და შემსწავლელის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ შემსწავლელი საკუთარ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით დამოუკიდებლად ამოიცნობს შესასწავლ ფენომენებს, გაიგებს მათ, დაამუშავებს და ბოლოს ტრანსფერის ფაზაში შეძლებს ამ ელემენტების დამოუკიდებლად გამოყენებას ზეპირ თუ წერით კომუნიკაციაში. ასეთი პრინციპით სწავლებისას არ არის აუცილებელი შვიდივე ბრუნვის პარადიგმა ერთდროულად ისწავლოს შემსწავლელმა: საკმარისია, თითო ჯერზე თითო ბრუნვის სწავლება მიწოდებული წასაკითხი თუ მოსასმენი მასალის საჭიროებიდან გამომდინარე, უფრო მეტიც, ცალკეული ბრუნვის შემთხვევაში, საკმარისია, მხოლოდ ერთი ალომორფის სწავლება: მაგალითად, მოთხრობითი ბრუნვის სწავლებისას, პირველ ეტაპზე მხოლოდ -მ ალომორფის სწავლება, ხოლო შემდეგ, როცა ამის საჭიროება დგება მომდევნო ტექსტური მასალიდან გამომდინარე, - მეორე ალომორფის -მს სწავლება. ასეთ შემთხვევაში შემსწავლელს საშუალება აქვს მარტივიდან რთულისკენ მიმართული სპირალური³⁸ პრინციპით, საფეხურებრივად შეისწავლოს გრამატიკული ფენომენი წინარე ცოდნაზე დაყრდნობით.

ამგვარი მეთოდებით სწავლებისას სასწავლო მასალის ცენტრს გრამატიკის მაგივრად იკავებს ტექსტი (წასაკითხი ან მოსასმენი), რომლის გაგების საჭიროებიდან გამომდინარე იგეგმება გრამატიკული ელემენტების სწავლება და ისიც მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც აუცილებელი და საკმარისია ტექსტში წარმოდგენილი მასალის დამუშავებისთვის. პროდუცირების

³⁷ H. Funk, M. Koenig. *Grammatik lehren und lernen*, გვ.56

³⁸ თ. კილურაძე, ე.ქუთათელაძე. *ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა* (თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013), გვ. 51

დონეზეც გრამატიკული მასალა აუცილებლად მიზნულია ცალკეულ ენობრივ ქმედებაზე³⁹, საკომუნიკაციო სიტუაციასთან და გაკვეთილის თუ გაკვეთილების ჯაჭვის მიზანია შემსწავლელმა დაძლიოს კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაცია და შეძლოს კონკრეტული ენობრივი ქმედების განხორციელება, რის განხორციელებაშიც სხვა ასპექტებთან ერთად მას ეხმარება ცალკეული გრამატიკული ფენომენი.

თანამედროვე უცხოური ენების სასწავლო გეგმებში და ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების აღწერილობაშიც⁴⁰ ენის ფლობის კომპეტენცია განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ენობრივი ქმედებებით, ხოლო გრამატიკას უჭირავს ამ ენობრივ ქმედებებში დაქვემდებარებული ადგილი, ენობრივი ქმედების ტექნიკური იარაღის ფუნქციის სახით. ამგვარად, დღევანდელ ეტაპზე გრამატიკის სწავლება აღარ წარმოადგენს გაკვეთილის მიზანსა თუ თვითმიზანს, არამედ გრამატიკა გახდა მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება და რაც მთავარია, ის აღარ მიეწოდება შემსწავლელს მზა წესების სახით, არამედ გრამატიკის სწავლება ეყრდნობა აღმოჩენის პრინციპით სწავლას.

თანამედროვე ეტაპზე ენების და არა მხოლოდ ენების სწავლებაში საგაკვეთილო და ზოგადად სასწავლო პროცესის ცენტრი ხდება მოსწავლე, რომელიც საკუთარ დაკვირვებაზე დაყრდნობით “აღმოაჩენს” ახალ ცოდნას. იგივე ეხება გრამატიკის სწავლებასაც: გრამატიკული ფენომენების სწავლების ყველაზე ეფექტური გზას წარმოადგენს თვითაღმოჩენით სწავლა, რომელიც ემყარება ინდუქციის პრინციპს. შემსწავლელი თავდაპირველად ტექსტში, კონტექსტში ეცნობა გრამატიკული ფენომენის ნიმუშებს, აგროვებს და აჯგუფებს მათ, აანალიზებს, რის შედეგადაც თავადვე განაზოგადებს და ბოლოს გამოჰყავს გრამატიკული წესი.

³⁹ H.Barkowski et al. *Deutsch als fremde Sprache*. (Berlin: Langenscheidt, 2014), გვ. 16

⁴⁰ *ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობა*. (თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014), http://geofl.ge/#!/page_doneebi (23.07.2016)

ინდუქციის პრინციპით გრამატიკის სწავლების ეს პროცესი იყოფა სამ ეტაპად⁴¹:

- იდენტიფიცირების ეტაპი;
- დაჯგუფების ეტაპი;
- წესის გამოყვანის ეტაპი.

ამდენად, მასალის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს ტექსტი (წასაკითხი ან მოსასმენი). თავდაპირველად იწყება ტექსტის შინაარსობრივად დამუშავება, ხოლო შემდეგ, შინაარსის დეტალური გაგების ფაზაში იწყება გრამატიკული ფენომენების იდენტიფიცირება, რასაც თან სდევს ამ ფენომენების დაჯგუფება მსგავსების მიხედვით და მათი ფუნქციის გათვითცნობიერება, რასაც საბოლოოდ მოჰყვება შემსწავლელის მიერვე კონკრეტული, სისტემურად დაჯგუფებული მაგალითების გაანალიზება, მათი განზოგადება და შესაბამისი წესის აღმოჩენა-შემუშავება.

თუ შემსწავლელს წესის შესამუშავებლად აკლია ვერბალური მასალა და არ ფლობს შესაფერის გრამატიკულ ტერმინოლოგიას, მიზანშეწონილია “სწორია/არასწორია” ტიპის მართული დავალების სახით მისი წესამდე “მიყვანა”.⁴² ოდნავ გართულებული რეპროდუქციული ვარიანტია, როდესაც წესი არასრულად არის მოცემული და შემსწავლელმა უნდა შეავსოს იგი, კერძოდ, ჩასვას გამოტოვებული სიტყვები⁴³.

გარდა ყველა ამ ეტაპისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რა კუთხით განვიხილავთ გრამატიკულ ფენომენს: რა არის ამოსავალი ფორმა, მორფოლოგია თუ ფუნქცია და შინაარსი?

პრაგმატული “გადატრიალების” შედეგად, ენების დიდაქტიკაში ყურადღება გადადის ენობრივი ფენომენების ფუნქციაზე, მათ გამოყენებაზე და ამოსავალი აღარ არის მხოლოდ ფორმა და მორფოლოგია, როგორც ამას გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი ითვალისწინებს. მაგალითად, აქტივსა და პასივს შორის განსხვავება ტრადიციულად ისწავლებოდა ზმნის ფორმიდან

⁴¹ H. Funk, M. Koenig. *Grammatik lehren und lernen*, გვ. 124

⁴² თ. კილურაძე, ე.ქუთათელაძე. *ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია*, გვ. 50

⁴³ იქვე, გვ. 51

გამომდინარე და ამ გრამატიკული ფენომენის შესწავლის ცენტრალური მხარე მდგომარეობდა სათანადო ზმნის აქტივისა და პასივის ფორმებს შორის მორფოლოგიური განსხვავების სწავლებაში⁴⁴. თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე იწევს პასივის ფუნქცია. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ის ძველი ტრადიციული წესი, თითქოს პასივის ფორმაში სუბიექტი ქრება, ხშირ შემთხვევაში სინამდვილეს არ შეესაბამება,

მაგალითად: *წერილი დაიწერა სამინისტროს მიერ.*

ამ წინადადებაში ნათლად ჩანს მოქმედების ჩამდენი სუბიექტი, მიუხედავად იმისა, რომ ზმნა პასივის (ვნებითი გვარის) ფორმაში დგას.

თუ პასიური კონსტრუქციის წინადადებებს დავაკვირდებით პრაგმატიკის, კერძოდ, ენისა და ენობრივი ფენომენების ფუნქციიდან გამომდინარე, ვნახავთ, რომ აქ ბევრი სხვადასხვა მიზანი შეიძლება გამოიკვეთოს: მოქმედების ჩამდენი შეიძლება არარელევანტური იყოს და მთქმელს სურდეს მომხდარი ფაქტის წამოწევა წინა პლანზე; სხვა შემთხვევაში შესაძლოა, მთქმელს არ სურდეს, უბრალოდ, მოქმედების ჩამდენი პირის დასახელება, მაგალითად:

აუდიტორიაში ჩანთა დაიკარგა.

ან კიდევ, გარკვეულ შემთხვევაში, მთქმელს სურს, გამოკვეთოს, რომ მოქმედება სწორედ ამ კონკრეტული აქტანტის მიერ შესრულდა და არა სხვის მიერ⁴⁵.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე მიდგომების სწავლება ითვალისწინებს, პირველ რიგში, პასივის საკომუნიკაციო ფუნქციის დადგენას და შემსწავლელისთვის შინაარსობრივი, ანუ საკომუნიკაციო ფუნქციის სახით მიწოდებას, პირველ რიგში, ხოლო შემდეგ ზმნის წარმოებასა და ფორმაზე ყურადღების გამახვილებას. პასივის ფორმის წარმოება ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს შემსწავლელისთვის, უმთავრესი აქ მისი ფუნქციის დადგენაა და ცოდნა იმისა, თუ როდის და რა ფუნქციით გამოიყენოს ეს პასივი.⁴⁶

⁴⁴ H.Barkowski et al. *Deutsch als fremde Sprache*, გვ. 87

⁴⁵ იქვე, გვ. 88-89

⁴⁶ იქვე, გვ. 8

თავი 5: სახელმძღვანელოების ანალიზი ძიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით

5.1 სახელმძღვანელოებში გრამატიკის სწავლების ანალიზის კრიტერიუმები

გრამატიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები სულ რამდენიმე ათეული წელია, რაც ფებს იკიდებს ენების სწავლების სფეროში.

ქართულის, როგორც უცხო და მეორე ენის სწავლებაში თანამედროვე მეთოდები ფებს იკიდებს 21-ე საუკუნიდან, შესაბამისად, უფრო ადრინდელ სახელმძღვანელოებში გრამატიკის სწავლება არარელევანტურია წინამდებარე ნაშრომისთვის. ამიტომ შევჩერდები მხოლოდ იმ სახელმძღვანელოებზე, რომლებშიც ძველი, ტრადიციულისგან განსხვავებული მიდგომა შეინიშნება გრამატიკისა და ზოგადად ენის სწავლების კუთხით.

წინამდებარე ნაშრომის მეორე ნაწილის პირველ თავში აღწერილი გრამატიკის აღმოჩენით სწავლების სამეტაპიანი მეთოდის გარდა, სახელმძღვანელოების ანალიზისას ვხელმძღვანელობ გრამატიკული სავარჯიშოებისთვის შექმნილი ზეგერმანის კრიტერიუმების კატალოგით⁴⁷:

- **მიზანი:** რა უნდა გავარჯიშდეს - გრამატიკული მნიშვნელობის გაგება-შეცნობა თუ სწორი გრამატიკული ფორმის წარმოება?
- **მოსწავლეთა აქტივობა:**
- როგორ მუშაობენ მოსწავლეები გრამატიკულ სავარჯიშოებზე: მათ მიეწოდებათ გრამატიკული ფორმები, რომლებსაც იმეორებენ ან მიუსადაგებენ რამეს თუ უნდა შეცვალონ რაიმე (დააჯგუფონ, განავრცონ)?
 - რეცეფციულად მუშაობენ თუ პროდუცირების საშუალებით?
 - იყენებენ თუ არა მშობლიურ ენას (მაგ., თარგმანს)?
- **მასალის აგებულება:**
 - როგორ არის წარმოდგენილი გრამატიკული სავარჯიშო ენობრივად: სინტაგმებით, ცალკეული წინადადებების სახით, მინი-დიალოგებად თუ მთლიანი ტექსტის მეშვეობით?

⁴⁷ K. Segermann. *Typologie des fremdsprachlichen Übens*. (Bochum: Brockmeyer, 1992), გვ 47

- რომელი მედიების საშუალებით არის ის გადმოცემული: წერილობით, ვიზუალურად, მოსასმენის სახით?
- როგორ არის წარმოდგენილი გრამატიკული ერთეულები: დაჯგუფების სახით, კონტრასტულად, გაბნეულად, არეულად, გამოტოვებულადგილებიანი თუ მრავალპასუხიანი დავალების სახით?
- **მართვადობა:**
 - როგორ წარიმართება/ იმართება გრამატიკული სავარჯიშოები:
 - რა მითითებებია მოცემული?
 - რა დამხმარე საშუალებებია გამოყენებული ასახსნელად?
 - არის თუ არა და რა მოცულობით არის მოცემული უცხოენოვანი ან მშობლიურენოვანი ნიმუშები, რომლებსაც ეყრდნობა გრამატიკული სავარჯიშოები?
- **მუშაობის ფორმა:**
 - რა ეტაპზე, რომელ ფაზაშია მოცემული გრამატიკული დავალებები მთლიან მასალაში?
 - რა დამხმარე საშუალებებია მოცემული ასეთი სავარჯიშოებისთვის?
 - მუშაობის რომელი სოციალური (ორგანიზების) ფორმებია გამოყენებული?

ანალიზისთვის შევარჩიე 4 სახელმძღვანელო. ეს ოთხი სახელმძღვანელო, გარდა მათი შერჩევის აღნიშნული კრიტერიუმისა, აქტუალურია იმ სამიზნე ჯგუფისთვის, რომელთანაც ჩატარდა ემპირიული კვლევა, ხოლო პირველი 3 გამოირჩევა აგრეთვე არაქართულენოვან შემსწავლელელებში მათი გავრცელების მასშტაბურობით:

1. “თავთავი”, სახელმძღვანელოს კომპლექტი საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის, დონეები I, II, III. 2005-2007, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში “თავთავი”);

2. “ქართული ენა”, დონეები 1-12, 2012-2013, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში “ქართული ენა”);
3. ნ. შავთვალაძე, ბილიკი, დონეები 1-4. 2005-07 წ.წ. თბილისი: გამომცემლობა “ლეგა” (შემდგომში “ბილიკი”);
4. ნ. შარაშენიძე, “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის” 2010, თბილისი: გამომცემლობა “მიდამო” (შემდგომში “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის”).

ამ სახელმძღვანელოებიდან პირველი ორი წარმოადგენს სასკოლო სახელმძღვანელოს, ხოლო შემდეგი ორი - სახელმძღვანელოს ზრდასრულთათვის. “ბილიკი” წარმოადგენს ორენოვან სახელმძღვანელოს ინგლისურენოვანთათვის და გავრცელებულია უცხოელებისთვის ქართული ენის სწავლების სფეროში. “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის” წარმოადგენს დამატებით სახელმძღვანელოს მხოლოდ გრამატიკის სასწავლებლად.

საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის 2005 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, კერძოდ, 2005-2007 წლებში შეიქმნა გარდამავალი პერიოდის სახელმძღვანელო “თავთავი”, დონეები 1, 2 და 3, ხოლო 2012-13 წლებში გამოვიდა 12 პირობით დონედ დაყოფილი სახელმძღვანელო “ქართული ენა” არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის, რომლითაც დღემდე ისწავლება ქართული ენა ყველა არაქართულენოვანი სკოლის ყველა კლასში.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული ემპირიული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის” პროგრამის სტუდენტები. ეს პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა 2010/11 წლის შემოდგომის სემესტრში, მას შემდეგ, რაც 2009 წლის ნოემბერში შევიდა

ცვლილებები საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“⁴⁸. კერძოდ, 47³ მუხლით განისაზღვრა, რომ საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების აბიტურიენტებს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე შეუძლიათ ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე და პროგრამის წარმატების გავლის შემდეგ გააგრძელონ სწავლა საბაკალავრო საფეხურზე.

წინამდებარე კვლევაში მონაწილეობდნენ ამ პროგრამაზე 2014/15 და 2015/16 წლებში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც სკოლაში სწავლობდნენ 2005-14 წლებში. ამ პერიოდში არაქართულენოვან სკოლებში უკვე ინერგებოდა სწავლა სახელმძღვანელო „თავთავით“, ხოლო 2013 წლიდან - სახელმძღვანელოთი „ქართული ენა“. უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში ეს სტუდენტები სხვა საუნივერსიტეტო მასალების პარალელურად გადიოდნენ სახელმძღვანელოს „ბილიკი“ (დონე I და II) და გაზაფხულის სემესტრში სწავლობდნენ ასევე გრამატიკის სახელმძღვანელოდან „სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის“.

შესაბამისად, ის წინარე ცოდნა, რომელიც ჰქონდათ კვლევაში ჩართულ სტუდენტებს, ეყრდნობა მთლიანად ზემოთ ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებს. ამიტომ შემოვიფარგლები თემისთვის რელევანტური გრამატიკული ფენომენის ანალიზით ამ ოთხ სახელმძღვანელოში. კერძოდ, განვიხილავ სტატიკური განზომილებიანი ზმნების ერთი ქვეჯგუფის, ონიანი ვნებითის ფორმის ზმნების სწავლებას ამ სახელმძღვანელოებში.

⁴⁸ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 47³,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90580> (23.07.2016)

5.2 სახელმძღვანელო “თავთავის” ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით


ამ სახელმძღვანელოს პირველ და მეორე დონეებში არც ექსპლიციტურად და არც იმპლიციტურად არ არის ნახსენები ვნებითი გვარი.

მესამე დონის სახელმძღვანელოში, ე.წ. ვინიანი უღლების ტიპის ზმნებში მოცემულია დონიანი ვნებითი გვარის ზმნა კაუზატიურ ზმნასთან შეპირისპირებით (გვ. 7, სათავსო 9).

ცხელდება vs აცხელებს:



შემდეგ ეტაპზე მოცემულია ე.წ. “ვინიანი 1 და 2” ტიპის ზმნებში წყვეტილის მწკრივის წარმოება მესამე პირში (გვ. 10, სათავსო 11). “ვინიანი 1” ტიპის ზმნებიდან წარმოდგენილია უნიშნო ვნებითი გვარის ზმნა - ვთბები:



მე-14 სათავსო (გვ. 11) მთლიანად ეთმობა “ვინიანი 1” ტიპის ზმნების მიერ შემდეგი მწკრივების წარმოებას: აწმყო, მყოფადი, უწყვეტელი, წყვეტილი, მეორე კავშირებითი. ნიმუშებად ცხრილში წარმოდგენილია როგორც სტატიკური საშუალო გვარის ზმნები (დგას, ზის, არის), ასევე მიმართულების გამომხატველი დინამიკური საშუალო გვარის ზმნა (მიდის):

სათავსო 14		მთავრობის ზმნები		
		კონია (V) ზმნა (მ = მისი)		
აწმყო	მყოფადი/დგას	უწყვეტელი/დგას	წყვეტილი/დგას	მეორე კავშირებითი/დგას
მყოფადი	უწყვეტელი/დგას	წყვეტილი/დგას	მეორე კავშირებითი/დგას	დინამიკური/დგას
უწყვეტელი	---	---	---	---
წყვეტილი	უწყვეტელი/დგას	წყვეტილი/დგას	მეორე კავშირებითი/დგას	დინამიკური/დგას
მეორე კავშირებითი	დინამიკური/დგას	დინამიკური/დგას	დინამიკური/დგას	დინამიკური/დგას

სამსავე შემთხვევაში ჩანს, რომ სისტემატიზაციისთვის გადამწყვეტია ზმნების მორფოლოგიური ფორმა. ამ ფორმის ქვეშ (“ვინიანი 1”) გაერთიანებულია 4 სხვადასხვა შინაარსის ზმნა: დონიანი სტატიკური ვნებითი, უნიშნო სტატიკური ვნებითი, სტატიკური საშუალო-ვნებითი, დინამიკური საშუალო-მოქმედებითი.

ასეთი დაჯგუფება თავისთავად სისტემატიზაციის კუთხით საინტერესო ვერსიაა, თუმცა საკმაოდ რთული ასათვისებელია არაქართულენოვანი შემსწავლელისთვის, რომელსაც არანაირი წინარე ცოდნა არა აქვს იმაზე, რომელი ზმნა მორფოლოგიურად როგორი შემადგენლობისაა (აქ “ვინიანი”). ასეთ შემსწავლელს ესაჭიროება უფრო მეტად შინაარსობრივი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც გაარკვევს, ზმნა “ვინიანი” წარმოებისაა თუ “მანიანი”, ხოლო შინაარსობრივად და ფორმის მხრივ ასეთი განსხვავებული ზმნების ერთ ჯგუფში თავმოყრა საკმაოდ დამაბნეველია შემსწავლელისთვის.

ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ზმნების ცხრილები და კარგი გრაფიკები, მაგრამ ისინი პირდაპირ არის მოცემული კონტექსტიდან მოწყვეტილად და არ ჩანს ექსპლიციტურად გამოკვეთილი გზა (მაგ. სავარჯიშოების ჯაჭვი), თუ როგორ უნდა აითვისოს და გამოიყენოს შემსწავლელმა ეს ზმნები.

5.3 სახელმძღვანელო “ქართული ენის” ანალიზი ძიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით

ამ სახელმძღვანელოში პირველი შეხება პასიურ კონსტრუქციებთან გვაქვს მე-5 დონის სახელმძღვანელოში, რომელშიც წარმოდგენილია დაკვირვება სინტაქსურ კონსტრუქციებზე წინადადების დონეზე. შემსწავლელმა მოცემული ნიმუშის მიხედვით უნდა იპოვოს და განასხვავოს ტექსტში აქტიური და პასიური კონსტრუქციები, თუმცა ეს ტერმინები აქ ნახსენები არ არის და შემსწავლელი წმინდა შინაარსობრივი კუთხით აკვირდება ამ წინადადებებს:

5. გაეცანი საახალწლო სუფრის ტრადიციას და დაასახელე, რომელ კერძს ამზადებენ შენს ოჯახში განსაკუთრებულად?

სხვადასხვა ქვეყანაში საახალწლო სუფრას სხვადასხვა ტრადიციული კერძი ამშვენებს: შემწვარი ბატი ან ინდაური, პატარა ნამცხვრები, რომლებსაც ნაძვის ხის, ვარსკვლავისა და თოვლის პაპის ფორმა აქვს, შოკოლადში ამოვლებული თხილი და ნიგოზი, ბრინჯისგან მომზადებული ტკბილეული.

საქართველოში საახალწლო სუფრაზე აუცილებელია გოზინაყი, ჩურჩხელა და საცივი.

გრამატიკა

დააკვირდი!

ის	ისინი
თეფში დევს	თეფშები აწყვია
ქული გდია	ქულები ყრია

ნაიკითხე და დააკავშირე!

სად:

1. არ ჩანს, ვინ მოქმედებს.
2. ჩანს, ვინ მოქმედებს.

ა. ბიჭი ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარს დებს.
ბ. ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარი დებს.

13

მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე, “ქართული ენა”, 2012, დონე 5, გვ. 13

ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან გრამატიკული ფენომენის იდენტიფიცირება ხდება ტექსტსა და კონკრეტულ კონტექსტში. თუმცა ამითვე მთავრდება ამაზე მუშაობა და არსად შეინიშნება ახალ მასალაზე ვარჯიშისა და შესწავლილის გამოყენების, ანუ ტრანსფერის⁴⁹ ფაზა.

ეს გრამატიკული ფენომენი სხვა კუთხით არის წარმოდგენილი კიდევ ერთხელ “გრამატიკულ დანართში”, სადაც “თავთავის” სახელმძღვანელოს მსგავსად, ზმნები დაყოფილია ორ დიდ ჯგუფად: “მანიანი” და “ვინიანი”. “თავთავისგან” განსხვავებით, აქ უკვე აღარ არის დაყოფა ამ სახით: “ვინიანი 1” და “ვინიანი 2”. სამაგიეროდ, მოცემულია ზმნების სემანტიკური ჯგუფები: მოქმედების, მდგომარეობის, გრძნობის ან სულიერი მდგომარეობისა და ქონა-ყოლის ჯგუფები (იხ. დანართი 4 და 5). ხოლო პირის ნიშნის დართვის მხრივ, გამოყოფილია ორი დიდი ჯგუფი: ერთი მხრივ, მოქმედებისა და მდგომარეობის ზმნები, რომლებიც ვინის ტიპის უღლებას განეკუთვნება და

⁴⁹ ტრანსფერში იგულისხმება საგაკვეთილო მასალის დაგეგმვის ბოლო ფაზა, კერძოდ გავარჯიშების შემდგომი ფაზა, რომლითაც უნდა დასრულდება მასალის ათვისება ანალოგიურ (და არა იდენტურ) სამეტყველო სიტუაციაში ნასწავლის გამოყენების საშუალებით. იხ. K.Ende et al. *Curriculare Vorgaben und Unterrichtsplanung* (Berlin: Langenscheidt, 2013), გვ. 104

მეორე მხრივ, გრძნობისა და ქონა-ყოლის ზმნები, რომლებიც „მნიან“ უღლებას განეკუთვნება.

პრობლემა იქმნება ისევ და ისევ ამ ჯგუფებში განსხვავებული ქვეჯგუფების არსებობით, როგორც ეს წინამდებარე ნაშრომის ლინგვისტურ ნაწილში ჩანს. ამ ქვეჯგუფებს ასევე განსხვავებული მორფოსინტაქსური თავისებურებები ახასიათებს. კერძოდ, მდგომარეობის, ანუ სტატიკურ ზმნებში გაერთიანებულია, როგორც ვნებითი გვარის ზმნების ნაირსახეობა, ასევე საშუალისა. შემსწავლელისთვის საკმაოდ დამაბნეველია ყველა ამ ზმნის ერთ ჯგუფად სწავლება. მით უმეტეს, რომ იმავე მდგომარეობის ზმნებში გვაქვს მანიანი უღლებაც და ვინიანიც (ვდგავარ, მადგას, მიდგას).

შემსწავლელისთვის კიდევ უფრო რთულია მოცემულ დავალებაში კონტექსტის მიხედვით პასიური და აქტიური კონსტრუქციების გამიჯვნა მაშინ, როცა გავარჯიშება-გამოყენების დონეზე არც შესაბამისი სტრატეგია იკვეთება და არც კონტექსტი, რომლის მიხედვითაც უნდა აითვისოს და გამოიყენოს შემსწავლელმა მოცემული გრამატიკული ფენომენი.

მე-5 დონის სახელმძღვანელოში აღწერილ ამ გრამატიკულ ფენომენსა და მე-8 დონის სახელმძღვანელოში გარკვეული ბმა შეინიშნება გრამატიკის საფეხურებრივად სწავლების მხრივ. მე-8 დონის სახელმძღვანელოში ავტორები ისევ უბრუნდებიან მე-5 დონეში მოცემულ ფენომენს და უკვე შესაბამის ტერმინოლოგიასაც იყენებენ “აქტიური წინადადება”, “პასიური წინადადება” (იხ. დანართი 6). მე-8 დონის სახელმძღვანელოში დაკვირვება ხდება უკვე წინადადების წევრების ბრუნვებზე, თუმცა გრამატიკული წესები აქაც წინასწარ მიეწოდება შემსწავლელს მზა ფორმის სახით: მიუხედავად იმისა, რომ მითითებაა “წაიკითხე და თქვი, სწორია თუ არა?”, ორივე წესი სწორად არის ჩამოყალიბებული და ორივე შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხია “სწორია”. მართალია, ეს გრამატიკული “ბლოკი” წასაკითხი ტექსტის გვერდით არის მოთავსებული და ტექსტში გვხვდება პასიური წინადადებების ნიმუშებიც, მაგრამ არ არის მოცემული ექსპლიციტურად კონკრეტული დავალებები, გრამატიკული მასალის ტექსტთან დასაკავშირებლად.

საგულისხმოა, რომ გრამატიკული ფენომენი შინაარსობრივი კუთხით არის ახსნილი (“აქტიურ წინადადებაში ჩანს მოქმედი პირი, პასიურში კი - არა”) და შინაარსი გამყარებულია ფორმით (სუბიექტის და ობიექტის ბრუნვები). ასეა მოცემული ეს ფენომენი გრამატიკულ დანართშიც:

ზმნის აქტიური და პასიური ფორმები

ქართულში ზმნათა დიდი ნაწილი ერთი და იმავე ფუძისაგან ორ განსხვავებულ ფორმას ანარმოებს. ეს არის აქტიური და პასიური ფორმები.

ა. აქტიურ ფორმაში კარგად ჩანს მოქმედების შემსრულებელი;
ბ. პასიურ ფორმაში კი არ ჩანს, ვინ ან რა არის მოქმედების უშუალო შემსრულებელი.

აქტიური		პასიური	
S	O	S	
ბიჭი	ა-მაგრ-ებს	სურათს.	სურათი
დედა	ა-მზად-ებს	სადილს.	სადილი
კაცი	ა-შენ-ებს	სახლს.	სახლი
მხატვარი	ხატ-ავს	სურათს.	სურათი
ბიჭი	კეტ-ავს	კარს.	კარი
დათო	ინახ-ავს	წიგნს.	წიგნი
			ინახ-ება.

მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე, “ქართული ენა”, დონე 8, წიგნი, ზმნის აქტიური და პასიური ფორმები, გვ. 99

ასეთი შინაარსობრივი მიდგომა და არა მხოლოდ ფორმაზე (ბრუნვაზე) კონცენტრირება ენის ათვისებისას უკეთეს შედეგს იძლევა.

კარგია ასევე ისიც, რომ მასწავლებელს აქვს ტექსტური მასალა, რომელზედაც შეუძლია ამუშაოს მოსწავლეები ამ გრამატიკულ ფენომენზე, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია გრამატიკის სწავლების კუთხით, თუმცა პრობლემურიც, რადგან წარმოდგენილ წასაკითხ ტექსტში გვხვდება შემდეგი წინადადებები: “პირველ ფოტოებს ქალაქის ნაცვლად მინის დაფებზე ბეჭდავდნენ”, “1800-იან წლებში გამოიგონეს ფოტოგრაფია”. ამ წინადადებებშიც არ ჩანს მოქმედების შემსრულებელი, მაგრამ ამ წინადადებებს არა აქვს პასიური წინადადების კონსტრუქცია, რაც სავარაუდოდ დააბნევს შემსწავლელს, რადგან პასიური წინადადება ახსნილია, როგორც წინადადება, რომელშიც არ ჩანს მოქმედი პირი. როცა ასეთი

გრამატიკული წესია წარმოდგენილი და გვერდით გრაფაში მოცემულ ტექსტში ამ შინაარსის წინადადებებია გამოყენებული, შემსწავლელი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას შინაარსობრივ მხარეს და სავარაუდოდ, შეცდომაში შევა, რადგან შინაარსისა და ფორმის შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე.

შემდეგ სიახლეს ამ დონის სახელმძღვანელოში, მე-5 დონის სახელმძღვანელოში მოცემული ანალოგიური მასალისგან განსხვავებით, წარმოადგენს გრამატიკის სწავლების კუთხით მოსწავლის რვეულში მოცემული დავალებები ასათვისებელი გრამატიკული ფენომენის გავარჯიშება-ათვისების მიზნით:

2. აირჩიე და ჩასვი კონტექსტის მიხედვით. ჩანერე, რომელია სუბიექტი და რომელი – ობიექტი.

ანყობს ამაგრებს ინახავს ბეჭდავს იყენებს ამზადებს

ა. დათო კედელზე სურათს -----.

სუბიექტი: -----, ობიექტი: -----

ბ. ლია თაროზე წიგნს -----.

სუბიექტი: -----, ობიექტი: -----

გ. მასწავლებელი სკოლაში ზეიმს -----.

სუბიექტი: -----, ობიექტი: -----

დ. სანდრო სურათებს -----.

სუბიექტი: -----, ობიექტი: -----

ე. დედა სადილს -----.

სუბიექტი: -----, ობიექტი: -----

ვ. ბებია სამკურნალოდ ბალახებს -----.

სუბიექტი: -----, ობიექტი: -----

3. წინა დავალებაში მოცემული წინადადებები შეცვალე ნიმუშის მიხედვით და წაიკითხე. ხაზი გაუსვი სუბიექტებს და დაასახელე.

ა. კედელზე სურათი მაგრდება.

ბ. -----

გ. -----

დ. -----

ე. -----

ვ. -----

დააკვირდი და გამოიყენე!

ერთპირიანი (S - ის)	ორპირიანი (S - ის, O - მას)
ენყობა	ანყობს
მაგრდება	ამაგრებს
მზადდება	ამზადებს
ინახება	ინახავს
ბეჭდება	ბეჭდავს
გამოიყენება...	იყენებს...

4. ნაიკითხე მოცემული წინადადებები და და გაუსვი ქვეშ ხაზი სუბიექტებს.

1. ეს ნამცხვარი თაფლით მზადდება.
2. ამ ნამცხვარს დედა თაფლით ამზადებს.
3. ეს ბრა კედელზე მაგრდება.
4. დათო ბრას კედელზე ამაგრებს.
5. ეს წიგნი თაროზე ინახება.
6. ლია წიგნს თაროზე ინახავს.
7. ეს გაზეთი ამ სტამბაში იბეჭდება.
8. ბიძაჩემი გაზეთს ამ სტამბაში ბეჭდავს.

5. წინა წინადადებებში მოცემული სუბიექტები შეცვალე სათანადო ნაცვალ-სახელებით და ისე გადაწერე. შეადარე სუბიექტები ერთმანეთს. დაასახელე, რომელია აქტიური და რომელი – პასიური წინადადება.


1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----
9. -----

მ. მელიქიძე, ნ. გორდელაძე, “ქართული ენა”, დონე 8, მოსწავლის რვეული, გვ. 68-69, აქტიური და პასიური წინადადებები

ამ სავარჯიშოების დადებითი მხარე მდგომარეობს იმაშიც, რომ გრამატიკული ფენომენის ათვისება ხდება ეტაპობრივად: მოცემულ დონეზე მხოლოდ წინადადების შინაარსსა და სინტაქსურ კორელაციებს ექცევა ყურადღება, ზმნები კი პირდაპირ არის მოცემული (გვ. 68. დავალება 3) ისე, რომ ზმნის ფორმის წარმოებაზე ამ ეტაპზე არ მახვილდება ყურადღება.

აქტიური და პასიური ზმნების ფორმების წარმოებაზე მუშაობა თანმიმდევრულად იწყება მე-9 დონის სახელმძღვანელოში. აქ პირველ რიგში ხდება ნასწავლი მასალის განმტკიცება (აქტიური და პასიური კონსტრუქციების) და ამავდროულად გამოკვეთილია პასიური ზმნის ფორმაში ო- პრეფიქსი, თუმცა მხოლოდ წყვეტილის მწკრივში:

მ. მელიქიძე, თ. ცერაძე, დონე 9, მოსწავლის წიგნი, გვ.96



- გარკვეულ ზმნებს აქვთ უნარი, აწარმოონ აქტიური და პასიური ფორმები. ზმნის აქტიურ ფორმაში ჩანს მოქმედი პირი, ანუ სუბიექტი, პასიურ ფორმაში კი - მხოლოდ მოქმედების შედეგი.

ზმნის აქტიური და პასიური ფორმები


დაანგრია მან ის დალუპა მან ის წალეკა მან ის	დაინგრა ის დაილუპა ის წაილეკა ის
---	--

- აქტიური კონსტრუქციიდან პასიურ კონსტრუქციაზე გადასვლისას, აქტიური ზმნის ობიექტი პასიური ზმნის სუბიექტი ხდება.
- აქტიური ზმნის სუბიექტისაგან განსხვავებით, პასიური ზმნის სუბიექტი არის არა მოქმედების ჩამდენი, არამედ მისი განმცდელი.

აქტიური და პასიური კონსტრუქცია

სუბიექტი	ობიექტი	სუბიექტი
↓	↓	↓
წყალმა დატბორა ბიძგებმა	დაანგრია	იქაურობა. ქალაქი.
		იქაურობა დაიტბორა წყლით. ქალაქი დაინგრა ბიძგებისაგან.

ზმნების სხვადასხვა ფორმის წარმოების მხრივ მასალა უფრო გავრცობილია არის წარმოდგენილი მოსწავლის რვეულში. აქ მოცემულია შესაბამისი დავალებები, რომლებშიც უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ტიპის ზმნის დაბოლოებას, თანაც აწმყოს მწკრივში. თუმცა ამ ფორმების წარმოების წესი ექსპლიციტურად გამოყვანილი არ არის და მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლის მოტივაციასა და ინტერესზე დამოკიდებული, თუ გამოიყვანენ ისინი ამ დავალებიდან კონკრეტულ წესს, რომელსაც შემდგომში გამოიყენებენ:



მ. მელიქიძე, თ. ცერაძე, დონე 9, მოსწავლის რვეული, გვ. 156

როგორც ვხედავთ, ფორმების წარმოება აღმოჩენის ეტაპზე ჩერდება. ათვისების ეფექტურობისთვის აუცილებელია არასისტემურად დალაგებულ და განსხვავებულ ნარევ ფორმებზე ვარჯიში, რათა შემსწავლელმა უკეთ შეძლოს მსგავსება-განსხვავების გათვითცნობიერება ამ და სხვა ზმნებს შორის. აუცილებელია, ასევე, ტრანსფერის ფაზის ჩამატება.

5.4 სახელმძღვანელო “ბილიკის” (დონე I და II) ანალიზი ძიანი ვნებით გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით

ბილიკის I დონის სახელმძღვანელოში ვნებითი გვარის ფორმები საერთოდ არ შეინიშნება, ხოლო II დონის სახელმძღვანელოში ისინი წარმოდგენილია, როგორც ე.წ. მე-3 კლასის ზმნები მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კარში. სრული სურათი ზმნების უღლებისა მოცემულია გრამატიკულ დანართში 200-239-ე გვერდებზე. ეს არის 4 ტიპის ზმნის უღლება ზმნების 14 ქვეტიპით. დანართის თავში მოცემულია ცხრილის სახით ეს ტიპები და ქვეტიპები:

ზმნები:			
The conjugation of verbs is divided into four types and 14 parts			
I ტიპი	II ტიპი	III ტიპი	IV ტიპი
№1 —stem-ობ	№ 7	№9 —stem-ები	№14 irregulars
№2 —stem-ებ	მ—stem-	№10 —stem-დები	
№3 —stem-ამ	გ—stem-	№11 ი—stem-ები	
№4 —stem-ავ	0,პ,ს—stem-	№12 ე—stem-ები	
№5 —stem-ო	№8		
№6 —stem-ო	მი—stem-	№13 —stem—ია	
	გი—stem-		
	უ—stem-		

“ბილიკი”, დონე 2, გვ. 200

მესამე ტიპის უღლება წარმოადგენს ე.წ. დინამიკური და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნების უღლების პარადიგმას, ხოლო საშუალო გვარის ზმნები, როგორებიცაა *დგას, ზის, მიდის* - გაერთიანებულია უღლების პირველ ტიპში.

ამ სახელმძღვანელოში გრამატიკული მასალა აგებულია გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით: წასაკითხი ტექსტი შედგენილია გრამატიკული მასალის ირგვლივ, ხოლო ტექსტის შემდეგ მოცემული ზმნების უღლების ცხრილები. სახელმძღვანელოს ყველა თავი ამ მხრივ იდენტურია, ამიტომ დეტალურად განვიხილავ მხოლოდ ერთ თავს.

მე-6 თავი იწყება ტექსტით მუზეუმების შესახებ:

მუზეუმები

თბილისში არის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, არქეოლოგიის მუზეუმი, აბრეშუმის მუზეუმი, ლიტერატურის მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, საზაფხულო მუზეუმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი და ბევრი ცნობილი ადამიანის სახლ-მუზეუმი.



თითქმის ყველა მუზეუმი ქალაქის ცენტრშია, ან – ქალაქის ცენტრთან ახლოს. თითოეული მუზეუმი თავისთავად ძალიან საინტერესოა. იქ



ინახება ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები. ბევრი უცხოელი დადის მუზეუმში, ინტერესდება ქართული კულტურით. მე განსაკუთრებით მომწონს ხელოვნების მუზეუმი, რომელშიც “ოქროს ფონდია”. იქ ხშირად ვარ და, როცა ამ ხელნაკეთ ნივთებს ვხედავ, ვმშვიდდები, თითქოს ვთბები და ვტკბები მათი სილამაზით. მეც და მუზეუმის თანამშრომლებიც ძალიან ვბრაზდებით, როცა ახალგაზრდები მოდიან იქ და ხმამაღლა ლაპარაკობენ.

იქ სტუმრებს ემსახურება გიდი. ხანდახან სტუმრებთან თარჯიმანიც მუშაობს. ისინი დეტალურად საუბრობენ თითოეული ნივთის ისტორიაზე.

ორშაბათს მუზეუმები არ მუშაობს. ზოგი არც კვირას მუშაობს. ბილეთები შეგიძლიათ იყიდოთ საღაროში. ბილეთი ძვირი არ არის, ალბათ, სამიდან შვიდ ლარამდე.

ნ. შავთვალაძე, ბილიკი II, 2008, თბილისი: გამომცემლობა “ლევა”, კარი 6, გვ. 61

ტექსტი არ არის ავთენტიკური და ის შექმნილია ავტორის მიერ სპეციალურად გრამატიკული ფენომენების ათვისების მიზნით. აქ ერთ აბზაცში გვხვდება ერთად ე.წ. მე-3 ტიპის რამდენიმე ზმნა: მაგ. “როცა ამ ხელნაკეთ ნივთებს ვხედავ [ოქროს ფონდში - თ.კ.], ვმშვიდდები, თითქოს ვთბები და ვტკბები მათი სილამაზით.” ერთ წინადადებაში თავმოყრილია 3 მესამე ტიპის ზმნა, იმავე აბზაცშია კიდევ 2 ზმნა: ინტერესდება და ვბრაზდები. ტექსტის შემდეგ,

“ახალი სიტყვებისა” და მათი ინგლისური თარგმანის ქვემოთ მოცემულია ამ ზმნების ფორმები 6 მწკრივში მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმით (იხ. დანართი 7, გვ 62). ხოლო შემდეგ გვერდზე (გვ. 63) მოთავსებულია კიდევ ერთი ცხრილი ვთბები ზმნის ულლებით პირის მიხედვით ამ 6 მწკრივში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველი თურმეობითის მწკრივს, რომელიც ახალ მასალას წარმოადგენს ამ თავში. ამიტომ მოცემულია კიდევ ერთი ცხრილი ამ მწკრივის მაწარმოებელი აფიქსებით ფორმულის სახით.

ულლების ცხრილების მიხედვით გრამატიკის ასე სისტემურად სწავლება სწორედ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისთვის არის დამახასიათებელი. ასეთი სწავლების კიდევ უფრო კარგ მაგალითს წარმოადგენს სახელმძღვანელოს გრამატიკულ დანართში, 233-239-ე გვერდებზე მოცემული ზმნების ულლების სქემები ქვეტიპების მიხედვით.

მაგალითად:

Present				
Verbs	Singular	Examples singular	Plural	Examples plural
Subject system I Type See p. 201	I. ვ --- II. --- III. ---ს	ვლაპარაკობ ლაპარაკობ ლაპარაკობს	I. ვ ---თ II. ---თ III. ---ნ, ენ	ვლაპარაკობთ ლაპარაკობთ ლაპარაკობენ
Object system II Type (7) See p. 208	I. მ --- II. გ --- III. *პ,ტ,ო ---	მყავს გყავს ჰყავს	I. გვ --- II. გ ---თ III. პ,ტ,ო ---თ	გვყავს გყავთ ჰყავთ
Object system II Type (8) See p. 208	I. მი --- II. გი --- III. უ ---	მინდა გინდა უნდა	I. გვი --- II. გი ---თ III. უ --- თ	გვინდა გინდათ უნდათ
Subject system III Type (9) See unit 6, p. 62	I. ვ ---ები II. ---ები III. ---ება	ვთბები თბები თბება	I. ვ ---ებით II. ---ებით III. ---ებიან	ვთბებით თბებით თბებიან

გარდა ამისა, ამავე თავში განხილულია კიდევ სამი სხვა გრამატიკული ფენომენი: პირობითი წინადადება, კავშირები თუ, ან/ან და მიმართებითი ზმნიზედის სადაც შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება.

მოცემული ზმნების ათვისებისთვის განკუთვნილია მხოლოდ 2 დავალება (იხ. დანართი 7, გვ. 65, 67): აქედან ერთ დავალებაში (დავალება 3) შემსწავლელმა ახალი ზმნების შემცველი წინადადებები უნდა გადაიყვანოს მომავალ დროში,

ხოლო მეორეში (დავალეზა 6)- ამ ზმნების აწმყოსა და პირველი თურმეობითის ფორმის შემცველი წინადადეგები თარგმნოს ინგლისურად.

დაზეპირების გარდა, ამ ზმნების ათვისების ალტერნატიული გზა აქ, სამწუხაროდ, არ ჩანს. არსად არის მოცემული რაიმე წესის გამოყვანისა და მისი ტრანსფერის დავალეზები.

5.5 “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის” - სახელმძღვანელოს ანალიზი ინიანი ვნებითი გვარის ზმნების სწავლების თვალსაზრისით

ამ სახელმძღვანელოში, რომლის მიზანიცაა გრამატიკის წარმოჩენა სიტუაციური კონტექსტიდან, წარმოდგენილია ერთი თავის “აქტიური და პასიური” მოქმედების შესახებ. აქაც ამოსავალი არის ის ფაქტი, ასრულებს თუ არა სუბიექტი მოქმედებას (იხ. დანართი 5). იქვეა მოცემული ცხრილი ათი ზმნის აქტიური და პასიური ფორმებით. აქედან 7 ზმნა წარმოადგენს დონიანი ვნებითის ფორმას, ხოლო 3 - ინიანი ვნებითისას. შემდეგ წარმოდგენილია მოცემული ზმნების შემცველი უკონტექსტო წინადადეგები, მომდევნო გვერდზე ასევე გრამატიკულ-მთარგმნელობითი პრინციპით შექმნილი გაბმული ტექსტი. წინადადეგებშიც და ტექსტშიც მსხვილი ასოებით არის გამოკვეთილი ზმნები და სუბიექტი. შემდეგ გვერდზე (გვ. 194) მოცემულია ღია ტიპის დავალეზა შეკითხვებზე პასუხის სახით ფრჩხილებში მითითებული ზმნის აქტიური და პასიური ფორმით, რაც შემსწავლელში იწვევს დავალეზის ავტომატურად გაკეთების იმპულსს. მეორე დავალეზა ემსახურება ნიმუშის მიხედვით წინადადეგის გადაყვანას პასიური ან აქტიური წინადადეგის ფორმაში, რაც ასევე ავტომატურად გასაკეთებელ დავალეზას წარმოადგენს, ხოლო ბოლო, მესამე დავალეზა წარმოადგენს ნახევრად ღია ტიპის დავალეზას, რომელშიც შემსწავლელმა უნდა მოიფიქროს წინადადეგები მოცემულ ზმნებზე, რაც გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი დავალეზაა.

სახელმძღვანელოს დანართში აქტიური და პასიური მოქმედება შედარებულია ზმნის მოქმედებით და ვნებით გვართან, თუმცა თვით სასწავლო ნაწილში ეს ტერმინები არ ჩანს:

47. აქტიური და პასიური მოქმედება

ეს კატეგორია ინდოევროპულ ენებშიც არსებობს. მისი მთავარი ნიშანია: მოქმედებას ასრულებს სუბიექტი თუ მოქმედება სრულდება ისე, რომ არ ჩანს, ვინ ასრულებს ამ მოქმედებას. ქართულში ეს კატეგორიაა გვარი. სახელმძღვანელოში ეს კატეგორია წარმოდგენილია სხვა ტერმინებით: მოქმედებითი გვარი – *აქტიურ მოქმედება* (სწავლობს), ენებით გვარი – *პასიური მოქმედება* (ისწავლება). პასიური მოქმედების ფორმები შეიძლება გამოიხატოს ამგვარადაც: *აშენებს კომპანია სახლს – სახლი შენდება კომპანიის მიერ.*

6. შარაშენიძე, 2010, გვ. 231

თავი 6: ემპირიული კვლევა და შემუშავებული სასწავლო მასალა

6.1 ემპირიული კვლევის საკითხის და სამიზნე ჯგუფის აღწერილობა

ენობრივი ფენომენების დიდაქტიზაციისთვის სგზ-დან შევარჩიე მეორეული სტატიკური განზომილებიანი ზმნების ერთი ქვეჯგუფი, კერძოდ, თვისების და შესაძლებლობის სემანტიკის მქონე ე.წ. ინიანი ვნებითი გვარის ზმნები (შდრ. თავი 3: მეორეული სგზ). ინიანი ვნებითი, ერთი მხრივ, წარმოადგენს მეორეული სგზ-ის წარმოების ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტულ მექანიზმს, რადგან ეს გრამატიკული ფორმა იძლევა სუბიექტის თვისების რეალიზების საშუალებას განზომილების კუთხით. მეორე მხრივ, ინიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავალფეროვანი სემანტიკის გამო, შემსწავლელებს უჭირთ მათი იდენტიფიცირება საჭიროებისამებრ და ადეკვატურად გამოყენება. გარდა ამისა, იმ სამიზნე ჯგუფისთვის, რომელთანაც ჩატარდა კვლევა, ეს ფენომენი გასაკუთრებით აქტუალურია: ეს არის ქართულ ენაში მომზადების საუნივერსიტეტო წინასაბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებმაც უნდა დაძლიონ ქართული ენა B2 დონეზე, რათა შეძლონ სწავლა საბაკალავრო საფეხურზე. შესაბამისად, ისინი უნდა გაეცნონ სამეცნიერო ენას, რომელშიც სტატიკური განზომილებიანი ზმნები და მათ შორის ინიანი ვნებითები შესაძლებლობა-თვისების სემანტიკით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ენის სხვა რეგისტრებში.

შესაბამისად, ემპირიული კვლევისთვის სტატისტიკური განზომილებიანი ზმნებიდან ამ მცირე ქვეჯგუფის შერჩევის საფუძველი გახდა, ერთი მხრივ, ამ ზმნების გამოყენების სიხშირე აკადემიური სტილის ტექსტებში და, მეორე მხრივ, მოცემული სამიზნე ჯგუფის საჭიროება.

კვლევის პირველ ეტაპზე, 2015 წლის გაზაფხულის სემესტრის დასასრულს, მასში მონაწილეობდა მოსამზადებელი საფეხურის მეორე სემესტრის 64 სტუდენტი, რომელთა უმეტესობაც იყო B1+ ან B2 დონეზე, სულ 6 ჯგუფი. აქედან, 1-ლი ჯგუფი A2/B1 დონეზე იყო, მე-6 ჯგუფი - B2 დონეზე. მონაწილეთა ჩართულობა არ იყო მაღალი (104-დან 68 სტუდენტი), რადგანაც მასალა შეტანილი იყო, როგორც არაკურიკულარული დამატებითი მასალა, თუმცა გარკვეულ მოტივაციას ქმნიდა ის გარემოება, რომ დამატებითი მასალა ემსახურებოდა გამოცდისთვის მზადებას.

დიდაქტიზებული მასალა გამოიცადა ორჯერ, 2015 და 2016 წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს, როდესაც ჯგუფების ენის ფლობის დონე აღემატებოდა B1-ს და უახლოვდებოდა B2-ს.

2015 წლის გაზაფხულის სემესტრში დიდაქტიზებული მასალა გამოიცადა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე მოხდა პილოტირება მოცემული კონტინგენტიდან საშუალო დონის ჯგუფში (მე-4 ჯგუფში), რათა მაქსიმალურად გამეთვალისწინებინა მოსალოდნელი ხარვეზები ყველა დანარჩენ ჯგუფში - ენის ფლობის შედარებით დაბალი და შედარებით მაღალი მაჩვენებლით.

მე-4 ჯგუფში მასალის პილოტირება მოიცავდა ოთხ აკადემიურ საათს, სხვა ჯგუფებში - ორ აკადემიურ საათს.

6.2 დიდაქტიკური პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა შემუშავებული სასწავლო მასალა

ემპირიული კვლევისათვის შემუშავებული მასალა ეყრდნობა გრამატიკის სწავლების თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც აღწერილია ქვეთავში 4.4 “გრამატიკის სწავლების პრინციპები კომუნიკაციური მიდგომით”. მასალის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ტექსტი, რომლის შინაარსსაც შემსწავლელი ეცნობა გლობალური და სელექციური გაგების ეტაპებად, ხოლო დეტალური გაგების ეტაპზე იწყება შინაარსის დამუშავება ლექსიკურ-გრამატიკული კუთხით.

შეიძლება, ერთი შეხედვით, მკაფიო ბმა გრამატიკული ფენომენის გაგებასა და 1-6 დავალებებს შორის არ ჩანდეს, მაგრამ ტექსტის შინაარსის გაგების გარეშე, გრამატიკულ ფენომენზე მუშაობა შეუძლებელია. შესაბამისად, მივყევით კლასიკურ მოდელს: შემზადება თემისთვის, ტექსტის გლობალური და სელექციური გაგება, ტექსტის დეტალური გაგების დონეზე გრამატიკული ფენომენის დამუშავება. შესაბამისად, გრამატიკული ფენომენი გამომდინარეობს ტექსტიდან, უფრო ზუსტად, ტექსტის შინაარსის უკეთ გაგების საჭიროებიდან. მასალის ბოლო დავალება ემსახურება შეძენილი ცოდნის გამოყენებას მსგავს, მაგრამ მოცემულისგან განსხვავებულ კონტექსტში.

საბოლოო ტრანსფერის დავალება აჩვენებს, რა შეუძლია რეალურად შემსწავლელს და რა ხარვეზებია გამოსასწორებელი მასალაში: რის დამატება ან გამოკლებაა საჭირო. ამის გამო ტრანსფერის დავალებამ რამდენჯერმე განიცადა ცვლილება პილოტირების შემდეგ მასალის სხვა დავალებებთან ერთად.

დიდაქტიზაციისთვის მოვიძიეთ აკადემიური სტილის ტექსტი, რომელშიც რამდენჯერმე გვხვდება ზემოთ ხსენებული მეორეული სტატიკური განზომილებიანი ზმნები თვისება-შესაძლებლობის შინაარსით და ონიანი

ვნებითის ფორმით. ტექსტი მოვიძიე ქართული ენის ეროვნული კორპუსის ქვეკორპუსში, კერძოდ, ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>), რადგან ეს უკანასკნელი მორფოლოგიური ანოტირების საშუალებით იძლევა შესაძლებლობას, მორფოლოგიური ფორმით ვეძიოთ ზმნები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვეძებდი *ი-...-ება* აფიქსების მქონე ზმნებს და შინაარსობრივად გამოცხრილვის შედეგად, შევარჩიე ნაწყვეტი სტატიიდან “ტერენტის ცაცხვი”, რომელიც მოცემულია ქართული პრესის ელექტრონულ არქივში:

<http://www.opentext.org.ge/index.php?m=33&y=2001&art=109>

სტატია ეხება ხელოვნებას, კერძოდ, პოეზიას და პროზაულ მწერლობას შეიძლება ჩაითვალოს დარგობრივ ტექსტად ლიტერატურათმცოდნეობის განხრით (ტექსტის შემოკლებული ვარიანტი დიდაქტიზებისთვის იხ. დანართში 9, დავალება 4).

როგორც ზემოთ ითქვა, სგზ უფრო ხშირად სამეცნიერო ან დარგობრივ ტექსტებში გვხვდება და ამგვარ ტექსტში სგზ სიმრავლე გამონაკლისს არ წარმოადგენს. ტექსტის შერჩევის აუცილებელი კრიტერიუმი იყო, ასევე, ტექსტის ადეკვატური სირთულე, ერთი მხრივ, სამიზნე ჯგუფის ენის ფლობის დონესთან შეფარდებით და, მეორე მხრივ, გრამატიკულ ფენომენტთან მიმართებით. შესაბამისად, შევარჩიე B2 დონის სათანადო ტექსტი იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც მოცემულია “ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების სტანდარტულ აღწერილობაში”⁵⁰, კერძოდ:

“შემსწავლელს შეუძლია იმ სტატიებისა და მოხსენებების გაგება, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან დგანან განსხვავებულ პოზიციაზე.”

⁵⁰ ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობა (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამა. 2014: B2 დონე, კითხვა. http://geofl.ge/#/page_doneebi

6.3 შემუშავებული მასალის აღწერა და ანალიზი

6.3.1 მასალის პირველი ვარიანტის აღწერა და პილოტირების შედეგების ანალიზი

კომუნიკაციურ და ქმედებაზე ორიენტირებულ პრინციპებზე დაყრდნობით მასალა შემდეგნაირად შევადგინე:

ცენტრალური ელემენტი შერჩეული ტექსტია და მისი გაგება გლობალურ, სელექციურ და დეტალურ დონეზე. დეტალური გაგების დონის დავალებებში ჩაშენებულია გრამატიკული ფენომენის იდენტიფიცირების დავალებები.

შემზადების ფაზაში მოცემულია დავალება მცირე ჯგუფებში დისკუსიისთვის (საპილოტე მასალის სრული ვერსია იხ. დანართში 9), რომლის მიზანია, ერთი მხრივ განვლილი თემის შეჯამება (პროგრამულად სტუდენტებს აქამდე გავლილი ჰქონდათ კულტურის თემა და განხილული ჰქონდათ განსხვავებული რაკურსით ხელოვნების სხვადასხვა დარგები) და არსებული ცოდნის გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მასალაში მოცემული ძირითადი ტექსტის თემატიკისთვის შემზადება:

1. შეადარეთ ერთმანეთს ხელოვნების სამი დარგი - მხატვრობა, მუსიკა, მწერლობა (პოეზია და პროზა). რა უპირატესობა ან ნაკლი აქვს თითოეულ დარგს სხვა დარგებთან შედარებით?

იმსჯელებთ მცირე ჯგუფებში და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება, ჩაინიშნეთ არგუმენტები:

მხატვრობა

მუსიკა

მწერლობა

საპილოტე ჯგუფში ამ დისკუსიამ ძალიან ფართო მასშტაბი მიიღო; ძალიან დიდხანს გაგრძელდა კამათი ცალკეულ საკითხებზე; ასე რომ, ძირითად მიზანს ავცდით (თემისთვის შემზადებას). არც ლაპარაკის უნარ-ჩვევის განვითარება იყო ამ დავალების მიზანი, ამიტომ პილოტირების შედეგად გადავწყვიტე დისკუსიის ელემენტის ამოღება და დავალების უფრო მეტად

მისადაგება დასახული მიზნისთვის შემდეგი ფორმით (მოდიფიცირებული მასალის სრული ვერსია იხ. დანართში 9):

1. შეადარეთ ერთმანეთს ხელოვნების სამი დარგი – მხატვრობა, მუსიკა, მწერლობა (პოეზია და პროზა). რა განსხვავებაა მათ შორის?

.....
.....

დავალებიდან ამოვიღე ჯგუფური მუშაობის ფორმა და დისკუსიის ელემენტი და შემოვიფარგლე ინდივიდუალური წერითი დავალებით, რის შემდეგაც თემისთვის შემზადების ფაზა ტექსტის ადეკვატური გახდა.

შემდეგი დავალება (2.ა) შეიცავდა ერთგვარ პრეტესტს, რადგან კვლევისთვის მჭირდებოდა წინარე ცოდნის დადგენა - რა შეუძლიათ სტუდენტებს ამ ეტაპზე, რომ ექსპერიმენტის შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო შედეგის გაზომვა, კერძოდ, რამდენად დაეხმარა მოცემული მასალა შემსწავლელს მეორეული სგზ-ის ფუნქციის გაგებასა და ათვისებაში.

2. ა. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

მუსიკა არ (ა) (თარგმნა), ის საყოველთაოა და გასაგები, როგორც მხატვრობა; ლირიკა კი მხოლოდ ერთ ენაზე (ბ) (წერა). სხვა ენაზე „გადაღებული“, საუკეთესო შემთხვევაში, ახალ ხიბლს იძენს. განა შესაძლებელია „სიჩაღზე-სიხაფეთანის“ (გ) (თარგმნა)? რა თქმა უნდა, ადეკვატური თარგმანი (დ) (მოძებნა), შეიძლება აზრობრივად კარგადაც (ე) (თარგმნა), მაგრამ ხიბლი (ვ) (დაკარგვა), იგი იძენს სხვა ელფერს, სხვა სიცოცხლეს. მთავარი სხვაა: ყოველი პოეტის შემოქმედება ნაყოფია არა მხოლოდ თავისი დროისა, არამედ, უპირველესად - მშობლიური ენობრივი გარემოსი.

ბ. ეთანხმებით თუ არა ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებებს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება დამადასტურებელი ან საწინააღმდეგოს დამასაბუთებელი მაგალითით.

საპილოტე ჯგუფში 2.ა. დავალების შესრულებისას თავი იჩინა შინაარსობრივმა შეკითხვებმა და კომენტარებმა სტუდენტების მხრიდან. შესაბამისად, რადგან ეს “პრეტესტი” სასწავლო მასალაში ჩაშენებულია, მიზანშეწონილად ჩავთვალე, მივყვე კომუნიკაციური დიდაქტიკისა და ტექსტის კითხვა-გაგების პროცესზე მუშაობის პრინციპებს და “პრეტესტამდე” ჩავაშენე სელექციური გაგების დავალება. გლობალური გაგების დავალება ზედმეტად ჩავთვალე, რადგან ტექსტის თემატიკის გასაცნობად და შესაბამისად, გლობალური გაგების გასამარტივებლად პირველი დავალებაც საკმარისია. ის, რომ ტექსტი

ხელოვნების დარგებზე იქნება, ამის მოლოდინი შემსწავლელს პირველივე დავალებიდან უჩნდება.

ბ დავალებამ საპილოტე ჯგუფში ასევე დიდი დისკუსია გამოიწვია და დიდი დრო წაიღო, რაც საბოლოო მიზნისთვის არარელევანტური იყო, ამიტომ ის საერთოდ ამოვიღე.

მოდულიცირებულმა დავალებამ შემდეგი სახე მიიღო:

2. ა. წაკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ, რომელია ავტორის სათქმელი:

მუსიკა და მხატვრობა ინტერნაციონალურია და ყველასთვის გასაგები.	
პოეზიის სრულყოფილად თარგმნა შესაძლებელია.	
პოეტს შეუძლია ნებისმიერ ენაზე წეროს გენიალური ლექსები.	
პოეტის შემოქმედება არის მისი მშობლიური ენობრივი გარემოს ნაყოფი.	

მუსიკა არ (ა) (თარგმნა), ის საყოველთაოა და გასაგები, როგორც მხატვრობა; ლირიკა კი მხოლოდ ერთ ენაზე (ბ) (წერა). სხვა ენაზე „გადაღებული“, საუკეთესო შემთხვევაში, ახალ ხიბლს იძენს. განა შესაძლებელია „სიჩაღბე-სიხაფეთანის“ (გ) (თარგმნა)? რა თქმა უნდა, ადეკვატური თარგმანი (დ) (მოძებნა), შეიძლება აზრობრივად კარგადაც (ე) (თარგმნა), მაგრამ ხიბლი (ვ) (დაკარგვა), იგი იძენს სხვა ელფერს, სხვა სიცოცხლეს. მთავარი სხვაა: ყოველი პოეტის შემოქმედება ნაყოფია არა მხოლოდ თავისი დროისა, არამედ, უპირველესად – მშობლიური ენობრივი გარემოსი.

ბ. შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები ზმნების სწორი ფორმებით.

2.ა დავალება ემსახურება ტექსტის შინაარსის გაცნობას და ცალკეული ინფორმაციის ამოკრეფას სელექციური გაგების ტექნიკით, ხოლო საკუთრივ “პრეტესტმა” გადაინაცვლა მეორე ადგილზე 2.ბ დავალების სახით.

მიუხედავად იმისა, რომ შემსწავლელებს გავაცანი ამ პრეტესტისა და კვლევის დანიშნულება, ცალკეულ შემთხვევებში შემსწავლელები მაინც ცდილობდნენ ერთმანეთისგან ან შემდეგ დავალებაში მოცემული ტექსტიდან გადაეწერათ 2.ბ დავალებაში ჩასასმელი ფორმები ან მასალის დასრულების შემდეგ მიუბრუნდნენ და გადააკეთეს შეცდომები, შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში ადეკვატური სურათი არ გვაქვს, თუმცა უმეტესობა მაინც კეთილსინდისიერად

მიუდგა საკითხს და საბოლოო ჯამში მეტ-ნაკლებად რეალისტური მონაცემები გვაქვს.

საპილოტე ვარიანტში მესამე დავალებას ჰქონდა ძირითადი ტექსტის შინაარსისთვის შემზადების ფუნქცია, კერძოდ, საკამათო საკითხისთვის პირადი გამოცდილების საშუალებით შემზადება:

3. გქონათ თუ არა შემთხვევა, როცა ვერ გამოთქამდით ან ვერ ასაბუთებდით საკუთარ შეხედულებას ენობრივი ბარიერის გამო? გაიხსენეთ, რაში გამოინატებოდა სირთულე და მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითი:

.....
.....
.....
.....
.....

თუმცა წინა დავალებების მსგავსად, დისკუსიამ ამ საკითხზე შორს წაიყვანა ჯგუფი და ძირითად მიზანს ისევ გადავუხვიეთ. ამიტომ მოდიფიცირებულ ვარიანტში ეს დავალება საერთოდ ამოვიღე.

შემდეგი დავალება უშუალოდ ტექსტის წაკითხვა-გაგებას უკავშირდება. პირველ ვარიანტში აქ იყო როგორც გლობალური გაგების, ასევე სელექციური გაგების შეკითხვები თავმოყრილი:

4. ა. გადავლეთ თვალი ტექსტს და განსაზღვრეთ, ხელოვნების რომელ დარგს ეხება სტატია?

.....

ბ. წაიკითხეთ ტექსტი და იპოვეთ აბზაცი, რომელშიც:

ავტორი სვამს პრობლემურ კითხვას (მიუთითეთ აბზაცის ნომერი):

.....

ავტორი პასუხობს დასმულ კითხვაზე (მიუთითეთ აბზაცის ნომერი):

.....

პილოტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ გლობალური გაგების შეკითხვა დავალებასი 4.ა მეტისმეტად ადვილი აღმოჩნდა. ამიტომ ეს შეკითხვა ზედმეტად მივიჩნიე და ამოვიღე.

დავტოვე შეკითხვები ტექსტის სელექციური გაგებისთვის, სადაც საჭიროა საკამათო საკითხის იდენტიფიცირება და ავტორის პოზიციის გარკვევა. ტექსტის სირთულიდან გამომდინარე, ეს დავალება არც ისე იოლია, როგორც

ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და თითქმის ყველა ჯგუფში რთულად შესასრულებელი აღმოჩნდა:

3. გადაავლეთ თვალი ტექსტს და იპოვეთ აზნაცი, რომელშიც:

ა. ავტორი სვამს პრობლემურ კითხვას (მიუთითეთ აზნაცის ნომერი):

.....

ბ. ავტორი პასუხობს დასმულ კითხვაზე (მიუთითეთ აზნაცის ნომერი):

.....

მოდინიცირებული ვარიანტის ეს ორი შეკითხვა შეიძლება ჩაითვალოს გლობალური გაგების დავალებადაც, რადგან აქ მხოლოდ აზნაცის ნომერია მოსამებნი ისე, რომ სტატიაში დასმული პრობლემული შეკითხვისა და პასუხის ფორმულირება ჯერ არ მოეთხოვება შემსწავლელს. შესაბამისად, შემსწავლელი ტექსტის გადახედვით უნდა გაეცნოს სტატიის სტრუქტურულ ელემენტებს: პრობლემის წამოჭრა და გადაწყვეტა.

საპილოტე მასალაში შემდეგი დავალება ემსახურება მთავარი საკითხის დაკონკრეტებას, რადგან ის ასე ექსპლიციტურად არ არის მოცემული ტექსტში და მისი გადმოცემა გარკვეულ ენობრივ სირთულეებთან არის დაკავშირებული:

5. გადმოცეით ერთი წინადადებით, რაში მდგომარეობს საკამათო საკითხი?

.....
.....

პილოტირებამ გვიჩვენა, რომ ყველა სტუდენტს გაუჭირდა პრობლემური შეკითხვის მართებულად იდენტიფიცირება, რაც უფრო მეტად კოგნიტურ, ვიდრე ენობრივ პრობლემას უკავშირდება: მოცემულ სამიზნე ჯგუფში საკმაოდ დაბალია ზოგადი უნარ-ჩვევები, ეს შემსწავლელები არც მშობლიურ ენაზე არ არიან მიჩვეულნი ტექსტების ამგვარად დამუშავებას, შესაბამისად, სამიზნე ჯგუფის საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალე, დავალება უფრო მართული ყოფილიყო და საპილოტე ვერსიის მე-5

დავალების მაგივრად მოდიფიცირებულ ვარიანტში შევიმუშავება დავალება 4 შემდეგი სახით:

4. ა. რაში მდგომარეობს საკამათო კითხვა? დაასრულეთ წინადადება:

იქნებოდა თუ არა ნიკოლოზ ბარათაშვილი ისეთივე დიდი შემოქმედი,

.....

ბ. როგორ პასუხობს ავტორი ამ შეკითხვას?

.....

პილოტირებისას საპილოტე ვერსიის 4.ბ დავალების შესრულების შედეგად აღმოვაჩინე, რომ შემსწავლელებს შესაბამისი აზრების ნომრის პოვნაც უჭირთ და შინაარსის გადმოცემაც (პრობლემური საკითხი და პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტა). აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე მოდიფიცირებულ ვერსიაში დამემატებინა დავალება, რომელშიც საჭიროა ავტორის პოზიციის ფორმულირება (“როგორ პასუხობს ავტორი ამ შეკითხვას?"). მით უმეტეს, რომ B2 დონის ძირითად განმასხვავებელ საკვანძო პუნქტს კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებაში სწორედ ავტორის ან ავტორების პოზიციის ამოკითხვა წარმოადგენს (იხ. ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობა, B2 დონე, კითხვა: <http://geofl.ge/#!/page doneebi>).

შემდეგი დავალება საპილოტე ვერსიაში ემსახურება სტატიის ძირითადი ნაწილის სტრუქტურის და შინაარსის ძირითადი ასპექტების იდენტიფიცირებას სელექციური გაგებით, კერძოდ, იმის განსაზღვრას, თუ როგორ ასახუთებს ავტორის თავის პოზიციას დასმულ საკითხთან დაკავშირებით:

6. რა არგუმენტები მოჰყავს სტატიის ავტორს საკუთარი აზრის დასასაბუთებლად? იმუშავეთ მცირე ჯგუფებში და ჩამოაყალიბეთ არგუმენტები:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

პილოტირებამ აჩვენა, რომ შემსწავლელებს უჭირთ არგუმენტის მოძიება ტექსტში, ამიტომ დავალება გავამარტივე და უფრო მართული ტიპის დავალებად გადავაკეთე: არგუმენტის სახით ორი მაგალითის მოძიება შევთავაზე მოდიფიცირებულ ვარიანტში:

5. რა არგუმენტები მოჰყავს სტატიის ავტორს, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად? იმუშავეთ მცირე ჯგუფებში და მოიყენეთ მინიმუმ ორი მაგალითი ტექსტიდან არგუმენტის სახით:

1.

.....

.....

.....

2.

.....

.....

.....

შემდეგი დავალება (ნომერი 7 საპილოტე ვერსიაში და ნომერი 6 მოდიფიცირებულ ვერსიაში) უცვლელად დავტოვე, რადგან ის შესაფერისია ტექსტის სელექციური გაგებისთვის და კარგი საწინააღმდეგო არგუმენტია, რომელსაც ლოგიკური ახსნაც მოეპოვება, რაზედაც ზეპირად ვამსჯელებდი სტუდენტებს დავალების პასუხების შეჯამების დროს:

6. ტექსტში ნახსენები პოეტებიდან რომელი წარმოადგენს გამონაკლისს სხვებისგან და რატომ?

.....
.....

საპილოტე ვერსიის მე-8 დავალება ეხებოდა ტექსტის დეტალურად გაგებას ლექსიკურ დონეზე:

8. იპოვეთ ტექსტში სიტყვა პოეტის ორი სინონიმი:

.....
.....

ეს დავალება ამოვიღე მოდიფიცირებული ვერსიიდან, რადგან მასალის საბოლოო მიზანი გრამატიკული ფენომენის გაგებაა ტექსტის დეტალური გაგების დონეზე, ხოლო ეს კონკრეტული ლექსიკური ერთეული (პოეტი, აშული, რაფსოდი) არარელევანტურია მოცემული მიზნიდან გამომდინარე. ანუ, მისი ვერგაგება არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი გრამატიკული ფენომენის გაგებისთვის, რასაც ვერ ვიტყვით ტექსტის გლობალური და სელექციური გაგების დავალებებზე.

ტექსტის შინაარსის სელექციურ დონეზე დამუშავების შემდეგ გადავდივარ ტექსტის დეტალური გაგების დონეზე, კერძოდ, ცალკეული გრამატიკული ფენომენების აღმოჩენაზე.

გრამატიკული დავალებების შემუშავებისას მივყვები გრამატიკის აღმოჩენით სწავლების სამეტაპიან მოდელს:

- მსგავსი ფორმების შეგროვება-იდენტიფიცირება;
- ფენომენების დაჯგუფება;
- წესის გამოყვანა.

ეს სამი ფაზა მოცემულ მასალაში 6 ქვედავალების საშუალებით არის განხორციელებული.

საპილოტე ვერსიაში ეს დავალება ასეთი სახით იყო მოცემული:

9. წაიკითხეთ მესამე აბზაცი და შეადარეთ იგი თქვენ მიერ შესრულებულ დავალებას 2.ა:

ა. რა არის საერთო ამ დავალებაში მონიშნული ზმნების ფორმებს შორის?

.....

ბ. რა ტიპის ზმნებია ისინი?

.....

გ. იპოვეთ ტექსტში პერიფრაზი გამონათქვამისთვის - *შესაძლებელია თარგმნა?*

.....

დ. გაუკეთეთ პერიფრაზირება ფორმებს: *იწერება, მოიძებნება, ითარგმნება:*

.....

.....

.....

ე. რა არის შინაარსობრივად საერთო ამ ზმნებისთვის?

.....

ვ. შეავსეთ წესი:

შესაძლებელია/ (შეუძლებელია) + საწყისი = (არ) - ზმნის ძირი - ...

აქედან, *ა* და *ბ* დავალება ემსახურება გრამატიკული ფენომენის იდენტიფიცირებას; *ბ* დავალება ამავდროულად ითავსებს გრამატიკული ფენომენის დაჯგუფების ფუნქციას, თუმცა აქ უნდა განისაზღვროს, რომ ეს არის პირველადი დაჯგუფება, ანუ, პასიური, ე.წ. ვნებითი გვარის ზმნების ფორმის იდენტიფიცირება, რაც არ არის საკმარისი ამ გრამატიკული ფენომენის სრულყოფილი იდენტიფიკაციისთვის. მხოლოდ ტრადიციული ვნებითი გვარის იდენტიფიცირება, სამწუხაროდ, დამაბნეველია შემსწავლელისთვის, რადგან მოცემული ზმნები სწორებად რომ არ გამოიყენება უნივერსალური პასივის ფუნქციით და აქ დგება ამ ფორმაში გაერთიანებული სხვადასხვა სემანტიკის მქონე ზმნების გამიჯვნის პრობლემა. ამიტომ, *ბ* დავალებაში

ტრადიციული დაჯგუფების საშუალებით ხდება შემსწავლელის წინარე ცოდნის იდენტიფიცირება იმისთვის, რომ დაჯგუფების უკეთესი გზა ვაჩვენოთ.

გ და დ დავალებები, ერთი მხრივ, გრამატიკული ფენომენის იდენტიფიცირების პროცესის გაგრძელებაა, ხოლო, მეორე მხრივ, - ახლებური დაჯგუფებისთვის მომზადება; დ დავალება შემზადებას წარმოადგენს ე დავალებაში ზმნების შინაარსობრივი დაჯგუფებისთვის. ანუ, გ დავალებიდან გამომდინარე, შემსწავლელი ხვდება, რომ დ დავალებაში წარმოდგენილი ზმნების შინაარსი უკავშირდება მოქმედების შესაძლებლობას და არა იმ პასივს, რომელიც ნასწავლი აქვთ ვნებითი გვარის ზმნების შემთხვევაში: *შესაძლებელია (და)წერა, შესაძლებელია თარგმნა*. ახლებური დაჯგუფების შედეგად (მოცემულ ზმნებს აერთიანებს შესაძლებლობის გამოხატვა), შემსწავლელს საშუალება აქვს, გამოიყვანოს წესი ვ დავალებაში.

პილოტირების შედეგად ქვედავალებების რაოდენობა არ შეცვლილა, თუმცა საჭირო გახდა ცალკეული დეტალების მოდიფიცირება, კერძოდ:

საპილოტე ვერსიაში 9.ა დავალების შესრულებისას შემსწავლელები აკვირდებოდნენ 2.ა დავალებაში მათ მიერვე ჩაწერილ ზმნებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არასწორად ეწერათ და იქვე იწყებდნენ მათ შესწორებას, რაც არ იყო ჩემი მიზანი - 2.ა დავალება იყო არსებული ცოდნის წინასწარ დადგენის, ანუ პრეტესტის ფუნქციის მქონე, და მომიხდა შემსწავლელთა შეჩერება, რომ არაფერი გადაეკეთებინათ ამ დავალებაში. გარდა ამისა, შეკითხვაზე, თუ რა საერთო აქვს ამ ზმნებს, პასუხები იყო ძალიან მრავალფეროვანი: *ზოგი შინაარსობრივი კუთხით განიხილავდა ამ ზმნებს (სუბიექტი არ ჩანს, სალიტერატურო სიტყვებია, ავტორი არ ჰყავს, არ ვიცით, ვინ ამბობს, უპირო ზმნებია)*, *ზოგი - ფორმის კუთხით (-ება ან ი-...-ება)*, *ზოგიც, უბრალოდ, აფიქსირებდა, რომ ეს პასიური/ვნებითი გვარის ზმნებია*. ამიტომ გადავწყვიტე, დავალება უფრო ორგანიზებული და მართული ყოფილიყო; შესაბამისად, ჯერ ტექსტში შემოეხაზათ შემსწავლელებს მე-2 დავალებაში გამოტოვებული

ფორმები, ხოლო შემდეგ ცალ-ცალკე განეხილათ როგორც ფორმის, ასევე შინაარსის კუთხით. ორსავე შემთხვევაში წინარე ცოდნის იდენტიფიცირებას ვახდენთ: იმას, რომ ეს ზმნები ფორმით *ი-...-ება* ყალიბს ავლენს, ხოლო შინაარსით (შემსწავლელის მიერ მანამდე ნასწავლი ტრადიციული გრამატიკის მიხედვით) ვნებით, ანუ პასივის გამომხატველია. მოდიფიცირებულმა ა დავალებამ შემდეგი სახე მიიღო:

7. ა. დააკვირდით ტექსტის მესამე აზნაცს და შემოხაზეთ ტექსტში ის ზმნები, რომლებიც გამოტოვებული იყო მე-2 დავალების ტექსტში; რა აქვს საერთო ამ ზმნებს (i) ფორმის და (ii) შინაარსის მხრივ?

(i)

(ii)

ბ. იცნობთ ასეთ ზმნებს? რა ტიპის ზმნებია ისინი?

.....

ბ დავალებას ადრეული კლასიფიცირების დაფიქსირების ფუნქცია ჰქონდა (ე.წ. რნიანი ვნებითი ან პასიური მოქმედების გამოხატვა) და იგი უცვლელად გადავიდა მოდიფიცირებულ ვერსიაში, რადგანაც ამ გრაფაში გამოკვეთილად ჩანდა ყველა შემსწავლელის წინარე ცოდნა: კერძოდ, ამ ჯგუფს სახელმძღვანელოდან (“სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის”, ნ. შარაშენიძე: 2010) ნასწავლი ჰქონდა პასიური და აქტიური ზმნების გარჩევა და შემსწავლელთა უმეტესობამ მოცემულ ზმნებში ადვილად შეძლო ე.წ. პასიური ზმნების იდენტიფიცირება.

გ დავალებამ დაბნეულობა გამოიწვია - შემსწავლელები ეძებდნენ ტექსტში ანალოგიურ ფრაზას. ამიტომ დამატებითი მინიშნება მივეცი შემსწავლელებს მოდიფიცირებულ ვერსიაში, რომ მხოლოდ ერთი სიტყვა ეპოვათ:

გ. იპოვეთ ტექსტში ერთი სიტყვა, რომელიც ნიშნავს იგივეს, რასაც ფრაზა -
შესაძლებელია თარგმნა

.....

დ დავალების მხრივ პრობლემა არ დაფიქსირებულა შემსწავლელებთან, ამიტომ უცვლელად გადავიტანე მოდიფიცირებულ ვერსიაში.

ე და ვ დავალებებს შევუნაცვლე თანამიმდევრობა ახალ ვერსიაში, რადგან საპილოტე ჯგუფს გაუჭირდა არსებული კლასიფიკაციის (კერძოდ, პასიური მოქმედების სემანტიკის) გადააზრება და ახალი სემანტიკური ჯგუფის (შესაძლებლობა-თვისების გამოხატვა) იდენტიფიცირება ამ ეტაპზე. ამიტომ ვამჯობინე შემსწავლელისთვის ჯერ წესის გამოყვანის დავალების გაკეთებინება, ხოლო შემდგომ ეტაპზე - ახალი შინაარსობრივი ჯგუფის იდენტიფიცირებამდე მიყვანა.

შესაბამისად, ფორმალური წესის გამოყვანის დავალებამ გადაინაცვლა ბოლოსწინა ადგილზე, ხოლო ახალი სემანტიკური ქვეჯგუფის გამოკვეთის დავალებამ - ბოლო ადგილზე:

ე. შეავსეთ წესი:

შესაძლებელია + საწყისი / მასდარი = - ზმნის ძირი - ...

შეუძლებელია + საწყისი / მასდარი = არ - ზმნის ძირი - ...

ე. რა არის შინაარსობრივად საერთო ზემოთ მოცემული ზმნებისთვის?

გარდა ამისა, ვ დავალება განვაგრძე და ჩავრთე უარყოფითი ფორმებიც, რადგან ტექსტში ასეთი ფორმებიც გვხვდება და, რაც მთავარია, ძალიან ხშირია შესაძლებლობის მნიშვნელობით მეორეული სგზ-ის გამოყენება არ ნაწილაკით: არ ითარგმნება, არ იწერება, არ იღება და ა.შ.

მოცემულ მასალაში ბოლო დავალების მიზანია შეძენილი ცოდნის ტრანსფერი. ამ მიზნით შევარჩიე ოთხი წინადადება პარაფრაზისთვის. საპილოტე ვერსიაში ეს იყო მე-10 დავალება:

10. თქვენ მიერ გამოყვანილი წესის მიხედვით გადააკეთეთ და დაასრულეთ წინადადებები:

- ა. ამ კარის დახურვა შესაძლებელია მჭიდროდ - ეს კარი მჭიდროდ
- ბ. ამ ასოს დაწერა ასე შეუძლებელია - ეს ასო ასე არ.....
- გ. მუყაოს ქაღალდის დაკუჭვა ძნელია - მუყაოს ქაღალდი ძნელად
- დ. ამ მცენარის გაზრდა აფრიკაში შეუძლებელია

დავალების შესრულებისას აღმოჩნდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში გვაქვს განსხვავებული წარმოება, რის გამოც შემსწავლელებმა არასწორი ფორმები ჩაწერეს ა და გ წინადადებებში (**იკუჭვება*, **იხურვება*, **იდახურვება*, **დაიკუჭნება*, **იდაკუჭვება*). ამ ჯგუფში 17-დან მხოლოდ 4 ნაწერი იყო სწორი, 4-ში იყო თითო შეცდომა, ხოლო დანარჩენი არასწორი ფორმების წარმოების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ამის გამო მოდიფიცირებულ ვერსიაში ჩავამატე დამატებითი მითითება სიტყვათწარმოებისთვის:

8. თქვენ მიერ გამოყვანილი წესის მიხედვით გადააკეთეთ და დაასრულეთ წინადადებები:

! ზმნის ძირი: აკლდება მასდარის დაბოლოება -ა/-ვა.

- ა. ამ ასოს დაწერა ასე შეუძლებელია - ეს ასო ასე არ.....
- ბ. ამ კარის დახურვა შესაძლებელია მჭიდროდ - ეს კარი მჭიდროდ
- გ. მუყაოს ქაღალდის დაკეცვა ძნელია - მუყაოს ქაღალდი ძნელად
- დ. ამ მცენარის გაზრდა აფრიკაში შეუძლებელია

რადგან ბოლო დავალება ნახევრად მართული დავალება იყო და მხოლოდ ფორმულის მიხედვით წესის წარმოებას ავარჯიშებდა და წესის გაგება-ვერგაგებას ადასტურებდა, ხელმძღვანელის რჩევით, ტრანსფერის ფაზისთვის დავამატე ღია ტიპის დავალება, რომელიც, შინაარსიდან გამომდინარე, ითხოვს ასეთი ტიპის ზმნების გამოყენებას. სულ მცირე, ზმნა “ითარგმნება” უნდა იყოს გამოყენებული ნაწერში, იმის მიუხედავად, ა თუ ბ ვარიანტს აირჩევს შემსწავლელი.

9. აირჩიეთ მოსაზრება, რომელისაც ეთანხმებით და დაასაბუთეთ არგუმენტებით თქვენი აზრი (დაწერეთ დაახლ. 50-70 სიტყვის მოცულობის ტექსტი):

ა. პოეზია არ ითარგმნება, ის ერთ ენაზე იწერება.

ბ. დიდი პოეტი ნებისმიერ ენაზე დიდ პოეტად რჩება, პოეზია თავისუფლად ითარგმნება სხვადასხვა ენაზე.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

საპილოტე ვერსიაში საპილოტე ჯგუფის 17-დან მხოლოდ 8 სტუდენტმა გაიგო ამგვარი ზმნების წარმოების პრინციპი, კერძოდ, მე-10 (მოდიფიცირებულ ვერსიაში მე-8) დავალებაში 4 სწორი პასუხია, ხოლო 4 - მეტ-ნაკლებად სწორი, რადგან სახელზმნისეული გ- აფიქსი შეინიშნება ზმნების ფორმებში, თუმცა წარმოების პრინციპი ამ გამონაკლისის გარდა სწორად არის გაგებული. შედეგად, ჯგუფის 47%-მა აჩვენა ეფექტური შედეგი.

6.3.2 მასალის მოდიფიცირებული ვარიანტის პილოტირების შედეგების ანალიზი

მოდიფიცირებული ვარიანტის შედეგებიდან განვიხილავ მხოლოდ გრამატიკული დავალებების შედეგებს, რადგან კვლევის ძირითად მიზანს შესაძლებლობისა და თვისების გამომხატველი მეორეული სგზ-ის შინაარსობრივი სწავლება წარმოადგენს.

მოდიფიცირების შედეგად 7.ა დავალების შესრულებისას შემსწავლელებს საშუალება ჰქონდათ, კარგად გაემიჯნათ ერთმანეთისგან ფორმა და შინაარსი და უფრო სისტემური იდენტიფიცირება მოეხდინათ ფორმის მხრივ საერთო მარკერებით, შინაარსის მხრივ კი - საერთო ნიშნით. ამ მხრივ უფრო ხშირად

მოხდა ფორმის სრულად იდენტიფიცირება *ი-...-ება* პრეფიქსისა და აფიქსის ჩათვლით, საპილოტე ჯგუფისგან განსხვავებით, სადაც ხშირი იყო ამ დავალებაში მხოლოდ *-ება* დაბოლოების მითითება.

შინაარსობრივად უფრო ხშირია მითითება: *პასიური ზმნებია, სუბიექტი არა აქვს*. შესაბამისად, პირველ დავალებაშივე (7a (i) და (ii)) შესაძლებელი იყო ამ ზმნებში წინარე ცოდნის დადგენა ორივე საერთო ნიშნის (ფორმა და შინაარსი) მხრივ.

დანარჩენ პუნქტებში აღარანაირი ხარვეზი აღარ შეინიშნება, შემსწავლელები მარტივად მიდიან წესის აღმოჩენამდე. ამას აჩვენებს, როგორც ენობრივად ყველაზე მაღალი (ჯგ.6), ასევე ყველაზე დაბალი ჯგუფის (ჯგ.1) ნაწერები. ერთადერთი პრობლემა აღმოჩნდა ტერმინი “პარაფრაზირება”, რომელიც დარჩენილი იყო მხოლოდ ერთ დავალებაში (დ), საპილოტე ვერსიისგან განსხვავებით (გ, დ) და რომლის გამოც პირობის დამატებით ახსნა გახდა საჭირო.

წესის გამოყენებისა და გავარჯიშების დავალებაშიც (8) შეცდომები თითქმის არ აღინიშნება, უმრავლესობას სწორად აქვს ჩასმული ზმნის ფორმები.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზმნისწინზე, რომელსაც ასევე არაერთგვაროვნად იყენებდა საპილოტე ჯგუფი, ზეპირად გავამახვილებინე ყურადღება შემსწავლელებს ყველა ჯგუფში, რის გამოც ეს პრობლემა მასალის გამოცდის 2015 წლის ეტაპზე არ წამოჭრილა.

საბოლოო ჯამში, შემსწავლელთა 76%-მა აჩვენა დადებითი შედეგი ამ დავალებაში. აქედან 31%-ში შეინიშნება მაინც სახელზმნისებული *ჟ* აფიქსის გამოყენება ზმნაში, რაც წარმოების ზოგად წესს არ არღვევს და გამონაკლისს წარმოადგენს (**იკეცება*⁵¹, **იხურება*), ამიტომ მას განვიხილავ დადებით შედეგად.

⁵¹ -ვ აფიქსის გამოყენებით ყველაზე ხშირი შეცდომა არის **იკეცება*, გვხვდება ასევე: *იხურება*, *იკეცვა*, *იკეცება*, და *იკეცვა*. ნაწერების შედეგებში, რომლებშიც მხოლოდ ერთი ასეთი ზმნა იყო შეცდომით და ყველა დანარჩენი სწორად იყო ნაწარმოები, დადებითად განვიხილავ.

ცხრილი 7: მე-8 დავალების შესრულების სისწორე 2015 წელს:

ჯგუფი 6: 13-დან 11 ნაწერი სწორია - 90%;

(აქედან 3 ნაწერი -ვ აფიქსიანია, 23%);

ჯგუფი 5: 11-დან 9 ნაწერი სწორია - 81%

(აქედან 7 ნაწერი -ვ აფიქსიანია, 63%);

ჯგუფი 3: 11-დან 6 ნაწერი სწორია - 54%

(აქედან 2 ნაწერი -ვ აფიქსიანია, 18%);

ჯგუფი 2: 5-დან 5 ნაწერი სწორია - 100%

(აქედან 2 ნაწერი -ვ აფიქსიანია, 40%);

ჯგუფი 1: 7-დან 4 ნაწერი სწორია - 57%

(აქედან 1 ნაწერი -ვ აფიქსიანია, 14%).

საერთო დადებითი შედეგი - სულ 76%,

აქედან 31,6 % წარმოება -ვ აფიქსით.

მასალის ბოლო - მე-11 დავალებაში, რომელიც ტრანსფერის, ანუ ათვისებული მასალის მსგავს, მაგრამ ნასწავლისგან განსხვავებულ ენობრივ სიტუაციაში გამოყენების ფაზას განეკუთვნება, თითქმის ყველა სტუდენტმა გამოიყენა მინიმუმ ერთი შესაძლებლობის გამომხატველი ზმნა სწორი ფორმით, თუმცა, სავარაუდოდ, ზმნის ფორმის შერჩევასა და სისწორეს დიდწილად განაპირობებდა მოცემული თემატიკა, რომელიც არ სცილდებოდა მასალის ცენტრალური ტექსტის ფრაზებს: *ითარგმნება/ არ ითარგმნება, იწერება/არ იწერება, იკარგება (ხიბლი).*

მოცემული ფრაზები კონტექსტიდან არის ნასწავლი და ჩემი მიზანიც ის იყო, რომ გრამატიკული ფენომენები კონტექსტიდან გამომდინარე მიმეწოდებინა შემსწავლელისთვის, მაგრამ ტრანსფერის ფაზა გულისხმობს ენობრივი ფენომენის არა დაზეპირებული ფრაზების მეშვეობით, არამედ

დამოუკიდებლად გამოყენებას და გრამატიკული ფენომენის შემთხვევაში, ათვისებული წესის მიხედვით ანალოგიური ფორმების დამოუკიდებლად წარმოებას. შეძენილი ცოდნის ასეთი სრულყოფილი ტრანსფერის განხორციელება შემუშავებული მასალის ამ ბოლო დავალებით, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რადგან ამ დავალებაში შემსწავლელს არ მიეცა საშუალება, გამოეხატა ზოგადად შესაძლებლობა-თვისება და ეწარმოებინა ზმნების შესაბამისი ფორმები პოეზიისა და თარგმნის თემატიკის მიღმა. ამ დავალებაში იმის ალბათობა, რომ შემსწავლელები ტექსტიდან დამახსოვრებულ მზა ფრაზებს გამოიყენებენ არა თავიანთ მიერ წარმოებულ ფორმებს, დიდია, რაც მასალის ჩატარების შედეგებმაც ცხადყო, თუმცა, როგორც აღვნიშნე, არც ეს არის ცუდი შედეგი - შემსწავლელებს გააზრებული აქვთ, რატომ იყენებენ და რა ფორმისა და შინაარსის ზმნებს იყენებენ მოცემულ კონტექსტში.

ამდენად, ჰიპოთეზა, რომ რეალური ტრანსფერი სხვა თემატიკის ტექსტების შემთხვევაში ვერ მოხერხდა მასალის ბოლო დავალებით, გამართლდა საბოლოო ტესტის შედეგებით. საბოლოო გამოცდაზე მოცემული იყო ტექსტი გამოტოვებული ადგილებით (იხ. დანართი 11), რომლებშიც ცალკეულ ზმნებს სწორედ შესაძლებლობის გამოხატვის სემანტიკა აქვს და ისინი *ი-...-ება* ფორმით უნდა ჩაესვათ შემსწავლელებს. ტესტში დაბალი შედეგები რამდენიმე ასპექტით განისაზღვრება, ამიტომ განვიხილავთ თავად ტესტს.

6.3.3 საბოლოო გამოცდის ტესტის პირველი ვერსიის აღწერა (2015 წლის გაზაფხულის სემესტრი) და პილოტირების შედეგების ანალიზი

მოცემული გრამატიკული ფენომენის ტრანსფერისთვის საბოლოო გამოცდაზე სტუდენტებს მიეცათ ტექსტი გამოტოვებული სიტყვებით, რომლის მოცულობაც 1,5 გვერდს შეადგენდა (იხ. დანართი 11). მასში გამოტოვებული იყო 12 სიტყვა: აქედან სამი კავშირი, ერთი ზედსართავი სახელი და რვა ზმნა (იხ. ცხრილი 8):

ცხრილი 8: 2015 წლის ტესტში ჩასასმელი სიტყვების სია

ტესტის ვარიანტი I	ტესტის ვარიანტი II
<p>ზმნიზედა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მეშვეობით <p>კავშირები:</p> <ol style="list-style-type: none"> 2. თუ 3. როგორიცაა <p>ზედსართავი:</p> <ol style="list-style-type: none"> 4. უდიდეს <p>ზმნები:</p> <ol style="list-style-type: none"> 5. იწერება 6. მიაჩნია 7. თქვას 8. მიმაჩნდა 9. იწვევდა 10. შეუჩერებია 11. აღინიშნება 12. წარმართება 	<p>კავშირები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თუ 2. რაც 3. რომ <p>ზედსართავი:</p> <ol style="list-style-type: none"> 4. უდიდეს <p>ზმნები:</p> <ol style="list-style-type: none"> 5. იწერება 6. აღიქვამს 7. გაუზიაროს 8. განსხვავდება 9. იწყება 10. ექნება 11. მოიძებნება 12. გადმოსცემს

სამწუხაროდ, უმრავლესობამ ვერ გაართვა თავი ტესტურ დავალებას. მიზეზი საძიებელია რამდენიმე მიმართულებით:

- მასალის დამუშავებისას არ იყო საკმარისი დრო ვარჯიშის ფაზისთვის (საშუალოდ 2-3 აკადემიური საათი);
- ვინაიდან შემსწავლელებმა იცოდნენ, რომ დამატებითი მასალა ემსახურებოდა გამოცდისთვის მომზადებას (ეს იყო ერთადერთი მოტივაცია, რომ დამატებით გაკვეთილებზე მოსულიყვნენ), ზოგიერთმა მათგანმა, სავარაუდოდ, დაიზეპირა ზმნების ეს ფორმები და საგამოცდო

ტესტის ტექსტში ბრმად ჩასვა ზმნები ყველგან ამ ყალიბით (ინიანი ვნებითის ფორმით);

- ტექსტში ჩასასმელი ზმნები და კავშირები მეტისმეტად მრავალფეროვანი იყო. დამატებით მასალებში ისინი არ იყო დამუშავებული, ხოლო სხვა სახელმძღვანელოებით ნასწავლი ცოდნის გამოყენება (ტრანსფერი), როგორც აღმოჩნდა, სტუდენტებმა ვერ მოახერხეს.

შედეგების ანალიზიდან დავადგინე, რომ ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ მრავალფეროვნების ნაზავი იყო: მეტყველების ნაწილების ტესტში ამგვარად აღრევა დამატებით დაბრკოლებას უქმნის შემსწავლელს და აბნევს გამოცდაზე. მეორე პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ რვა ზმნიდან მხოლოდ სამი იყო შესაძლებლობის გამომხატველი ვნებითი გვარის ზმნა, ხოლო დანარჩენი - ზოგი საშუალი, ზოგიც დონიანი ან ენიანი ვნებითი. თანაც ეს ზმნები ჩასასმელი იყო სხვადასხვა მწკრივში: ზოგი - აწმყოში, ზოგი - მყოფადში, მეორე კავშირებითში, უწყვეტელში ან თურმეობითში (იხ. ცხრილი 8).

როგორც ჩანს, ჩასასმელი მეტყველების ნაწილებისა და მათი ფორმების ასეთმა მრავალფეროვნებამ დააბნია შემსწავლელთა უმრავლესობა და გამოიწვია დაბალი შედეგები. მით უმეტეს, რომ ინიანი ვნებითის გარდა სხვა ფორმები შეპირისპირებით არ ყოფილა მიწოდებული შემსწავლელებისთვის სალექციო პერიოდში. ისინი არასისტემურად, სხვა სახით და სხვადასხვა დროს იყო მიწოდებული სხვადასხვა კურსის ფარგლებში, რასაც არ ჰქონდა სისტემური ხასიათი და ძირითადად მხოლოდ მორფოლოგიური კუთხით ისწავლებოდა. ამასთან, არ იყო სათანადო გავარჯიშების ფაზა და ტრანსფერი. შესაბამისად, ეს გამოჩნდა წარმოდგენილი ტესტის შედეგებში.

როგორც ამ ტესტმა წარმოაჩინა, დაბალი შედეგები მოწმობს იმას, რომ ზმნების მორფოლოგიური პრინციპით დაჯგუფება და სწავლება არაეფექტურია: შემსწავლელები ვერ იყენებენ ამგვარად “შესწავლილ” მასალას

საჭიროებისამებრ. შესაბამისად, აუცილებელია ზმნების სწავლების ალტერნატიული მეთოდების შემუშავება.

იმის გამო, რომ ტესტმა ვერ აჩვენა მოსალოდნელი შედეგი, გადავწყვიტე მოდიფიცირებული მასალა მომდევნო წელს გამომეცადა კიდევ რამდენიმე ჯგუფში და საბოლოო ტესტში დავალება სხვაგვარად ამეგო.

6.3.4 მასალის გამოცდის მეორე ეტაპის ანალიზი (2016 წლის გაზაფხულის სემესტრში)

მასალის პილოტირების მეორე წელს პილოტირების პროცესი სხვაგვარად დაიგეგმა: ერთ ჯგუფში მასალა გამოვცადე მე პირადად, ხოლო სხვა ჯგუფებში მივეცი ინსტრუქციები ლექტორებს და მათ შეიტანეს თავიანთ კურსებზე ეს მალასა, რაც თავის მხრივ განსხვავებული და სასარგებლო გამოცდილება იყო: წარმოჩნდა ცალკეული დეტალები, რომლებზეც 2015 წელს მასალის ჩატარების დროს ზეპირსიტყვიერად ვამახვილებდი ყურადღებას და რაც მასალაში ექსპლიციტურად არ იყო მოცემული. ამის შედეგად აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ლექტორებს სხვადასხვანაირად შეჰქონდათ მასალა, რაც აისახა ნაწერებში და რამაც მასალის კვლავინდელი მოდიფიცირების საჭიროება წარმოაჩინა.

2016 წელს მასალის სხვადასხვა ლექტორის ჩატარების შედეგად სტუდენტების მიერ შესრულებულ დავალებებში ექვსიდან სამ ჯგუფში მოულოდნელად დაბალი შედეგები დაფიქსირდა. ამის გამო გადავწყვიტე ჩამეტარებინა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ლექტორებთან, რომლის შედეგადაც შეგროვდა შემდეგი ინფორმაცია:

ცხრილი 9: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების მონაცემები

ჯგ.	ლექტორი / სტაჟიორი	მასალა ჩატარდა ტესტის სახით	ჯგუფს გავლილი ჰქონდა "სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის"	ლექტორმა გაამახვილა ყურადღება ზმნისწინზე მე-7 და/ან მე-8 დავალებაში	დამატებითი შენიშვნები ლექტორისგან
1	ა.რ	+		-	

	ი.ლ		-		ლექტორი სემესტრის მანძილზე დროდადრო ამახვილებდა ყურადღებას მასდარზე (-ება დაბოლოებით) ამ ფორმით სახელწმინდების ლექციკონში მოძიების მიზნით.
2	ა.ჯ.	+		-	
	ა.ჭ.		+ ნაჩქარევად დროის სიმცირის გამო		ლექტორი ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ ასეთ წინადადებებში "სუბიექტი არ ჩანს".
3	თ.კ.	-		+	
			-		
4	ა.რ	+		-	
	ი.ლ		+ ნაჩქარევად დროის სიმცირის გამო		ამ ჯგუფთან ლექტორი ინტენსიურად ამახვილებდა ყურადღებას მთელი სემესტრის მანძილზე მასდარზე (-ება დაბოლოებით) ლექსიკონში სახელწმინდების ამ ფორმით მოძიების მიზნით..
5	თ.ა	-		-	
	თ.ქ		+		
6	თ.ქ.	-			-, სამაგიეროდ ლექტორმა გაამახვილა ყურადღება "ზოგად აწმყოზე".
	თ.ქ., ა.ჭ.		+		ტერმინი "პასიური"

					მეორე პლანზე იყო, ლექტორები ამხვილებდნენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ "სუბიექტი არ ჩანს".
--	--	--	--	--	--

როგორც ამ ინტერვიუებიდან გაირკვა, 1-ლ, მე-2 და მე-4 ჯგუფებში მასალა ტესტის სახით იყო შეტანილი და რეალურად არ ახსნილა. ასეთ ჯგუფებში შედეგები არაადეკვატური იყო რადიკალურად განსხვავებული სხვა ჯგუფების შედეგებისგან. ასეთი ნაწერები გამოვრიცხე შედეგების ანალიზიდან. თუმცა კვლევის ამ "უნებლიე" ხარვეზით დამატებით დადასტურდა, რომ სტუდენტების წინარე ცოდნა დამატებითი მასალის შეტანამდე იყო ნულოვანი. ეს ფაქტი საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ ცხადყოფს სკოლაში მიღებული ცოდნის ხარვეზს ამ კონკრეტულ გრამატიკულ ფენომენტთან დაკავშირებით.

ცხრილი 10: მე-8 დავალების შესრულების სისწორე 2016 წელს:

ჯგუფი 6: 10-დან 10 ნაწერი სწორია - 100%;

შენიშვნა: ერთ სტუდენტს ბ და გ ვარიანტებში ზმნისწინიანი ფორმები აქვს დაწერილი, თუმცა სწორად.

ჯგუფი 5: 8-დან 4 ნაწერი სწორია და 4 ნაწილობრივ სწორი - 75%;

(აქედან 2 ნაწერი -ვ აფიქსიანია, 25 %);

ჯგუფი 3: 13-დან 13 ნაწერი სწორია - 100%;

ანულირებულია სამი ჯგუფის ნაწერი, რომლებშიც მასალა შეტანილ იქნა ტესტის სახით:

ჯგუფი 4: 10-დან 1 ნაწერი სწორია - 10%;

შენიშვნა: მხოლოდ ერთს უწერია სწორად და ისიც ზმნისწინიანი ფორმები.

ჩატარდა ტესტის სახით.

ჯგუფი 2: 6-დან 1 ნაწერია ნაწილობრივ სწორი და 4 ნაწილობრივ სწორი - 8 %, ჩატარდა ტესტის სახით.

ჩატარდა ტესტის სახით.

ჯგუფი 1: 14-დან არც ერთი სწორი ნაწერი, 2 ვ-თი 10%. ჩატარდა ტესტის სახით.

31 სტუდენტის ნაწერი ვალიდურია, 30 - არა.

საერთო დადებითი შედეგი - სულ 91% (სწორად გაგებული წარმოების პრინციპი)

აქედან 8,3 % წარმოება -ვ აფიქსით.

2015 წლის ნაკადისგან განსხვავებით, 2016 წელს ძალიან ჭრელი სურათი გამოჩნდა წინარე ცოდნის მხრივაც.

2015 წლის ნაწერებში, დავალებაში 7(9)ა უმეტესად ფიქსირდება, რომ ეს არის ე.წ. “პასიური” ზმნები, რადგან საპილოტე მასალის ჩატარებამდე ყველა ჯგუფს გავლილი ჰქონდა “აქტიური და პასიური მოქმედების” ქვეთავი ნ. შარაშენიძის სახელმძღვანელოდან “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის”⁵²

როგორც მე-9 ცხრილიდან ჩანს, 2016 წელს ზოგიერთ ჯგუფში (ჯგ. 1, 2, 3, 4) დამატებითი მასალის შეტანამდე პასიური და აქტიური ზმნების თემა ან საერთოდ არ ყოფილა გავლილი ან ზედაპირულად, მხოლოდ გაცნობის სახით, რადგან ლექტორებს ამ წელს ბევრი სხვა დამატებითი მასალა შეჰქონდათ გრამატიკის სწავლების გარდა და ცდილობდნენ, წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, გრამატიკის ამგვარი ნაკლებ ეფექტური სწავლების ხარვეზის გამოსწორებას თავიანთი შეხედულებისამებრ. ეს თემა მხოლოდ მე-5 და მე-6 ჯგუფებში იყო გავლილი სათანადო დონეზე ნ. შარაშენიძის სახელმძღვანელოდან, რაც დაფიქსირდა კიდევაც დავალებაში 7.ა წინარე ცოდნის სახით:

ცხრილი 11: პასუხები დავალებაზე 7ა (i) 2016 წლის ნამუშევრებში

ჯგ. 6 / 10 ნაწერი: “სუბიექტი არ ჩანს” - 10

“პასიურია” - 4

ჯგ. 5 / 8 ნაწერი: “პასიურია” - 8

ჯგ. 4 / 10 ნაწერი - არაერთგვაროვანი პასუხები: მასდარი, პასიური მოქმედება,

⁵² ნ.შარაშენიძე. *სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის*. გვ. 192, 193.

მომავალი დრო, დაუსრულებელი მოქმედება;

ჯგ. 3 / 13 ნაწერი: “მომავალი დრო”, “თურმეობითი”

ჯგ. 2 / 6 ნაწერი: ჭარბობს პასუხი “სუბიექტი არ ჩანს”

ჯგ. 1 / 14 ნაწერი: “საწყისი”, “მასდარი”, სხვის მიერ შესრულებული; არ ჩანს, ვინ გააკეთა, მომავალი დრო.

როგორც მე-11 ცხრილიდან ჩანს, წინარე ცოდნა პასიური ზმნების შესახებ არ შეინიშნება 1-4 ჯგუფებში. ასეთი შედეგი ლოგიკურად გამომდინარეობს იმ მოცემულობიდან, რომ პირველ და მესამე ჯგუფებს საერთოდ არ გაუვლით შესაბამისი მასალა, ხოლო მეორე და მეოთხე ჯგუფებში პასიური და აქტიური ზმნები ზედაპირულად, ერთჯერადად იყო ახსნილი. დამუშავება-გავარჯიშება ამ ახსნას არ მოჰყოლია. შესაბამისად, ეს ვერ ჩაითვლება მიღებულ ცოდნად და არც ფიქსირდება ასეთი წინარე ცოდნა ჯგუფის დონეზე. პირველი და მეოთხე ჯგუფის ნაწერებში ჭარბობს ტერმინები “მასდარი” და “საწყისი”. შესაბამისი ჯგუფების ლექტორთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სემესტრის მანძილზე მასდარის ფორმების იდენტიფიცირებას ლექსიკონში სათანადო ფორმების მოძიების მიზნით, რაც გამოვლინდა ამ ტესტშიც. მე-2 და მე-6 ჯგუფებთან ლექტორები სემესტრის მანძილზე ამახვილებდნენ ყურადღებას ამ ფენომენზე იმ კუთხით, რომ სუბიექტი არ ჩანს, რაც დადასტურდა კიდევაც ტესტში. მიუხედავად იმისა, რომ მე-2 ჯგუფს რეალურად არ ჰქონდა გავლილი (ზედაპირულად და ერთჯერადად იყო მიწოდებული მასალა აქტიური და პასიური ზმნების შესახებ), ხოლო მე-6 ჯგუფში ანალოგიური მასალა სათანადოდ იყო დამუშავებული, შედეგებმა აჩვენა, რომ ის, რაზედაც ლექტორები სემესტრის განმავლობაში თანამიმდევრულად ამახვილებდნენ ყურადღებას, უფრო გაცნობიერებული აქვთ შემსწავლელებსაც.

მიუხედავად არსებული წინარე ცოდნისა, 1-ლ-მე-4 ჯგუფებში ჩანს, რომ სტუდენტები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მორფოლოგიას, ვიდრე

სემანტიკას. ბევრ ნაწერში შეინიშნება 7.ა i დავალებაში (დავალება ზმნის შინაარსობრივ მხარეზე) პასუხები:

ები-ანი ზმნები,

ა-ზე მთავრდება;

პრეფიქსები აქვს: ი- ან მო-;

სავარაუდოდ, აქაც ფორმა არის გადამწყვეტი - შემსწავლელები იცნობენ სუფიქსს -ება, როგორც მასდარის მაწარმოებელ აფიქსს და აიგივებენ ამ ზმნებს მასდართან ისე, რომ შინაარსს საერთოდ არ აკვირდებიან. განსხვავებული სიტუაცია გვაქვს მე-2 და მე-6 ჯგუფებში, რომლებშიც ჩანს, რომ ლექტორები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტერმინოლოგიას, სამაგიეროდ ამახვილებენ ყურადღებას სინტაქსურ მხარეზე (“სუბიექტი არ ჩანს”), რაც ნაწილობრივ მოიცავს ზმნის შინაარსობრივ მხარესაც.

შემაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად არაერთგვაროვანი წინარე ცოდნისა, შინაარსობრივი კუთხით ზმნის სწავლებისას ფორმათა წარმოების გაგება-ათვისების ეფექტი პირდაპირპროპორციულია მასალის დახვეწისა. ამის დასკვნის საფუძველს იძლევა გაუმჯობესებული მასალის შედეგები საპილოტე მასალასთან შედარებით (იხ. ცხრილი 12).

ცხრილი 12: ათვისების ეფექტი მე-8 დავალების შესრულების მიხედვით:

პილოტირება 2015 - 47%

მოდულიცირებული მასალა 2015 - 76%

მოდულიცირებული მასალა 2016 - 91%

უფრო მეტიც, 2016 წელს მასალის ჩატარების შედეგად მე-6 ჯგუფში გაჩნდა შეკითხვა, შეიძლება თუ არა ამ ლოგიკით “ითამაშება” ფორმის წარმოება და ლექტორის უარყოფითი პასუხის მიუხედავად, მათ თავადვე იპოვეს საძიებო სისტემის - გუგლის მეშვეობით თავიანთი ჰიპოთეზის დამადასტურებელი მაგალითები:

რაც არ ითამაშება, ის არ იცხოვრება;

ჯოკერი 4 კაცში ითამაშება;

ემოციის გარეშე ფეხბურთი არ ითამაშება.

საინტერესოა სხვა რამდენიმე სტუდენტის დაკვირვება 7ა დავალებაში იმის თაობაზე, რომ ეს სიტყვები “სალიტერატურო” სიტყვებია. მართლაც, თუ გადავამოწმებთ გუგლის საძიებო მანქანასა და ქართული ენის ეროვნულ კორპუსში, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ცხრილი 13:

გუგლის საძიებო მანქანა	ქართული ენის ეროვნული კორპუსი
იწერება 378,000	იწერება 1732
მოიძებნება 320,000	წარიმართება 1558
წარიმართება 134,000	მოიძებნება 1538
ითარგმნება 116,000	ითამაშება 9
ითამაშება 4,940	ითარგმნება 0

ქართული ენის ეროვნული კორპუსის შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ იგი უმეტესწილად საგაზეთო და სალიტერატურო ტექსტებს მოიცავს და არ შეიცავს დარგობრივ ტექსტებს, რითაც აიხსნება ის, რომ ზმნა “ითარგმნება” საერთოდ არ არის აქ წარმოდგენილი. სხვა მხრივ სურათი მეტ-ნაკლებად იდენტურია. ამ მონაცემების ანალიზისას გასათვალისწინებელია 2 ფაქტორი:

- რომელი მნიშვნელობა უფრო პროტოტიპულია ზმნისთვის - პასიური თუ თვისება-შესაძლებლობა;
- ენის რომელ რეგისტრს მიეკუთვნება სიტყვა: დარგობრივს თუ ყოველდღიურ-სასაუბროს?

სგზ, ზოგადად, მართლაც დარგობრივი ტექსტების კუთვნილებას წარმოადგენს, რადგან ისინი ფუნქციური ცნებების შესატყვისებია, ხოლო ფუნქციური ცნებები ენაში ვითარდება და გამოიყენება სამეცნიერო და დარგობრივ რეგისტრთან მიმართებით. იქიდან გამომდინარე, რომ *ითამაშება* ნაკლებად გამოიყენება, როგორც დარგობრივი, სამეცნიერო ტერმინი, მისი გამოყენების სიხშირეც ნაკლებია, თუმცა ასეთი ფორმის

გამოყენება ნამდვილად შესაძლებელია თვისება-შესაძლებლობის მნიშვნელობით.

ითარგმნება წმინდა დარგობრივი ტერმინია, ამიტომ ის ბევრად ხშირად გვხვდება, ვიდრე ზმნა *ითამაშება*, მაგრამ მისი გამოყენების სიხშირე სხვა ანალოგიურ ზმნების სიხშირეზე დაბალია, რადგან ის ვიწრო დარგობრივ სფეროს მიეკუთვნება. ზმნა *მოიძებნება* არ წარმოადგენს დარგობრივ ტერმინებს, გარდა ამისა ის გამოიყენება როგორც სგზ-ის მნიშვნელობით (*ყოველთვის მოიძებნება*), ასევე დინამიკური ვნებითის მომავალი დროის მნიშვნელობით (*გამოსავალი მოიძებნება*), თანაც ის დამახასიათებელია პრესის ოფიციალური სტილისთვის და ამიტომ ჭარბობს, ხოლო ზმნა *იწერება* დარგობრივ ტერმინსაც წარმოადგენს და ყოველდღიურ მოხმარებაშიც ხშირია, ამიტომ იკავებს პირველ ადგილს ამ ცხრილში.

6.3.5 საბოლოო გამოცდის ტესტის მეორე ვარიანტის აღწერა და პილოტირების შედეგების ანალიზი (2016 წლის გაზაფხულის სემესტრი)

საბოლოო ტესტის 2016 წლის ვერსიაში (იხ. დანართი 12) ტექსტი დარჩა იგივე, ხოლო გამოტოვებულ ადგილებში მხოლოდ ზმნები იყო ჩასასმელი:

ცხრილი 14: ჩასასმელი ზმნების ფორმები 2016 წლის ტესტში

ტესტის ვარიანტი I	ტესტის ვარიანტი II
1. იწერება	1. იწერება
2. თქვას	2. მიაჩნია
3. იზიდავს	3. თქვას
4. დგანან	4. იწყება
5. მაინტერესებს	5. მიმაჩნდა
6. იწვევდა	6. იწვევდა
7. მოიძებნება	7. შეუჩერებია
8. წარიმართება	8. აღინიშნება

ამ ვერსიიდან ამოღებულია ის ზმნები, რომლებიც შედარებით პრობლემური აღმოჩნდა პირველი ტესტის პილოტირებისას. ეს ზმნური ფორმებია:

- აღიქვამს
- გაუზიაროს
- განსხვავდება
- ექნება
- გადმოსცემს

ისინი ჩანაცვლდა შედარებით მარტივი ზმნის ფორმებით:

- იზიდავს
- დგანან
- მაინტერესებს

განახლებულ ტესტში დანარჩენი ფორმები (*თქვას, იწვევდა*) საზიარო იყო ტესტის პირველი და მეორე ვარიანტისთვის (იხ. ცხილი 14).

ტესტის ასეთი გაერთფეროვნება-გამარტივების მიზანი იყო ადეკვატური პასუხების მიღება შემსწავლელების მხრიდან და სხვა, რთული ზმნის ფორმების გამორიცხვა დაბნეულობის თავიდან ასარიდებლად.

სამწუხაროდ, 2016 წლის ტესტის შედეგებიც საკმაოდ დაბალი იყო. სამაგიეროდ, ამ ტესტში შემსწავლელების მიერ არასწორად წარმოებული ინიანი ვნებითის ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანი და სისტემური ხასიათის იყო (იხ. ცხრილი 12), რაც საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა.

ცხრილი 15: შეცდომების ნუსხა ტესტი 2016

სწორი ფორმა	საინტერესო შეცდომების ნუსხა
წარმართება	წაიმართევა, წაიმართა, წარმართება, იწარმება, იმართება,
აღნიშნება	აღნიშნებოდა, აღნიშნება
მოიძებნება	იძებნება
მიაჩნია /	მიიჩნება, იჩენება, მიჩნება, იჩნება

მიმაჩნდა	
----------	--

ყველაზე ხშირია მოიძებნება ზმნის სწორი ფორმით გამოყენება, რაც აიხსნება დამატებით მასალაში ამ ზმნის არსებობით. როგორც ტესტი გვიჩვენებს, კონტექსტიდან სიტყვის ფორმის დამახსოვრების სიხშირე ძალიან მაღალია. სიხშირით მეორე ადგილზეა ზმნა წარმართება, რაც, ალბათ, ამ ზმნის გამოყენების სიხშირით აიხსნება (იხ. ცხრილი 13).

6.4 მასალის შემდგომი დახვეწის პერსპექტივები

შეცდომების ამ სისტემურობამ (იხ. ცხრილი 12) მიმაქცევინა ყურადღება სამ ასპექტზე, რომელიც მასალაში უნდა დაიხვეწოს:

1. ზმნისწინის ადგილი ინიანი ვნებითის ფორმის თვისება-შესაძლებლობის გამომხატველ სგზ-სთან;
2. სუბიექტის და ობიექტის ბრუნვები ინიანი ვნებითის ფორმის თვისება-შესაძლებლობის გამომხატველ სგზ-სთან;
3. ი-...-ევა აფიქსების მქონე ზმნები.

თუ მანამდე მასალის და 2015 წლის ტესტის შეცდომების განხილვისას -ვ აფიქსით წარმოებას ვაქცევდი ყურადღებას, ამჯერად გავაანალიზე 2015 და 2016 წლის დამატებით მასალაში დაფიქსირებული შეცდომებიც ამ სამი პუნქტის გათვალისწინებით.

მასალაშიც შეინიშნება ამ მხრივ შემდეგი საინტერესო ფორმები:

**იდახურვება, *დაიხურება;*

**დაიკუჭნება, *იდაკუჭვება, *იკუჭვება, *დაიკუჭნება;*

**დაიკეცვა, *იკეცვება, *იკეცევა;*

**იგაზრდება, *გაიზარდება ;*

** ამ მცენარეს აფრიკაში არ იზრდება.*

6.4.1 ზმნისწინი ინიან სგზ-ში

ზმნისწინის წარმოების წესზე 2015 წლის პილოტირების დროს ზეპირსიტყვიერად მივაქცევინე ყურადღება სტუდენტებს ყველა ჯგუფში, ამიტომ ნაკლებად პრობლემური გამოჩნდა საცდელი მასალის ჩატარებისას, მაგრამ 2016 წელს სხვაგვარი სიტუაცია იყო: ერთ ჯგუფში მე თვითონ ჩავატარე და მივაქცევინე ყურადღება, რის გამოც 100% სწორი შედეგები დაფიქსირდა ამ ჯგუფში მე-8 დავალებაში. დანარჩენი ვალიდური ნაწერების ჯგუფებიდან, ერთში ლექტორი ზუსტად მიჰყვა მასალას და არ გაუმახვილებია ყურადღება ცალკე ზმნისწინზე (ჯგ. 5), ხოლო მეორეში (ჯგ. 6) ლექტორმა გაამახვილა ყურადღება ამ ზმნების დროზე - “ზოგადი აწმყო” (იხ. ცხრილი 9). რადგან ჯგუფმა იცოდა, რომ ზმნისწინი მომავალი დროის მაწარმოებელია, ხოლო ამ შემთხვევაში “ზოგად” აწმყოსთან ჰქონდათ საქმე, სავარაუდოდ ამიტომ დაწერა ჯგუფმა ყველა ფორმა უზმნისწინოდ მე-8 დავალებაში, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ზმნისწინზე არ გაუმახვილებია ყურადღება ლექტორს. ასეთ შემთხვევაში შემსწავლელი მიჰყვება შემდეგ ყალიბს: $x + \text{ზმნისწინი} = \text{მომავალი დრო}$; $x - \text{ზმნისწინი} = \text{აწმყო}$.

ეს ყველაფერი ნათლად ჩანს მე-8 დავალების შედეგებში (იხ. ცხრილი 10: მე-8 დავალების შესრულების სისწორე 2016 წელს).

ამ შედეგებიდან აღმოჩნდა, რომ უზმნისწინო სწორი ფორმების წარმოება ლექტორის დამატებით ინსტრუქციაზე ყოფილა დამოკიდებული. შესაბამისად, ჩნდება საჭიროება, რომ მასალაში ჩაემატოს ზმნისწინის საკითხი დამატებითი წესის სახით.

აქედან გამომდინარე, მასალის საბოლოო ვარიანტისთვის მიზანშეწონილად მიმაჩნია 7.ე დავალებაში შემდეგი ჩამატებების გაკეთება:

7. ე. შეავსეთ წესი:

შესაძლებელია + საწყისი / მასდარი
(ზმნისწინი-ძირი-ა) = ზმნისწინი - ზმნის ძირი - ...

აქვე 7.7 დავალებაში ჩავამატე -ვ სუფიქსის წარმოების საკითხიც, რადგან 2016 წლის შედეგებმა აჩვენა, რომ -ვ აფიქსის ზმნაში მცდარად წარმოებას მაინც აქვს ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ მე-8 დავალებაში ცალკე იყო მოცემული მითითება ამ საკითხზე:

8.თქვენ მიერ გამოყვანილი წესის მიხედვით გადააკეთეთ და დაასრულეთ წინადადებები:

! ზმნის ძირი: აკლდება მასდარის დაბოლოება -ა / -ვა

- ა. ამ ასოს დაწერა ასე შეუძლებელია - ეს ასო ასე არ
- ბ. ამ კარის დახურვა შესაძლებელია მჭიდროდ - ეს კარი მჭიდროდ
- გ. მუყაოს ქაღალდის დაკეცვა ძნელია - მუყაოს ქაღალდი ძნელად
- დ. ამ მცენარის გაზრდა აფრიკაში შეუძლებელია

შედეგებმა აჩვენა, რომ მე-8 დავალების თავში შენიშვნის სახით ასეთმა მითითებამ მხოლოდ ცალკეული შემსწავლელების შემთხვევაში იქონია ეფექტი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში არაეფექტური აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, დადგა მისი წარმოჩენის საჭიროება მოდიფიცირებული ვერსიის 7.7 დავალებაშივე, სადაც წესი უნდა გამოიყვანოს შემსწავლელმა. ეს ქვეწესი უმჯობესია შემსწავლელმა აითვისოს წესების აღმოჩენის ეტაპზე დავალებაში 7.7 და არა წესის გამოყენების, ანუ გავარჯიშების ეტაპზე მე-8 დავალებაში:

$$\text{შესაძლებელია} + \text{საწყისი / მასდარი} = \text{ზმნისწინი} - \text{ზმნის ძირი} - \text{ვ} \dots$$

(ზმნისწინი-ძირი-ვა)

6.4.2 სუბიექტის/ობიექტის ბრუნვა ინიან სგზ-ში

2016 წლის ტესტის შედეგად სისტემატური შეცდომების წყალობით თვალში საცემი გახდა, რომ შემსწავლელები არ იცნობენ ან ვერ იყენებენ სათანადო ენობრივ სიტუაციაში ინიანი ფორმების გამოყენებისას სინტაქსურ კონსტრუქციებს. კერძოდ, საქმე ეხება სუბიექტის ბრუნვას: სუბიექტი (რეალურად კი ობიექტი) უნდა იდგეს სახელობით ბრუნვაში. ასეთი შეცდომა დაფიქსირდა მე-8 დავალების იმ ნაწერებშიც, სადაც შემსწავლელები მთლიან

წინადადებებს წერდნენ (რაც არ ყოფილა დავალებაში სავალდებულო, ამიტომ უმეტესობას მხოლოდ ზმნები უწერია). ასეთ შემთხვევებში გვხვდება ფრაზა:

**ამ მცენარე არ იზრდება აფრიკაში.*

(ამ ანალოგიით: *ამ მცენარის გაზრდა შეუძლებელია აფრიკაში.*)

შესაბამისად, გამოიკვეთა მასალაშიც სინტაქსურ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობა. ამიტომ მოდიფიცირებული მასალა შემდეგ სახეს მიიღებს:

8.თქვენ მიერ გამოყვანილი წესის მიხედვით გადააკეთეთ და დაასრულეთ წინადადებები:

ა. ამ ასოს დაწერა ასე შეუძლებელია.

..... ასო ასე არ

ბ. ამ კარის დახურვა შესაძლებელია მჭიდროდ.

ეს მჭიდროდ

გ. მუყაოს ქაღალდის დაკეცვა ძნელია.

მუყაოს ძნელად

დ. ამ მცენარის გაზრდა აფრიკაში შეუძლებელია.

.....

6.4.3 -ვა დაბოლოების მქონე ინიანი სგზ-ის ჯგუფი

**იკეცევა, *წაიმართევა* ტიპის შეცდომებმა ცხადყო, რომ შემსწავლელებს აქვს გაუცნობიერებელი ცოდნა -ვა დაბოლოების მქონე ზმნებზე და, რადგან ასეთი შეცდომები, თუნდაც მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დაფიქსირდა, მოცემული სამიზნე ჯგუფისთვის აქტუალური იქნება ამ ტიპის ზმნების ჩართვა სასწავლო მასალაში. მით უმეტეს, რომ შინაარსობრივად ასეთი ზმნები

აბსოლუტურად იდენტურია -ება სუფიქსიანი ონიანი სგზ-ის: მათი წარმოება განპირობებულია შესაბამისი სახელზმნის -ევა დაბოლოებით:

- დახევა - იხევა
- დახვევა - იხვევა
- დამსხვრევა - იმსხვრევა
- (და)ნგრევა - ინგრევა
- (შე)რხევა - ირხევა

სასწავლო მასალისთვის უფრო სრულყოფილი სახის მისაღებად შესაძლებელია შესასწავლი გრამატიკული ფენომენის ამ -ევა დაბოლოებიანი მორფოლოგიური ქვეჯგუფის დამუშავება და 7.7 დავალების წესებში მესამე ქვეწესის დამატება:

7. ე. შეავსეთ წესი:

- შესაძლებელია + საწყისი / მასდარი (ზმნისწინი)-ძირი-ა) = ~~ზმნისწინი~~ - ~~ზმნის ძირი~~ - ...
- შესაძლებელია + საწყისი / მასდარი (ზმნისწინი)-ძირი-ვა) = ~~ზმნისწინი~~ - ~~ზმნის ძირი~~ - ვ ...
- შესაძლებელია + საწყისი / მასდარი (ზმნისწინი)-ძირი-ევა) = ~~ზმნისწინი~~ - ~~ზმნის ძირი~~ - ევ ...
- შეუძლებელია + საწყისი / მასდარი = არ - ~~ზმნის ძირი~~ - ...

მასდარში, ანუ საწყისის ფორმაში შესაძლებელია “ზმნისწინი” ფრჩხილებში ჩაისვას, რადგან ზოგი მასდარი აუცილებლად მოითხოვს ზმნისწინს, ზოგი კი - არა.

მასალის განსხვავებული გრამატიკული ფენომენებით ასე გამრავალფეროვნების შემთხვევაში საჭიროა დამატებითი ტექსტის ან დავალებების დამატება, რომლებშიც -ვა და -ევა დაბოლოებების მქონე

მასდარების პარალელური ზმნური ფორმები მოიძებნება, რაც საჭიროებს უკვე მასალის ძირეულ ცვლილებას.

მეორე და, ჩემი აზრით, მეთოდოლოგიურად უფრო გამართული გამოსავალია, რომ პირველ ვარიანტში დარჩეს მხოლოდ ძირითადი, ანუ პირველი წესი, ხოლო მეორე და მესამე ქვეწესებისთვის შემუშავდეს ახალი მასალა. ასეთ შემთხვევაში შემსწავლელები ეტაპობრივად დაეუფლებიან თავდაპირველად -*ეა* სუფიქსით წარმოებული ზმნების ფორმებს, რომლებიც პროტოტიპულია მოცემული გრამატიკული ფენომენისთვის და ძალიან ხშირია. შემდეგ ეტაპზე გაეცნობიან -*ვა* სახელზმნის პარალელური ზმნის ფორმების წარმოებას, მესამე ეტაპზე კი -*ევ* სუფიქსიან წარმოებას.

მასალის კიდევ უფრო მეტი სრულყოფისთვის შესაძლებელია ყურადღების გამახვილება ზმნაში ზმნისწინის ქონა-არქონის საკითხზეც. მართალია, პროტოტიპულად, საწყისს ზმნისწინი კიდევ რომ ჰქონდეს, შესაბამის ზმნას ის მაინც აკლია ხოლმე (*დახურვა - იხურება*), მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზმნისწინის დატოვება, რაც ზმნას დამატებით, ჰიპოთეზისა თუ ვარაუდის მნიშვნელობას ანიჭებს. ამ ზმნების ასეთ ზმნისწინიან ფორმებს მომავლის გაგებაც აქვს, რადგან თავიანთი პირველადი მნიშვნელობით ისინი მომავლის აღმნიშვნელია, როგორც ფორმით, ასევე ფუნქციით. მაგალითად:

იხურება vs დაიხურება

უზმნისწინო ვარიანტი ამ მხრივ ნეიტრალურია და ყოველგვარ ჰიპოთეზასა თუ მომავალი დროის გაგებას მოკლებულია. ის მხოლოდ შესაძლებლობას გამოხატავს დროისგან დამოუკიდებლად და გარკვეულწილად “უდროობის” გამომხატველია, რასაც “ზოგად აწმყოსაც” უწოდებენ. აქედან გამომდინარე, უზმნისწინო ვარიანტი პროტოტიპულია ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, როცა საქმე ეხება შესაძლებლობის გამოხატვას, რაც თავისთავად თვისების მნიშვნელობას უახლოვდება. ხოლო, რადგან თვისება დროის გაგებას მოკლებულია და მუდმივია, როგორც ადამიანის ხასიათის

ნაწილი ან საგნის მახასიათებელი, ლოგიკურია, რომ შესაბამის ზმანასაც დროის გაგება არ ჰქონდეს.

დასკვნა

ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია სემანტიკური ნიშნით გაერთიანებული ზმნების ჯგუფი, სტატიკური განზომილებიანი ზმნები თავისი, შედარებით უფრო ჰომოგენური ქვეჯგუფებითა და ქვეჯგუფების როგორც სემანტიკური, ასევე მორფოსინტაქსური თავისებურებებით. ასეთი სისტემატიზაციის შედეგად, გამოიკვეთა ცალკეული მორფემების ფუნქციები ამ ჰომოგენური ჯგუფების ფარგლებში: მაგალითად, ლოკაციის პირველად სტატიკურ განზომილებიან ზმნებში გამოიკვეთა, რომ ამ ზმნებთან ო-პრეფიქსს აქვს ერთმნიშვნელოვნად საზედაო ფუნქცია (ზედაპირზე მდებარეობის) და არა ე.წ. საარვისო ქცევის ფუნქცია, რაც ასევე შეიძლება იყოს ამ პრეფიქსის ფუნქცია, მაგრამ არა მოცემული ზმნების ჯგუფთან. ასევე, გამოიკვეთა, რომ შესაბამისობის ზმნებთან ო-პრეფიქსს აქვს ობიექტთან პარიტეტული მიმართების გამოხატვის ფუნქცია და არა პროტოტიპული ბენეფიციარის, როგორც ეს სხვა ობიექტთან ზმნებში შეიძლება იყოს. ობიექტთან ვნებითის ფორმას აღმოაჩნდა შესაძლებლობა-თვისების გამომხატველი მეორეული სგზ-ის წარმოების მექანიზმის ფუნქცია.

ამგვარად, ზმნების ჯგუფების სემანტიკურმა დავიწროებამ შესაძლებელი გახადა ცალკეული მორფემებისთვისაც გამოკვეთილი, ცალსახა ფუნქციის გამოკვეთა. ეს მიგნებები ძალიან მნიშვნელოვანია ენის დიდაქტიკისთვის, რადგან საშუალებას იძლევა, გრამატიკა ისწავლებოდეს თანამედროვე, აღმოჩენის პრინციპით, შემსწავლელის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ამ პრინციპით აგებულ მასალაში შემსწავლელს ეძლევა საშუალება, თავად გამოიყვანოს ცალკეული წესები, რომელთა მიხედვითაც აწარმოებს ადეკვატურ ფორმებს.

ნაშრომის მეორე ნაწილში ჩატარებული კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ შემსწავლელთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა პასიური და აქტიური კონსტრუქციების თუ ზმნების წარმოების ფორმების მიხედვით არასრულყოფილია (მიზეზი შეიძლება ვეძიოთ იმაშიც, რომ შემსწავლელთა უმეტესობას არ ჰქონდა გავლილი “ქართული ენის” მე-8 და მე-9 დონეები, რომლებშიც ეს ფენომენია დამუშავებული). ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ 2016 წელს მასალა არ იყო ახსნილი სამ ჯგუფში და ის ტესტის სახით ჩატარდა, რამაც წარმოაჩინა შემსწავლელთა ნულოვანი წინარე ცოდნა. 2015 წლის შედეგები ცხადყოფს, რომ შემსწავლელები თეორიულად ცნობდნენ ასეთი ზმნების შინაარსს (*სუბიექტი არ ჩანს; არ ჩანს, ვინ ასრულებს მოქმედებას*), რაც აიხსნება იმით, რომ ამ ნაკადში კვლევის ჩატარების დროს ყველა ჯგუფს უკვე გავლილი ჰქონდა შესაბამისი მასალა სახელმძღვანელოდან “სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის”: 7ა დავალებაში, როცა მოცემული ზმნების შინაარსობრივი მხარე უნდა დაედგინათ, შემსწავლელები იყენებდნენ სწორედ იმ ფრაზებს, რომლებიც მოცემულია ამ სახელმძღვანელოში. თუმცა, *ი-....-ება* აფიქსების ამ შინაარსთან (ვნებითობა) ასოცირების მხრივ გარკვეული პრობლემები იკვეთება: შემსწავლელები ადვილად ამჩნევენ მხოლოდ საერთო - *ება* სუფიქსს, რაც ასევე იმით აიხსნება, რომ ამ სახელმძღვანელოში მოცემული ზმნების ცხრილში ყველა ზმნას აქვს *-ება* დაბოლოება, მაგრამ აქედან 7 - დონიანი ვნებითია და 3 - იანი. შესაბამისად, ინიანი ვნებითი, როგორც ცალკე ტიპი, ზმნების შემსწავლელებს იდენტიფიცირებული არა აქვთ. სახელმძღვანელო “ბილიკში”, მართალია, მოცემულია ყველა ტიპის ზმნა ცალ-ცალკე, მაგრამ შემსწავლელთა წინარე ცოდნაში ეს არ ფიქსირდება. მიზეზი უნდა ვეძებოთ ამ სახელმძღვანელოში (“ბილიკი II”) გრამატიკის ჭარბად და სისტემურად მიწოდებაში, რის შედეგადაც შემსწავლელს უჭირს მასალის ათვისება და ადვილად ავიწყდება ცხრილებში მოცემული ინფორმაცია მისი სიჭარბის გამო.

შემუშავებული მასალის პირველ წელს ჩატარების შედეგად აღმოჩნდა ხარვეზი ზედმეტი - ვ აფიქსის ზმნაში ჩართვისა და არასწორი წარმოების მხრივაც. ასევე, ვერ მოხერხდა ტრანსფერის ფაზაში არსებული ცოდნის დაფიქსირება ტესტის საშუალებით, რომელშიც დამაბნეველად ბევრი სხვადასხვა მეტყველების ნაწილი და ზმნა იყო ჩასასმელი.

მეორე წელს მასალის ჩატარებისას აღმოჩნდა ასევე საინტერესო ხარვეზები მოცემულ ზმნებში ზმნისწინის წარმოების მხრივ და სუბიექტისა და ობიექტის წარმოების მხრივ. საბოლოო ტესტმა აქაც ვერ აჩვენა სათანადო შედეგი ტრანსფერის ფაზისთვის, რადგან განსხვავებული შინაარსისა და ფორმის ზმნები შინაარსობრივი კუთხით არ ყოფილა დამუშავებული და შემსწავლელები დააბნია ამ მრავალფეროვანმა ფორმებმა. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა საინტერესო შედეგი როგორც ტესტში, ასევე სასწავლო მასალის “პრეტესტულ” ნაწილში, კერძოდ ის, რომ მორფოლოგიური წარმოებისა და დაჯგუფების მიხედვით ნასწავლი ცოდნა არაეფექტურია ენობრივი ფენომენების რეალურად გამოყენების კუთხით. ხოლო შინაარსობრივი კუთხით სწავლების ეფექტი, როგორც მასალის ჩატარების შემდეგ ლექტორებთან ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუში დაფიქსირდა, მდგომარეობს ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც დადასტურდა შემსწავლელთა მიერ მათთვის უცნობი, კურსის ხელმძღვანელის მიერ უარყოფილი, მაგრამ ლოგიკურად (თურმე) არსებული ფორმის *ითამაშება* წარმოების მაგალითზე. სწორედ ასეთი ტრანსფერული უნარის გამომუშავება წარმოადგენდა შემუშავებული დიდაქტიკური მასალის მიზანს, კერძოდ, შემსწავლელმა უნდა შეძლოს, განსაზღვროს თვისება-შესაძლებლობის გამოხატვის საშუალება ენაში *ი-...-ება* (და *ი-...-ევა*) ფორმის საშუალებით და გამოიყენოს ეს მექანიზმი, როგორც სხვა ანალოგიური ზმნების წარმოების საშუალება.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს პილოტირების შედეგად შემუშავებული და მოდიფიცირებული სასწავლო მასალა (დანართი 10) და ტრანსფერის ფაზისთვის შედგენილი ტესტი (დანართი 12), რომელთა

გამოყენებაც შესაძლებელია ქართულის, როგორც მეორე ან უცხოური ენის გაკვეთილზე.

აღნიშნული მასალა წარმოადგენს გრამატიკის შინაარსობრივი და აღმოჩენის პრინციპით სწავლების ნიმუშს, რომელზე დაყრდნობითაც ქართულის, როგორც მეორე ან უცხოური ენის მასწავლებლებს შეუძლიათ ააგონ საკუთარი მასალები გრამატიკული ფენომენების შესასწავლად.

მოცემული კვლევის მაგალითზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები თვისება-შესაძლებლობის ზმნებისა და ზოგადად გრამატიკის სწავლებისთვის:

ა. ლინგვისტურ დონეზე:

- უნდა გამოიკვეთოს სასწავლო გრამატიკული ფენომენის სემანტიკური ფუნქციები;
- უნდა გამოიკვეთოს ზმნების მორფოსინტაქსურად ჰომოგენური ვიწრო ქვეჯგუფები;
- ცალკეული მორფოლოგიური მარკერებისთვის უნდა გამოიკვეთოს ქვეჯგუფის ფარგლებში ერთმნიშვნელოვანი სემანტიკური ფუნქცია;

ბ. დიდაქტიკურ დონეზე:

- შესასწავლი გრამატიკული ფენომენი უნდა გაანალიზდეს შემსწავლელის წინარე ცოდნის საფუძველზე მისი საჭიროებიდან გამომდინარე;
- უნდა გამოიკვეთოს სემანტიკური პრინციპები ასეთი ვიწრო გრამატიკული ფენომენის შესასწავლად;
- გრამატიკული ფენომენისთვის უნდა შეიქმნას დიდაქტიკური ახსნის საფეხურებრივი სისტემა, რათა შემსწავლელმა მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად შეძლოს საკუთარ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ეტაპობრივად “აღმოაჩინოს” და აითვისოს ესა თუ ის გრამატიკული ფენომენი, კერძოდ:
 - გრამატიკული ფენომენი მოცემული უნდა იყოს რეალურ კონტექსტში ავთენტიკური ტექსტის ფარგლებში;

- ტექსტის გლობლურ და სელექციურ დონეზე გაგების შემდეგ, დეტალური გაგების დონეზე შემსწავლელს უნდა ჰქონდეს მსგავსი გრამატიკული ფორმების (აქ: ინიანი ვნებიტების) იდენტიფიცირების საშუალება;
- შემსწავლელს უნდა ჰქონდეს გარკვეული წინარე ცოდნა შედარების ფართო გრამატიკული ფენომენის შესახებ, როგორცაა ზოგადად ვნებიტი გვარის ზმნები და მათი ფორმები;
- შემსწავლელს უნდა მიეცეს საშუალება, თავადვე გამოკვეთოს ვიწრო სემანტიკური ქვეჯგუფი ტექსტიდან ამოკრეფილი იდენტური ზმნების ანალიზის საფუძველზე;
- შემსწავლელს უნდა მიეცეს მითითებები, რათა თავადვე დააკავშიროს მოცემული ზმნების სემანტიკა (აქ: თვისება-შესაძლებლობის ზმნები) მათს ფორმებთან (ინიანი ვნებიტი);
- შემსწავლელს უნდა მიეცეს საშუალება, თავადვე გამოიყვანოს წესი და ქვეწესები (კერძოდ, როგორ იწარმოება თვისება-შესაძლებლობის გამომხატველი ზმნები);
- შემსწავლელს უნდა მიეცეს საშუალება, საჭიროებისამებრ თვითონ გამოიყენოს წესი და ქვეწესები (ცოდნის ტრანსფერი).

ბიბლიოგრაფია

- Asatiani, Rusudan. 2008. "Structural Model of the Georgian Verb Forms". In: *Language, Logic, Computation. Tbilisi: TSU.*
- Barkowski, Hans et al. 2014. *Deutsch als fremde Sprache.* Berlin: Langenscheidt.
- Barsalou, Lawrence W. 1992. Frames, concepts, and conceptual fields. In: A. Lehrer und E. Kittay (ed.): *Frames, fields and contrasts.* 21-74. Hillsdale: Erlbaum.
- Bierwisch, Manfred 1987. Semantik der Graduierung. In: M. Bierwisch, E. Lang (ed.): *Grammatische und konzeptuelle Aspekte von Dimensionsadjektiven.* 91-286. Berlin: Akademieverlag.
- Croft, W. 1993. Case marking and the semantics of mental verbs. In: James Pustejovsky (ed.): *Semantics and the lexicon.* 55-72. Dordrecht: Kluwer.
- Ellis, Rod. 2003. *Becoming Grammatical.*
<http://www.impactseries.com/grammar/becoming.html> (23.07.2016)
- Evans, N. & Wilkins, D. 2000. "In the mind's ear: The semantic extensions of perception verbs in Australian languages." *Language*, 76, 546-592.
- Funk, H & M. Koenig. 1991. *Grammatik lehren und lernen.* Berlin: Langenscheidt.
- Gamerschlag, T. 2014. Stative Dimensional Verbs in German. *Studies in Language.* Volume 38, Issue 2, Amsterdam: John Benjamins, 275 – 334
- Harris, A. C. 1991. Overview on the History of the Kartvelian Languages. In: Harris, Alice C. (ed.): *The Indigenous Languages of the Caucasus: Kartvelian.* Volume 2. Delmar, New York: Caravan Books
- Hengeveld, Kees. 1992. *Non-verbal predication.* Berlin: Mouton de Gruyter.
- Hewitt, B. G. 1995. *Georgian. A structural reference grammar.* Amsterdam/Philadelphia: John Benjamins.

Hillery, P.J. 1996-2004. *The Georgian Language. An outline grammatical summary.*
www.armazi.com

Hopper, P.J./Thompson, S.A. 1980. Transitivity in Grammar and Discourse. *Language* 56/2, 251-299.

Jackendoff, Ray. 1990. *Semantic structures.* Cambridge: MIT Press.

Kaufmann, Ingrid. 1995. *Konzeptuelle Grundlagen semantischer Dekompositionsstrukturen: Die Kombinatorik lokaler Verben und prädikativer Komplemente.* Tübingen: Niemeyer.

Kaufmann, Ingrid. 2004. *Medium und Reflexiv – Eine Studie zur Verbsemantik.* Tübingen: Niemeyer.

Kegl, Judy und Christiane Fellbaum. 1988. An analysis of obligatory adjuncts: evidence from the class of measure verbs. *ESCOL* 1988, 275-288.

Kennedy, Christopher. 1999. *Projecting the adjective. The syntax and semantics of gradability and comparison.* New York: Garland.

Klooster, W. G. 1978. Much in Dutch. *CLS* 14, 217-228.

Kratzer, Angelika. 1995. Stage-level and individual-level predicates. In: G.N. Carlson & F.J. Pelletier (ed.): *The generic book.* 125-175. Chicago: The University of Chicago Press.

Krifka, Manfred et. al. 1995. Genericity: An introduction. In: G.N. Carlson and F.J. Pelletier (ed.): *The generic book.* 1-124. Chicago: The University of Chicago Press.

Lang, Ewald. 1987. Semantik der Dimensionsauszeichnung räumlicher Objekte. In M. Bierwisch, E. Lang (ed.), *Grammatische und konzeptuelle Aspekte von Dimensionsadjektiven.* Berlin: Akademie-Verlag, 287-458.

Löbner, Sebastian. 1979. *Intensionale Verben und Funktionalbegriffe.* Tübingen: Narr.

- Löbner, Sebastian. 1985. Definites. *Journal of Semantics* 4. 279-326.
- Löbner, Sebastian. 1990. *Wahr neben Falsch. Duale Operatoren als die Quantoren natürlicher Sprache*. Tübingen: Niemeyer.
- Löbner, Sebastian. 2000. Polarity in natural language: predication, quantification and negation in particular and characterizing sentences. *Linguistics and Philosophy* 23, 213-308.
- Löbner, Sebastian. 2003. *Semantic. Eine Einführung*. Berlin: de Gruyter.
- Maienborn, Claudia. 2003. *Die logische Form von Kopula-Sätzen*. Berlin: Akademie-Verlag.
- Na, Younghee. 1986. The conventionalization of semantic distinctions. *CLS* 22, 166-178.
- Neuner, G. und Hunfeld, H. 1993. *Methoden des fremdsprachlichen Deutschunterrichts*. Berlin: Langenscheidt.
- Neuner, G., M. Krüger, U. Grever. 1996. *Übungstypologie zum kommunikativen Deutschunterricht*. Berlin: Langenscheidt.
- Pollard, C. und I. Sag. 1994: *Head-driven Phrase Structure Grammar*. Chicago: Univ. of Chicago Press.
- Russell, Bertrand. 1919: *Introduction to mathematical philosophy*. London: Allen & Unwin.
- Steinitz, Renate. 1999. Die Kopula ‚werden‘ und die Situationstypen. *Zeitschrift für Sprachwissenschaft* 18, 121-151.
- Sweetser, E.E. 1990. *From etymology to pragmatics*. Cambridge: Cambridge University Press.
- Viberg, Å. 1984. The verbs of perception: a typological study. In: B. Butterworth (ed.):

Explanations for language universals. 123-162. Berlin: Mouton.

Weber, Heinrich. 1993. Zur Feldstruktur der Seinsverben. In: Peter R. Lutzeler (ed.): *Studies in lexical field theory*. 35-53. Tübingen: Niemeyer.

Wunderlich, Dieter. 1997. CAUSE and the structure of verbs. *Linguistic Inquiry* 28, 27-68.

არაბული, ა. 1992. ზმნის სემანტიკური ანალიზისთვის. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, N4, თბილისი

არაბული, ა. 1999. მწკრივთა რაოდენობის საკითხი ქართულ ენაში. *ენათმეცნიერების საკითხები*, 1, თბილისი

გოგოლაშვილი, გ. 1988. ზმნის უღვლილების სისტემა ქართულ ენაში. თბილისი: მეცნიერება.

კილურაძე, თ., ქუთათელაძე, ე. 2013. *ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგია*. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მელიქიშვილი, დ. 2001. *ქართული ზმნის უღვლების სისტემა*. თბილისი: ლოგოსპრესი.

სუხიშვილი, მურმან. 1976.. *სტატიკური ზმნები ქართულში*. თბილისი: მეცნიერება.

ქართულის, როგორც უცხო ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობა. (2014).თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http://geofl.ge/#!/page_doneebi (23.07.2016)

უთურგაიძე, თედო. 2002. *გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში*. თბილისი: საქ. მეცნიერებათა აკადემია.

ფხაკაძე; დ. 1984. *პირველი თურმეობითის ფუნქციები ქართულში..*
თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ღვინაძე, თ. 1989. *ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა
სტილისტიკა.* თბილისი: მეცნიერება.

შავერდაშვილი, ე. და სხვ. 2014. *უცხოური ენების სწავლების
საფუძვლები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შანიძე, ა. 1980. *თხზულებანი, ტ. 3: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები .*
თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქოზავა, ა. 1968. *ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ
ენებში.* თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკადემია

ჯორბენაძე, ბ. 1980. *ქართული ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის
პრინციპები.* თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ჰარისი, ალისა. 1981. *ვნებითი გვარი ქართულ ენაში. მაცნე, ენისა და
ლიტერატურის სერია.*

დანართები

დანართი 1: პირველადი და მეორეული სგზ-ის კორპუსი (277 ზმნა)

ა

1. **აბი-**ა გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ება, ბმულა) დაბმულია, მიბმულია რამეზე. ბაგაზე **აბია** რქამოტეხილი ხარი ნიკორა (**ვაჟა**). [თავლაში] სამი რაში აბია, შედი, აუშვი! (**თ. რაზიკ.**). წაბლა გრძელი თოკით აბია ფურცელზე (**კ. კობ.**). 2. შებმულია რამეში. ურემში ხარები აბია. ფიგურ. შემაბეს და შევები მეც საქმეში კალოს ცხენივით, ვაბივარ და ვტრიალებ (**რ. ინან.**). 3. (იყენ. ება, ჰბმია) შებმული, ჩამობმული აქვს, – ჰკიდა. ქობი სულს ათასგნით იქცევს, ლასტისა კარი აბია (**ზაჩ.**). ფიგურ. ისევე მკვიდრად გულს მაბიხართ, ცანას დათვებო! (**«ლიტ. საქ.»**). 4. მობმული აქვს ნაყოფი (მრ. ასხია). ამ ტოტს ერთი ვაშლიდა აბია. – შაქრის ლერწამს თავზე აბია გრძელი ცოცხივით თავთავი (**ი. გოგებ.**). 5. გადატ. აქვს (ითქმის სხეულის ნაწილზე). კაცს ორი ფეხი აბიაო (**ილია**). მე ხომ შენსავით თავის მაგიერ გოგრა არ მაბია, არ მახსოვდეს? (**ს. შანშ.**). 6. შებმული აქვს. ი შენი შებმული თოკი ზედვე აბია (**ვაჟა**).
◇ **მგლის მუხლი აბია** სწრაფია, ფეხმარდია, ყოჩაღია. აქაურ მონადირეებს მგლის მუხლი აბიათ (**თ. ონ.**).
2. **აბნევი-**ა (იყენ. ებნია, ბნეულა) გრდუვ. სტატ. 1. ზედ არის მობნეული, დაცვენილი, – აყრია. აქა-იქ ფეტვია**ბნევი**. 2. დაბნეულია, დამაგრებულია (ქინძისთავი...). ფიგურ. უცხოა შენთვის ეჭვის ჭია და მკერდს გაბნევა იმედის ყვავილი (**მ. ლებან.**).
3. **აბჯენი-**ა (იყენ. ებჯინა, ბჯენილა ან ჰბჯენია) გრდუვ. სტატ. დაბჯენილი არის, – დაყრდნობილია. ხიდი ბურჯებზე აბჯენია (**ი. გოგებ.**). [მონადირემ] ნახა, ერთი გმირი შუბზე აბჯენია, თვლემს (**თ. რაზიკ.**). ფიგურ. ყელს გვაბჯენია სიკვდილის დანა (**დ. წერედ. თარგმ.**).
4. **აგდია** (იყენ. ეგდო, გდებულა) გრდუვ. სტატ. 1. გდია (რამეზე), დაგდებულია. მაშინვე გადავვარდი! რას ნახავ? ...მკვდარი კაცი **აგდია** (**დ. კლდ.**). დაბერებულა, სნეულობს, აგდია ცოცხალ-მკვდარიო (**აკაკი**). ტყისპირ აგდია მუხა ვეება (**შ. ნიშნ.**). ფიქრში გულალმა ვაგდივარ სერზე, რა ცეცხლი მხანძრავს, არავინ უწყის (**ზ. სოლომნ.**). ფიგურ. აგდია ცაზე სიხარულის ვეება ლაქა (**ბ. ჯაჭვლ.**). 2. უპატივც. არის, იმყოფება სადმე. შინ უსაქმოდ აგდია.
5. **აგია-**ა გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ეგო, გებულა) დაგებულია, – აფენია. ტახტზე ხალიჩა **აგია**. – ლოგინი აგია. – დარბაზში აგია ჭილობის ნაგლეჯი (**ს. მგალობ.**). 2. (იყენ. ეგო, ჰგებია) რამეზეა დაგებული. ცულს იფნის ტარი აგია.
6. ადგას
7. **ადევ-**ს (იყენ. ედო, სდებია) გრდუვ. სტატ. 1. მასზე ან მისაზე (მის რამეზე) დევს. ტომარა მხარზე **ადევს**. – ზურგში არჭვია მას მტრის მახვილი და გულზე ადევს მისივე

ფარი (აკაკი). [მესერს] ზემოდან ძეძვი ადევს (თ. რაზიკ.). ფიგურ. ისსიტყვები, მაშინ იმ გაზეთიდან ამოჭრილი, დღესაც ავგაროზად მადევს გულზე (აკაკი). 2. ზედ აქვს, მასზეა (რამე). კარს ბოქლომი ადევს. – ხელ-ფეხზე ბორკილი ადევს. ◊ (რაიმენაირი) ფერი ადევს (რაიმენაირი) ფერი აქვს (სახეზე).მკვდრის ფერი ადევს. – რა არი, შვილო, რად გადევს ცული ფერი? (ვაჟა). რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზე, რასაც «ჩემობის» ფერი ადევს და არა «ჩვენობისა?» (ილია). ◊ ბეგარა ადევს ბეგარა აქვს გადასახდელი; როგორც ბეგარა, აკისრია, ევალეზა რამე. რამოდენა ხარჯი და ბეგარა გვედო გლეხკაცობას! (ი. მაჭავ. თარგმ.). ◊ ცოდვა (ცოდო) ადევს (კისერზე) ცოდვა, დანაშაული აქვს ჩადენილი. სოფლის ცოდო გადევს კისერზე, ბერდო! (თ. გოგ.). ◊ (დიდი) ფასი ადევს ძვირფასია, ძვირადღირებულია; მნიშვნელოვანია. წიფელმა იკითხოს, თორემ ხმელ მუხასაც დიდი ფასი ადევს! (ვ. კობ.). მას თუ ასეთი ფასი ედო და ასეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი (ა. სულავ.). ◊ ბაჟი არ ადევს შეუზღუდავია, თავისუფალია; გაუფასურებულია. ენას ძვალი არა აქვს, სიტყვას ბაჟი არ ადევს (ვ. ლორთქ.). ◊ ვალად ადევს ვალად აქვს, გადასახდელი აქვს, – ევალეზა, მოვალეა. შვილს მშობლების შენახვა ვალად ადევს. – თხაც მოგვიკვდა და ვალიც ვალად გვადევს (ი. მაჭავ. თარგმ.) ბალიში ადევს საბანს.

8. ადის - გზა ადის

9. ასდის - რასმე გამოეყოფა და მაღლა მიემართება (სუნი, ორთქლი, ბული...). თითო-ოროლა გატუსული ბოძიდა ეგდო და ბოლი ასდიოდა (ვაჟა). ესევე სუნი ასდის ბუერებსა და ბალახს (ვაჟა).ასეთი პაპანაქება იდგა, რომ დედამიწას ბული ასდიოდა, თითქო გახურებული თონეაო (ილია). თბილ რმეს ორთქლი ასდიოდა (ს. კლდ.). ◊ ალმური ასდის უბრწყინავს სახე. ყველას სახეზე... ბედნიერების ალმური ასდიოდა (ვაჟა). მეტისმეტი სიამოვნებისგან ყველას... სახეზე ალმური ასდის არაგვ.). (შ. || სირცხვილით იწვის. ◊ სუნი ასდის პირი უჩანს, მოსალოდნელია, იგრძნობა. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ომის სუნი ასდის ყიფ.). (ე. ამ საქმეს, გიგა, სხვაგვარი სუნი ასდის («მნათ.»). აღტაცება მუდამ გადაჭარბებულია და უსიამოვნოა, გამორჩენის სუნი ასდის (ა. კალანდ.).

10. ავლი-ა (იყენ. ევლო, ვლებია) გრდუვ. სტატ. შემოვლებული აქვს, – არტყია. ვიცით, შიგ რაცა სთესია, რაც გალავანიავლია (აკაკი). ფიგურ. იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას – ცალკე (ილია). უჭირისუფლო სასაფლაოს მწუხრი ავლია (მ. ლებან.).

11. აზის

12. აკერი-ა (იყენ. ეკერა, ჰკერებია) გრდუვ. სტატ. ზედ დაკერებული აქვს. ◊ პირზე (ენაზე) აკერია წარამარა ახსენებს, ხშირად იმეორებს. სულ სიმართლე აკერია ენაზე (ვაჟა). ◊ (ზედ) ზურგზე აკერია თან აქვს, ნამდვილად აქვს. ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი

და ზედ ზურგზე ორასი თუმანი ნაღდად აკერია (ილია). ზამთრის სასახლეს თუ ავიღებთ, ...საბოლოო გამარჯვება ზურგზე გვაკერიაო (გ. პაპუაშვილი).

13. აკეცი-ა (იყენ. ეკეცა, ჰკეცებია) გრდუვ. სტატ. ზედ აქვს დაკეცილი, დაკეცილი ადევს. ცხენს ზურგზე ნაბადიაკეცია.

14. აკლია

15. აკრავს

16. ალაგია-ა (იყენ. ელაგა, ლაგებულა) გრდუვ. სტატ. ზედ რამესთან არის დალაგებული, – რამდენიმე საგანი დევს, აწყვია. ქაღალდების გვერდით... მისი ჩექმები ალაგია (ქ. ბაქრ. თარგმ.). [ბარგი] აგერ კუთხეში ალაგია («ცისკ.»). ხონჩებზე და ტაბაკებზე ძროხის ხაშლამა გროვა-გროვა ალაგია (ს. შანშ.). ოთახში ორივე მხარეს... თაროები იყო გამართული და ზედ ჭურჭელი ელაგა («ლიტ. საქ.»)

17. ამოდის - მზე 7 საათზე ამოდის.

18. ამოუდის - ამოდის მისი ან მისგან, – იგივეა, რაც ამოსდის (იხ. ამოდის). ყელიდან ტკბილი ხმა ამოუდის. ომზე და მთვარე ამოუდის (ვინმეზე) შეხარის, ძალიან უყვარს (ვინმე). ...ერთს ეტრფის, მზე ამოუდის მასზედა (ვაჟა).

19. ამოჩანს

20. ამოსცქერის

21. ამჩნევია - იგივეა, რაც მართებული აჩნ'ევია, – ეტყობა, ემჩნევა. ღრმა ნახმლევი ამჩნევია შუბლიდან შუა ლოყამდე [ოთარ ბეგს] (გ. ყიფში. თარგმ.). [მირაბო] ზაფრანასავით ყვითელია და... საშინლად ამჩნევია ნაყვავილარი (ი. მაჭავ. თარგმ.). ამ დიდის არხის კვალი ახლაც ბევრგან ცხადად ამჩნევია (ი. გოგებ.). ფიგურ. გულს მამჩნევია მწარე დაღვით (ჯ. ჩარკვ.). და გვამჩნევია გულზე ტკივილი, ვით ნაკვალევი დინოზავრების (ტ. ჭანტ.).

22. ამწყვდევი-ა (იყენ. ემწყვდია, მწყვდეულა) გრდუვ. სტატ. დამწყვდეულია. ისიც აქ ამწყვდევია (აკაკი). აქ მტარვალი ამწყვდევიაო (ი. მაჩაბ. თარგმ.).

23. აპირობებ-ს ('გან'აპირობა, 'გან'უპირობებია და 'შე'აპირობა, 'შე'უპირობებია) წიგნ. გრდმ. გარკვეული პირობით (პირობებით) განსაზღვრავს რისამე შესაძლებლობას ან აუცილებლობას. [წინააღმდეგობები] თუმცა ერთმანეთს არარად ქცევას უქადდნენ, მაინც აპირობებდნენ, ჰქმნიდნენ ერთმანეთს (ნ. ბატ.). ეს დამოკიდებულება აპირობებს ყველა ლექსს, მიუხედავად იმისა, რა სიმღიერისაა იგი (ლ. ალიმ.). საჭიროა სიღრმეში ჩახედვა, რათა ამოვიცნოთ ის ჭეშმარიტი მოტივი, ...რომელიც ამ დებულებების მტკიცებას აპირობებს (XX საუკ. ფილოს.).

24. არტყია-ა (იყენ. ერტყა, რტყმია) გრდუვ. სტატ. 1. შემორტყმული აქვს. [ყმაწვილს] წელზე არტყია ხმალი (აკაკი). [აკოფას] აცვია მოკლე ახალუხი... ზედ წვრილი ვერცხლის ქამარი

არტყია (ა. ცაგარ.). ჯაბანები კი არა ვართ, წელზე ხმალი ჩვენც გვართყია (რ. ჯაფ.). 2. აკრავს. გარს არტყია უტეხი ტყე ამ ბუნებითს მოედანსა (აკაკი). ირგვლივ მას საწრეტი არხებით დასერილი სამოვრები და სათიბები არტყია (რ. ჯაფ.). წინააზიას უნდა ეპყრას... იმ ზღვათა კიდებები, რომელნი გარს არტყიან დიდ საბერძნეთსაც (ვ. ბარნ.). || შემოვლებული აქვს. ციხესიმაგრეს მაღალი გალავანი არტყია. – ირგვლივ გართყია ოთხი კედელი (ო. ჭილ.). მოვერცხლილი რკინის მესერი არტყია საფლავებს («ლიტ. საქ.»). 3. ახვევია (ხალხი). ბევრი სიკეთე უნდა დაეთესოს კაცსა, რომელსაც ეგრე სიყვარულით გარს არტყია ხალხი (ილია). წინ მიუძღვება მეფე ერეკლე. დიდებულები არტყიან გარსა (ვაჟა).

25. /არჭვი-ა გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ერჭო, რჭობილა) დარჭობილი არის. კედელში ლურსმანი არჭვია. 2. (იყენ. ერჭო, რჭობია) დარჭობილი აქვს, – ასვია (მას). ჯერაც მარჭვია ისარი გულში, ნასროლი იმისა (ვაჟა)

26. ასაფლავი-ა (იყენ. ესაფლავა, 'საფლავებულა') გრდუვ. სტატ. დასაფლავებულია, – მარხია. პაპა და თამარი, კარგა ხანია მას შემდეგ, რაც დაიხოცნენ; ისინი ასაფლავიან გვერდ-გვერდად (ვაჟა)

27. ასახლი-ა (იყენ. ესახლა, 'სახლებულა') გრდუვ. სტატ. დასახლებულია, – სახლობს. სოფლის ბოლოს ასახლია

28. ასევი-ა (იყენ. ესია, –) გრდუვ. სტატ. 1. დასეული ჰყავს. შეხედე, ...რამდენი ფუტკარი ასევია ყვავილებს! (გ. ჩიქოვ.). 2. გადატ. ბევრი ჰყავს სარჩენი, შესანახი, გასაზრდელი! შენ კი ხუთი [შვილი] გასევაო (ლ. ქიაჩ.). იცი, რამდენი მუქთახორა გვასევია მე და ჩემ დედაკაცსა? (თ. მაღლაფ.). 3. შემოსეული ჰყავს. მტრები ასევია.

29. ასვენნი-ა (იყენ. ესვენა, –) გრდუვ. სტატ. 1. დასვენებულია, – დევს (მიცვალებული...). ხალხის შუაზე ორი საკაცე ძევს, ასვენია ზედ ორი მკვდარი (ვაჟა). სად არის ლევან! აბა, მიჩვენეთ! ეს არის, აგერ რომ ასვენია? (აკაკი). მე ტახტზე ვიწევი, აი, ამ ტახტზე, სადაც ახლა ბებია ევა ასვენია (ზ. არსენ.). ფიგურ. წალკოტის შუაგულშია ის აკვანი ასვენია (ილია). 2. განისვენებს, დაკრძალულია

30. ასვი-ა¹ (იყენ. ესვა, სმია) გრდუვ. სტატ. დასმული აქვს (შდრ. ასვამს²). ◇ ბეჭედი ასვია დამოწმებულია. ||ამშვენებს (რაიმე ღირსება). მის ყველა მოქმედებას ღვთიური გონიერების ბეჭედი ასვია (ვ. ნოზ.). ◇ დაღი ასვია რაიმე უარყოფითი ნიშნით არის აღბეჭდილი. შენ ამტკიცებ, რო ყველაფერს საბჭოეთის დაღი ასვია («მარნეტ.»).

31. ასვი-ა² გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ესო, 'სობილა') დასობილია, არჭვია. სარი ასვია. 2. (იყენ. ესო, 'სობია') დასობილი აქვს, – ჩარჭობილი აქვს, ურჭვია (მას რაღაც). შდრ. ასობს. ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზე, გულს გასვია მტრის ისარი (აკაკი). ფიგურ. შემყარა მწელი ილაო ჭირი, გულზე მასვია მჭვლად დანაჭირი (დ. გურამ.). არ გასვია გულსა ნარი (რუსთაველი)

32. ასკუპი-ა გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ესკუპა, 'სკუპებულა') დასკუპებულია. კაჭკაჭი ხის ტოტზე ასკუპია. 2. (იყენ. ესკუპა, 'სკუპებია') დასკუპებული ჰყავს, აქვს. ელენეს თმები

საგანგებოდა აქვს დალაგებული, ბეწვი ბეწვზე, ზედ შავი ხავერდის ქუდი ასკუპია (ნ. ბოცვ.)

33. ასხედან

34. ასხი-ა¹ გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ესხა, 'სხმულა') დაღვრილია (სითხე). ალბათ მაგათთან კაფელზე წყალი ასხია(«მარნეტ.»). 2. (იყენ. ესხა, სხმია) დასხმული აქვს, დაღვრილია მასზე. ◊ თავს ლაფი ასხია შერცხვენილია, სირცხვილნაჭამია. ◊ თავბრუ ასხია თავბრუ აქვს დახვეული, – დარეტიანებულია

35. ასხი-ა² (იყენ. ესხა, სხმია) გრდუვ. სტატ. 1. ბევრი აბია. მუხას ვაშლი რატომ არ ასხიაო (ილია). აბა, უყურე, კაცო, ფოთოლი აღარ შერჩენია, ნაყოფი კი ისევ ისე ასხიაო (ნ. შატ.). მენ რაღა ეს აბეჩხარი [ხე] მოგაგდეს, ასხია კი? (ლ. მრელ.). ფიგურ.წელს ზევით ღორივით ჯაგარი ასხია (ვაჟა). შევარდნის ფრთები ასხია კისკას ტანზედა (ვ. ბარნ.). 2. წამოსხმული აქვს.[ლტოლვილს] თბილი ნაბადი რომ არ ასხია, ...ყინვისაგან გათოშილია (ე. მალრ.). 3. აქვს, აბადია, აბია (მკლავები).იქნება... სარასკირის ამალაში ამოყოს თავი [ყმაწვილმა], აბა, უყურეთ, როგორი მხარ-მკლავი ასხია! (ჯ. მეხრ.)

36. ატანი-ა გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ეტანა, 'ტანებულა') დატანებულია, ჩართულია. ფიგურ. ურემს ერთსიტყვიან'ი' სახელით ვიგულისხმებთ ხოლმე, მაგრამ იმ ერთ სიტყვაში მორგვებიც შიგ ატანია, ფერსოებიც, სოლებიც (დ. მაჩხ.). 2. (იყენ.ეტანა, სტანებია) დატანებული აქვს. სამხრეთის კედელს ფანჯარა ატანია.

37. ატყვი-ა (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში – იყენ. ეტყობოდა, ეტყობოდეს) გრდუვ. სტატ. აჩნევია, ეტყობა; რისამე ნიშანი აზის. სახეზე ორკეცი ნახანჯლარი ატყვია (ვ. გამს.). ესმამ ისე... ჩამავლო კბილი მკლავში, რომ მისი ნაკბენი ახლაც მატყვია (გ. წერეთ.). ყოველ ძირ ვაზს ატყვია გამრჯე და მოუღლეელი კაცის მადლი (დ. კვიც.). თქვენს მაშინდელ ლირიკულ ლექსებს ოსტატის ხელი ატყვია (მ. ლებან.). ფიგურ. გულზე მატყვია შენი ბრჭყალები (ილია). იმავ ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადა (ვაჟა)

38. აუდის - 2. აღმა მისდევს, მიჰყვება (რამე).სოფელს შენობებს შორის მთელ სიმაღლეზე აუდის ვიწრო ქვის კიბე («ვიკიპედია»).

39. აუდის - 3. იგივეა, რაც ასდის¹ (მისას). ოფლის სუნი აუდის. – ქალის სურნელი აუდის სიტყვებს, შეხვედრა გინდა და კათხა ლუდი (გ. ნახუცრ.)

40. აფარი-ა (იყენ. ეფარა, ჰფარებია) გრდუვ. სტატ. 1. გადაფარებული აქვს. მაგიდას სუფთა ქაღალდი აფარია. – ოქროს ზოდს წმინდა ხავერდი აფარია (შ. დად.). 2. აფარებული აქვს, ფარავს. ციხეს დიდი მთა აფარია (შ. არაგვ.). ◊ ჭერი აფარია ბინა აქვს. ◊ ვისიმე ხელი აფარია ვისიმე მფარველობით სარგებლობს. ვხედავ, სული შენგნით მიდგას, მაფარია შენი ხელი (რ. ერისთ.).

41. აფენი-ა გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ეფინა, ფენილა) დაფენილია, გაშლილია, აგია. 2. (იყენ. ეფინა, ჰფენია) გადაფენილი აქვს რასმე. მგზავრებს ღიმილი აფენიათ სახეზე (ლ. ბრეგვ.).

42. **აფრქვევი**-ა (იყენ. ეფრქვია, ფრქვეულა) გრდუვ. სტატ. დაფრქვეულია (რამეზე). ვაზის ფოთლებს გოგირდია**აფრქვევია**.

43. **აყენია** (ქეეკ-ში 13 მაგალითი)

44. **აყრია**-ა (იყენ. ეყარა, ჰყრია) გრდუვ. სტატ. ზედა აქვს დაყრილი, დაცვენილი. მიწამც **მაყრია** დიდის გორისაო(**ხალხ.**). ზოგჯერ კერა ჩამქრალია, ცივი ნაცრის გარე პირი... და უსითბო, უსიცოცხლო ზედ აყრია მას ნახშირი! (**აკაკი**). გრძელი ფაფარი თავსა და ბეჭებზე ლომს სქლად აყრია და დიდებულ სახეს აძლევს (**ი. გოგებ.**). ◊ (**რა**) **ხეირი აყრია** (რა) ხეირი აქვს, (რა) სარგებლობას პოულობს. აბა, ერთი მითხარ, მონადირეებს რომელს აყრია ხეირი? (**ვაჟა**). მარტოობით არც მე მაყრია ხეირი და შილაფლავი (**ბ. ჩხ.**). ◊ (**რა**) **სიკეთე (კეთილი) აყრია** (რა) სიკეთე აქვს. სხვა რაღა სიკეთე აყრია ჩემგან?! (**დ. კლდ.**). საუბედუროდ გავჩნდი ქვეყანაზე! რა კეთილი მაყრია! (**ლ. არდაზ.**). ◊ **ხორცი აყრია** მსუქანია.

45. **აყუღია**-ა (იყენ. ეყუღა, ყუღებულა) გრდუვ. სტატ. აყუღებულია, მიყრდნობილია რამეზე. [მწყემსები]ხედავენ, რომ კიბე იქვე **აყუღია** (**თ. რაზიკ.**). გამოუტანე წალდი, ე მაგ კარებს უკან აყუღია! (**ს. მაგლობ.**).

46. **აჩნ**-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) ძვ. გრდუვ. სტატ. 1. იგივეა, რაც აჩნ'ე ვ' ია. ჩემს ნაფეხურსა კვალი **აჩნს** (**რ. ერისთ.**). 2. ხელოვნ. გადატ. მიაჩნია, თვლის. სისხლის დაღვრასთან სწორად გვაჩნს ქაღალდს ნათითხნი მელანი (**ვაჟა**). მანამდე კაცი არ მაჩნდა მიწაზე თავის ტოლადა (**ვაჟა**)

47. **აჩნ'ევ'ი**-ა (იყენ. ნამ. უსრ. აჩნდა, სჩნევია) გრდუვ. სტატ. ჩანს მასზე, დაჩნეული აქვს, – ატყვია (რისამე კვალი). გაჩნია, არხოტის მთაო, ლურჯაის ნატოტარები (**ხალხ.**). ზოგს [ხეს] წალდის ღრმა ჭრილობები აჩნია (**ნ. ლორთქ.**).მენს სამოსს ჩვენი სისხლის ლაქა არ აჩნევია! (**ი. მაჩაბ.** თარგმ.

48. **აცვია**-ა (იყენ. ეცვა, სცმია) გრდუვ. სტატ. ჩაცმული აქვს, – მოსავს. «ბიჭო, სად უნდა წახვიდე?!» – უჯავრდებოდა დედა [გოგიას] – «ფეხთ არ გაცვია და ტანთ!» (**ს. შანშ.**).

49. **აცხია**-ა (იყენ. ეცხო, სცხებია) გრდუვ. სტატ. 1. წაცხებული, წასმული აქვს, – სცხია. [მგელს] თავ-ცხვირზე სისხლია**აცხია**, მოდის ლაშების ღრენითა (**ვაჟა**). 2. გადატ. ემჩნევა, ზედ ეტყობა. მარტო ამ ამბავს აცხია მართლის ნიშანწყალი (**ილია**).◊ **არაფერი აცხია (ვისიმე ან რისამე)** სულ არა ჰგავს, საერთო არაფერი აქვს (ვინმესთან ან რამესთან).ჩვენ... ჰერკულესისა განა გვაცხია რა?! (**კ. ბუაჩ.**)

50. **აძევს**

51. **აწერია**-ა (იყენ. ეწერა, სწერებია) გრდუვ. სტატ. 1. ზედ არის დაწერილი. წერილს თავზე **აწერია** (**ვაჟა**). სურათს ზედ აწერია (**ილია**). ◊ **შუბლზე აწერია** ზედვე ეტყობა. შუბლზე აწერია, რა ვაჟბატონიცა ბრძანდება. || წინასწარ განსაზღვრული აქვს (ბედი). კაცს რაც შუბლზე აწერია, ვერ ასცდება! (**მელან.**). 2. აკისრია. მე ვეღარ ვხნავ, სარჩო არ მომდის, გადასახადი კი ნაკლები არ მაწერია! (**ს. შანშ.**).

52. **აწყვი**-ა (იყენ. ეწყო, წყობილა) გრდუვ. სტატ. დაწყობილია, – ალაგია. კვერცხები ბუდეში ყირამალა **აწყვია (ი. გოგებ.)**. ნავსადგურის უზარმაზარ საწყობებში დედამიწის ყოველი კუთხიდან შემოტანილი საქონელი აწყვია (**რ. ჯაფ.**). დახლზე უხვად აწყვია გუდის ყველის გულამოყვითლებული კვერები (**თ. მაღლაფ.**)

53. **აჭედი**-ა (იყენ. ეჭედა, სჭედებია) გრდუვ. სტატ. ზედ დაჭედებული აქვს; რამეზე დაჭედებულია; ლურსმნებით დამაგრებულია ზედ. ზღურბლზე ნალი **აჭედია**. – ჩარხის დიდროვან სოლებს ზედ აჭედია მრავალათასი უმნიშვნელო, მცირე საგანი (**ი. მაჩაბ. თარგმ.**).

54. **ახასიათებ**-ს 1. ('და'ახასიათა, 'და'უხასიათებია) გრდმ. ვისიმე (ან რისამე) ნიშანდობლივ თვისებებს აღნიშნავს. დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩეველთა კრებებზე რწმუნებულები ახასიათებენ. 2. (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. დამახასიათებელია, ნიშანდობლივ თვისებად აქვს. [ტყის ძილგუდას ბეწვს] რუხი, ყვითელი, მურა და შავი ტონები **ახასიათებს («საქ. ბუნ.»)**.

55. **ახატია**-ა (იყენ. ეხატა, –) გრდუვ. სტატ. დახატულია რამეზე (ან ზედ აქვს დახატული რასმე). წიგნის ყდას ავტორის სურათი **ახატია**. – ჩვენი ფარანი გინახავს? ღამურა რომ ახატია შუშაზე (**რ. ინან.**). ყავისფერ მუნდიროს ახატია გონჯი ობობა (**ჯ. ჩარკვ.**). ფიგურ. და შენ მხოლოდ ახატიხარ ამ ჩემ წმინდა გულის ფიცარს (**აკაკი**). ◊ **გულზე (არ) ახატია** გულში (არ) უზის, (არ) უყვარს. გულზე არ ახატიათ [თანამშრომლებს] ქათამაძე (**ლ. ავალ.**).

56. **ახვევია**-ა (იყენ. ეხვია, ხვევია) გრდუვ. სტატ. 1. ზედ არის დახვეული, შემოხვეული; ზედ შემოხვეული აქვს. კოჭს შავი ძაფი **ახვევია**. – ერთს ჩითმერდინის ხელსახოცი ახვევია ყელზე (**რ. ერისთ.**). თავზე ლეგა ყაბალახი ახვევია (**ვ. ბარნ.**). 2. გადატ. ირგვლივ არის, – არტყია. სამშობლოს გარშემო ბევრი მტერი ახვევია (**ვ. ბარნ.**). ნათესავეები გარს გვახვევია (**ქ. ბაქრ. თარგმ.**). ათასნაირი საქმე გარს მახვევია (**ი. გულის.**). ◊ **წვრილშვილი ახვევია** მცირეწლოვანი შვილები ჰყავს, წვრილშვილის პატრონია. კონვენტმა დააწესა დახმარება იმ ოჯახებისა, რომელთაც... წვრილშვილი ახვევიათ (**ი. მაჭავ. თარგმ.**).

57. **ახურავ-ს²** (იყენ. ეხურა, ხურებია) გრდუვ. სტატ. დახურული აქვს, – აფარია, ხურავს. მცხეთის ერისთავს თავჯი ახურავს თავზე (**ვ. გამს.**).

58. **ახური**-ა (იყენ. ეხურა, ხურებია) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც ახურავს². გარს გალავანი არტყია, ცა **ახურია** თავზედა (**ხალხ.**). თავზე ბუხრის ქუდი ახურია (**ვაჟა**).

ბ

59. **ბანაკობ**-ს (იყენ. იბანაკა, უბანაკია) გრდუვ. ბანაკად დგას, დაბანაკებულია (ჯარი...). მყინვარებში ბრძოდა ერთ ხანს, მერმე იქვე ბანაკობდა (**მ. ლეზან.**). || გადატ. ბინად დგას. აქ იაქად ღამისთევა გაგიჭირდება... აგერ, ხევმელმა, ორწყალთან მენახირეები უნდა ბანაკობდნენ და იმათ მიეკედლე (**ჯ. მეხრ.**)

60. ბრუნავს - დედამიწა ბრუნავს.

61. **ბუდარობ**-ს (იყენ. იბუდარა, უბუდარია) კუთხ. გრდუვ. ბარტყების გამოსაჩეკად კვერცხებზე ზის (ბუდეში). შდრ. ბუდარაობს.

62. **ბუდობ**-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. ბუდე (მნიშვ. 1) აქვს. საცა ქორი **ბუდობს**, იქ მტრედს რა უხარიანო?! (**ანდაზა**). ეს სულ იმ ბებერი არწივის ბრალია, ჩემ გვერდით რომ ბუდობს (**ვაჟა**). ვინ მოთვლის რამდენი ხევია საქართველოში, სადაც მხოლოდ ქორები ბუდობენ (**ს. კლდ.**). იქ ბუდობს მხოლოდ წმინდა ფუტკარი (**აკაკი**). მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი, ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერი გადმოქუხს ბროლი წყლიანი (**რ. ერისთ.**). 2. თავშესაფარი, ბინა აქვს; დაბინავებულია, ცხოვრობს. დაბურულსა და გაუვალს ტყეებში ბევრგვარი ნადირი ბუდობს (**ი. გოგებ.**). აუზში ბევრი ოქროს თევზი ბუდობს (**შ. დად.**). 3. გადატ. არსებობს, დამკვიდრებულია. საცა უცოდინარობა ბუდობს, ჭირი და სისაწყლევ იქა ტრიალებს (**დ. მაჩხ.**). სანამღეს ვდებ, ...[თამ ბი რატინში] ავი სული ბუდობს (**ს. კლდ.**). [მედეა] შესცქეროდა ძმების აქოჩრილ თავებს, სადაც მისთვის გაუგებარი ფიქრები ბუდობდნენ (**ო. ჭილ.**). კაცის გული ფუჭი ხორცის ნაჭერია, თუ შიგ ან დარდი, ან სიხარული არ ბუდობს (**ლ. გოთ.**)

63. **ბუნაგობ**-ს (იყენ. იბუნაგა, უბუნაგია) გრდუვ. ბუნაგი აქვს, _ ბუდობს. [ქალა-ბიჭა] რო'მ' მივიდა, სადაც ღორი ბუნაგობდა, ამოთხარა მიწა და შიგ ჩაჯდა (**ზღაპ.**). აქ ავსულები უნდა ბუნაგობდნენ (**გ. ქუჩ.**). || გადატ. ბინად არის. ამასობაში შეიტყეს, რომ ოთარი ხანდახან ღამით შინ ბუნაგობდა (**გ. წერეთ.**). ცეცხლს გადარჩენილი ბეღელი, სადაც **ბუნაგობს** მსოფრომა, სულ ქათმის ბუმბულით იყო სავსე (**ლ. მრელ.**). აქაც ისევ ბუნაგობენ მაჰმადიანნი (**ვ. ბარნ.**).

ბ

64. გადასდევს 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. დაჰყვება (ზოლივით), სიგრძეზე გასდევს; ეტყობა. [მძლოლს] სქელ, ოკრობოკრო კისერზე ორი წყვილი ნაოჭი გადასდევდა (**რინან.**). . აგერ, ამ ქედს ყვითელ სარტყლად... გადასდევს თავზე მანდარინის დიდი პლანტაცია (**მ. ელიოზ.**).

65. გადადის მიემართება, მიჰყვება, მიდის (გზა...) იქითა მიმართულებით (რაიმეზე გადავლით). ბილიკი... გადადიოდა ხევში და შარაგზას უერთდებოდა (**ს. მგალობ.**). ხიდი გადადის ქუჩის თავზე და მატარებლები დაგრუხუნებენ (**აკა მორჩ.**). გზა გადადიოდა ხიდზე (**თ. ნატრ.**). 7. გადატ. სცილდება, შორდება (ფერი, საღებავი...). ეს საღებავი ადვილად გადადის.

66. გადაშვერს 1. გადასცქერის, გადაჰყურებს, უმზერს. 2. პირით მიქცეულია, მიმართულია რომელიმე მხარეს, დგას (რამის მიმართ, ახლოს). ბაღის ბოლო მტკვარს გადაჰშვერდა (**ვ. ბარნ.**)
67. გადაჰყურებს 2. მიმართულია, მიქცეულია, აგებულია, გაშენებულია პირით რაიმესკენ. სცენად არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ (**ილია**). სადარბაზო შესასვლელის მაღალი ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდნენ (**ნატრ.**). (**თ.** სახლი, სადაც მე ვცხოვრობდი, მტკვარს გადაჰყურებდა (**ა. სულაკ.**). [სოფლის] მარცხენა მხარე ალაზანს გადაჰყურებდა (**«მნათ.»**).
68. გადაჩანჩქარებს გრდუვ. სტატ. ჩანჩქერად გადადის. ლამაზად ეტყობოდა, როგორ გადაჩანჩქარებდა წყარო ქვევით კლდეზე (**ვაჟა**).
- 69.
70. გადასცქერის 2. მიქცეულია, მიმართულია, აშენებულია რაიმეს (გადაღმა მყოფის) მხარეს. სახლი პატარა გორაკზე იყო აშენებული და დიდ ზვარს გადასცქეროდა (**ევ. გაბ.**). [სახლი] იდგა მაღლობზე და იქიდან გადასცქეროდა თემის თვალწარმტაც ხეობას (**ე. მას.**). აივანი იორის ტოტს გადასცქეროდა (**ვ. ხიმშ.**). სარკმელი, რომელიც ზღვას გადასცქეროდა, ჩამავალმა მზემ ნარინჯისფრად მოავარაყა (**თ. მაღლაფ.**).
71. გასდევს 2. (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ზედმიყოლებით აქვს; გაჰყვება, აჩნია (ჩვეულებისამებრ, სიგრძეზე). ზოგიერთებს მთელს ტანსა და კისერზე კაშკაშა ფოლაქები გასდევს (**ი. გოგებ.**). წყალსაც ნაპირებზე თეთრი ყინული გასდევს (**რ. ინან.**). [ჩიტს] ლამაზი ფერები გასდევდა ფრთებსა და კუდზე (**ლ. ბრეგ.**). || მიჰყვება. შუკიდან შუკას, უბნიდან უბანს გასდევდა ხმა ბოხი თუ ჩახლეჩილი, მჟღერი თუ მკვიანი (**ო. ჩხ.**).
72. გადის 8. ინფორმაცია გადაიცემა; მაუწყებლობა მიმდინარეობს. პოლიტიკური გადაცემები და საინფორმაციო გამოშვებები «რუსთავი 2»-ზე და სხვა არხებზეც გადის (**«ერთობა»**). 11. მიემართება; მდებარეობს, გაყვანილია (გზა...). [ბილიკი] წყაროსთან გადიოდა (**ვ. ბარნ.**). გზა ორღობეში გადიოდა (**ს. მაგლობ.**). წინათ აქ რიყის ქვით მოგებული ვიწრო ქუჩა გადიოდა (**ა. ბელ.**). გზა ჩვენს ივრის ვენახებზე გადიოდა (**გ. ლეონ.**). 12. გადასცქერის (მნიშვ. 2), გადაჰყურებს (მნიშვ. 2), მიმართულია. ეზო მისი (= სახლისა) გადიოდა მეორე ქუჩაზე (**ლ. არდაზ.**). შენობა ბაღში გადიოდა (**ი. მაჭავ. თარგმ.**).
73. გადმოდის 5. (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში) მდებარეობს, მოემართება, მოჰყვება, მოდის აქეთა მიმართულებით (გზა...). ჯავახეთით ამ გზისკენ ბილიკი გადმოდოდა (**ზაჩ.**). გზა გადმოდოდა კოდაზე (**ვ. ბარნ.**). ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გზები გადმოდოდა (**საქ. ისტ.**). 6. გადმომდინარეობს; მოედინება; გამოდის და მოემართება. აქვე ახლო დიდებული წყარო გადმოდის (**ვ. ბარნ.**). მდინარე ფაზისი

ამარახტის მთიდან გადმოდისო(აკაკი). დეკორაციების სუნი გადმოდიოდა პარტერში (გ. დოჩ.).

74. გადმოჰყურებს 2. გადმოსდგომია, ადგას.[ნამძვის ხეები] თითქოს გუშაგებად გადმოჰყურებენ არე-მარეს (შ. დად.). იფანი... ლორდიან ჭალას ამაყად გადმოჰყურებდა (გ. ჩოხ.). მაღლიდან... კამკამა ცა გადმოჰყურებდა ამ ფერთა თამაშს (თ. ონ.).

75. გადმოჩუხჩუხებს

76. გადმოჩქევს

77. გადმოსცქრიალებს

78. გადმოსცქერის 2. იგივეა, რაც გადმოჰყურებს (მნიშვ. 2). ამ სოფელს შუა ჰყოფს დიდი ციხე, რომელიც გადმოსცქერის ძირს საყდარს (ს. მგალობ.). მთები მედიდურად გადმოსცქეროდნენ ხეობაში ჩაკეტილ სოფელს (თ. ნატრ.). სახლები ხის აივნებით მტკვარს ნაღვლიანად გადმოსცქეროდნენ (ა. სულაკ.).

79. ჰგავს

80. გამომდინარეობს

81. განსხვავდება

82. გაუდის - მაგ. ვადა გაუდის.

83. გდია

84. გადაჰყურებს

85. გადმოჰყურებს

86. გორავს

87. გორაობს

88. განაპირობებს წიგნ. გრდმ. პირობად, საფუძვლად დაედება, განსაზღვრავს, – შეაპირობებს. მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც ტკბილეულის სიყვარულს განაპირობებს («ახ. ამბ.საქ.»). ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა აშშ ეკონომიკაში არცთუ სახარბიელო ვითარებამ განაპირობა («24 საათი»).

89. ჰგავს

90. გამოიყენება

დ

91. დევს

92. სდის - ◊ სუნი სდის სუნი ასდის (იხ. ასდის, მნიშვ. 1). აქ ყველაფერს ახლად მორწყული მიწის სუნი სდისოდა(მიხ. მრევლ.). ახლად გამართულ ოდას სდისოდა ფიჭვის საამო სუნი (თ. ბექ.).

93. უდის (სუნი)

94. ადის, ამოდის, გამოდის, მიდის, მოდის, შემოდის, ჩადის, ამოდის, გადადის, შედის - ჰაბიტუალისის მნიშვნელობით.

95. დულს - წყალი 100 გრადუსზე დულს.

96. დაებმება, დაებმის - დაბმა შესაძლებელია

97. დაეგება

98. დაედრება = დაედარება ძალი კატაზე უფრო გონიერია, ...ზნით იმას ვერ დაედრება (ი. გოგებ.). შვილების სიყვარულში სიღონიას ერთიც ვერ დაედრებოდა (მ. ჯავ.). ხან მეცხრე ცაში ფრენით ნავარდობს, ხან დაედრება ღრუბელს საავდროს (შ. ნიშნ.). ისე როგორ დაებერდები არაგვს თუ არ დავედრები (გ. კლდ.).

99. დაეკიდება

100. დაენახვება თავს დაანახ'ვებს, თავის ნახვის საშუალებას მისცემს, _ ეჩვენება. ◊ ავ თვალს არ დაენახ'ვება სასიამოვნო შესახედავია, ძალიან კარგია, _ მშვენიერია. სახლი მართლაც ისეთი დიდებული გამოვიდა, ავ თვალს არ დაენახვებოდა (გ. ციც.)

101. დაექდევა ჭდე გაუკეთდება, ჭდით ნიშანი დაედება; შეიძლება დააჭდიონ. ფიგურ. სანამ მსჯავრს დასდებდეთ..., ბუნება უნდა გამოუჩხრიკოთ და მართლ მაშინ დაექდევა თქვენს მსჯავრს ადამიანის საკადრისი ღირებულება და ფასი (ილია). ◊ გონებას დაექდევა მეხსიერებაში აღიბეჭდება, მეხსიერებაში დარჩება. ადამიანი მეხსიერებაა, ის არის, რაც არსებობის მანძილზე გონებას დაექდევა («ლიტ. საქ.»).

102. დაექდება / ექდება - დაიჭედება რამეზე; დაჭედება შესაძლებელია. ფიცარი კარგად დაექდა.

103. დაეჭირება - შეიძლება დაუჭირონ. || გადატ. დაეკავება, უარი ეთქმის, არ მიეცემა. შენ მუშია არ დაეჭირება და შაბი... რა დასაჭერია (ს. მგალობ.). თუმცა შენისთანა კაცს ქალი არ დაეჭირება, მაგრამ შენი დაუდევრობა უარზე მიწვევს (აკაკი).

104. დაეჯერება დაუჯერებენ; შეიძლება დაუჯერონ, ერწმუნონ. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მეფეს და მის მსახურთ არაფერი დაეჯერებათ (საბჭ. კავშ. ისტ.). აჯამსა და გაუმადლარ თვალ-გულისას არა დაეჯერება რა (დ. მაჩხ.). მოდი და ამის შემდეგ თქვი, სოფელს ყველაფერი დაეჯერებაო! (კ. კობ.). ◊ სიზმარიც (ტყუილიც) დაეჯერება უადრესად სანდოა (პატიოსნებით, გამოცდილებით, ცოდნით). ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერებაო (ანდაზა). ნასწავლი კაცი ხარ, არჩილ, სიზმარიც დაეჯერება (კ. ლორთქ.). ჩემი ხნის ადამიანს ტყუილიც დაეჯერება (გ. ჩიქოვ.). ◊ თვალს არ დაეჯერება მოსაწონია, ძალიან კარგია, არაჩვეულებრივია. ნეტა გაჩვენათ, როგორა ყრია კიტრი, თვალს არ დაეჯერება! (კ. კობ.).

105. დაიბმება დააბამენ; დაბმა შესაძლებელი იქნება, _ თოკით (ჯაჭვით...) დამაგრდება ერთ ადგილას. აიცრება იმ პირუტყვი, რომელიც ბულა-მწარმოებელთან ერთად დაიბმება სადგომში («ელექტრ. ბიბლ.»). ფიგურ. მე... მსურდა შენი ჯაჭვით დავბმულიყავ (რ. ერისთ.).

ი

106. ებმება-ა, ძვ. ებმი-ს გრდუვ. 1. ვნებ. აბამს ზმნისა. 1. (გამოება, გამობმია; მიება, მიბმია; მოება, მობმია) ზედ ემაგრება რასმე, ეკიდება, ეჭიდება. [ნემსკავს კალმახები] აღარ ებმოდნენ (თ. რაზიკ.). || გადატ. გამოსდის, უჩნდება (მაგ., კუდი), ესხმება. «ის (კუდი) ხომ კაცებს არ ებმის, თორემ ერთს მაინც ვნახავდი კუდიანს» (შ. არაგვ.). 2. (გადაება, გადაბმია) უერთდება, უკავშირდება, ენასკვება. ◊ თავი ბოლოს არ ებმის თავი ბოლოს არ უერთდება, მათ შორის კავშირი არ არსებობს, მთლიანობა არ არის. აქ როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის (ილია). || ზედ ერთვის, ეკვრის, უერთდება; უწყვეტლივ მოსდევს, ზედ მოჰყვება. აი ქედს სამხრეთით ებმის სამეგრელოს ქედი (დ. დონდ.). ფიგურ. ებმის საუკუნე საუკუნეს (ვაჟა). [ქიტუას] თავში აზრი აზრს არ ებმება (შ. არაგვ.). 2. (გაება, გაბმულა) იბმება, ემწყვდევს (ბადეში, მახეში, ხაფანგში...). [თხუნელა] ვერ ამჩნევს მავთულის მახეს, ...ებ მება შიგ და ილუპება (ი. გოგებ.). ფიგურ. მეორენი უპასუხებენ: არჩვენებში მონაწილეობით თქვენ

თქვენდა უნებურად ეხმარებით რეაქციას სათათბიროს აშენებაში და მით ორივე ფეხით ებმებით რეაქციის მახეში (სტალინი). ფეხმარდი შვლები, ირმები ებმებიან... [მგლების] დაგებულ ხაფანგში (ვაჟა). 4. (შეება, შებმია) თავს უღელში ყოფს, უღელს იდგამს. «ხარივით უღელში ვებმებოდი!» (კ. ლორთქ.). || გადატ. ხელს ჰკიდებს, კისრულობს (რაიმე საქმეს). 5. (ჩაება, ჩაბმულა) რაიმე საქმიანობის (შრომის, სოციალისტური შეჯიბრების, ფერხულის...) მონაწილე ხდება, რაიმე საქმეში ერევა, მონაწილეობს. მუშების კვალდაკვალ ბრძოლაში ებმებოდნენ მასწავლებლები, ექიმები, პროფესორები და სტუდენტები (საბჭ. კავშ. ისტ.). პანტიანის ახალგაზრდობა ხალისიანად ებმებოდა შრომის ფერხულში (მიხ. მრეველ.). შეჯიბრებაში სულ ახალ-ახალი ადამიანები ებმებიან და შეუნელებლივ აძლიერებენ მუშაობის ტემპს მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად («კომ.»). 2. ვნებ. უბამს ზმნისა. 1. (ება, ბმია) იბმება მისი ან მისთვის, უბამენ მას (მას), 'შე'აბამენ მისას. [ლუარსაბს] ათ ურმამდის საბეგრო ებმებოდა (ილია). 2. (დაება, დაბმია) ♦ ენა ებმება შეფერხებით მეტყველებს, ბორძიკით ლაპარაკობს, «ვერ შენიშნე ბლუკუნას, ენა როგორ ებმებოდა?» (გ. წერეთ.). [ხევისბერს] სიტყვები... ყელში ეჩხირებოდა, მეტის მეტი მღელვარებისაგან ენა ებმებოდა (ვაჟა). 3. (აება, აბმია) ♦ თვალეები ებმება თვალეებზე 'ა'ეფარება, ვერაფერს დაინახავს. 3. ვნებ. სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნამყო ძირითადისა და თურმეობითის წყებაში: 1. (ება, ბმულა; აწმყოში იყენ. აბია, თოკით (ჯაჭვით...) დაბმული, დამაგრებული იქნება (რამეზე). ხარი ება. 2. (ება, ბმია; აწმყოში იყენ. აბია, უბია) რამეზე ეკიდება, მიმაგრებული, ჩამოხმული იქნება. იმის სახლს კარები აღარ ება (მელან.). || მოხმული ექნება (ნაყოფი) (სუბიექტის მრავლ. რიცხვში დასმისას ენაცვლება ესხა). ვაშლი ება. || მიხმული, გამოხმული ექნება (ითქმის სხეულის ნაწილზე). ყვავს თვალი არ ება და ღმერთს წამწამს ჯდრებოდაო (ძველი ანდაზა). [აბრეშუმის პეპელას] ორი დიდი თვალი ება (ი. გოგებ.).

107. ებჯინება-ა გრდუვ. ვნებ. 1. (დაებჯინა, დაბჯენია) იბჯენს რასმე, _ ეყრდნობა, ემყარება. მოხუცი... წყნარად მოდიოდა და ჯოხს ებჯინებოდა (ა. ყაზბ.). 2. (მიებჯინა, მიბჯენია; მოებჯინა, მობჯენია) ეკვრის, ეხება; სწვდება; ზედ მიკრულია. ორღობე მისი დის ეხოს ებჯინებოდა (ლ. ქიაჩ.). ფიგურ. იმისი ციხედარბაზი ცას თავით ებჯინებოდა (აკაკი). ♦ ცრემლი ყელში ებჯინება გადატ. ტირილი მოსდის, _ ეტირება. ცრემლი ყელში მებჯინებოდა (ს. შანშ.). ♦ გული, სული (სისხლი, ბრაზი...) ყელში ებჯინება გადატ. გული ყელში ადგება, გული ლამის ამოუფარდეს; სუნთქვა ეკვრის, სული ეხუთება (მეტის მეტი აღელვებისაგან, სიბრაზით...); ბრაზი ახრჩობს, ბოღმა აწვება. მე... თანდათან ვბრაზდებოდი, გული ყელში მებჯინებოდა (ი. ევალ.). სოფიოს სული ყელში ებჯინებოდა (შ. არაგვ.). 2. (ებჯინა, ბჯენა; აწმყოში იყენ. აბჯენია) ვნებ. სტატ. დაბჯენილი, დაყრდნობილი ექნება. მკლავი ხანჯალზე ებჯინა (ილია)

108. ეგება - მე: აქ ლამაზად ეგება/დაეგება - არ ეგების უკვე სხვა მნიშვნელობაა.

109. ედგმება, ედგმის _ ებმება, უკეთდება (თავი, მაგ., ზვინს). «[თივის ზვინს] თავი ვერ ედგმის კარგად» (ილია). 2. (ჩაედგა, ჩასდგმია) ვნებ. უდგამს ზმნისა

110. ედებ-ა გრდუვ.) . ვნებ. ადებს, სდებს ზმნათა. 1. (დაედო, დასდებია) ეფინება, ეფარება, ფარავს; ეკვრის; ეყრება; ადებენ. ტყემინდორს დილდილაობით ჭირხლი ედებოდა (ილია). მთას იქით გადის თოფები, კვამლი ედება მიწასა (ვაჟა). თეთრი ფერის მაგივრად მწვანე ფერი ედებოდა არემარეს (თ. რაზიკ.). ♦ ბრალად ედება, ბრალი ედება რაიმე დანაშაულის ჩადენა მიეწერება, _ დამნაშავედ თვლიან, ბრალდება, ბრალს სდებენ, აბრალევენ. «ბრალი ედება თვით ბიძაჩემს _ ზურაბს» (ს. შანშ.). ♦ მალამოდ, მალამოსავით ედება გადატ. წამლად უხდება, _ კურნავს, შველის, ფიგურ. ალი ცეცხლისა...

ავრცელებდა... სითბო-სინათლეს და ჩვენს გულს სწორედ მალამოდ ედებოდა (ნ. ლომ.). ♦ მტლად (მტლედ) ედება გადატ. ძალიან შველის, თავს ევლება; თავს დებს მისთვის, ენაცვლება. მტლედ ედებოდა იგი (მარინე) ქმარ-შვილს, ოჯახს, ნათესაობას, ყველა მის გარშემო მყოფს (ვ. ბარნ.). «მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს და შენს სახელსა მტლად დავედები» (ილია). ♦ (დიდი) ფასი ედება დიდ ფასს ადებენ, _ ძვირად, დიდად აფასებენ, ღირებულება ემატება. ფიგურ. ცოცხალი რომე პატარად ვღირდი, მკვდარს რად მედება მე ფასი დიდი! (დ. გურამ.). ♦ ვალი (ვალები) ედება ვალს იღებს, ვალ'ებ'ში ვარდება. «რაც

უფრო მეტი ვალეები მედება, მით უფრო ვსულელდები» (ქ. ბაქრ. თარგმ.). 2. (გადაედო, გადასდებია) ერთისაგან მეორეს ემართება, "შე"ყვრება (ავადმყოფობა). «არა, შენი ჭირიმე! ცხენის მუწი კაცს არ ედება» (აკაკი). || გადატ. სხვაზე ვრცელდება, გადადის. ინტერვენტების ჯარებს (საბჭოთა რესპუბლიკის ჯარებთან შეხვედრის გამო რევოლუციური სული ედებოდათ და მათ აჯანყებების მოწყობა დაიწყეს თავისი იმპერიალისტი ბატონების წინააღმდეგ (პარტ. ისტ.). 3. (გაედო, გასდებია) იდება მისი, მისთვის, მის წინაშე. ◊ ხიდად ედება გადატ. ხელს უწყობს, სამსახურს უწევს, _ შველის, ეხმარება. «ხიდად ეგენი (ჩვენები) ედებიან» (ს. მგალობ.). 4. (მოედო, მოსდებია) ეკარება, ეჯახება, გაკვრავს. ქუჩაში ხარ, ედები ხან გოგონებს, ხან ბიჭებს (ი. გრიშ.). || ეცხება, ეკვრის. ბირკები გედებიან (აკაკი). 5. (მოედო, მოსდებია) გადატ. მოიცავს მთელ ფართობს (ჩვეულებრივ ბევრი), _ შეესევა, 'მი'ესევა. ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟები... ხან მიდამოს ედებიან..., ხან ბაღებში ენთებიან (ა. მირცხ.). || ყველგან ვრცელდება, ყველას მოიცავს, მოეფინება. ხუმრობა, ოხუნჯობა და სიცილ-ხარხარი მხიარულად ედებოდა საკოლმეურნეო ეზოს (მიხ. მრეველ.). || ცდილობს ხელი მოჰკიდოს, _ ეპოტინება. ფიგურ. ჯერ ქართულიც არ იცი, უცხოს რაღას ედები? (აკაკი). ◊ ღობე-ყორეს ედება უაზროდ, უთავბოლოდ მოქმედებს, ყველაფერს ედება. უსაქმო კაცი ღობე-ყორეს ედება (ლ. არდაზ.). ◊ ცეცხლი ედება ცეცხლი ეკიდება; ცეცხლი ვრცელდება, გადადის (რამეზე). შემას ცეცხლი ედება. _ «მამი! მამი! იქ ცეცხლი ედება სახლებს!» (ს. შანშ.). ფიგურ. მას ორბელიძე მისდევს ჯარითა, მისდევს, თანდათან ცეცხლი ედება (აკაკი). || გადატ. მეტის მეტად წუხს, იტანჯება, გამწარებულია. დედას... ცეცხლი ედებოდა და ვერა მოეფიქრებინა რა (გ. წერეთ.). ◊ ცეცხლად, ცეცხლივით ედება გადატ. სწრაფად მოქმედებს, სწრაფად მუშაობს (თიბავს, კაფავს და სხვ.), _ უტევს (სამუშაოს...). ცეცხლად ედება ყანასა, კაფავს უღმერთოდ, მედგრადა (ვაჟა). 6. (დაედო, დასდებია; მოედო, მოსდებია) ეტანება, აწყდება; ეხვევა, ესევა. სიცილ-კისკისი..., დროს გატარება მართლაც აქ იყო ყოველი მატერებლის გავლაზე. მიმავალი ხალხიც ძალიან ედებოდა ამ კუთხეს (გ. წერეთ.). შიმშილისაგან შეწუხებული როჭოებისა და ჩხართვების გუნდი [ცირცელს] ედება ზედა (ვაჟა). 7. (გამოედო, გამოსდებია; წამოედო, წამოსდებია) ეხება; ეხლართება, ეხხირება; ებმება. კაბა... ფეხებში ედებათ... მებრძოლთ (შ. დად.). «ეს ვიღა ოხერია, ფეხებში გვედებო _ სთქვა ერთმა წაბორძიკებულმა (ილია). 2. (დაედო, დასდებია) ვნებ. უდებს ზმნისა. ◊ სარჩულად ედება გადატ. საფუძველი ხდება რისამე. მოწონება სარჩულად სიყვარულს ედება ხოლმე და მეც ასე დამემართა (შ. არაგვ.). 3. (ედო და ედვა; სდებია) ვნებ. სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნაკვეთთა ნამყო ძირითადისა და თურმეობითის წყებაში. 1. (აწმყოში იყენ. უძევს, უძევს) იდება მასთან, მის გვერდით, მის წინ, _ დადებული ექნება (გვერდით, წინ). [დედაკაცს] გვერდით ედო ყველის კარგა მოზრდილი ნაჭერი (ი. გოგებ.). კერძი ყველას სამყოფი ედვა წინ (აკაკი). || ჩადებული ექნება რამეში. დურმიშხანს ედვა უბეში განთავისუფლების წიგნი (დ. ჭონქ.). ფიგურ. მე ჩემი დარდი მედო გულში (ილია). ◊ საფუძველად ედება საფუძველად ექნება, _ მასზე იქნება დამყარებული რამე. პროექტი საფუძველად ედო... მშენებლობის გეგმიან რეგულირებას («კომ.»). ◊ წილი ედება (რამეში) წილი ექნება (რამეში), მონაწილე იქნება (რისამე). ფიგურ. ამ ქვეყანაში მე წილი აღარაფერში მედო [ჩიოდა გლახა] (ილია). 2. (აწმყოში იყენ. აძევს) დადებული ექნება რამეზე. «სანამ ის (კრიალოსანი) ედება ყელზე, იცოცხლოს» (ზღაპ.). ◊ (როგორიმე) ფერი ედო (როგორიმე) ფერი ჰქონდა (სახეზე). სახეზე ზაფრანის ფერი ედო (ილია). ◊ ვალად ედება ვალად ექნება (რამე), _ დავალებული იქნება (რამეთი). «მედგას ვალად ეგ შენი სამსახური» (დ. კლდ.). ◊ ბეგარად ედება ბეგარად ექნება, რისამე ბეგარას გადახდა ექნება დაკისრებული. გლახებს ბეგარად ედვათ... თითო ბურვავი (აკაკი). ◊ პირზე კლიტე ედო ლაპარაკის უფლება არა ჰქონდა, ხმის ამოდების საშუალება მოესპო, თქმა არ შეეძლო. პირზე კლიტე ედვა და ცეცხლზე ცეცხლი ედებოდა (ვ. ბარნ.)

111. **ედრება** ძვ. **ედრები**-ს (შეედარა,_) გრდღუვ. ვნებ. მისი დარია, მისი დარი იქნება. 1. იგივეა, რაც ედარება. ბრძოლაში თუ ნადირობაში ვეფხვს ედრებოდა (**ვ. ბარნ.**). 2. ეთანაბრება, უდრის. კანონით სისხლის აღება ედრებოდა უბრალო მკვლელობას (**დ. კლდ.**).
112. **ევარცხნება**. ივარცხნება მისი. თმა კარგად **ევარცხნება**..
113. **ევლება (ლობე გარშემო)** 3. (ევლო, ვლებია; აწმყოში იყენ. ავლია) ვნებ. სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნაკვთთა ნამყო ძირითადის წყებაში – შემოვლებული ექნება, ერტყმება. ლობე ევლო, – გარს ევლო შუქი ბრწყინვალე (ვაჟა).
114. **ეთანაბრება** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდმ. ვნებ. უთანაბრებს ზმნისა – რისამე ან ვისიმე თანაბარია, – უთანაბრდება, უსწორდება; ეტოლება, ედრება. [კასპიის ზღვის ზედაპირი] სხვა ზღვების ზედაპირს არ **ეთანაბრება (დ. დონდ.)**.
115. **ეთანასწორება**-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდღუვ. ვნებ. ვისიმე ან რისამე თანასწორია, – ეფარდება, უტოლდება. ფანჯრები... ეთანასწორებოდნენ ოთახის სიმაღლესა, სიგრძეს და სიგანესა (**ლ. არდაზ.**). || თანასწორია, – ტოლია, უდრის. ერთი [ჭიქა] წყალი **ეთანასწორება** ნახევარ გირვანქასა (**ბ. ჯორჯ.**).
116. **ეთანხმება** - (დაეთანხმა, დასთანხმებია) გრდღუვ. ვნებ. 2. შეესაბამება, შეეფარდება, შეეფერება, ეგუება, უდგება. ეს განზრახვა... **ეთანხმება** ჩვენი ხალხის ჩვეულებასა (ილია). შაჰის ინტერესები... ყველაზე ნაკლებ... სააკადის მიზნებს ეთანხმებოდა (საქ. ისტ.).
117. **ეთხოვება** გრდღუვ. ვნებ. 1. (გამოეთხოვა, გამოსთხოვებია) ემშვიდობება, 'გამო'ესალმება. გეთხოვებით მეორე ლექციამდე (**ილია**). «ჩემო ძვირფასო, გეთხოვები, მშვიდობით იყავ!» (**ი. მაჩაბ. თარგმ.**). მერცხლები... ეთხოვებიან თავიანთ ბუდეებს (**ი. გოგებ.**) ◊ **სიცოცხლეს ეთხოვება** სულსა ლევს, კვდება. 2. (ეთხოვა, _): ◊ **ყური არ ეთხოვება** ყურადღება არ მიექცევა, ანგარიში არ 'გა'ეწევა, ყურს არ ათხოვებენ. ეს უკანასკნელი სხვა ჯურის უარყოფაა და სხვა სათავიდან მოდის, ამას ყური არ ეთხოვება (**ილია**).
118. **ეკეტება** (დაეკეტა, დაჰკეტვია) გრდღუვ. ვნებ. უკეტავს ზმნისა – იკეტება მისი ან მისთვის, უკეტავენ, ეხურება (საპირისკ. ელება). კარი **ეკეტება**. კარი არ ეკეტება, სახურავი არ ეკეტება
119. **ეკეცება** (მოეკეცა, მოჰკეცვია) გრდღუვ. ვნებ. უკეცავს ზმნისა – იკეცება მისი ან მისთვის. ფიგურ. **ეკეცება** ღამეს ფრთები (**გ. კაჭახ.**). ◊ **მუხლი (მუხლები, მუხლთ) ეკეცება** მუხლი ეჭრება, ეკვეთება, – სიარული უჭირს. [მიხაკას] სუნთქვა ეხუთებოდა, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ მაინც გარბოდა (**ი. გედევ.**). [ონისეს] მუხლთ ეჭრებოდა, ეკეცებოდა (**ა. ყაზბ.**).
120. **ეკვრება-ა, ეკვრი-ს** გრდღუვ. 1. ვნებ. აკრავს ¹ ზმნისა. 1. (მიეკრა, მიჰკვრია; დაეკრა, დაჰკვრია) მჭიდროდ ედება და ზედვე რჩება; ეცხება. ეწებება, ეტმანება. ორთქლის ნაწილები... ერთმანეთს უერთდება, ცვრებად იქცევა და ფანჯარას ეკვრება (**ი. გოგებ.**) სველი ტანსაცმელი ტანს წურბელივით ეკვროდა (**ს. კლდ.**). 2. (მიეკრა, მიჰკვრია; ჩაეკრა, ჩაჰკვრია) ეხუტება, ეკონება, ეხვევა. [თებრო] უფრო და უფრო ეკვროდა დედას გულში (ე. ნინოშ.). გოგოები... გაფითრებულნი ეკვროდნენ ერთმანეთს (**ვ. ბარნ.**). 3. (გადაეკრა, გადაჰკვრია) მჭიდროდ ეფარება, ედება (ზევიდან, ზედაპირზე). ვარსკვლავებს... ბინდი ეკვრით (**გ. ყიფშ. თარგმ.**). 4. (გაეკრა, გაჰკვრია) მჭიდროდ ეხება (მთელი სხეულით), 'გა'ერთხმება. მწყერი ინაბება, ეკვრის დედამიწას (ვაჟა). ◊ არემარეს (ყურემარეს) ეკვრის არემარეს ეფარება. მარტო მგელი და მისთანა მავალი... დასუნსულ-დალაწლაწებდა, ეკვროდა ყურემარესა (**ბაჩ.**). 2. (**შეეკრა, შეჰკვრია**) ვნებ. უკრავს ზმნისა – იკვრება მისი. ◊ სუნთქვა ეკვრის (ეკვრება) სუნთქვა ეხშობა, ჰაერი არ ჰყოფნის (მეტის მეტი აღლევისაგან და სხვ.). ტურიკო არ დადლილიყო სიარულით, მაგრამ მაინც სუნთქვა ეკვროდა (**ი. ელეფთ.**). 3. (**ეკრა – ; აწმყოში იყენ. აკრავს 2**) ვნებ. სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნაკვთთა ნამყო ძირითადის წყებაში. 1. დაკრული ექნება. მერანს ეკრა ვერცხლის ნალი (**გ. ლეონ.**). || წაკრული ექნება. [ლამაზისეულს] თავზე ეკრა... ჩითმერდინი (**ილია**). 2. უშუალო მეზობლობაშია (რაიმე ადგილი), – ესაზღვრება, ემიჯნება, აკრავს 2; ემხრობა. ეს ბაღჩა ეკვროდა ჩვენს... ეზოს (**ქ. ბაქრ. თარგმ.**). [სამგორის სარწყავი სისტემა] იმ ხრიოვ ველებსაც

მორწყავს, რომლებიც რუსთავს ეკვრის («კომ.») 2. მე: ქურთუკი არ ეკვრება, ფეხსაცმელი არ ეკვრება

121. **ეკიდება¹** 2. (ხელის, ფეხის) მოკიდება შეიძლება. თათრები ჩვეულებისამებრ ტიტვლები გამოდიოდნენ საჭიდაოდ, ტანზე ქონწასმულები, ასე რომ ხელი აღარსად ეკიდებოდათ (აკაკი). გზის იქით კლდიანი არის, ფეხი არ ეკიდებო (ზაჩ.).

- 3. გადატ. ხელს ჰკიდებს, მისდევს, ეწევა (რაიმე საქმიანობას). საქმეს უფრო ცხარედ ეკიდებიან (ილია). მთელი ხეობის მთიელნი... ძველიდანვე ცხვრის მოშენებას... ეკიდებიან (ეკ. გაბ.).

რკინას არ ეკიდება ჟანგიო (საქ. ისტ.).

122. **ეკიდება²** გრდუვ. (მოეკიდა, მოჰკიდებია; წაეკიდა, წაჰკიდებია) ვნებ. უკიდებს ზმნისა. **ღ ცეცხლი ეკიდება¹**. ცეცხლი ედება, ცეცხლით (ცეცხლისაგან) იწვის. შემას ცეცხლი ეკიდება. _____ «არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება» (ილია). ფიგურ. [თორნიკე ერისთავი] მწარის ოხვრით ვერ იქარვებს, გულს რომ ცეცხლი ეკიდება (აკაკი). || ეწვის. ნატყვიარი სჭირს ბეჭის თავს, ზედ ცეცხლი ეკიდებისა (ვაჟა). 2. საუბ. გადატ. ძალიან ძვირია (რაც იყიდება), _ იგივეა, რაც ცეცხლი უკიდია. 2 (ეკიდა, ჰკიდებია; აწმყოში იყენ. უკიდია) ვნებ. სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნაკვთთა ნამყო ძირით. წყებაში _ მოკიდებფლი ექნება (ცეცხლი); ანთებული იქნება (სანთელი). კუნძს ცალ გვერდზე ცეცხლი ეკიდა და უგემურად ბოლავდა (ილია). სანთელს მხოლოდ არჩილის ოთახში ეკიდა (ს. კლდ.). **მე: მზე უცებ ეკიდება სახეზე / კანზე.**

123. **ეკიდება³: (me) ეს ფარდა ადვილად ეკიდება**

124. **ეკითხება** ჰკითხავენ; შეიძლება ჰკითხონ. ადგილის კაცებს უნდა ეკითხოს, სად რა გზა უნდა (ილია). **ღ არ ეკითხება; რა (რაში) ეკითხება** მისი საქმე არ არის, არ ეხება; რა მისი საქმეა. «რაში გეკითხება, შვილო?» (აკაკი). 2. ('მო'ეკითხა, მოჰკითხებია) ვნებ. შეიძლება მოჰკითხონ. **ღ ცოდვა ეკითხება** გადატ. ცოდვის, დანაშაულის ჩადენისათვის პასუხი მოეთხოვება, პასუხს აგებს. შვიდ წელიწადს მერე დედ-მამას შვილის ცოდვა არ ეკითხებო (ძველი ანდაზა).

125. ეკლაკნება-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. იკლაკნება მისთვის, მის წინ, მის გარშემო. ფიგურ. ტყე ეკლაკნება ტინის წყაროს, ტყე საედემო (ი. გრიშ.).

126. ეკრობ-ა (მიეკრა, მიჰკრობია) გრდუვ. ვნებ. იგივეა, რაც ეკვრება, ეკვრის. [მგელო] შენებურად, მგლურად ეკრობი ლობეებს, იფარებ ხეს, ქვას, ყველაფერს, რაც-კი დაგეფარება (ვაჟა).

127. ეკუთვნის

128. ემსგავსება - გრდუვ. ვნებ. 1. ('და'ემსგავსა, 'და'მსგავსებია) 'და არა: **ემსგავსება**' რისამე ან ვისიმე მსგავსი ხდება, მსგავსი იქნება, ემგვანება. ვისაც ემზახლე, იმას ემსგავსეო (**ძველი ანდაზა**). არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს (**ნ. ბარათ.**). [ლოკოკინა] იბლუნძებოდა და დასორსლილ ტალახის გუნდას... ემსგავსებოდა (**თ. რაზიკ.**). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) რისამე ან ვისიმე მსგავსია, მგავს. [აქლემის კუზის] კანი დაყოფილია მრავალ პატარ-პატარა უჯრედებად და ემსგავსება ღრუბელს (**ი. გოგებ.**).

129. **ემყარება** (დამყარა, დამყარებია) გრდუვ. ვნებ. ამყარებს ზმნისა _ საყრდენად იყენებს, საფუძვლად უდებს, _ ეყრდნობა, ეფუძნება, ენდობა (რასმე). ან ბურჟუაზია მისი კაპიტალიზმით, ან პროლეტარიატი მისი სოციალიზმით! აი რას უნდა ემყარებოდეს პროლეტარიატის მოქმედება, მისი კლასობრივი ბრძოლა (**სტალინი**)... ამგვარ წყაროებს **ემყარება**ა ვახუმტიც (**«კომ.»**).

130. **ემყნობა** (ემყნო, მყნობია) გრდუვ. ვნებ. ამყნობს ზმნისა _ იმყნობა, მყნობა შესაძლებელია რამეზე. ფიგურ. პოეტ. «კორიოლანოსს თან მყნობია სიამპარტავნე» (**ი. მაჩაბ.** თარგმ.).

131. ემოფება (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) საუბ. გრდუვ. ვნებ. სადმე ყოფნა, დარჩენა შეუძლია, _ედგომება. იქ არ ემოფება.
132. ემჩნევა - (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. რისამე ნიშანი აზის, _ეტყობა, ატყვია; აჩნია. კვალიემჩნევა, _ "ზებერი მგლის] ნაკბენი ხბოს არც-კი ემჩნეოდა (ი. გოგებ.). სახეზე... ემჩნეოდათ, რომ უჩვეულო მღელვარებას შეეპყრო სამივე (აკაკი).
133. ემიჯნება - ემიჯნება-ა გრდუვ. ვნებ. 1. (გაემიჯნა, გამიჯვნია) იმიჯნება მისგან, _ეთიშება, ყვრება, შორდება (ვისმე).[ელიზბარი] ჩააჩერდა მღვდელს, რომელიც უკან-უკან იწევდა, თითქოს ეშმაკს ემიჯნებო (ბ. ჩხ.). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) მომიჯნავეა, ესაზღვრება. საბჭოთა კავშირის ემიჯნებიან სახალხო დემოკრატიული ქვეყნები
134. ემხრობა - 3. ემიჯნება, ესაზღვრება, აკრავს. აგერ რუიც ხომ მარტო გარდიგარდმოდ ემხრობა ამ ახალშენსა (ილია)...ემხრობა ბაკურიანის მთას (დ. დონდ.).
135. ენახება-ა ¹ (შენახა, შენახვია) გრდუვ. ვნებ. უნახავს ზმნისა _ ინახება მისი ან მისთვის, _ დაცული ექნება. ნიადაგს ამორებულ სახლს ტენი არ ეკარება, კედლები მშრალად ენახება (თ. სახოკ.).
136. ენახება-ა ² ('და'ენახა, დანახვია) გრდუვ. ვნებ. იგივეა, რაც ენახება. გეცოდინება, ან გენახება, ან გაგონილი გექნება (თ. რაზიკ.).
137. ენახება-ა გრდუვ. 1. (დაენახვა; დანახვებია და დანახვია) ვნებ. ანახებას ზმნისა _ თავის თავს ანახებას, საშუალებას მისცემს ნახონ, _ ეჩვენება. რაწამს გაიგო, რომ... მაყვალა ენახებოდა..., მზად იყო მწყემსთან თუნდა შუალამედის დარჩენილიყო (ა. ყაზბ.). ◊ (თვალთ) არ ენახება 1. გაურბის, არ ეკარება. 2. ისე ეჯავრება, რომ ნახვაც კი არა სურს. ◊ კაცის თვალს უკეთესი არ ენახება (არა ენახება რა) უკეთესს ვერა ნახავენ, _ძალიან კარგია. «უკეთესი კაცის თვალს არა ენახება რა: ასეთი... ბალახია იმ კორდიანზე, ...რო გორც აბრეშუმი» (ს. მგალობ.). 2. (მხოლოდ ნაკვთთა მყოფადის წყე. ბაში) ვნებ. ნანახი ექნება (ეყოლება). თქვენ მოსკოვი გენახვებათ.
138. ესაზღვრება-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. რისამე მოსაზღვრება, _საერთო საზღვარი აქვს; ემეზობლება, ემიჯნება, აკრავს. პოლონეთის რესპუბლიკა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს ესაზღვრება. _ [კახეთს] შაქი-შარვანი ესაზღვრებოდა (საქ. ისტ.).
139. ესახსრება (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ანატ. გრდუვ. ვნებ. სახსრით უერთდება, 'გადა'ებმება. [სხივის ძვლის] ზემო ბოლო ქმნის ჩაღრმავებულ თავს, რომლითაც იგი ესახსრება მხრის ძვალს («პლასტიკ. ანატ.»).
140. ესიტყვება - (შეესიტყვა, შეესიტყვებია) გრდუვ. ვნებ. 1. იხ. შეესატყვისება. თვალების ასე მგზნებარე გამოსახვას ვერ ესიტყვება სახის ქვედა ნაწილი (ტუჩების მოძრაობა, ნიკაპის ფორმა...) («ლიტ. და ხელოვნ.»).
141. ესმი-ს ¹ (ესმა, სმენია) გრდუვ. ვნებ. 1. სმენის ორგანოთი _ ყურით _ აღიქვამს (ხმას, ლაპარაკს...), _ეყურება. ყურმა სთქვა: უცხო ამბავი რომ მესმის, იმიტომ არ ვიზრდებო (ხალხ.). ყურით ჩვენ გვესმის... ფრინველების გალობა, ადამიანის ლაპარაკი, მუსიკის ხმა (ი. გოგებ.). რადგან სპირიდონის ოთახი ამ დროს ღია იყო, სპირიდონს გარკვევით ესმოდა დესპინეს კითხვა (ე. ნინოშ.). ფიგურ. მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა (ილია).
142. ეტევა გრდუვ. 1. (დაეტია, დატეულა; ჩაეტია, ჩატეულა) ვნებ. ატევეს ზმნისა _ თავსდება უფრო მცირე რამეში ან რამეზე, _ მოსათავსებლად ადგილი ჰყოფნის, ჩადის, ექცევა. დიდმის მინდორზე ბებრუცუნა ვერ ეტეოდა (ანდაზა). ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი მომკვდარიყო, ...დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში ლაღად იყო (ხალხ.). ვედარ ეტევა ქვევრში, ბელლებში ღვინო, პური და ყველის მარაგი (ა. მირცხ.). ჩშიგურ. ხმამ საკინძი აიწყვიტა, არ ეტევა მკერდში გული (ი. გრიშ.). ◊ ტყავში აღარ ეტევა ძალიან გასუქებულია. [მგელი] ისე გასუქდა, რომ ტყავში აღარ ეტეოდა (ი. გოგებ.). ◊ თავის ქერქში (ტყავში) არ ეტევა საუბ. თავისთვის არა ჩერდება, არ ისვენებს; არსებულით არ კმაყოფილდება, მეტი უნდა. 2. (გაუტია, გატეულა) გადის, გასვლას ახერხებს (ვიწრო რამეში), ძვრება (რამეში), გასაძრომი ადგილი ჰყოფნის; გატარება

შესაძლებელია. ძაფი ნემსის ყუნწში არ ეტევა. ფიგურ. ისე გასუქდა, რომ კარებში ვერ ეტევა.

143. **ეტოლება** - 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ვნებ. ტოლია, თანასწორია, უდრის. ორი კუთხის სინუსების ჯამი **ეტოლება** ამ კუთხეების ნახევარჯამისა და ნახევარსხვაობის სინუსისა და კოსინუსის გაორკეცვულ ნამრავლს («სახალხო განათლ.»).

144. **ეტყობა** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. 1. ემჩნევა, ატყვია, აჩნევია. სახარე ხბოს სასკორეზე **ეტყობა**ო (ანდაზა). ამ ვაჟკაცს ყველა მოძრაობაში ეტყობოდა საოცარი სისწრაფე და სიმარჯვე (ი. გოგებ.). 2. ჩართული წინადადება ჩანს. ეს ნაკლი მით უფრო გეცემა თვალში, რომ ავტორს, ეტყობა, კარგად ესმის ჩვენი პოზიცია და მშვენივრად არკვევს და ავითარებს ზოგიერთ საკითხს (სტალინი). ეტყობოდა, სტუმარს იქაურობა მოეწონა (შ. დად.). ♦ როგორც ეტყობა ჩართული წინადადება როგორც ჩანს, აშკარაა. როგორც ეტყობა, უწინდელ დროში... აქ (აჭარაში) ბევრი გზებიც უკეთებიათ (ი. გოგებ.).

145. **ეფარდება** (შეეფარდა, შეეფარდება) გრდუვ. ვნებ. უფარდებას ზმნისა _ ფარდია რისამე, _ ეტოლება, ედარება.

146. **ეფარება** 1. ვნებ. აფარებს ზმნისა. 1. (დაეფარა, დაეფარება და დაეფარვია; გადაეფარა, გადაეფარება) ზევიდან გაშლით ედება, ეფინება; ეხურება; ზევიდან ფარავს რამე; ეყრება (მაგ., მიწა).თოვლსა დებდა და მიწის შავ ზედაპირს ზედ ეფარებოდა (**თ. რაზიკ.**).როცა კაცი ლუკმას ყლაპავს, ენა ქვემოთ იწევს დაეფარება სასულესა (ი. გოგებ.). [ია] ხედავს, რომ სხვანი ლხინობენ, მას მიწა ეფარებოდა (**ვაჟა**).

147. **ეფასება** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. ფასიანია, ფასეულია, ძვირფასია მისთვის, _ ფასად უღირს, ძვირფასად მიაჩნია, ჩემს საკუთარ ჭერს ქვეშ ყოფნა მშვიდობიანად, რა თქმა უნდა, დიდად მეფასებოდა და დიდ სიამოვნებას მიღვიძებდა .გულ ში (**ვაჟა**). დახავსებული ლოდი... განა იმიტომ მიყვარს, რომ თვით ხავსი მეფასე. ბა? (**თ. რაზიკ.**).

148. **ეფუძნება** გრდუვ. ვნებ. აფუძნებს ზმნისა. 1. (დაეფუძნა, დაეფუძნებია) ემყარება, ეყრდნობა. 2. (დაეფუძნა, დაეფუძნებულა) მკვიდრდება.

149. **ექვემდებარება** (დაექვემდებარა, დაჰქვემდებარებია) გრდუვ. ვნებ. უქვემდებარებს ზმნისა _ემორჩილება, ვინმესგან ან რამესგანაა დამოკიდებული, დაკავშირებულია (ხელმძღვანელობით, მუშაობით...); ეფარდება. ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან, და, მამასადამე, **ექვემდებარება** რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას (**სტალინი**).რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მმართველობის მათთვის დაკისრებულ დარგს და ექვემდებარებიან უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (**სსრკ კონსტიტუცია**).ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო..., ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება (აკაკი). კომუნისტური მშენებლობის დიად მიზანს ექვემდებარება ჩვენი პარტიის მრავალმხრივი იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობა (**«კომ.»**).

150. **ეყრდნობა** გრდუვ. ვნებ. აყრდნობს ზმნისა. 1. (მიეყრდნო, მიჰყრდნობია) რისამე ახლოს დგება და ებჯინება, _ ეყუდება. ქალი... კედელს **ეყრდნობა** (**რ. გვეტ.**). 2. (დაეყრდნო, დაჰყრდნობია) თავის სიმძიმეს აყრდნობს რამეზე, რასმე საყრდენად იყენებს, _ 'და'ენდობა, 'და'ებჯინება. მარჯვენა ხელით მოაჯირს ეყრდნობოდა. || გადატ. იგივეა, რაც ემყარება. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მთელ თავიანთ მრავალფეროვან საქმიანობაში უნდა ეყრდნობოდნენ დეპუტატებსა და აქტივს (**«კომ.»**). ნინოშვილის მხატვრობა სინამდვილეს, ხალხის ცხოვრებას ეყრდნობა (**«ლიტ. და ხელოვნ.»**).

151. **ეწერება** - გრდუვ. 1. (დაეწერა, დასწერია) ვნებ. უწერს ზმნისა - იწერება მისი, მისთვის ან მასზე. 2. (გაეწერა, გაწერილი; ჩაეწერა, ჩაწერილა) ვნებ. წერენ (ვისმე საბინაო დავთარში). 3. (გამოეწერა, გამოწერილი) გამოდის, 'გამო'წერენ (საავადმყოფოდან...). 4. (ეწერა, წერებულა და სწერებია; აწმყოში იყენ სწერია, აწერია,უწერია) ვნებ. სტატ. ჩვეულებრივ იხმარება ნაკვთთა ნამყო ძირითადის წყებაში _ დაწერილი (ჩაწერილი) იქნება ან

ექნება. სიბერემდის სიკაჩლე გეწეროსო (ანდაზა). უნდოდა მალე გაეგო, რა ეწერა წიგნში (ილია). მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც ჩემი გვარი წილზეა (აკაკი). ფიგურ. მამ რას ნიშნავს ის, თუ არა იმას, რომ «უმცირესობის» მეთაურებს არა იდეური ბრძოლა, არამედ «ადგილებისთვის ბრძოლა» ეწერათ თავიანთ დროშაზე? (სტალინი). ◊ **ჯვარი ეწეროს!** ძვ. დალოცვა ასცდეს ყოველგვარი უბედურება, ცუდი ამოროს. «მშვიდობით წადით, ჯვარი გეწეროსთ!» – მიაყოლა თან ხომიამ (ვაჟა).

152. **ეწოდება** გრდუვ. 1. (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) ვნებ. სახელად აქვს, – მქვია, ეძახიან. როგორც ხედავთ, «უმრავლესობის» აზრით, მუშები ადვილად ითვისებენ იმ «მაღალ იდეალებს», რომელსაც სოციალიზმი **ეწოდება (სტალინი)**, საქართველოში... პრომეთეოსს ამირანი ეწოდებოდა (აკაკის). [ადამიანის] პირველად ამოსულ კბილებს სარძევე კბილები ეწოდება (ი. გოგებ.). ამიერკავკასიის პირველ სახელმწიფოს – არარატის რაიონში, ვანის ტბასთან – ურარტუ ეწოდებოდა (**საბჭ. კავშ. ისტ.**). 2. (ეწოდა, სწოდებია) ვნებ. უწოდებს ზმნისა – სახელად მიეცემა, სახელი ერქმევა, უწოდებენ.

153. **ეწყობა** 1 გრდუვ. ვნებ. აწყობს ზმნისა. 1. (დაეწყო, დაწყობილა) 1. იდება ბევრი, – ლაგდება, აწყობენ. ხორბლით სავსე ტომრები ერთიმეორეზე **ეწყობა** (ს. შანშ.).

154. **ეჭდება** – ჭდით ნიშანი დაედება; აღებეჭდება.

155. **ეჭდება** იჭდება მისი, მისთვის, მისაზე. ◊ **ყურებიეჭდება** საუბ. გადატ. ყურები სტკივა, ყურთასმენა ეხშობა (გაუთავებელი ლაპარაკით, ხმაურობით).

156. **ეხამება** – (შეეხამა, შეეხამებია) გრდუვ. ვნებ. უხამებს ზმნისა – ეგუება, ეწყობა, ევარდება, შეესაბამება, შესაფერი ხდება. მატერიალისტური თეორია ამბობს, რომ ამა თუ იმ იდეალს შეუძლია პირდაპირი სამსახური გაუწიოს პროლეტარიატს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იდეალი არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, თუ ის სავსებით **ეხამება** ამ განვითარების მოთხოვნილებას (**სტალინი**). ქალების სალის ტანცმულობას მშვენივრად ეხამებოდნენ შავსა და ქუფრ პალტოებში გამოწყობილი ვაჟები (**გ. წერეთ.**).

157. **ეხურება** ძვ. **ეხურვი**-ს გრდუვ. 1. (დაეხურა, დახურვია) 1. ვნებ. ახურავს ზმნისა – ზევიდან (თავზე) ედება, ევარება, ახურავენ. [სკის კოდის] ეს ნახევრები ერთმანეთს **ეხურება (ვ. ერისთ.)**. ფიგურ. დაბნელდა, წყალნი ტირიან, კალთა გვეხურვის ღამისა (**ვაჟა**). 2. ვნებ. უხურავს ზმნისა – იხურება მისი ან მის წინაშე, – ეკეტება

3

158. **ვარგა** – **ვარგი**-ა (იყენ. ივარგა; ვარგებულა) გრდუვ. სტატ. გამოსადეგია; საქმისთვის, რაიმე მიზნისთვის შესაფერია, კარგია. არ ვარგა ქალი მეჭორე, სოფლად – ვაჟკაცი მკვეხარი (**ხალხ.**). ძალი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო (**ანდაზა**). მიმინოს იმას გამოაწიწვინებენ, რაც კაცის საჭმელად არ ვარგა (**ილია**). სულმოკლეობა... არ ვარგა (**ნ. ლორთქ.**)

ზ.

159. **ზი**-ს (II პ. ზიხარ; I პ. ვზივარ; იყენ. ნამ. ძირით. იჯდა, თურმ. მჯდარა; მრ. სხედან; ზიან უმართებულოა) გრდუვ. სტატ. 1. ისეთ მდგომარეობაზე (ადამიანი), როდესაც ტანი ქვედა ნაწილით (საჯდომით) რასმე ეყრდნობა. ქალი სკამზე **ზის**. – ბავშვი იატაკზე **ზის**. – მოხუცი ხალიჩაზე ფეხმორთხმით **ზის**. – [მერანზე] ზის იერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი (**ილია**).

თ

160. **თბილა** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში და მხოლოდ მესამე პირში) გრდუფ. სტატ. 1. სითბო არის. ღრუბელი მიწის სითბოს ზევით არ უშვებს, ისევ უკანვე აბრუნებს და ამის გამო ღრუბლიან ღამეს **თბილა (ი. გოგებ.)**. «ამაღამ აქ დარჩი, ღამე თბილა, არ შეგცივა, ზაფხულია!» (ი. გედევ.). მარტის მზიანი დღე იყო, თბილოდა (ა. ბელ.). შუა აგვისტო იდგა, ჯავახეთში თბილოდა... (ბ. ჩხ.). 2. **ს-თბილ-ა** სითბოს გრძნობს, თბილად არის. იქ სთბილოდათ და საჭმელიც საკმაოდ ჰქონდათ (ი. გოგებ.).

161. **თესია** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. დათესილი არის. იქ ვარდს და იას ვინ მოკრეფს, სადაც ეკალითესია?! (აკაკი). «ამა და ამ ადგილს სიმინდი თესიო, ამა და ამ ადგილს კაი პანტა დგასო» (ვაჟა).

ო

162. **იგრძნობა** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. საგრძნობია, შესამჩნევია, შეიმჩნევა; ჩანს. რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისში, როცა ქვეყანაში იგრძნობოდა შიმშილი ტექნიკის დარგში, პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი – «ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში წყვეტს ყველაფერს» (პარტ. ისტ.). ამ მუშაობის ნაყოფიერებაზე საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს მშრომელთა ის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, რაც ამჟამად **იგრძნობა** ჩვენი რესპუბლიკის თითოეულ საწარმოსა და დაწესებულებაში («კომ.»).

163. **ივარცხნებ-ა** (დაივარცხნა, დავარცხნილა) გრდუფ. ვნებ. ვარცხნის ზმნისა ვარცხნიან; სავარცხლის ჩამოსმით სწორდება და იწყობა (თმა, წვერი...); ვარცხნა შეიძლება.

164. **იკბინებ-ა** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. ვნებ. კბენს ვისმე ან რასმე. ძალღები... იკბინებოდნენ, დიდხანს არ უნდოდათ, რომ გამოსულიყვნენ სუფრის ქვეშიდან (აკაკი). «რას **იკბინება** ეს წყეული კოლო» (შ. დად.). || კბენა იცის. შავი არის შაშვივითა, იკბინება ძალღივითა (გამოცანა: რწყილი). [ძალღი] დარბის, ხტუნავს, იკბინება, ხრავს, იყეფება, ღრინავს, ყმუის (ი. გოგებ.). 2. გადატ. სუსხავს; ისუსხება, იშუშება. ინდოეთის ჭინჭარი... მწარედ იკბინება (ი. გოგებ.). გიორგობის-თვის სუსხი საკმაოდ იკბინებოდა (ევ. გაბ.). ◊ მზე იკბინება მზე ისე აცხუნებს, თითქოს ჩხვლეტსო (ჩვეულებრივ ავდრის წინ იცის). მზე საავდროდ იკბინებოდა, ჰაერში ნაგვალვი მიწის სუნი დაფრქვეულიყო (მიხ. მრევლ.). იმისთანა სიცხე იყო, ისე იკბინებოდა მზე, რომ ცხადი იყო ძალიან გაავდრდებოდა (ი. მაჭავ. თარგმ.). წვიმას გადაელო, მზეს ისევ გამოეჭიატებინა და ტკბილად იკბინებოდა (აკაკი).

165. **იკლაკნებ-ა** (დაიკლაკნა, დაკლაკნილა) გრდუფ. ვნებ. კლაკნის ზმნისა – იგრიხება; იკრუნჩხება. ეკატერინე... საცოდავად იკლაკნებოდა (ევ. გაბ.). || მიხვეულ-მოხვეულად, მიხვევ-მოხვევით მიდის. [ჭიყყილა] იკლაკნებოდა და იგრიხებოდა მთელი ტანით (თ. რაზიკ.). თვალმომჭრელი ელვა გველივით იკლაკნებოდა ცაზე (მიხ. მრევლ.). ცად **იკლაკნება** ელვის გრეხილი (გ. ტაბ.). ბუხრის მილიდან იკლაკნება ცისფერი კვამლი («ლიტ. და ხელოვნ.»). || მიხვეულ-მოხვეულია, დაკლაკნილია (მაგ., გზა). გზატკეცილი გველსავით იკლაკნება (ა. ყაზბ.).

166. **ისმის** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. ყურთა-სმენამდე აღწევს, გასაგონი ხდება, გასაგონია, – მოისმის, გაისმის. «სუ! აგერ ფეხის ხმა ისმის» (აკაკი) ტყეში მგლებისა და ტურების ჩხავილი ისმოდა მხოლოდ (ვაჟა). ბალიდან ბულბულის საამური გალობა ისმოდა (ი. გოგებ.). აქა-იქ სახლებიდან გრძელი «სუფრული» ისმოდა (ს. შანშ.). 2. გადატ. იგრძნობა, იხატება, მქდავანდება, ეტყობა, ემჩნევა. კოზლოვის თარგმანში... ცხადად არ ისმის... ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა (ილია). პიესაში აშკარად ისმოდა... ცხოვრების გამომახილი («კომ.»). 3. იციან, ლაპარაკობენ (ვისიმე ან რისამე შესახებ). რამდენიმე თვის განმავლობაში მართლა შეწყდა თარეშობა და გავარდნილების აღარა ისმოდა-რა (აკაკი). «მამასახლისო! ახალი ამბავი რა ისმის ამ ჩვენს ქალაქში?» (ზ. ანტონ.). «სტუმართმოყვარეობა ჩემი ქვეყნის კიდიდან კიდემდე ისმის» (ვაჟა).

167. **იწყება** - (დაიწყო, დაწყებულა) გრდუვ. ვნებ. დასაწყისი, დასაბამი ეძლევა რასმე, – იწყებენ (საპირისპ. თავდება, სრულდება). გაკვეთილი იწყება. – წარმოდგენა იწყება. – ყველასთვის ცხადა, რომ ქალაქი უფრო განვითარებულია, ვიდრე სოფელი, რომ ქალაქი სოფლის ბელადია და მამასადამე, ყოველი სოციალისტური საქმე ქალაქიდან უნდა იწყებოდეს (სტალინი). უსტარი... ასე იწყებოდა: «საყვარელო დედაც და მამავ!» (ვაჟა). აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც (აკაკი). ზაფხული თიბათვიდან იწყება (ი. გოგებ.). გულის ფანცქალმა მაგრძობინა, რომ უკვე ხელჩართული ბრძოლა იწყებოდა (გ. შატბ.). [ელგუჯამ და მზადვემ] გასწიეს ბურახულის ტყისკენ, რომელიც იქვე ახლომახლო იწყებოდა (ა. ყაზბ.).

168. **იცის** - 2. ახასიათებს (ვისმე ან რასმე), დამახასიათებელია, ჩვეულებრივია (ვინმესთვის ან რამესთვის). პურმარილის დასწავლა ქვამაც იცისო (ანდაზა). საქართველოში მხოლოდ ორი მხარის ქარი იცის (ი. გოგებ.). პური იზრდება თითქმის კაცის სიმაღლე და მეტად მდიდარი მოსავალი იცის (ი. გოგებ.). პეტრიამ საშინელი მოურიდებელი ლაპარაკი იცოდა (ე. ნინოშ.). ვიცოდი მიჯნურისათვის ცრემლთა ღვრა, გაჭრა, ხელობა, რაზმის გაპობა სეტყვასებრ, ყაბახზე ცხენფიცხელობა (გ. ლეონ.). «რა შესანიშნავი შემოდგომა იცის თბილისში!» (რ. გვეტ.). გაიგონ, რომ საჭირო დროს ვიცით სიკვდილი მამულისადა (ზაჩ.). თრიალეთში ზაფხულის [ცხვრის] სადგომ ადგილებში ზოგჯერ სიცივეებიც დიდი იცის («კომ.»). ◊ სუნი იცის განვითარებული ყნოსვა აქვს, სუნის აღება შეუძლია. ხალხი-კი იმახობდა: სუნი იცის სვავმა, მაშინვე გაიგებს, სადაც ლეში გაჩნდებაო (თ. რაზიკ.). 3. ხარობს, მოდის, იზრდება (მცენარე); ჩვეულებრივ არის, ცნობილია, რომ არის (ცხოველი, ფრინველი...); გავრცელებულია (მაგ. ავადმყოფობა). [კლდეს] საქონლის ფეხი მის დღეში არ მოხვდებოდა და მშვენიერი ჩადუნაც იცოდა (თ. რაზიკ.). ხევმა ბევრი კალმახი იცოდა (ვაჟა). [ტბაზე] გარეული იხვები იცოდა (ი. გოგებ.). [მიხო] გასწევდა ხბორებით ეკლესიისკენ, სადაც სასაფლაოზე კარგი ბალახი იცოდა (თ. რაზიკ.). || არის ხოლმე, იმართება ხოლმე (დღეობა და სხვ.). იქ კაი დღეობა იცის (ა. ყაზბ.).

169. იწვის იხ. იწვება¹ [ტორფის] ბრიკეტების თავისებურება ისაა, რომ იწვის უალოდ(«კომ.»)

3

170. ჰკიდია (იყენ. ვკიდა, კიდებულა) გრდუვ. სტატ. .1. დამაგრებულია (მიბმულია...) რაიმე ნაწილით რამეზე და მთელი სიმძიმით ჩამოშვებულია ქვემოთ. «ხომ უყურებთ იმ გრძელ ხმალს, კედელზე რომ ჰკიდია?»(აკაკი). ლეღვი დამწიფდა, ყურძენიც ვაზებს ჰკიდია ქარვებად (გ. კაჭახ.). ◊ ბეწვზე ჰკიდია გადატ. განსაცდელში, სახიფათო მდგომარეობაში არის (ვიწმე, რამე, ვისიმე სიცოცხლე, რისამე არსებობა). «რა დროს ხუმრობაა, ჩემო ძმაო, ბეწვზე ჰკიდია ჩემი ბედი!»(ა. ბელ.). ◊ ფეხებზე ჰკიდია ვულგ. გადატ. სრულიად არ აწუხებს, არ დაემებს, არას დაგიდევთ. «შენ, ჩემო ბიძია, ფეხებზე გკიდია... სოფლის გაჭირვება!»(შ. დად.). ◊ ცოდვა ჰკიდია (ზურგზე) ცოდვა ჩაუდენია, დანაშაული მიუძღვის. ბევრი ცოდვა ჰკიდია ზურგზე (აკაკი). «შენოდენა ცოდვა ჩვენში არც ერთს ჰკიდია!»(ს. შანშ.). ◊ ჰაერში ჰკიდია გადატ. გამოურკვეველ მდგომარეობაშია, საფუძველი გამოცლილი აქვს. რაღა საჭიროა – ერთი ვიკითხოთ – ცალკე ნაციონალური პარტიები? ან სად არის ის სოციალ-დემოკრატიული «ბაზისი», რომელზედაც უნდა აშენდეს ორგანიზაციული და პოლიტიკური შეხედულებები ფედერალისტ-სოციალ-დემოკრატებისა? ასეთი «ბაზისი» არა ჩანს, ის არ არსებობს. ფედერალისტი-სოციალ-დემოკრატები ჰაერში ჰკიდია(სტალინი). 2. გადატ. დამოკიდებულია. ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო (ანდაზა). დიღმის მინდორი დიდია, გაქცევა შენზე ჰკიდიაო (ანდაზა). მე კარგსა რასმე აგირჩევ, მიღება შენზე ჰკიდია (ი. დავით.).

171. კუნტია (მხოლოდ აწმყოში) გრდუვ. სტატ. მოკუნტულია. || ზის მოკუნტული. «აი სულ ბოლოში რომ პაწია გოგონა კუნტია, ის ჩემი საკუთარი შვილია»(ნ. ლომ.).

მ

172. მარხი-ა (იყენ. ემარხა, _) გრდუვ. სტატ. დამარხული არის, _ ასაფლავია. რამდენი გვამი მარხია იქ? (ვაჟა). ◊ აქ მარხია ძაღლის თავი (კუდი) გადატ. აქ რაღაც იმალება; სწორედ აქაა საქმე, ნამდვილი მიზეზი, საიდუმლოება. ძაღლის კუდი სწორედ აქაა მარხია! (ილია)

173. მდგომარეობს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. არის, გამოიხატება (რამეში). იმათ გვიამბეს, რაში მდგომარეობს აცრა, როგორ დამუწუკდება დასერილი ადგილი (ი. მაჭავ. თარგმ.)

174. მდებარეობს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. იმყოფება, ძევს, არის, უჭირავს ადგილი(მნიშვ. 1) დედამიწის ზედაპირზე ან სივრცეში. თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მდებარეობენ (ი. გოგებ.). ქალაქი... მდებარეობდა ზღვის პირად (დ. კლდ.). უძო და მთაწმინდა ერთს ხაზზე მდებარეობენ(დ. დონდ.).

175. მდინარე-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. მიმდინარეობს(მნიშვ. 1), დის (მდინარე და მისთ.). [მდინარე] რა საზარლად ხმაურობს, როგორ საზარლად მდინარეებს! (ვაჟა). ერთხელ ვილაშქრეთ ქისტებზე, სადაც არღუნ მდინარეებს(რ. ერისთ.). «შენაც მიყვარხარ, იორო, შენ ვერ-რა შეგეადარება, მდინარე, იდენ მუდამა, რა ცხენი დაგელალება?!»(ზაჩ.).

176. მიმდინარეობ-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. მიედინება, მიდის (წყალი, მდინარე). ცხენისწყალი... იმერეთსა და სამეგრელოს შუა მიმდინარეობს (ი. გოგებ.). მიძია იყო... იმ ხანში, როდესაც მარღვებში აღელვებული სისხლი ქაფდება, დულს და ჩუხჩუხით მიმდინარეობს (ა. ყაზბ.). || გადატ. მსვლელობაშია (ცხოვრება, დრო...). შტაბში სალაშქრო ცხოვრება წყნარად და კვლავინდებურად მიმდინარეობდა (ი. აგლ. თარგმ.). 2. წარმოებს, ხდება; ადგილი აქვს, ტარდება. მოლაპარაკება მიმდინარეობს. _ არჩევნებისათვის მზადება... მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით მიმდინარეობს («კომ.»).

177. მეტყველებ-ს (იყენ. იმეტყველა, უმეტყველია) გრდუვ. სტატ. სიტყვებით აზრს გადმოსცემს, _ ლაპარაკობს. ცხოველები ვერ მეტყველებენ. _ ქართველი უფრო ზმნებით... მეტყველებს (ილია). || გადატ. გამოხატავს, აღნიშნავს რასმე. ფაქტები თავისთავად მეტყველებენ.

178. მიაგავ-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში; I ობ. პ. მომაგავს, II ობ. პ. მოგაგავს) გრდუვ. სტატ. მისი მსგავსია; ოდნავ ჰგავს. მონღოლთა ლაშქრობა უფრო... ვანდალების შემოსევას მიაგავდა (ივ. ჯავახ.). ხასიათით და გაუბედაობით... [თეზო] უფრო დედას მიაგავდა (ევ. გაბ.).

179. მი-ჰ-გავ-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) ძვ. გრდუვ. სტატ. იხ. მ ი ა გ ა ვ ს. ვეზირები იტყოდნენ, ... »ეს რასმიჰგავს?!« (დ. გურამ.).

180. მისდევს - რისამე გასწვრივ არის, მდებარეობს. ღელეს... დასამშვენებლად ორ ჯარად მისდევს უზარმაზარი, ცამდის ამართული მთები (ა. ყაზბ.). ჯარი ფასანაურის იმ ვიწროებში შევიდა, სადაც არაგვის პირზე გაყვანილ გზას აქეთ-იქით მაღალი, დაბურვილი ტყეები მისდევდა (ა. ყაზბ.). || გაყოლებით გასდევს, _ აჩნია. კლდეს შუა წელზე... ყვითელი ზოლი მისდევს (ვაჟა).

181. მიდის - || იქითკენაა მიმართული, მიმართულება იქით აქვს, გადის (გზა...). [ხევში] დიდი საშეშე გზა მიდიოდა (თ. რაზიკ.). უნათლოშვილებისას მისასვლელი საურმე გზა ბაგრატ ქერამის ეზოს გვერდით მიდიოდა (ე. ნინოშ.).

182. მიუგავს - მიაგავს მისი, ჰგავს მისი. [ორაგულს] ბოლო... კბილებდამტვრეულ საჩჩელს მიუგავს (ვაჟა). [მაიორს] თავპირი გაბერილ გოგრას მიუგავდა (მ. ჯავახ.).

183. მოჰგავს - ოდნავ ჰგავს, _ ჩამოჰგავს. [შავწვერებიანი კაცი] უთუოდ ნათესავი ვინმე იქნებოდა, რადგანაც საშინლად მოჰგავდა [თქვენს ქმარს] (აკაკი). ცის კიდეს ოდნავ აღმური დაჰკრავს, _ და ფერი მისი თონის ალს მოჰგავს (რ. მარგ.).

184. მოსდევს - || რისამე გასწვრივ არის, მდებარეობს; გაყოლებით გასდევს რასმე. ტყე რომ თავდება, რამდენიმე ნაწილი მარტო თხილიანი მოსდევს ხევს (ვ. ბარნ.).

185. მოდის - ძ. ხარობს, იზრდება (მცენარე); მოსავალი იცის, ნაკოფს ისხამს. კარგი მოსავალი მოდის. _ საქართველოში ბამბა... იმერეთის მხარეში მოდის (ი. გოგებ.). ხილი უზიად მოდის მესხეთის ბაღებში («კომ.»). ჩ. ხვდება, ერგება; არის. ინგლისში ერთ მემამულეზე ცხრა ფერმა მოდის (ილია).

186. მოითხოვს - 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. საჭიროებს, სჭირდება. [ბარტყების] გამოზრდა მოითხოვდა... [ბუნებისმეტყველისაგან] ბევრ დროსა და ყურადღებას (ი. გოგებ.). || განაპირობებს.

187. მოიცავს - 1. (მოიცვა, მოუცავს) გრდმ. მთლიანად დაეუფლება (რამე), შეიპყრობს, გამსჭვალავს. მწუხარებას მოეცვა დიდი და პატარა. _ ყმლპ 22 პმა მოიცვა. _ ტყე სიჩუმეს მოეცვა. _ ხეაურობა მყუდროებას მოუცავს. _ ქრისტიანე მოიდა შიშმა და მღელვარებამ (ე. ნინოშ.). მთელი ერი ერთსა და იმავე ფიქრს მოეცვა (ი. მაჭავ. თარგმ.). || მთლიანად დაფარავს. წყვდიადმა მოიცვა... არემარე (ვაჟა). || მოედება. კახეთი... აჯანყებამ მოიცვა (საქ. ისტ.). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ახ. გრდუვ. სტატ. შეიცავს. სამუშაოები... მოიცაქენ... კეთილმოწყობის ყველა მხარეს («კომ.»). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი, გარემოიცავს.

188. მომდინარეობს - მოედინება, მოდის (წყალი, მდინარე...). კახეთის ბოლოს მტკვარს ერთვის ალაზანი, რომელიც კახეთზე მომდინარეობს (ი. გოგებ.). ფიგურ. ეს... ჩვეულება სწორედ ამ სათავიდანვე მომდინარეობს (ილია). || იქიდან აქეთ ვრცელდება, მოემართება (სუნი). ის მშვენიერი სუნიც სწორედ იქიდან მომდინარეობს (ვაჟა).

189. მოსავს - 2. გადატ. ფარავს; ამკობს. ფიგურ. შარავანდედით მოსავს (ილია). ორი საყვარელი ადამიანის დაკარგვა სევდით მოსავდა გამარჯვების დღესასწაულს ხარატაანთ ოჯახში (მიხ. მრევლ.). 3. გადატ. აღჭურავს (უფლებით). 2. (იყენ. ემოსა, _) გრდუვ. სტატ. 1. შემოსილია; აცვია. შენ გამოუდექ ხორცის გემოსა, ტანთ განიცარცვე, რაც რომ გემოსა (დ. გურამ.). 2. გადატ. ფარავს, დაფარულია. დუქანს იქით აიმართებოდა... მთა, რომელსაც ასკილგაბანდული ჯაგები მოსავდა (გ. წერეთ.). ახლა სავსებით თეთრი თმები მოსავდა მას (ვ. გამს.). || გადატ. ამკობს, ამშვენებს. გმირებს დაფნები მოსავს (ი. გრიშ.).

190. მოჩანს - საიდანმე ჩანს. შორს გორის ციხე მოჩანს (ა. მირცხ.). შუა მინდორზე ლურჯად მოლაპლაპე ტბა მოჩანდა (ვაჟა). || იგივეა, რაც ჰგავს (მნიშვ. 2). წლოვანობით [იასე] მთავარდიაკვანზე უმცროსად მოჩანდა (მელან.).

191. მოწმობს - (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ადასტურებს, ამტკიცებს რასმე. მედუქნე ვარო, თქვა ნიკოლამ და ამასვე მოწმობდა მისი ჩაცმადახურვა (ი. ეკალ.). სახის მეტყველება მოწმობდა, რომ ჩაღბო შეურაცხყოფას ადვილად არავის აპატიებდა (ვაჟა).

192. ? მხურვალეებს - ხმხურვალეა, ხურს. «რაც დრო გამოდის, უფრო მხურვალეებს» (აკაკი).

193. მიიჩნევა - (მიიჩნია, მიჩნეულა) გრდუვ. ვნებ. მი ი ჩ ნ ე ვ ს ზმნისა _ ჩაითვლება, მიიღება; მიიჩნევენ; მიჩნევა შეიძლება.

194. ნათობს - იგივეა, რაც ა ნ ა თ ე ბ ს. მთვარე აღარა ნათობდა(ზაჩ.). თეფშზე მიკრული სამი სანთელი ნათობდა (ვაჟა).

195. ნიშნავს - გამოხატავს, აზრით უდრის. ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა «სოსლოვიე» ნიშნავს (ილია). ქოჩორამ სწრაფად ერთნაირი ხმა მისცა თავის წიწილებს, რაც უსათუოდ ნიშნავდა: თავს უშველეთ, შინისაკენ გაიქეციეთ! (ი. გოგებ.). «რას ნიშნავს სიტყვები საშიში არსება?» (ვ. მალაქ.).

ს

196. სხედან

ტ

197. ტრიალებს-ს (იყენ. იტრიალა, უტრიალნია) გრდუვ. სტატ. 1. ტრიალით მოძრაობს წრიულად, რისამე ირგვლივ; მოძრაობს თავის ღერძის გარშემო, – ბრუნავს. [წისქვილის] ქვები მკვიდრად, მაგრად, თავისებურად ტრიალებდნენ (ვაჟა). ბანში ბობოლა საცოდავად ტრიალებს ბოლისაგან, ერთი ფრთადა გაუშვერია (თ. რაზიკ.). სამი კვერი ტრიალებდა ჩვენს კალოზე (ვ. ბარნ.). 3. დგას, იგრძნობა (სიცხე, სუნი...). მზე ახალი ამოსული იყო, მაგრამ ამ დილაადრიანადაც ისეთი პაპანაქება ტრიალებდა, რომ მზის შუქი კვერცხს შეწვავდა (ი. გოგებ.). ყვავილების სუნი ტრიალებდა და ყნოსვას ატკობდა (ა. ყაზბ.). სამზარეულოდან შემწვრების, ნამცხვრების სასიამოვნო სუნი ტრიალებს გარშემო (ევ. გაბ.). დედამიწა ტრიალებს. ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებს.

უ

198. უბია - (იყენ. ება, ბმია) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. აბია ზმნისა: 1. თოკით, ჯაჭვით და მისთ. დაბმული ჰყავს; რამეზე ჰყავს მიბმული. შინაური პირუტყვები... თბილ ბოსელში უბიათ (ი. გოგებ.). 2. რამეში ჰყავთ შებმული. შრომანაანთ საბედა თუ ქვრივია, ოთხ-ოთხი უღელი ხარ-კამეჩი არ უბია გუთანში! (რ. ერისთ.). «ღონიერი საქონელი გვიბია გუთანში» (ს. მგალობ.).

199. უბჯენია - დაბჯენილი ან მიბჯენილი, მიდგმული აქვს. ავადმყოფს ყავარჯენი უბჯენია. ფიგურ. ცას უბჯენია ბუმბერაზს თავი! (ვ. მაყ.).

200. უგავს - (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ჰგავს მისი, – ემსგავსება. «შენ რა გიგავს ჩემ შვილს?!» (აკაკი). «არა, ჩემო ბატონო, ავს რა მიგავს, მაგრამ უსამართლობამ გამაბოროტა» (გ. წერეთ.).

201. უგდია - გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ეგდო, ჰგდებია) ობ. ქვ. გდია ზმნისა 1. გდია მისი ან მასთან. ეზოში წისქვილის ქვა უგდია. 2. საუბ. აქვს, გააჩნია, მოეპოვება; ჰყავს. «ე რაღაც ათიოდე დაჟანგებული თოფი გვიგდია» (ს. შანშ.). 3. (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) ობ. ქვ. 1. მიგდებული, მიშვებული აქვს (წყალი). «ვენახში წყალი უგდია, შენი

ცოდო არა მაქვს!» (ს. მგალობ.). 2. იგივეა, რაც გდია (მნიშვ. 2.). «მერე აქ რას უგდისხარ?» (ილია).

202. უგია (იყენ. ეგო, ჰგებია) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. აგია ზმნისა – დაგებული აქვს, – უფენია. შავ ყურდანებში სძინავთ ყივჩალებს, თავქვეშ უგიათ თოქალთოები (გ. ლეონ.). ◊ მახე უგია გადატ. საფრთხე, განსაცდელი მოელის. სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი; მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი; სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი (დ. გურამ.).

203. უდგას - დგას მისთვის, მისი ან მასზე: 1. დგას, არის მისი, მისთვის, მისაზე, მისაში ან მასთან. ფლავი ვის უდგას და – მადა ვისა აქვსო (ანდაზა). სახლს გვერდით საბძელი უდგას (ვაჟა). 2. უსხია, ჩაყენებული აქვს (წყალი...). «ცივი წყალი არ გიდგა?» (მელან.). [ლეტუმე] ისე გაჩუმებულიყო, თითქო თევზივით პირში წყალი უდგასო (ი. მაჭავ. თარგმ.). || ფიგურ. «მე კეთილშობილის ცოლი ვარ, კეთილშობილის სისხლი მიდგა» (ილია).

204. უდგია (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც უდგას. თებრონე მიდის წყალზედა, კოკა უდგია მხარზედა (ხალხ.).

205. უდევს (იყენ. ედო, სდებია) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. დევს ზმნისა – დევს მისი, მისაში ან მისაზე. ჯიბეში ვაშლიუდევს. – კალთაში გორგალი უდევს. – ძინავს გოგრას, კომბალიც გვერდზე უდევს (ვაჟა). «ოქმი დიდი ხანია... გადაწერილი მაქვს და ყუთშიაც მიდევს» (ილია). ბრალი უდევს ბრალი მიუძღვის, დამნაშავეა. «მომეტებულად ჩვენ გვიდევს ბრალი სოფლის გათახსირებაში» (ეკ. გაბ.). ◊ გულში უდევს გულში აქვს, განზრახული აქვს, ფიქრობს. გულში ღალატი უდევს. ◊ საფუძვლად უდევს საფუძვლად აქვს. საბჭოთა პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს ყველა საბჭოთა ხალხის დიდი თავდადება და ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი («კომ.»). ◊ წინ უდევს გადატ. მოელის, მისი შესასრულებელია, ჩასატარებელია მომავალში. გამოცდები წინ უდევს. – მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ, ნურც აძაგებო (ანდაზა). ◊ წილი უდევს წილი აქვს, მონაწილეა. მე და ჩემს მეუღლეს საგურამოს მამულებში წილიგვიდევს (ილია). «ბევრი გამოვლო მაგან ტანჯვა, და იმას ვწუხვარ, მეც წილი მიდევს იმ სატანჯველის მიყენებაში» (ი. მაჩაბ. თარგმ.) ◊ კუდი უდევს (ვინმესთან) იხ. კუდი.

206. უდვი-ა (იყენ ედო, სდებია) გრდუვ. სტატ. იხ. უდევს. [ქალს] თავი უდვია მკლავზედა (ვაჟა)

207. უდის - (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ ობ. ქვ. დის ზმნისა: 1. დის, მიმდინარეობს მისი, მისაში ან მისთვის. კოლმეურნეობას ჭარხლის ნათესებში წყალი უდის. – «შენ სულ სხვა სისხლი გიდის ძარღვებში, შენ სხვა ხარ და პარმენა სხვაა» (ს. მგალობ.). 2. ასდის (სუნი), გამოსცემს (სუნს). ცხვრის სუნი უდიოდა ფხოველ მხეველს (ვ. გამს.). ხალხს ოფლი სდის და ოფლისსუნი უდისო (ი. მაჭავ. თარგმ.).

208. უდრის - ტოლია, ეთანაბრება, ეთანასწორება. ორი თუნგი ღვინო უდრის ღირებულებით ერთ კოდ პურს (ილია). სირაქლემას კვერცხი... ქათმის ოცდასამ კვერცხს უდრის (ი. გოგებ.). ჰაერის ტემპერატურა პლუს 3 გრადუსს უდრიდა, ყინული რბილი იყო («კომ.»).

209. უვარგა - ვარგა მისი, კარგი აქვს. «აბა, ერთი გაიარ-გამოიარე, სიარული თუ გივარგა?» (ა. ბელ.). [ელოს] მიხვრა-მოხვრა არ უვარგაო (ვ. ზარნ.). ხელოსანმა წინათვე თქვა, ღვინო არ მივარგაო (გ. წერეთ.).

210. უვლია - (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) II პ. გივლია, I პ. მივლია) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. ავლია ზმნისა – ირგვლივ არტყია; შემოვლებული აქვს მისას. საყდარს უვლია გალავანი (ს. მგალობ.).

211. უზის - u/z/i-s გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ნამ. ძირით. უჯდა, თურმ. სჯდომია; მრ. უსხედან; უზიან უმართებულოა) ზის მასთან, მისაში ან მისაზე. [წიწმატას] გვერდით უზის... ჭრელი კატა (ვაჟა). ცხენოსანს შავარდენი უზის მარცხენაზე (ვ. გამს.). || ფიგურ. გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! (გ. ორბ.). || ჰყავს. იმ რკინის კაცს ერთი მოტაცებული ქალი უზის კოშკში (ზღაპ.). თავად გძელაძეს... ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი (ილია). «სამი გასათხოვარი სახლში მიზის» (დ. კლდ.). || ფიგურ. «ჩამიხედნია, დედი, ჩამიხედნია [გულში] და ვიცი, რომ შიგ მარტო მე გიზივარ» (ილია). || უდევს. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი (ილია). || აქვს ჩასმული. [კარებს] შიგ ძვირფასი თვალ-მარგალიტი უზის (შ. დად.). ◊ რას უზიხარ? რისთვის ზიხარ? რას ელოდები? «აქ რას უზიხარ? რას მოსთქვამ?» (ვაჟა). «რას უზიხარ კერასაო?» (აკაკი). ◊ თვალში უზის მუდამ მასზე ფიქრობს, მუდამ ის ელანდება. 2. (იყენ. ნამ. ძირით. დაუჯდა, თურმ. დასჯდომია; მრ. არა აქვს) უღირს, უჯდება. ძვირად უზის ევროპას ბისმარკის... ასეთი ყოფა (ილია). «სტამბის სახლი წელიწადში გვიზის ორმოცდახუთ თუმნად» (გ. წერეთ.).

212. უთესია - (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. თესია ზმნისა – თესია მისი, – დათესილი აქვს. პური უთესია. – ქერი უთესია. – კოლმეურნეობას შაქრის ჭარხალი 70 ჰექტარზე უთესია («კომ.»).

213. უკეთია (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. 1. გაკეთებული, დამაგრებული აქვს. [მისს ლარკინსს] თავზე ცისფერი ყვავილები უკეთია (ქ. ბაქრ. თარგმ.). 2. შეკეთებული აქვს, უნთია (ცეცხლი). ქოთანში ლობიო ისევ ჩუხჩუხებდა, თითქოს ცეცხლი უკეთიაო (ვაჟა).

214. უკერია-ა (იყენ. ეკერა, [ჰკერებია მისას]) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. აკერია ზმნისა – აკერია მისას. «სერთუკზე თეთრი დილები ხომ არ უკერია?» (ზ. ანტონ.).

215. უკიდა 1 (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. ჰკიდა ზმნისა ჰკიდა მისი, დაკიდებული აქვს. გლახამ შეხედა, რომ ცოლ-ქმარს... ზადით წყალი

უკიდიათ და ცვარი არ ვარდება (**ზღაპ.**). «საწოლის თავთან მიკიდია თქვენი სურათი» (**ლიტ. და ხელოვნ.**).

216. უკიდია 2 - **ცეცხლის ფასი უკიდია** - გადატ. საუბ. ძალიან ძვირია.

217. უკლია - (იყენ. უკლდა, ჰკლებია) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. აკლია ზმნისა იგივეა, რაც აკლია. სამუშაოს გათავებას ბევრი აღარ **უკლია**. იგივეა, რაც აკლია

218. ულაგია - (იყენ. ელაგა, ლაგებია) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. ალაგია ზმნისა – ალაგია მისი, – უწყვია. «[სამი ხალათი] შინ მილაგია» (**ვაჟა**). ვარამ წამოწოლილა..., ძირს ქოშები **ულაგია** (ი. გულის.).

219. უმარხია - (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. მარხია ზმნისა – მარხია მისი. სოფელი, საცა მის მამა-პაპას უცხოვრია, საცა მამა-პაპის ძვლები **უმარხია**, ჩვენი გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის (**ილია**).

220. უმწკრივი-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. მწკრივად უდგას, ჩამწკრივებული აქვს. [თუთის ხეები] ყველა ჯალაბობას კარ-მიდამოზე **უმწკრივია** (ი. გოგებ.).

221. უმწყვდევი-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. ამწყვდევია ზმნისა – ამწყვდევია მისი, – დამწყვდეული ჰყავს თავისი. მელორეს ღორი საღორეში **უმწყვდევია** (ი. გოგებ.).

222. ურევია გრდუვ. სტატ. ობ. ქც. 1. (ერია, რეულა) გარეულია, შედის, ითვლება (სადმე, რამე წრეში, გარემოცვაში). ზემო იმერეთში ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში **ურევია** სავანეც (**აკაკი**). «მეც კაცი ვარ და ხალხში ვურევივარ» (**თ. რაზიკ.**). «ამისთანა გულკეთილი... კაცი მეორე არ გვირევია» (**უიარ.**). || ჩაბმულია, ჩათრეულია რამეში, მონაწილეა რისამე. «უსათუოდ აქ მდივანი ურევია!» (**დ. კლდ.**). «მგელის უბედურობაში... როდი ურევია [ტურიკო]» (ი. ელეფთ.). ◊ იმისი (ჩემი, შენი...) **ხელი ურევია** გადატ. იმისი (ჩემი, შენი...) მონაწილეობით არის ჩადენილი, ნამოქმედარი. «საცა-კი სიკეთა ამ უბანში, იმისი მადლიანი ხელიც იქ ურევია» (**ილია**). 2. (ერია, რევია) გარეული აქვს. [და-ძმას] თმაში ჭალარა გვირევია (**ილია**). ბზეს პურის მარცვალი ურევია (ი. გოგებ.).

223. ურჭვია - (იყენ. ერჭო, რჭობია) გრდმ. სტატ. ობ. ქც. დარჭობილი, გარჭობილი ან ჩარჭობილი აქვს. ბობოლას... შვიდი ფრთა **ურჭვია** (**თ. რაზიკ.**). აწ თქვენა ხედავთ თვალითა, რაც ჯიღა თავთა გვირჭვია (**დ. გურამ.**). შემოაქვთ ხმელი ხილი, შუაზე შაქრის თავი ურჭვია (**ა. ცაგარ.**).

224. უსვენია-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. ასვენია ზმნისა – ასვენია მისი ან მისაზე, – დასვენებული ჰყავს. გულშეწუხებული ქალი ხელზე მისვენია! (**ა. ცაგარ.**). ქოხში მკვდარი მისვენია..., – წარმოთქვა მოხუცმა (**ა. ყაზბ.**).

225. უსვია1 (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ასვია, აზის მისას, დასმული აქვს. [ძმობილს] თამარ-დედოფლის ნაკოცნი ბეჭდად უსვია ხმაღზედა (**ვაჟა**).
226. უსვია2 (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდმ. სტატ. წასმული აქვს, – სცხია.
227. უსხია1 (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. ასხია¹ ზმნისა – ასხია (რამეში) მისი ან მისთვის, ჩასხმული აქვს. ღვინო ბარემ შვიდი კოკა მისხია (**ბ. ჩხ.**).
228. უსხია2 (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ ქვ. ასხია² ზმნისა – ასხია მისას, უბია ბევრი. კარგა გისხია? ამბობენ, ამ გვერდიძირის ვენახებს ძალიან ასხიაო... – სხმით, ...აბა რა დასამალია, კარგა მისხია! (**ს. მგალობ.**).
229. უფენია (იყენ. ეფინა, ჰფენია) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. ფენია, აფენია ზმნათა – ფენია აფენია მისი, – დაფენილი, გაშლილი აქვს. იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე... წინ მიფენია ქართული სუფრა (**აკაკი**). ტახტზე ქეჩა გვიფენია (**გ. ლეონ.**).
230. უქვია (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. ჰქვია ზმნისა – ჰქვია, ეწოდება მისას. მამას ზაქარაუქვია, ნეფეს-კი ჰქვია სესია (**ვაჟა**). სახელადა მძევს ქალთამზე, მამას მიქვია დათაო (**ზ. ანტონ.**). **ღ რას მიქვია?** არაფრად მიმანჩნია, ჩემთვის უმნიშვნელოა; რა საჭიროა? რას მიქვია ტკბილი სიტყვა? (**ილია**).
231. უღირს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. ღირს ზმნისა – ღირს მისთვის. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო (**ანდაზა**). რა, გეძვირა? არ გიღირს ოქრუა ხუთ თუმნად? (**ე. ნინოშ.**). რა შშიშარა ხარ! – უთხრა კესანემ იას, ...ძალიან ძვირად თუ გიღირს სიცოცხლე! (**თ. რაზიკ.**). || მნიშვნელობა, ღირსება აქვს მისთვის. არ იცი, შვილო, როგორ მიღირს მე ეს სიტყვები! (**ილია**). სასოწარკვეთილს თავი არ მიღირს არცა ერთ ჩალად! (**აკაკი**).
232. უყარს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. ყარს ზმნისა – ყარს მისი. თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რად გიყარსო (**ანდაზა**).
233. უყენია (იყენ. ეყენა, ჰყენებია) გრდუვ. სტატ. დაყენებული ჰყავს, – უდგას. იქ რომ მივალთ, კარებზე დარაჯად ლომები და... მგლები უყენია (**ზღაპ.**). [მოწინააღმდეგეს] უმჯობესი ჯარები საით უყენია? (**ი. მაჩაბ.** თარგმ.). || დადგმული, გაკეთებული აქვს. მანქანებს არ უყენია, ანდა მოუწესრიგებელია სპიდომეტრები (**«კომ.»**).
234. უყრი-ა¹ (იყენ. ეყარა, [ყრილა მისი ან მისაში]) გრდუვ. სტატ. ობ. ქვ. ყრია მისი ან მისაში. ღორს უთხრეს: ქეჩოში ქერი გიყრიაო. ღორმა თქვა, მე-კი პირი არ მიმიწვდება და გინდ ცხრა მთას იქით ეყაროსო (**ანდაზა**). ოქროულას... კალთაში ლობიო უყრია (**მელან.**). || გადატ. უპატივც. აქვს, ჰყავს (მრავალი). ე გოგოები-კი გვიყრიან სახლში და გვიბერდებიან (**დ. კლდ.**).
235. უყრი-ა² (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. გაყრილი აქვს. ტყემ თქვა: ცულმა გვდვა მუსრია, ტარი-კი ჩვენგან უყრიაო (**ანდაზა**).

236. **უყუდი**-ა (იყენ. ეყუდა, ჰყუდებია) გრდუფ. სტატ. ობ. ქც. აყუდია მისი ან მასთან, [ვიღაცას] პირდაპირ **უყუდი**ახმალი, იქვე გდია მისი ლახტი (**ვაჟა**).

237. **უჩან**-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. ობ. ქც. ჩანს ზმნისა: 1. ჩანს, მოჩანს მისი. ზღვას ძირი არ უჩანდა და ამბობდნენ – უძიროაო (**ანდაზა**). [ტყვეს] პირისახე აღარ უჩანდა (**ილია**). [პაპას] ბალნიანი მკერდი უჩანდა (**ვაჟა**). || მოჩანს ვისამე დასანახად. გზა ცოტა ხვეულად მიდიოდა, ისე რომ მარტია აღარ უჩანდათ გაგის და იმის ამხანაგებს (**ა. ყაზბ.**). 2. მიაჩნია; უღირს, ფასობს მისთვის. [პეპელას] ქვეყანა ჩალად არ უჩანს, დაფრინავს, როგორც ფერია (**შ. მღვიმ.**). მე იგი ვარ,... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად (**რუსთაველი**). 3. აქვს; ეტყობა, ემჩნევა. ნუ გეწყინებისტ, არ გიჩანსთ მეფური ზნე და ზრდილობა! (**დ. გურამ.**). || ჰყავს, გააჩნია, მოეპოვება. [ბეზლობას] მუშტარი აღარსად უჩანს (**ილია**). ◊ **კარგი პირი (არ) უჩანს (მოსავალს...)** კარგი (არ) არის მოსალოდნელი, სიკეთე (არ) ეტყობა (მოსავალს...). წელს ხორბლის მოსავალს კარგი პირი უჩანს (**კომ.**). ◊ **წინ მარტი უჩანს, უკან – აპრილი** საუბ.ძველი, დახეული ტანსაცმელი აცვია, ჩამოგლეჯილია. წინ მარტი მიჩანს, უკან – აპრილი, თავზე ქუდი აღარ შამრჩა და ფეხებზე – ქალმები (**ვაჟა**).

238. **უჩნ**-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) ძვ. გრდუფ. სტატ. ობ. ქც. იხ. უჩანს (მნიშ. 2). სწორად **უჩნს** მას მთა და ბარი! (**აკაკი**). ხალხს... ადვილად უჩნს ცოდვის შენდობა! (**ი. მაჩაბ.** თარგმ.).

239. **უცვია** - 1. აცვია მისას. ტან-ფეხშიშველი დავდივარ, ცოლს არ მიცვია კაბაო (**ვაჟა**). 2. ჩამოცმულია, დაცმულია, წამოგებულია მისი ან მისაზე. სუფრაზე... ხმიადი უძვევთ, ზედ ჯვარი ურჭვიათ და იმის ბოლოებზე ვაშლი და მსხალი უცვიათ (**ზარ.**).

240. **უძევე**-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. ობ. ქც. ძევეს ზმნისა – ძევეს მისი, მასთან ან მისაზე. [ქალს] თავით კომბალი **უძევეს**ო (**ვაჟა**). კაცს ეგონებოდა, ამ ხალხს ცხედარი უძევეთ წინაო (**ნ. ლომ.**). ◊ **გულში უძევეს** გულში აქვს, – ფიქრობს. გულში, ვინ იცის, რა უძევეს, ეგრე-კი ისევ კაჟია (**ზარ.**). ◊ **ცხვირწინ უძევეს** ახლოს აქვს. ბედნიერებას სხვაგან ვეძებთ და თურმე ცხვირწინ გვიძევეს (**შ. არაგვ.**). ◊ **წილი უძევეს** წილი აქვს, მონაწილეა. [ცოლს] ოქროს მადნებშიც და იმ სიმდიდრეშიაც ნახევარი წილი უძევესო (**აკაკი**).

241. **უძღვის** 3. უსწრებს. კონცერტული განყოფილება... წინ უძღოდასადამოს (**დ. კლდ.**). 4. (ღვაწლი, ამაგი...) აქვს (ვისიმე წინაშე). მეფისა და სამშობლოს წინ, მართალია, მიძღვის ღვაწლი, მაგრამ, მეფევ, სხვას დავუთმობ აწ სამსახურს..., სხვას დავაცლი! (**აკაკი**).

242. **უწევ**-ს¹ (უწევა, სწოლია) გრდუფ. სტატ. ობ. ქც. წევს ზმნისა – წევს მისი ან მასთან. [სპილოს] შვილი იქვე თავის ახლოს უწევს (**ი. გოგებ.**). ერთს ავადმყოფი უწევს, მეორეს... ღომი აქვს საცეხვავე (**უიარ.**).

243. **უწერი**-ა (იყენ. ეწერა, სწერებია) გრდუფ. სტატ. ობ. ქც. წერია ზმნისა – წერია მისი ან მისაში. დავბადებულვარ მე... 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში-კი 1841 მიწერია (**აკაკი**). შრომის წიგნაკში გიწერია... ყველაფერი? – ჰკითხა კალისტომ (**ა. ბელ.**). ||

მოწერილი აქვს (ხელი). თორმეტი მეფეთ-მეფის ბეჭედი აზის, ხონთქარსაც ხელი უწერია (ილია). განა მოწმეებსაც უწერიათ ხელი? (ა. ცაგარ.).

244. უწყვი-ა (იყენ. ეწყო, სწყობია) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. აწყვია ზმნისა – აწყვია მისაზე ან მისაში, – ულაგია.[მეურმეს] ურემზე... რუმბები უწყვია (ზღაპ.). მჭედელსა... სამჭედლოში უწყვია ბარი, ... თოხი (ილია). [დედამთილს კიდობანში] ტანსაცმელი უწყვია თავისი, ქმრის და შვილისა (ბაჩ.).

245. უჭდევი-ა (მხოლოდ აწმყოში) გრდუვ. სტატ. ობ. ქც. დაჭდეული აქვს მისას. || ფიგურ. დღესაც გულში ღრმად მიჭდევია ეს განსხვავებული გადმოხედვა (ვაჟა).

246. უხვევ-ს იხ.შეუხვევს 2. (შეუხვია, შეუხვევია) ობ. ქც. მიმართულებას შეიცვლის, _ გაუხვევს, გადაუხვევს. მინამ კაცი ამ მთის ზურგამდე მივა, უნდა... შეუხვიოს მთიულეთისას (ილია). ვიწრო ქუჩაში შეუხვიე (ნ. ლორთქ.). [კაკლუა] უკან ჩამორჩა და შეუხვია ბახჩისაკენ (ვ. ბარნ.). გზა აქ უხვევს მარჯვნივ.

ფ

247. ფასობ-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. ფასი აქვს, ღირს. ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობსო (ანდაზა). ხორბლის პური ძვირად ფასობს (ი. გოგებ.). ყმა ძვირად ფასობდა (მ. ჯავახ.). 2. გადატ. მნიშვნელობა, ღირებულება, გასავალი აქვს. კაცია _ ათასადა ღირს, ასია _ კაცად არა ფასობსო (ხალხ.). [ჯიბოს] პატივსაცემი დარბაისლური შეხედულება დიდად ფასობდა სოფელში (ეკ. გაბ.).

248. ფენი-ა გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ეფინა, ფენილა) გაფენილია, დაფენილია, _ აგია. ოთახში... დგას ოსმალური დივანი, ზედა ფენია ნაკერი სუზანი (ზ. ანტონ.). || ფიგურ. [ოსმანა] ხმალს აპრიალებს გორდასა, მასზე ნათელი ფენია (ვაჟა). 2. 3-ფენი-ა (იყენ. ეფინა, _) აგია რამეზე, _ აფენია, აშლია მას. || ფიგურ. ახალწელია და მიტომ იმედი გულსა მფენია (ვაჟა).

ქ

249. 3-ქვი-ა (იყენ. ერქვა, თურმ. რქმევია) გრდუვ. სტატ. 1. სახელად აქვს, მისი სახელია. რა გქვიან, შვილო? _ ირემა!.. (შ. არაგვ.). ყელის უკანა ნაწილს კისერი 3ქვია (ი. გოგებ.). || ეძახიან, უწოდებენ, ეტყვიან. «ასწიე» ღონესა 3ქვია, «დაუშვი» _ უღონობასაო (ანდაზა). ერთს «მომგვარე» 3ქვია, ორს _ «მომისხიო» (ანდაზა). ნამრახ ყოფას ჩვენ სამარის მიწა გვიჯობს, _ ქართულად ხომ მას სიცოცხლე არ 3ქვია! (ანა). 2. ამბობენ, იტყვიან, ითქმის. ხარო, კამეჩო რქიანო, მეც თქვენთან ერთად ვიწვები, შავმიწის მუშა მქვიანო (შ. მღვიმ.). [კურდღელმა უთხრა ბაჭიას:] თუ გშიან, აი ცანცალავ, ამ მდელოს ჩემი 3ქვიანო (შ. მღვიმ.). ♦ რა 3ქვია ჩართული გამოთქმა, ნიშნავს: რაო, რა არის. თუმცა ჩვენ...

რა ჰქვია, ...გლეხნი გვეთქმის, მაგრამ ჩვენ მაინც სხვანი ვართ (ს. მაგლობ.). ◊ რას ჰქვია! რა სათქმელია, როგორ შეიძლება. რას ჰქვია, დრო არა მაქვსო!.. ეს შეურაცხყოფაა ჩვენთვის... უნდა მიგვიღოთ! (ე. ნინოშ.).

ღ

250. ღირ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. ესა თუ ის ფასი, ფულადი ღირებულება აქვს. რა ღირს? _ ჩემი ქალის სამკაული ღირდა ორას თუმნად (ლ. არდაზ.). რა ღირს ეს მარწყვი? (ჭ. ლომთ.). || თავისი დანიშნულებით, ღირსებით სხვა რასმე შეეფარდება, ეტოლება. ერთ ვაჟკაცადა ღირს მისი ხუჭუჭი თმა (ვ. ბარნ.). ◊ გროზად (ჩირად, კიტრად, ჩალად) არ ღირს ფასი, მნიშვნელობა არა აქვს, მეტად ცუდია, ჩალის ფასი აქვს. გროზად არა ღირს მარტოხელა კაცის სიცოცხლე (ს. კლდ.). ის კაცი არ არის, იმისი სიცოცხლე ჩალადაც არა ღირს (შ. არაგვ.). ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად (რუსთაველი). ◊ მადლობად(სახსენებლად, სათქმელად) არ ღირს მცირე ღირებულებისაა, უმნიშვნელოა. შენი შემოსავალი სახსენებლადაც კი არ ღირს (ა. ყაზბ.). 2. მნიშვნელობა აქვს, აზრი, გამართლება აქვს. ჩიტი ბდღვნად არა ღირდა, და დევნა მეტი იყო (ანდაზა). ღირდა-კი ამაზე ლაპარაკი? (ჭ. ლომთ.). ბარა, აღარა ღირს საჭირო არაა. აჰ, გავათათო მაგაზედ ლაპარაკი!.. არა ღირს (ა. ყაზბ.). აქ მოიყვანე [დესპანი], აღარა ღირს დარბაზში შესვლა (ვ. ბარნ.). ◊ რად ღირს! დიდი ფასი, დიდი მნიშვნელობა აქვს. მარტო აქაურობის მოშორება რად ღირს (ე. ნინოშ.). ◊ ერთ რამედ... ღირს საუბ. იხ. ერთი.

ყ

251. ყრი-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. უწესრიგოდ, არა თავის ადგილზე (ძირს) დევს ბევრი (მხოლოდობითში ენაცვლება გდია). გზაზე ფოთლები ყრია (გ. ტაბ.). რას ფიქრობს ახლა ქალი კოშკელი, რად ყრია ირგვლივ აბჯრის ნალეწი? (გ. ლეონ.). || უპატივც. არიან, არსებობენ. ქალიშვილები უსწავლელები ყრიან სახლში (ლ. არდაზ.). ვყრივართ [ბედურები] ღვთის ანაბარაზე, ჯაგიდან ჯაგზე მფრინავი (ვაჟა). [შვილებიც] სულ ტყეში ყრიან მამასთან, თითქოს მგელი ლეკვებს ნადირობას აჩვევდესო (გ. წერეთ.). ◊ რა ყრია? არ ყრია, არაფერი ყრია (რამეში) საუბ. რა სარგებლობა აქვს? რა მნიშვნელობა აქვს? რა არის? რა ბედენაა? (არაფერი არ არის, არაფერი ბედენაა). არ ვიცით რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში! (ილია). რა ყრია თქვენს ჩხუბში (ვაჟა). აგერ ჩვენ ვაქებად დავიბადეთ, მაგრამ ბევრი რამ არც ამაში ყრია. ქვეყანას არ ვაბრუნებთ! (ბ. ჩხ.).

252. ჰყუდი-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდმ. სტატ. 1. კუთხ. (ფშ.) რამეზე დაყრდნობით ამართულია, გაჩერებულია, დგას, _ დაყუდებულია. სხვა იქ კაცის ძე არა ჩანს, ორნი ჰყუდიან ველზედა (ვაჟა). სხვები-კი სეირს უცდიან, ჩუმად ჰყუდიან განზედა (ბაჩ.). 2. კუთხ. (ქიზ.) რამეზე მიყუდებით, მიყრდნობით დგას, _ მიყუდებულია.

253. ყუნთია = ყუნტი-ა (იყენ. ეყუნტა, _) კუთხ. (ქართლ.) გრდუვ. სტატ. ერთ ადგილას დგას, გაჩერებულია; არის.

254. **ყუნცი**-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. დაყუნცულია, ჩაცუცქებულია.

255. **ყარ**-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ცუდი სუნი უდის, ცუდ სუნს უშვებს. ძირს მიწა ყარდა კაცის მძორითა (**გ. ლეონ.**). ვანოსავით [მედუქნეც] ნივრით ყარდა (**ს. შანშ.**). || ფიგურ. [ურცხვობა] მძოვრსა ჰგავს და რამოდენადაც ახლო მიუხვალ, უფრო **ყარს (ილია)**.

256. **ყვავი**-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. ყვავილს შლის, ყვავილი აქვს გამოტანილი (მცენარეს), _ ყვავილობს. ტყის პირებში თეთრად და წითლად გადაპენტილი ყვაოდა პანტა-მაქალოები (**ვაჟა**). ცაცხვი... **ყვავის**... და თავის გარშემო მშვენიერ სუნსა ფენს (**ი. გოგებ.**). ყვაოდნენ ბალის ყაყაოებიც (**კ. გამს.**). || ყვავილებით, აყვავებული მცენარეებით არის დაფარული, _ აყვავებულია. გაზაფხულის პირი არის, ყვავის, ხარობს მთა და ბარი (**ი. დავით.**). ტურფად ყვაოდა მთელი მინდორი (**ნ. ლომ.**). 2. გადატ. იფურჩქნება, იზრდება, ვითარდება. სოციალისტური წყობილების პირობებში ყვავის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის... კულტურა (**კომ.**).

257. **ყვავილობ**-ს (იყენ. იყვავილა, უყვავილნია) გრდუვ. სტატ. 1. ყვავილს შლის, _ ყვავილდება, ყვავის. გამოყვანილია... ქრიზანთემის 120 დეკორაციული ჯიში, რომლებიც ოქტომბერ-დეკემბერში ყვავილობენ (**კომ.**). || ფიგურ. კლდეც **ყვავილობს** დარიალის (**ლ. ასათ.**). 2. გადატ. იფურჩქნება, ვითარდება; იზრდება. მშვიდობიანი შრომით ყვავილობს ჩვენი ქვეყანა (**კომ.**).

შ

258. **შეესატყვისებ**-ა (შეესატყვისა, შესატყვისებია) წიგნ. გრდუვ. ვნებ. შეესაბამება, შეეფარდება; ედრება. მეგრული სიტყვა ჯა «ხე» არ **შეესატყვისება** ქართულ ხე-ს; მისი კანონზომიერი შესატყვისობაა ქართული ძელ-ი (**ა. ჩიქოვ.**).

259. **შეეფერებ**-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. შეჰფერის, შესაფერისია; შეესაბამება. [ბ-ნ იანოვსკის მიერ] ამორჩეული გზა... არ **შეეფერება**... მის განზრახვასა (**ილია**). მუცელას... არ შეეფერებოდა ეს დიდებული კაცის სახელი, რადგან მისი მოსახელე... წერწეტი და წვრილი იყო (**ვაჟა**). ჯერან... იყო... ლამაზი პირისახის და, რაც შეეფერება უსწავლელ კაცს, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი (**ე. ნინოშ.**).

260. **შეუძლი**-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ძალა, ძალ-ღონე შესწევს, უნარი აქვს, ძალუმს; უფლებამოსილია. მე რაც შემძლია, ვუსვამ ცელს, ვაწვენ ნაფთევზე ნაფთევს (**ვაჟა**). კურდღლის დაჭერა ფეხდაფეხ... არა კაცს არ **შეუძლია**! (**აკაკი**). მეც ვძლერი, ვძლერი, რაც შემძლია (**ლ. ასათ.**).

261. **შემდინარებ**-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. შედის, შეედინება, შეერთვის (მდინარე).

262. **შე-ჰ-ფერი**-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც შეეფერება. ირემმა ამ დროს საკვირველი თავხედობა გამოიჩინა. ჩვენს ძმურს ჰკობას

ამისთანა სიჯიუტე არ შეჭვდროდა (ვაჟა). რითი შევფერით ჩვენ ერთმანეთს? (ე. ნინოშ.). ასეთ დილას განა ცრემლები შეჭვდროს? (ჭ. ლომთ.).

263. შეადგენ-ს (შეადგინა, შეუდგენია) გრდმ. 1. ნაწილებისაგან ან ცალკეული ერთეულებისაგან მთელს [შე]ქმნის; წარმოქმნის. ა, ბ, გ, დ და სხვანი რარიგად შეადგენენ მარცვალსაო (ილია). სამნი ძმანი შეადგენდნენ მუცელაანთ ოჯახს (ვაჟა). თითოეული სკა ფუტკრებისა ცალკე ქალაქს შეადგენს (ი. გოგებ.). 2. ჯგუფს (კოლექტივს...) ჩამოაყალიბებს, შექმნის, მოაწყობს. ქართული დრამატიული საზოგადოება შევადგინეთ (ილია). [ყეინმა] ეპკაცებისგან შეადგინა... რაზმი (ვ. ბარნ.). 3. შეთხზავს, შექმნის; გამოიმუშავებს. საკანონმდებლო კრებამ... სამართლის წიგნი შეადგინა (საქ. ისტ.). თქვენ შეადგენთ ქართლის ტაფობის რუკას (დ. დონდ.). რა წარმოსადგენი იყო, ვითომ დიდებულთა თანხმობით შევადგენდით კონსტიტუციას? (ი. მაჭავ. თარგმ.). ჟანდარმმა დაატყვევა სპირიდონი, შეადგინა ოქმი და წარადგინა..., სადაც ჯერ იყო (ე. ნინოშ.). 4. წარმოადგენს, არის. აქედან უგზავნიდა [ელგუჯა] სალამს... ყოველ ქვას, რომელიც კი ოდესმე იმის თავშესაფარს შეადგენდა (ა. ყაზბ.). დავითმა გააკეთა... დუქანი, დააწყო შიგ... ისეთი რამეები, რაც სოფლისთვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს (ე. ნინოშ.). ♦ აზრს შეადგენს ბარბარ. რისამე შესახებ აზრი გაუჩნდება, დაასკვნის. [მაჩაბელმა] სკოლის საჭიროებისა ჯერ ნათლად ვერა გამოიმრკვია-რა, აზრი არ შემიდგენიაო! (ილია). ამ ჩვენების შემდეგ გამოიმძიებელმა სულ სხვა აზრი შეადგინა ესმას მკვლევლობის თაობაზე (გ. წერეთ.). რაღაცის ფასი შეადგენს 10 ლარს.

ჩ

264. ს-ჩვევი-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. მის თვისებას შეადგენს, მას ახასიათებს. [ტარიელს] აჩქარება არ სჩვეოდა (ლ. ქიაჩ.). შიში ვაჟკაცსაც გაუელვებს, სულმოკლეობა კი მხოლოდ ლაჩარს სჩვევია (ვ. ლორთქ.).

265. ს-ჩრი-ა (იყენ. ეჩარა,_) გრდუვ. სტატ. გაჩრილი, გარჭობილი აქვს. [მეწისქვილეს] ბალისტარა ყალიონი სულ უქრობლად პირში სჩრია (გ. ლეონ.). <>პირში ბურთი სჩრია გადატ. ხმის ამოღების, სიტყვის თქმის საშუალება არა აქვს. რა ხეირი მაყრია ქაჯი დედა-შენის ხელში ჩავარდნილს! იმას უფლება აქვს, ყველაფერი მკადროს, მე კი პირში ბურთი მჩრია (ბ. ჩხ.). <>გული ყელში სჩრია გადატ. დიდ გულზეა; მეტად ფიცხია. პატარა კაცსა გული ყელში სჩრიაო (ანდაზა). აბა, თუნდა შეხედეთ უხეირო მოხელესა ან გზირს, როგორ გული ყელში სჩრიათ და დიდობენ (დ. მაჩხ.).

266. ს-ჩხირი-ა (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. გაჩხირულია რამეში. || აქა-იქ დგას, ჰყუდია. საცა ოთხი-ხუთი კომლი სადმე სჩხირია, იქვე საყელში უსათუოდ დუქანია დასკუპებული (ვაქა). ფიგურ. გაუსხვეპელი ვაჟკაცი არ ჩანს, აღარსად სჩხირია (ვაქა). - -

267. ჩა-ს-დევ-ს 1. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. ზევიდან ქვევით გასდევს, _ ჩაჰყვება, ჩაუდის (სიგრძეზე). [ცოფიანი ძაღლი] ასდევდა და ჩასდევდა გზას, ჭალებს, მდინარის პირებს (ვა)ა. || ჩაყოლებული აქვს გასწვრივ. [გველს] ზურგზე შავი ზოლი ჩასდევდა (ი. გოგებ.). მოაჯირიც კი არ ჩასდევს ამ სახიფათო [გზას] (ვ. ბარნ.). 2. (ჩასდია,_) გრდმ. უკან მიჰყვება ქვევით მიმავალს. ჯიხვებს ნუ ჩასდევ, აფშინავ, ჯიხვთა ბანდუხის კლდისათა(ხალხ.). <>ღ ძირში (ძირამდე) ჩასდევს ძირფესვიანად გამოიკვლევს, დაწვრილებით გამოიძიებს. აილე ნება იარაღის ტარებისა, გამოიწერე იარაღი!.. _ ეგ როგორღა მოვახერხო? _ ჩასდია ძირში რჩევას პოზუამ (ბ. ჩხ.). <>ღდინში ჩასდევს იხ. ღ დ ი ნ ი

268. ჩადი-ს გრდუვ. სტატ. 1. (I პ. ჩავდივარ, II პ. ჩადიხარ; იყენ. ნამყო ძირ. ჩავიდა, თურმ. ჩასულა) 1. ზევიდან ქვევით მიდის, მიემართება. დაბერდა [კამეჩი] «მარიამა», ...წყალზე ძლივს ჩადიოდა (თ. რაზიკ.). თავდადმართში... ჩადიოდა ურემი (შ. არაგვ.). ფიგურ. მწარე იყო ის დალოცვილი [პური] და მშრალი, ყელში არ ჩადიოდა (ვ. ბარნ.). <>(ვისიმე) ჯიხვში ჩადის (ვინმე) ითვისებს, იჯიხვს. ძღვენი და ქრთამი მუდამ გიორგის ჯიხვში ჩადიოდა (ი. გედევ.). 2. ზევიდან ქვევით მიედინება (მდინარე). მდინარე... ქვევით რუხრუხით ჩადიოდა (შ. არაგვ.). || უერთდება, ერთვის. რომელ წყლებსაც სათავე ღიხის მთის იქითა აქვს, თითქმის სულ რიონში ჩადის (ი. გოგებ.). 3. ჰორიზონტზე დაბლა იწევს (მნათობი). საპირისპ. ამოდის. მთვარე ჩავიდა. _ როცა მატარებელი თეკლათის ქვის სატეხში დაბრუნდა, მზე ჩადიოდა (გ. წერეთ.). <>ვისიმე მზე ჩადის ვისიმე აღსასრული დგება; ვინმე კვდება. რა იცოდა სისხლიანმა მეფის მთავრობამ, როცა დროებით დამარცხებული რევოლუციის გამირებს ხვრეტდა, რომ ჩადიოდა მისი მზე («კომ.»). 4. გარკვეულ პუნქტამდე მიდის, აღწევს. თბილისის მატარებელი ქუთაისში საღამოს ჩადის. 5. ქვევითკენ მიემართება, ჩაყვანილია (გზა...). დიდი გზა მტკვრისკენ ჩადიოდა და ყაბახს ქვემოდან უვლიდა (მ. ჯავახ.). 6. თავსდება, ეტევა (რამე ჭურჭელში). ყანწში სამი დიდი ბოთლი ჩადიოდა (აკაკი). 7. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ადი-ჩადის. 2. ჩა-ს-დი-ს (იყენ. ჩაუვიდა, ჩასვლია). 1. ჩადის მისი, მისაში ან მისაზე, _ ჩაუდის. ფიგურ. მიხამ ხელი ვერ შეახო საჭმელს, მწარედ ეჩვენებოდა ყველაფერი, ყელში არ ჩასდია (ვ. ბარნ.). || ზევიდან ვრცელდება, აღწევს მისაში (სინათლე...). ქართლში დარბაზებს მხოლოდ ბანიდან ჩასდის სინათლე (თ. რაზიკ.). 2. რამეში (ფეხსაცმელში, ხელთათმანში...) ეტევა, უთავსდება. ფეხსაცმელში ფეხი არ ჩასდის.

269. ჩან-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. დანახვა შეიძლება, ხილული არის. [მერცხლის] საჭმელი შედგება პაწია ბუზებისაგან, კოლოებისა და ქინქლებსაგან, რომელნიც თვალთ ძლივსა ჩანან (ი. გოგებ.). || გამოიყურება, შეხედულება აქვს. უბრალო მორთულობაშიაც კი ეშხიანი და სიცოცხლით სავსე ჩანდა [ქალი] (ე. ნინოშ.). || მოიპოვება, მოიძებნება, არის (ჩვეულებრივ, უარყოფით წინადადებებში). მშველელი არავინ ჩანდა (ე. ნინოშ.). 2. ირკვევა, ცხადი ხდება. ამ ოხუნჯობაში ჩანდა, რომ ის უბრალო ხალხის შვილი იყო (ჭ. ლომთ.). 3. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი; ნიშნავს: უნდა იყოს. მხედრები დაქანცულნი ჩანდნენ (კ. გამს.). <>(როგორც) ჩანს ჩართული სიტყვა (გამოთქმა) (როგორც) ეტყობა. ჩანს, ბარშიაც თოვლი მოსულა, ტყისკენ ამოგიწევია და აქ ბინის დადებას აპირებ (შ. არაგვ.). ბოლო დროს, როგორც ჩანს, ყურძნისა და აბრეშუმის სნეულებამ იკლო (ი. გოგებ.). <>ხელისგულივით ჩანს იხ. ხ ე ღ ი ს გ უ ლ ი. <>(ვისიმე) ხელი ჩანს იხ. ხ ე ღ ი.

6

270. ს-ცხი-ა (იყენ. ეცხო, სცხებია) გრდუვ. სტატ. წაცხებული, წასმული აქვს, _ აცხია. [ადამიანი,] ვინ იცის, რას არა სჩადის, სულ სისხლი სცხია ხელზედა (ვაჟა). <> არა სცხია-რა (ვისიმე ან რისამე) სულ არა ჰგავს, არაფერი აცხია. შევხედე, ბიჭოს, დიდიკაცის არა სცხია-რა. გლეხი, ნამდვილი გლეხი მიდგა თვალწინ! (ე. ნინოშ.).

ძ

271. **ძევ-ს** გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. იდო ან იდვა; დებულა) მოთავსებულია, მდებარეობს; დევს. იქვე ერთი რკინის ბეჭედი **ძევს** და ის აიღეთ (**ზღაპ.**). ფოთი... ძევს შავი ზღვის პირად, რიონის შესართავთან (**ი. გოგებ.**). 2. **ს-ძევ-ს** (იყენ. ედო ან ედვა; სდებია) იგივეა, რაც ა ძ ე ვ ს. რა ფასი სძევს თქვენს ქალაქსა, აბა, უხალხოდ?! (**ი. მაჩაბ.** თარგმ.).

წ

272. **წერი-ა** გრდუვ. სტატ. 1. (იყენ. ეწერა, წერებულა) 1. დაწერილია, დაწერილი არის. ამ დროშაზე ასე **წერია**, _ და [არსენამ] ფორხილით წაიკითხა: დაიცავი კარი ჩემი, უფალო, და ციხე ჩემი მარადყავ! (**მ. ჯავახ.**). || დაბეჭდილია, გამოქვეყნებულია. აბა, მოდით, უყურეთ, რა ამბავი წერია გაზეთში! (**ე. ნინოშ.**). || გადატ. აღბეჭდილია, გამოხატულია. საკმაოა..., წარმოიდგინო მიცვალებულის სახე, რომელზედაც... არაფერი არ წერია (**ჭ. ლომთ.**). 2. ითვლება ირიცხება. მეც მისწავლია რამე: ხელოსნადა ვწერივარ, ხელში მიჭირავს ხვედა, ჩუქურთმისა მჭრელი ვარ (**ი. დავით.**). <>ღ(ვისიმე) **კარაბადინში წერია** საუბ. ასე ფიქრობს, ასე მიაჩნია (ვისიმე). გაბრაზდე და ბრაზი გულშივე ჩაიკლა?! არა, ჩემს კარაბადინში ეგ არ წერია. როცა მე ვბრაზობ, ვმოქმედობ კიდევაც (**ვაქა**). 2. **ს-წერი-ა** (იყენ. ეწერა, სწერებია) დაწერილია მისთვის; დაწერილი აქვს მას. <>ღ**აქაურობას ჯვარი სწერია (ეწეროს)** იხ. ა ქ ა უ რ ო ბ ა.

ხ

273. **ხატი-ა** (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. დახატული არის. თვალი სარკვა კაცისა, შიგ ბევრი რამე **ხატია(ხალხ.)**.

274. **ხირი-ა** (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. გახირულია; გდია. ჩემფერა უკეთურები ყუნჭებიც ბევრი**ხირია (ვაჟა)**.

275. **ხური-ა** (იყენ. ეხურა, ხურებია) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც ხურავს (მნიშვ. 2). ერთი შენობა სახლ-გომის მაგიერობას ეწევა, ...მაღლა საბძელი ხუროა, ერთ მხარეს გადმოდრეცილი (**ზაჩ.**). ფიგურ. [მაშვრალს] ნანას უმღერის ნიავი, ცა ვარსკვლოვანი**ხურია (ვაჟა)**.

276. **ხურავ-ს 2.** ([და]ხურა, [და]უხურავს მისთვის))გრდმ. ზევიდან აღებს, აფარებს რასმე, _ ფარავს, ბურავს. სახლს, ანუ ოდას [გურულები] ზემოდან ხურავენ ყავარსა ან კრამიტსა (**ი. გოგებ.**). || თავს უფარავს, უმოსავს, თავზე აცმევს რასმე, _ ახურავს¹. ქართლის დედანო!.. თქვენ არ იყავით, კაცს მხდალს, დავარდნილს თავზე ხურავდით დიაცის მანდილს? (**ი. გრიშ.**). 3. (იყენ. ეხურა, ხურებია) გრდუვ. სტატ. იგივეა, რაც ახურავს². რა მოგმორდი, შვილო, შემდეგ შავი ფიქრი გულს მიბურავს: ვაჰ, თუ გშია? ან გწყურია? ან გცივა და არა გხურავს? (**აკაკი**). ◇ (**თავზე**) **ქუდი ხურავს**, კაცია და ქუდი ხურავს ნამდვილი ვაჟკაცია, მამაცია. ვაჩვენოთ ჩვენც ქვეყანას, რომ კაცნი ვართ და ქუდი გვხურავს, რომ არც

ასე ადვილია ჩვენი დაბრწყვება! (ს. მგალობ.). ◊ თავზე ქუდი არა ხურავს ლაჩარია, ჯაბანია, მხდალია. ვინც თავისუფლებას ცოტაც არის შეალახვინებს ვისმე, ლაჩარია, თავზე ქუდი არა ხურავს! (ი. მაჭავ. თარგმ.). ◊ ლეჩაქი ხურავს იხ. ლეჩაქი.

277. ხამ-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ძვ. გრდუვ. სტატ. 1. ჯერ არს, საჭიროა. ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად (რუსთაველი). 2. უნდა, მართებს, შეეფერება. რაც არა ხამდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლადა (დ. გურამ.).

დანართი 2: შესაბამისობის სგზ

- 1. ედარება** (დაედარა, დასდარებია) გრდუვ. ვნებ. რისამე ან ვისიმე დასადარებელი ხდება, - ემსგავსება, ედრება; შეიძლება შეედაროს. მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება (აკაკი). ფიგურ. სამშობლოს მერცხლებს ედარეთ აღმოდებული ფერებით (ი. გრიშ.). (განზომილება - მსგავსება)
- 2. ედრება** = ედარება (განზომილება - მსგავსება) - ძვ. **ედრები**-ს (შეედარა, _) გრდუვ. ვნებ. მისი დარია, მისი დარი იქნება. 1. იგივეა, რაც ედარება. ბრძოლაში თუ ნადირობაში ვეფხვს ედრებოდა (ვ. ზარნ.). 2. ეთანაბრება, უდრის. კანონით სისხლის აღება ედრებოდა უბრალო მკვლელობას (დ. კლდ.).
- 3. უდრის** (განზომილება - მსგავსება) - (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ ტოლია, ეთანაბრება, ეთანასწორება. ორი თუნგი ღვინო **უდრის** ღირებულებით ერთ კოდ პურს (**ილია**). სირაქლემას კვერცხი... ქათმის ოცდასამ კვერცხს უდრის (**ი. გოგებ**). ჰაერის ტემპერატურა პლუს 3 გრადუსს უდრიდა, ყინული რბილი იყო (**კომ.**).
- 4. ეთანაბრება** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდმ. ვნებ. უთანაბრებს ზმნისა _ რისამე ან ვისიმე თანაბარია, _ უთანაბრდება, უსწორდება; ეტოლება, ედრება. [კასპიის ზღვის ზედაპირი] სხვა ზღვების ზედაპირს არ ეთანაბრება (დ. დონდ.). (განზომილება - მსგავსება)
- 5. ეთანასწორება** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. ვისიმე ან რისამე თანასწორია, _ ეფარდება, უტოლდება. ფანჯრები... ეთანასწორებოდნენ ოთახის სიმაღლესა, სიგრძეს და სიგანესა (ლ. არდაზ.). || თანასწორია, _ ტოლია, უდრის. ერთი [ჭიქა] წყალი ეთანასწორება ნახევარ გირვანქასა (ბ. ჯორჯ.). (განზომილება - მსგავსება)
- 6. ემყარება** (განზომილება - საფუძველი) - (დაემყარა, დამყარებია) გრდუვ. ვნებ. ამყარებს ზმნისა _ საყრდენად იყენებს, საფუძვლად უდებს, _ ეყრდნობა, ეფუძნება, ენდობა (რასმე). ან ბურჟუაზია მისი კაპიტალიზმით, ან პროლეტარიატი მისი სოციალიზმით! აი რას უნდა ემყარებოდეს პროლეტარიატის მოქმედება, მისი კლასობრივი ბრძოლა (**სტალინი**)... ამგვარ წყაროებს **ემყარება** ვახუშტიც (**კომ.**).
- 7. ესიტყვება** 1 = შეესატყვისება-ა (განზომილება - შესატყვისი, მსგავსება) - (შეესიტყვა, შესიტყვებია) გრდუვ. ვნებ. 1. იბ. შეესატყვისება. თვალების ასე მგზნებარე გამოსახვას ვერ **ესიტყვება** სახის ქვედა ნაწილი (ტუჩების მოძრაობა, ნიკაპის ფორმა...) (**«ლიტ. და ხელოვნ.»**). 2. წიგნ. ელაპარაკება, პასუხს აძლევს; ეხმაურება. ფიგურ. გორი კრემლს ესიტყვება შენი სიბრძნით ქებული, ქართლი უფრო დამშვენდა, აღდგა განახლებული! (**ი. გრიშ.**).
- 8. ეტოლება** = ტოლია, თანასწორია, უდრის (განზომილება - მსგავსება) - გრდუვ. 1. (დაეტოლა, დასტოლებია) ვნებ. ატოლებს ზმნისა. 1. ვისიმე ან რისამე ტოლად თვლის თავს, თანასწორობას ჩემულობს, _ ედარება. კახეთის მეფე, თეიმურაზ პირველი, დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში (აკაკი). 2. ვისიმე გვერდით დგება სიმაღლის გასარკვევად, _ ეზომება. 3. ლოყას ლოყაზე ადებს, ეხვევა. დედაჩემი მომჯდომოდა გვერდით, მეტოლებოდა, მკოცნიდა ჩუმ-ჩუმად (ვაჟა). 2. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ვნებ. ტოლია, თანასწორია, უდრის. ორი კუთხის სინუსების ჯამი **ეტოლება** ამ კუთხეების ნახევარჯამისა და ნახევარსხვაობის სინუსისა და კოსინუსის გაორკეცბულ ნამრავლს (**«სახალხო განათლ.»**). 3. (ეტოლა, _)

- კუთხ. (ფშ.) ვნებ. სტატ. რამეს ამოფარებული იქნება, ეფარება. იმ ქვა-ღორღებში ეტოლოს იგი (მარგალიტი) (ვაჟა).
9. **ეფარდება** (შეეფარდა, შეფარდება) გრდუვ. ვნებ. უფარდება ზმნისა _ ფარდია რისამე, _ ეტოლება, ედარება.(განზომილება - მსგავსება)
 10. **ეფუძნება** გრდუვ. ვნებ. აფუძნებს ზმნისა. 1. (დაეფუძნა, დაფუძნებია) ემყარება, ეყრდნობა. 2. (დაეფუძნა, დაფუძნებულა) მკვიდრდება. (განზომილება - საფუძველი)
 11. **ეწოდება** გრდუვ. 1. (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) ვნებ. სახელად აქვს, _ მქვია, ეძახიან. როგორც ხედავთ, «უმრავლესობის» აზრით, მუშები ადვილად ითვისებენ იმ «მაღალ იდეალებს», რომელსაც სოციალიზმი **ეწოდება (სტალინი)**. საქართველოში... პრომეთეოსს ამირანი ეწოდებოდა (აკაკი). [ადამიანის] პირველად ამოსულ კბილებს სარძევე კბილები ეწოდება (ი. გოგებ.). ამიერკავკასიის პირველ სახელმწიფოს _ არარატის რაიონში, ვანის ტბასთან _ ურარტუ ეწოდებოდა (საბჭ. კავშ. ისტ.). 2. (ეწოდა, სწოდებია) ვნებ. უწოდებს ზმნისა _ სახელად მიეცემა, სახელი ერქმევა, უწოდებენ. (განზომილება - სახელი)
 12. **ეხამება** - (შეეხამა, შეხამებია) გრდუვ. ვნებ. უხამებს ზმნისა _ ეგუება, ეწყობა, ეფარდება, შეესაბამება, შესაფერი ხდება. მატერიალისტური თეორია ამბობს, რომ ამა თუ იმ იდეალს შეუძლია პირდაპირი სამსახური გაუწიოს პროლეტარიატს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იდეალი არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, თუ ის სავსებით **ეხამება** ამ განვითარების მოთხოვნილებას (სტალინი). ქალების სალის ტანცმულობას მშვენივრად ეხამებოდნენ შავსა და ქუფრ პალტოებში გამოწყობილი ვაჟები (გ. წერეთ.). (განზომილება - მსგავსება)
 13. **შეესაბამება** - (შეესაბამა, შესაბამებია) გრდუვ. ვნებ. შესაბამისი, შესაბამი არის, _ შეესატყვისება, შეეფერება, შეეფარდება. თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს და აგებულია ისე, რომ სავსებით **შეესაბამება** სსრ კავშირის კონსტიტუციას («სსრკ კონსტიტუცია»). მორთულობაც ოთახისა შეესაბამება ოთახის გარეგნობას (გვ. გაბ.). წარმოებითი ურთიერთობა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს საწარმოო ძალების ხასიათს («კომ.»).
 14. **შეესატყვისება** (განზომილება - მსგავსება) - (შეესატყვისა, შესატყვისებია) წიგნ. გრდუვ. ვნებ. შეესაბამება, შეეფარდება; ედრება. მეგრული სიტყვა ჯა «ხე» არ **შეესატყვისება** ქართულ ხე-ს; მისი კანონზომიერი შესატყვისობაა ქართული ძელ-ი (ა. ჩიქოვ.).
 15. **შეეფერება** (განზომილება - მსგავსება) - (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. ვნებ. შეჰფერის, შესაფერისია; შეესაბამება. [ზ-ნ იანოვსკის მიერ] ამორჩეული გზა... არ **შეეფერება**... მის განზრახვას (ილია). მუცელას... არ შეეფერებოდა ეს დიდებული კაცის სახელი, რადგან მისი მოსახელე... წერწეტი და წვრილი იყო (ვაჟა). ჯერან... იყო... ლამაზი პირისახის და, რაც შეეფერება უსწავლელ კაცს, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი (ე. ნინოშ.).

ე- პრეფიქსიანი კუთვნილების გამომხატველი საშუალო:

1. ეკუთვნის (განზომილება - მფლობელი)
2. შეჰფერის = შეეფერება (განზომილება - შესაფერისობა).

-დონიანი და უნიშნო ვნებითი:

- 16. განსხვავდება (განზომილება - განმასხვავებელი ნიშანი).
- 17. მიიჩნევა (განზომილება - მიჩნევა, შეხედულება).

საშუალი:

- 18. ჰგავს, მიაგავ-ს, მი-ჰ-გავ-ს, მიუგავს, მოჰგავს, უგავს (განზომილება - მსგავსება).
- 19. ნიშნავს (განზომილება - მნიშვნელობა).

-ობ-თემისნიშნისანი ზმნები:

- 20. გამომდინარეობს - წარმოშობით ადგილის წარმოშობის ზმნა (გამომდინარეობს...)
- 21. მდგომარეობს (განზომილება - არსი)
- 22. მოწმობ-ს (განზომილება - მტკიცებულება)

-ა პრეფიქსიანი კაუზატივი:

- 23. აპირობებს (განზომილება - პირობა).
- 24. განაპირობებს (განზომილება - პირობა, წინაპირობა)

-ია დაბოლოებისანი სტატიკური ვნებითი:

- 25. ჰქვია (განზომილება - სახელი)
- 26. უქვია = ჰქვია, ეწოდება მისას. (განზომილება - სახელი)

დანართი 3: ენიანი ვნებითის ფორმის მქონე ზმნების სემანტიკური ქვეჯგუფები

1. პასივი ბენეფიციართ [ის მას, +/- ინიანი პარალელი]: ეწერება, ეძღვნება, ებადება, ეზრდება (ინიანის გარეშე)
2. დეპონენსი [ის მას, + / - ინიანი]: ემალება, ესწრება, ერიდება (ის საზოგადოებას), ეალერსება, ეფერება
3. გრძნობა-აქმის ზმნები:
 - a. დინამიკური გრძნობა-აქმის [მას ან მას ის, პარალელის გარეშე]:
 - i. ეღვიძება, ეცინება, ეტირება, ეღიმება (გამონაკლისი პარალელური ფორმა იღიმება) (ერთპირიანი)[უნებლიე ქმედება];
 - ii. ესიზმრება, ექავება, ელანდება, ერიდებას (მას რაღაცის გაკეთება) (ორპირიანი); (vs პასიური გრძნობა-აქმის: უყვარს, სძულს, მოსწონს)
 - b. სტატიკური გრძნობა-აქმის [ის მას, -ინიანი]:
 - i. ემწარება, ეტკბილება, ემძიმება (შეგრძნება) [მას ის].
 - ii. ებრალება, ეცოდება, ენატრება (გრძნობა, ემოცია) [მას ის].
 - iii. ემღერება, ეცეკვება [მას] (ქმედების იმპულსი სურვილის დონეზე) [+ინიანი]:
 1. ეზარება [მას ის, - ინიანი]
4. ვარაუდი: ეიმედება, ეგულება [მას ის]
5. ინიანი ვნებითის ეკვივალენტი: ესწრება (საქმე) [ის]
6. იდენტურობა-შედარების ზმნები:
 - a. ედრება, შეესაბამება, ეთანადება [ის მას]
 - b. ეწოდება [მას ის, +/- ინიანი]

დანართი 4: მ.მელიქიძე, ნ.გორდელაძე, “ქართული ენა”, 2012, დონე 5, მოსწავლის წიგნი, “გრამატიკული გზამკვლევი”, გვ. 64



1. გამოხატავს მოქმედებას: რას აკეთებს?
 - ბიჭი თამაშობს ფეხბურთს.
 - ის მიდის სკოლაში.
 - ლია ირუჯება მზეზე...
2. გამოხატავს მდგომარეობას:
 - ის ზის, მე ვდგავარ.
 - ბებიი წევს.
 - ბავშვები სკოლაში არიან...
3. გამოხატავს გრძნობას, სულიერ მდგომარეობას:
 - მე მამლის შეშინია.
 - ჩემს ძმას უყვარს ხატვა.
 - დათოს სპორტი აინტერესებს...
